



European  
Commission



## სოფლის მეურნეობა და ნატურა 2000

გზამკვლევი: როგორ შევუწყოთ ხელი კონსერვაციის მიზნების მიღწევას ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო სისტემებში - წვერი ქვეყნების სანიმუშო პრაქტიკები და გამოცდილება

გაიხეოს დაცვა

ევროკომისია და კომისიის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი არ იღებს პასუხისმგებლობას ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2018 წ.

© ევროკავშირი, 2018 წ.

ხელახალი გამოყენება ნებადართულია წყაროს მითითებით.

ევროკომისიის დოკუმენტების ხელახალი გამოყენების პოლიტიკა რეგულირდება 2011/833/EU გადაწყვეტილებით (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39).

ფოტოების ან სხვა მასალის გამოყენების, ან რეპროდუქციისათვის, რომლებიც არ არის დაცული ევროკავშირის საავტორო უფლებებით, საჭიროა ნებართვის აღება უშუალოდ საავტორო უფლებების მფლობელისგან.

---

PDF ISBN 978-92-79-95905-9 doi:10.2779/85823 KH-06-18-168-EN-N

---

### **კონტაქტი ევროკავშირთან:**

#### **პირადად**

მთელ ევროკავშირში Europe Direct-ის ასობით საინფორმაციო ცენტრია. უახლოესი ცენტრის მისამართი შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე: [https://europa.eu/european-union/contact\\_en](https://europa.eu/european-union/contact_en)

#### **ტელეფონით ან ელ-ფოსტით**

Europe Direct არის სერვისი, რომელიც გიპასუხებთ კითხვებზე ევროკავშირის შესახებ. ამ სერვისთან დაკავშირება შესაძლებელია:

- უფასო ტელეფონით: 00 800 6 7 8 9 10 11 (ზოგიერთმა ოპერატორმა შესაძლოა თანხა გადაგახდევინოთ),
- სტანდარტული ნომრით: +32 22999696 ან
- ელ-ფოსტით, მისამართიდან: [https://europa.eu/european-union/contact\\_en](https://europa.eu/european-union/contact_en)

#### **ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მოძიება:**

##### **ონლაინ**

ევროკავშირის შესახებ ინფორმაცია, ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [https://europa.eu/european-union/index\\_en](https://europa.eu/european-union/index_en)

##### **ევროკავშირის გამომცემები**

ევროკავშირის უფასო და ფასიანი პუბლიკაციები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ან შეუკვეთოთ ვებგვერდიდან: <https://publications.europa.eu/en/publications>. თუ გსურთ მიიღოთ უფასო პუბლიკაციების მრავალი ეგზემპლარი, დაუკავშირდით Europe Direct-ს ან ადგილობრივ საინფორმაციო ცენტრს (იხ. [https://europa.eu/european-union/contact\\_en](https://europa.eu/european-union/contact_en)).

##### **ევროკავშირის კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები**

ევროკავშირის სამართლებრივი ინფორმაციას, მათ შორის ევროკავშირის 1952 წლიდან მიღებულ ყველა კანონს, ყველა ოფიციალურ ენაზე, ნახავთ EUR-Lex-ზე: <http://eur-lex.europa.eu>

##### **ევროკავშირის ღია მონაცემები**

ევროკავშირის ღია მონაცემთა პორტალი (<http://data.europa.eu/euodp/en>) გაძლევთ

ევროკავშირის მონაცემთა ბაზაზე წვდომის შესაძლებლობას. მონაცემების ჩამოტვირთვა და გამოყენება შესაძლებელია როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნებისთვის, უფასოდ.  
წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ევროკომისიის მოსაზრება და არ არის სავალდებულო ყველა იზიარებდეს მას.

© ევროკომისია, 2018

ნებადართულია რეპროდუქცია, წყაროს მითითებით.

წინამდებარე დოკუმენტი ევროკომისიისთვის მოამზადეს კონჩა ოლმედამ (Atecta/N2K GROUP), კლუნი კინლისაიდმა, გრეჰამ ტაკერმა და ეველინ ანდერვუდმა (IEEP), № 070307/2010/580710/SER/B3 კონტრაქტის საფუძველზე.

სასარგებლო კომენტარებისა და მოსაზრებებისთვის, მადლობას ვუხდით N2K ჯგუფის ზოგიერთ წევრს, განსაკუთრებით, მიროსლავა პლასმანს, ოლივიერო სპინელის, მარკ ტოროს და დანიელ ზაგის. ასევე - კერსტინ სანდსეტს, საბოლოო ვერსიის კორექტურისა და სასარგებლო კომენტარებისა და წინადადებებისთვის.

შეტანილი წვლილისთვის ასევე მადლობას ვუხდით IEEP-ის ექსპერტებს:

კრისტინა იერონიმიდს, მარიანა კეტიენენის, სერი მარჯერისონს, ენდრიუ მაკკონოვილს და კეტლინ მაკკორმაკს. ასევე გაი ბოფოის (ბუნების კონსერვაციისა და პასტორალიზმის ევროპის ფორუმი), რომელმაც მოგვანოდა რჩევები და მნიშვნელოვანი კომენტარები. სხვადასხვა წევრი ქვეყნის მონაწილეებისა და დაინტერესებული მხარეებისგან შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა წარმოადგინა კვალიფიციური რეკომენდაციები გზამკვლევის შემუშავებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში თავისი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენერალურმა დირექტორატმაც.

გარეკანზე: ცხვრის ფარა მალა ფატრას მთებში, სლოვაკეთი, © Gettyimages/phbcz



გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო



შვედეთი  
Sverige



გზამკვლევის ქართული რეპროდუქცია მომზადდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის ერთობლივი პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში.

პუბლიკაცია მომზადებულია სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ მიერ.

**თარგმანი ინგლისურიდან:** ზაზა კილასონია

**სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის რედაქტირება:** ხათუნა შავგულიძე

**სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის რედაქტირება-ადაპტაცია და დამატებითი განმარტებები:** კახა არცივაძე და ირაკლი შავგულიძე, სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“

## ქართული გამოცემის შესახებ

სახელმძღვანელო გამოიცა საქართველოს გახეობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინაჲე პროექტის, „გადავახრინოთ ბუნება“ ფაზებში.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ენეჯეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა დაინტეგრირებული სექტორების (საგყო სექტორი და სხვ.) პასუხისმგებელ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ევროპის კავშირის ვერუი ბუნების დაცვის კანონმდებლობისა და მათი გამოყენების ძირითადი ასპექტების შესახებ. ეს ჰეგუდაციები ქმნის ეითობრივ სამაჲთლებრივ რაჲროს, ჲომრის საფუძველზე კავშირის ყველა წევრი ქვეყანა და მათი პაჲგნიოჲები ეითობრივად მოქმედებენ ევროპის საფჲთბის ქვეშ მყოფი სახეობისა და ჰაბიტატის დასაცავად.

სახელმძღვანელო შეეხება ევროპის კავშირის ბუნების დიჲექტივების (ფინვერების დიჲექტივა, ჰაბიტატების დიჲექტივა) გათვარისწინებულ, ვერუი ბუნების დაცვისკენ მიმაჲთულ ძირითად პოცედურებს და წაჲმოგვიდგენს საუკეთესო პაქტიკის მაგარითებს, ჲომრებიც, ვფიქრობთ, ძარიან სასაჲგებლო იქნება ენეჯეტიკისა და მომიჯნავე სფეროებში მომუშავე პოფესიონალებისთვის.

დოკუმენტში შემოთავაზებული მიდგომების გამოყენება ხერს შეუწყობს პიტიკულად მნიშვნელოვანი პანეჲროპული ჰაბიტატებისა და სახეობების შენაჲრუნებასა და აღდგენას რვენს ქვეყანაში; ასევე, დაგვენმაჲება საქაჲთვეროს მიეი ნაკისი

საერთაშორისო ვადებულებების შესჲუდებას, მათ შოის ევროკავშირთან ინტეგრაციის მხივი; დაემაჲება ამ სფეროს სპეცირარისტებს „ევროპის ვერუი ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ ფაზებში, საქაჲთვეროში 2023 წლიდან დააჲსებული „ბუჲმუხტის ქსელის“ მაჲთვის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ჲადგან ამ ეკოლოგიური ქსელის მაჲთვის პინციპები სჲუდად იზაჲებს ევროპის კავშირის ვერუი ბუნების დაცვის დიჲექტივების მოთხოვნებს.

გაჲდა ამისა, ევროკავშირთან ინტეგრაციის პოცესში აუცილებელი ხდება ჰაბიტატის დიჲექტივით გათვარისწინებული ე. წ. „შესაბამისობის შეფასების“ პოცედურისა თუ სხვა მოთხოვნების დანეჲვა და სჲუდფასოვანი ინტეგრიჲება ეჲოვრულ კანონმდებლობაში. ყოველივე ეს უდიდეს ჲორს თამაშობს ევროპის ყველაზე საფჲთბის ქვეშ მყოფი და დიჲებული სახეობისა და ჰაბიტატის დაცვის პოცესში.

გასათვარისწინებელია, ჲომ დაკვეთის შესაბამისად ითაჲგმნა და შედებისდაგვაჲად საქაჲთვეროს სიგუაციასთან ადაპტიჲა სახელმძღვანელო დოკუმენტი, ჲომელიც ევროკომისიამ გამოსცა 2017 წელს. შესაბამისად, იგი აჲ ასახავს ბორო წლებში განვითარებულ პოცესებსა თუ განახლებულ ჲედაქციებს.

შედებისდაგვაჲად, ქაჲთური ვეჲსიის მომზადებისას ტექსტს დაემატა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და განმაჲგებები რანაჲთების საბით, ჲომელიც ქაჲთვერ მკითხვერს დაემაჲება ნათლად გაიზჲოს ევროპული ჰეგუდაციები და პაქტიკა საქაჲთვეროსთვის შესაბამის კონტექსტში.

# შინაარსი

რეზიუმე.....	8
გზამკვლევის მიზანი.....	30
რისთვის შემუშავდა წინამდებარე გზამკვლევი?.....	30
ვისთვის არის განკუთვნილი წინამდებარე გზამკვლევი?.....	31
რას ნახავთ ამ დოკუმენტში?.....	31
<b>1. შესავალი.....</b>	<b>34</b>
1.1 სოფლის მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.....	34
1.2 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმები.....	35
1.3 ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვალდებულებები.....	36
1.4 ნატურა 2000-ის ქსელი.....	39
1.5 პარტნიორობა ფერმერებსა და საზოგადოებას შორის.....	40
<b>2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე.....</b>	<b>41</b>
2.1 რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს აერთიანებს ნატურა 2000? .....	41
დიაგრამა 2.1 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობების წილი ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე.....	42
2.2 ევროკავშირის ინტერესის რომელი ჰაბიტატები და სახეობები საჭიროებენ ზრუნვას?.....	45
2.2.1 ევროკავშირის ინტერესის ძირითადი ჰაბიტატები სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებზე.....	46
2.2.2 ევროკავშირის ინტერესის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სახეობები.....	54
2.3 როგორია ამჟამად სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსი?.....	57
2.4 რა ძირითადი ფაქტორები იწვევს ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში?.....	59
2.5 რა ძირითადი წნეხი და საფრთხე ემუქრება სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულ ჰაბიტატებსა და სახეობებს?.....	60
<b>3. ნატურა 2000-ის მართვის მოთხოვნების მიმოხილვა.....</b>	<b>71</b>
3.1 როგორ უნდა მოხდეს ნატურა 2000-ის უბნების მართვა და დაცვა?.....	71
3.2 მუხლი 6.1 -ის დანერგვა ნატურა 2000 -ის აგრარულ უბნებში.....	76
3.3 ნატურა 2000 საიტების მართვისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება.....	85
<b>4. რეკომენდაციები აგროსისტემებთან დაკავშირებული ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის ნატურა 2000-ის უბნებში.....</b>	<b>89</b>
4.1 ჰაბიტატების მართვა.....	89
4.2 სახეობების მართვა.....	97

4.3	ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის დაგეგმვის ძირითადი ასპექტები.....	101
<b>5.</b>	<b>ერთიანი აგრარული პოლიტიკა (ესსპ) და დაფინანსების სხვა წყაროები ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემებისათვის.....</b>	<b>104</b>
5.1	ევროკავშირის დაფინანსება ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის.....	104
5.2	ესსპ-ის კორექტირებული ვერსია, როგორც ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების დაფინანსების ძირითადი წყარო 2014 წლიდან.....	108
5.3	ესსპ-ის გადახდების გარემოსდაცვითი საკონტროლო დონე.....	112
5.4	მრავალწლიანი (მუდმივი) ბალახოვანი ეკოსისტემებისა და მრავალწლიანი (მუდმივი) საძოვრების ახალი განმარტება.....	117
5.5	ესსპ-ის გადახდების უფლებამოსილება ნატურა 2000-ის აგრარული ფართობებისთვის.....	118
5.6	The რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სისტემის ხელშეწყობას და არა მხოლოდ მიწების მართვის მხარდაჭერას.....	122
5.7	ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.....	124
5.8	ესსპ-ის მხარდაჭერა Natura 2000-ის მეურნეობების ფერმების შესაძლებლობების განვითარებისთვის.....	130
5.9	ესსპ-ის მხარდაჭერა და სხვა ღონისძიებები, ნატურა 2000-ის მეურნეობების პროდუქციაზე ფერმერების მიერ დამატებითი ღირებულების მისაღებად....	137
5.10	ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის.....	142
5.11	ესსპ-ის გადახდები ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის პროექტებისა და ადგილობრივი პარტნიორობისთვის.....	154
5.12	ევროკავშირის სხვა ფონდები ნატურა 2000-ისთვის.....	158
5.13	ბაზარზე დაფუძნებული და ინოვაციური ინსტრუმენტები.....	162
<b>6.</b>	<b>ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.....</b>	<b>166</b>
6.1	კონსერვაციის მიზნებისა და დაფინანსების სტრატეგიული გეგმების შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა.....	166
6.2	ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ფერმერული სისტემების იდენტიფიცირება და ფერმერების ჩართვა.....	170
6.3	ესსპ-ის მხარდაჭერის უფლების მიღება და საკონტროლო დონის განსაზღვრა.....	175
6.4	ესსპ-ის მხარდაჭერის თანმიმდევრული პაკეტის შემუშავება ნატურა 2000-ის მეურნეობებზე ფოკუსირებით.....	178
6.5	დასანერგად საჭირო ფინანსური, ტექნიკური, საკონსულტაციო და ადმინისტრაციული რესურსების უზრუნველყოფა.....	187
6.6	მონიტორინგი, შეფასება და განხილვა.....	189

# რეზიუმე

## სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ნატურა 2000-ისთვის

სოფლის მეურნეობას უდიდესი წვლილი მიუძღვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. აგრონარმოების მრავალსაუკუნოვანმა და მრავალფეროვანმა ტრადიციებმა ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების რთული მოზაიკის ფორმირება განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, ფლორისა და ფაუნის უამრავ სახეობას შეუქმნა საარსებო გარემო.

მთელ ბუნებრივ ტერიტორიაზე ევროკავშირის მასშტაბით კონტინენტის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის მიზნით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს ევროკავშირის კანონმდებლობის ორი ძირითადი კომპონენტი - ჰაბიტატების<sup>1</sup> და ფრინველების<sup>2</sup> დირექტივები - ე.წ. ბუნების დირექტივები. მათი მთავარი მიზანია ნატურა 2000-ის ქსელის შექმნა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ქსელი მოიცავს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის საერთო ინტერესის ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისა და კონსერვაციის მხრივ. თუმცა, ნატურა 2000-ის ტერიტორიები მკაცრად დაცული ტერიტორიები არ არის, სადაც გამორიცხული იქნება ადამიანის ყველა სახის საქმიანობა. აქ განსხვავებული მიდგომა მუშაობს, რომელიც სრულად აღიარებს, რომ ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია და საუკეთესო შედეგების მიღწევა მხოლოდ ბუნებასთან „პარტნიორობით“ არის შესაძლებელი.

ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებით დაცული მრავალი ჰაბიტატი და სახეობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე<sup>3</sup> დამოკიდებული ან მასთანაა დაკავშირებული. ამჟამად, ამ ჰაბიტატებისა და სახეობების გრძელვადიანი და უწყვეტი შენარჩუნება, ადგილობრივ პირობებზე მორგებული ექსტენსიური სოფლის მეურნეობის სისტემებსა და პრაქტიკებზეა დამოკიდებული. თუმცა, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მიწების მიტოვების ერთობლივმა ზეგავლენამ, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

ნატურა 2000-ის ქსელში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ როლზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ქსელის მთლიანი ფართობის დაახლოებით 40% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია. როგორც წესი, არსებობს კორელაცია ბიომრავალფეროვნების სიუხვის მაჩვენებელსა და დაბალი აგროპროდუქტიულობის

---

1 დირექტივა 92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია 1. 1. 2007. [http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/index_en.htm)

2 2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ, დირექტივა 79/409/EEC-ის კოდიფიცირებული ვერსია. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:020:0007:0025:EN:PDF>

3 255 სახეობა და 57 ტიპის ჰაბიტატი მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობასთან.

ზონებს შორის. ამიტომ ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესობა აგრარული საქმიანობისთვის ნაკლებად გამოსადეგ ზონებში მდებარეობს. ტიპური მაგალითებია: ალპური მდელოები, საძოვრები, სტეპები, ბუჩქნარები და დაჭაობებული მდელოები.

ნატურა 2000-ის დაბალინტენსიური სამეურნეო სისტემების უმეტესობა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ისე, რომ მეურნეობის სტრუქტურები და პრაქტიკები ადაპტირებულია და მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ პირობებთან (Op-permann et al, 2012). ზოგადად, ასეთი სისტემებია:

- მეცხოველეობის სისტემები, სადაც საქონლის გამოკვების ზონები ძირითადად ნახევრად ბუნებრივი მცენარეულობითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა საძოვრები, ბუჩქნარები;
- დაბალინტენსიური სახნავ-სათესი სისტემები (მაგალითად, მწირ ნიადაგებზე, მშრალ, მლაშე ან წყალჭარბ ადგილებში), სადაც ხშირად თესლობრუნვაში ჩართულია დასვენებული მიწისთვის დამახასიათებელი მცენარეები;
- დაბალინტენსიური მრავალწლოვანი კულტურები, როგორცაა ძველი, ტრადიციული მეთოდებით მართული ხეხილის ბაღები და ზეთისხილის კორომები;
- შერეული სასოფლო-სამეურნეო სისტემების სახნავ-სათესი და/ან მრავალწლოვანი კულტურებითა და პირუტყვით. ამგვარი აგრარული სისტემები ასევე მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს დაბალინტენსიური აგრონარმოებისა და ღირებული ლანდშაფტური მახასიათებლების მოზაიკით, რაც კარგ პირობებს ქმნის სახეობებით მდიდარი ბიომრავალფეროვნებისთვის.

ნატურა 2000-ის ზოგიერთი სახეობა ინტენსიურ მეურნეობებშიც გვხვდება. მათ შორისაა ბატების და გედების სახეობების რამდენიმე საერთაშორისო მნიშვნელობის მოზამთრე პოპულაცია, რომლებიც ზამთრის პერიოდში ინტენსიურ საძოვრებსა და მარცვლეულის ყანებს იყენებენ.

მაღალი ბუნებრივი ღირებულების მქონე მეურნეობებსა და ნატურა 2000-ის ტერიტორიებს შორის მნიშვნელოვან გადაფარვას აქვს ადგილი, ვინაიდან ტერიტორია, სადაც ევროკავშირის ინტერესის ჰაბიტატები და სახეობები გვხვდება, იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალი ბუნებრივი ღირებულების მქონე სასოფლო-სამეურნეო მიწა.

ზოგიერთ ასეთ ტერიტორიაზე გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პრაქტიკა თავისთავად უწყობს ხელს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციას, რის გამოც ეს ტერიტორიები ნატურა 2000-ის ფარგლებში მოექცა. საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ასეთი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების გაგრძელების ხელშეწყობასა და ამ საქმიანობაში ჩართული ფერმერების სათანადოდ წახალისება. სხვა შემთხვევაში, ფერმერებმა შეიძლება მიატოვონ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ან მეურნეობის წარმოების სხვა, ისეთი ფორმით შეცვალონ, რომელიც აღარ იქნება ჰარმონიაში ბუნებასთან. ამ შემთხვევაში საჭირო გახდება შესაფერისი სამეურნეო სისტემების ხელახლა დანერგვა ან არსებული პრაქტიკის კორექტირება, რათა კვლავ შეენყოს ხელი ევროკავშირის ინტერესის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციას ამ ტერიტორიაზე.

ეს საჭიროებს პარტნიორულ ურთიერთობებს დაინტერესებულ ფერმერებს, სოფლის

მეურნეობისა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებსა და ფართო სამოქალაქო საზოგადოებას შორის. წინამდებარე გზამკვლევის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყოთ ეფექტური და ყველასთვის სასარგებლო პარტნიორობა. დოკუმენტში განხილულია სოფლის მეურნეობასა და ნატურა 2000-ის ურთიერთკავშირის ქრილში გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები და წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნების სანიმუშო პრაქტიკის მაგალითებზე დაფუძნებული პრაქტიკული მოსაზრებები, მაგალითები და რეკომენდაციები ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისათვის.

### **მთავარი ფაქტორები და წნეხი ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე**

ექსტენსიური მეცხოველეობა მრავალ აგრარულ რეგიონში წამგებიანი გახდა, რასაც ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, შედეგად მოჰყვა მეურნეობის მიტოვება ან ინტენსიფიკაცია (Beaufoy and Marsden, 2010).

ტრადიციული ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების მიტოვება ყველაზე მნიშვნელოვანი წნეხია ამ ტერიტორიებზე ევროკავშირის ინტერესის ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობებისთვის. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიტოვების მიზეზი იმ ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც აკნინებს სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობას არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და მიწათსარგებლობის პირობებში (Keenleyside and Tucker, 2010). ამ რაიონებში სოფლის მეურნეობისთვის გამოწვევაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების ერთობლიობა – ხორცის ფასის შემცირება, მუშახელის დეფიციტი, ცუდი ხელმისაწვდომობა გასაღების ბაზრებზე, სოფლის მოსახლეობის დაბერება, ნიადაგის ეროზია, პროდუქტიულობასა და მექანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, (რომლებიც გეოგრაფიული ფაქტორებითაა გამოწვეული, მაგალითად, ციცაბო ფერდობები ან დაბალნაყოფიერი ნიადაგები) (IEEP and Veenecology, 2005; Keenleyside & Tucker, 2010). პროგნოზების მიხედვით, ამჟამად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიტოვების რისკები ყველაზე მაღალია მთიან და მთა-გორიან რეგიონებში (Keenleyside & Tucker, 2010).

ჰაბიტატებსა და სახეობებზე მოქმედი კიდევ ერთი ძლიერი წნეხი ინტენსიური მართვის სისტემიდან მომდინარეობს. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორებმა (როგორცაა სასაქონლო ბაზრები, ფასების ზრდა, ტექნოლოგიური მიღწევები, მარკეტინგული ზომები და ერთიანი აგრარული პოლიტიკის (ესსპ) მხარდაჭერა) სოფლის მეურნეობაში ფართომასშტაბიანი წინსვლა და მართვის გაძლიერება გამოიწვია. ამას სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა, რის შედეგადაც დაიკარგა მრავალი შემორჩენილი ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი ელემენტი. შედეგად მივიღეთ ძლიერ მოდიფიცირებული და გამარტივებული სასოფლო-სამეურნეო სისტემები. ზოგიერთ ჰაბიტატს ზიანი მიაყენა მიტოვებამ და, იმავდროულად, სხვა ადგილებში მართვის ინტენსიფიკაციამ.

### **სასოფლო-სამეურნეო სისტემის ხელშეწყობა**

ნატურა 2000-ზე არსებული მრავალი სასოფლო-სამეურნეო სისტემა საფრთხის წინაშეა. ფერმერებს, რომლებიც აუცილებელ ღონისძიებებს ატარებენ საკვანძო ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისათვის, ხშირად რთულ პირობებში - სოფლის

მეურნეობისთვის ნაკლებად ვარგის მიწებზე და შრომის ინტენსიური სისტემების გამოყენებით უწევთ მუშაობა. ისინი დაუცველნი არიან ეკონომიკური ზეწოლის მიმართ, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მათ მიერ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სისტემების მიტოვება და, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმიანობის საერთოდ შეწყვეტა.

ამიტომ, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის კომპლექსური პაკეტის შემუშავება ნატურა 2000-ის ფერმერებისთვის, რომელიც, პირველ რიგში, უზრუნველყოფს ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას და იყენებს მართვის სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც საჭიროა საკვანძო ჰაბიტატებისა და სახეობების დასაცავად.

უპირველესი პრიორიტეტებია მეურნეობის მიტოვების პრევენცია და ინტენსიფიკაციის ძირითადი საფრთხეების აღმოფხვრა. ამისათვის ფერმერს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ განაგრძოს (ან განაახლოს) მიწის დამუშავება და შეინარჩუნოს მეურნეობის ექსტენსიური სისტემა. საერთო მიზანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. ამას ხელს შეუწყობს მეურნეობის (და ფერმერის) ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანმიმართული მხარდაჭერა და ბაზრებიდან შემოსავლის გაზრდა.

ფერმერული სისტემის ხელშესაწყობად საჭირო ძირითადი ღონისძიებების გატარების შემდეგ, მხარდაჭერის პაკეტის ბოლომდე მისაყვანად საჭირო იქნება ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების მართვის სპეციფიკური მეთოდების გამოყენება. მხარდაჭერის ეს კომპლექსური პაკეტი შეიძლება დაეფუძნოს ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებულ მთელი რიგი ზომების განხორციელებას, ისე როგორც ქვემოთ იქნება განმარტებული. მათ განხორციელებასა და დანერგვაში შეიძლება დაგვეხმაროს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების განწევა ესსპ-ის ორივე კომპონენტის ფარგლებში. ასევე შესაძლებელია ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, როგორცაა LIFE<sup>4</sup> და ERDF<sup>5</sup>, ასევე - სხვა კერძო და საჯარო ფონდები.

### **მართვის მოთხოვნები ნატურა 2000-თვის**

წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ მკაფიო პასუხისმგებლობა, რომ ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივების შესაბამისად, უზრუნველყონ ევროკავშირის ინტერესის ყველა ჰაბიტატისა და სახეობის შენარჩუნება ან აღდგენა, კონსერვაციის სახარბიელო სტატუსთან მიყვანამდე. ამ საერთო მიზნის მიღწევაში, ნატურა 2000-ის ტერიტორიები გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან მოიცავს ამ სახეობებისა და ჰაბიტატების ძირითად ტერიტორიებს. თითოეული ტერიტორია უნდა იმართებოდეს ისე, რომ შეძლებისდაგვარად ეფექტურად შეუწყოს ხელი ამ სახეობებისა და ჰაბიტატების ევროკავშირის ფარგლებში კონსერვაციის ხელსაყრელ სტატუსამდე მიყვანას.

4 [https://cinea.ec.europa.eu/programmes/life\\_en](https://cinea.ec.europa.eu/programmes/life_en)

5 The European Regional Development Fund (ERDF)

[https://ec.europa.eu/regional\\_policy/funding/erdf\\_en](https://ec.europa.eu/regional_policy/funding/erdf_en)

ტერიტორიის ნატურა 2000-ის ქსელში ჩართვის შემდეგ, ნევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ ყოველ „საიტზე“ მიიღონ კონსერვაციისათვის აუცილებელი ზომები, ევროკავშირის ინტერესის დაცული ჰაბიტატების ტიპებისა და სახეობების ეკოლოგიური მოთხოვნების მიხედვით, ჰაბიტატების დირექტივის შესაბამისად (მუხლი 6.1). მათ ასევე უნდა აღკვეთონ ნებისმიერი ზიანის მომტანი აქტივობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ამ სახეობებსა და ჰაბიტატებზე (მუხლი 6.2) და დაიცვან ტერიტორია ახალი გეგმებისა და პროექტებისგან, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ნატურა 2000-ის ტერიტორიას (მუხლები 6.3 და 6.4).

ნევრი სახელმწიფოები ძალისხმევას არ იზურებენ ყოველი ოფიციალურად გამოცხადებული ტერიტორიის (საიტის) სათანადოდ მართვისათვის, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში სიტუაცია განსხვავებულია: ზოგიერთმა ქვეყანამ დაამტკიცა მართვის გეგმები ან დაადგინა კონსერვაციის ღონისძიებები ნატურა 2000-ის ყველა ტერიტორიისთვის, ხოლო ზოგიერთმა ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილი მოიცვა.

იმისათვის, რომ ნატურა 2000-ის თითოეულმა ტერიტორიამ სრულად და ეფექტურად შეუწყოს ხელი კონსერვაციის საერთო მიზნების მიღწევას, დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული **კონსერვაციის მიზნების** მკაფიოდ დასახვას ყოველი ცალკეული ტერიტორიისთვის. ამ მიზნებში ფორმულირებული უნდა იყოს სასურველი მდგომარეობა თითოეული სახეობისა და ჰაბიტატის ტიპისთვის, რომლებისთვისაც ეს ტერიტორია იყო გამოცხადებული.

კონსერვაციის მიზნების ეფექტურად განხორციელებისთვის უნდა განისაზღვროს და ყველა ჩართულ პირთან შეთანხმდეს ამ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო **კონსერვაციის ყველა ზომა**. ეს ზომები უნდა შეესაბამებოდეს იმ ჰაბიტატებისა და სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც მოცემული ნატურა 2000-ის ტერიტორია დაარსდა.

იმისათვის, რომ ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვამ ხელი შეუწყოს აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციას, საჭიროა დიალოგი ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ფერმერებმა შესაძლოა კარგად იცოდნენ მიწის მართვის ძველი მეთოდები, რომლებმაც კონსერვაციის წარმატება ან წარუმატებლობა განაპირობეს.

კონსერვაციის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს როგორც სპეციფიკურ ზომებს (მაგ. მართვის ღონისძიებებს და/ან მართვის შეზღუდვებს) და ე.წ. „ჰორიზონტალურ“ ზომებს, რომლებიც ვრცელდება ნატურა 2000-ის უფრო დიდ ფართობებზე არსებულ მრავალ ტერიტორიაზე (მაგ. ნიტრატებით დაბინძურების შესამცირებელი, ნადირობის ან რესურსების გამოყენების რეგულირების ზომები). კონსერვაციის ღონისძიებების დანერგვისათვის შესაფერისი ინსტრუმენტები შეიძლება იყოს მოცემული ტერიტორიებისთვის სპეციალურად შემუშავებული მართვის გეგმები ან ინტეგრირებული იყოს განვითარების სხვა გეგმებში და/ან შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღონისძიებებში.

ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო ღონისძიებების მაგალითია სოფლის განვითარების რეგლამენტის ფარგლებში ფერმერებთან დადებული აგრო-გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომელთა მიზანია გარკვეული ჰაბიტატების (მაგ. სათიბები, საძოვრები) და სახეობების კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის შენარჩუნება. კონსერვაციისათვის შეიძლება საჭირო იყოს კომპლექსური ზომების მიღება, რაც მოითხოვს სხვა ტიპის კონტრაქტებსა და შეთანხმებებს, ასევე სხვა სახის სპეციფიკურ ზომებს, მათ შორის კონსერვაციის ღონისძიებების ნებაყოფლობით განხორციელებას, რომელიც არ გულისხმობს ანაზღაურებას ან რაიმე სახის წახალისებას.

ჰორიზონტალური ღონისძიებები შეიძლება გამოსადეგი იყოს კონკრეტული ტიპის ჰაბიტატების ან სახეობებისთვის, მთელი რეგიონის ან ქვეყნის მასშტაბით, ან ისეთი დიფუზური ზენოლის დასაძლევად, როგორცაა ევთროფიკაცია სოფლის მეურნეობის ჩამდინარე წყლებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საკმარისი იყოს რამდენიმე მარტივი მოთხოვნის შესრულება მთელ სამეურნეო ფართობზე. შეიძლება რაიმე ქმედების განხორციელება საერთოდ არ იყოს საჭირო (პასიური მართვა). უფრო მეტიც, სულაც არის აუცილებელი, რომ ასეთი ზომები იყოს ახალი, რადგან შესაძლოა არსებული ზომებიც უწყობდეს ხელს კონსერვაციის მიზნების მიღწევას.

მეორე მხრივ, ზოგიერთ ტერიტორიაზე შეიძლება საჭირო იყოს უფრო კონკრეტული ადგილობრივი მიდგომები, მათ შორის ზუსტად მორგებული და მიზანმიმართული ღონისძიებები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება კონკრეტული სახეობის ან ჰაბიტატის მართვის სპეციფიკურ საჭიროებებს მოცემულ ადგილას. ცალკეული სახეობის მართვის ღონისძიებების დაგეგმვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სასიცოცხლო ციკლისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება. ადგილობრივმა პირობებმა შეიძლება გარკვეულწილად შეცვალოს ჰაბიტატებისა და სახეობების კონკრეტული საჭიროებები.

### **სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ძირითადი აგრორული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას**

ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებთან დაკავშირებული ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების შენარჩუნებისა და კონსერვაციისათვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბალინტენსიური მართვა.

მართვის ამ ღონისძიებებს ძირითადად ფერმერები განახორციელებენ. ამიტომ, მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის განწვევაა საჭირო. ზოგიერთ ფერმერს უკვე აქვს მართვის სანიმუშო პრაქტიკის გამოცდილება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ ჰაბიტატების კონსერვაციისა და მართვაში მათი როლის აღიარება და მხარდაჭერა. სხვებს დასჭირდებათ მხარდაჭერა იმისათვის, რომ დაუბრუნდნენ მიტოვებულ ადგილებს და მათ მართვას ან თავი შეიკავონ მეურნეობის ინტენსიფიკაციისაგან.

წინამდებარე გზამკვლევაში განხილული სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატების უმეტესობა იმართება **ძოვებით**, რაც მოითხოვს პირუტყვის სიმჭიდროვის, ძოვების სეზონურობისა და პერიოდულობის განსაზღვრას, შესაფერისი პირუტყვის

სახეობების ან მათი კომბინაციის გამოყენებას, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, როტაციული ძოვების გარკვეული ფორმების გამოყენებას. მრავალი ჰაბიტატისთვის, განსაკუთრებით კომთიან რეგიონებში, **საქონლის მწყემსვა** მართვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ხანგრძლივი კულტურული ტრადიციით, რომელიც შენარჩუნებას და ხელშეწყობას საჭიროებს.

**თიბვა და თივის აღება** ასევე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა ნახევრად ბუნებრივი სათიბ-საძოვრებისთვის (მდელოები), რაც მოითხოვს შესაბამისი პერიოდულობისა და სიხშირის გათვალისწინებას, სათანადო აღჭურვილობისა და მექანიზაციის გამოყენებას. ასევე, ჰაბიტატის ტიპის მიხედვით, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, მოთიბული ბალახი სათიბში უნდა დატოვონ თუ უნდა აიღონ. მთელ რიგ ჰაბიტატებში, თიბვასთან ერთად კომბინაციაში, ძოვებაც გამოიყენება.

რაც შეეხება **ძირითადი აგრარული სახეობებისთვის შესაფერისი ტერიტორიების მართვას**, მნიშვნელოვანია რომ კვების, გამრავლებისა და თავშესაფრის ყველა პირობა უზრუნველყოფილი იყოს ყველა სეზონზე და სახეობების საბინადრო არეალში, რაც შეიძლება ჰაბიტატების სხვადასხვა მონაკვეთების მოზაიკურ განლაგებას მოითხოვდეს. ჰაბიტატების ეს მონაკვეთები საკმარისად დიდი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შესანარჩუნებლად ან საკმარისად ურთიერთდაკავშირებული - მეტაპოპულაციების მხარდასაჭერად. აგრარული ჰაბიტატები, როგორცაა ცოცხალი ღობეები, მშრალი ქვის კედლები, წყალსატევები და ტერასები, ძირითადი ჰაბიტატებია ექსტენსიურ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სახეობებისთვის. ასეთი ჰაბიტატები საჭიროებს შენარჩუნებას ან აღდგენას.

რაიონებში, სადაც აგრარული ჰაბიტატები მიტოვებული ან დაზიანებულია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გამო, ნატურა 2000-ის ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის სახარბიელო სტატუსამდე მისაყვანად, შესაძლოა საჭირო გახდეს **აღდგენითი ზომების** გატარება. აღდგენითი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ნიადაგის გამდიდრება და მცენარეულობის რეინტროდუქცია, შეთესვა მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნების აღდგენის მიზნით, ბუჩქნარის კონტროლი, ინვაზიური სარეველა მცენარეებისა და უცხო სახეობების კონტროლი, ჰიდროლოგიური მართვის აღდგენა (მაგ. რევერსიული დრენაჟი, გრუნტის წყლების დონისა და რეჟიმის აღდგენა, დატბორვისა და მდინარეების რეგულირება).

აგრარული ჰაბიტატის ეფექტური მართვისას, ასევე გასათვალისწინებელია რამდენიმე გადამწყვეტი ასპექტი. კონსერვაციული ღონისძიებების ეფექტურობას ამ ღონისძიებების მასშტაბი განაპირობებს. შესაფერისი ჰაბიტატის ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიანი ადგილების შენარჩუნების ან აღდგენისათვის, ან სახეობის მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნებისათვის, საჭიროა კონსერვაციული ღონისძიებების საკმარისად დიდ ფართობზე განხორციელება. სწორედ ზოგიერთი ძირითადი ჰაბიტატის რთული სტრუქტურა განაპირობებს სახეობრივ მრავალფეროვნებას. ჰაბიტატების **მრავალფეროვნებისა და ჰეტეროგენურობის** შენარჩუნებისათვის, შესაბამისად უნდა იცვლებოდეს მართვის ფორმები და ინტენსივობა და

შენარჩუნებული უნდა იყოს მეურნეობის განაპირა ადგილებში არსებული ჰაბიტატები.

სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვა **ადაპტირებული უნდა იყოს** ადგილობრივ პირობებთან. აგრარული ღონისძიებები უნდა იყოს ზუსტად მორგებული და ეფექტურობაზე ორიენტირებული. ოპტიმალური რეჟიმი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ჰაბიტატის ქვეტიპებს შორის და კონკრეტულ უბნებში, რაც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ნიადაგი, მცენარეულობის ტიპები, სიმაღლე ზღვის დონიდან, კლიმატი. ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული ადგილის მართვის ისტორიის გათვალისწინება, რადგან ჰაბიტატები ხშირად ადაპტირებული და დამოკიდებული არიან მართვის ტრადიციულ რეჟიმებზე. მართვის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ექსპერტული ცოდნა კონსერვაციის შესახებ, ასევე მეურნეობის წარმოების ადგილობრივი გამოცდილება.

შესაძლოა საჭირო გახდეს გარკვეული **კონსერვაციული კომპრომისი**, ვინაიდან სხვადასხვა სახეობა განსხვავებულად რეაგირებს მართვის ღონისძიებებზე. მართვის შესაფერისმა სტრატეგიებმა ან უნდა მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს ყველა სახეობას, ან უპირატესობა მიენიჭოს კონსერვაციის მიზნებით განსაზღვრულ მგრძობიარე ან პრიორიტეტულ სახეობებს.

### **ევროკავშირის დაფინანსება ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისთვის**

ნატურა 2000-ის დაფინანსების შესაძლებლობები შეტანილ იქნა ევროკავშირის ყველა შესაბამის ფონდში 2014-2020 წლების დაფინანსების პერიოდისთვის. კერძოდ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (ესსპ) იყო და დარჩება დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ.

ევროკავშირის სახსრებით ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვის შესაძლებლობების უფრო ეფექტური გამოყენებისთვის, ევროკომისიამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ ნატურა 2000-ის დაფინანსების **პრიორიტეზული სამოქმედო ჩარჩო-პირობები**, რომელიც ადგენს სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს 2014 - 2020 წლების პერიოდისთვის, ასევე დაფინანსების ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ღონისძიებათა განხორციელებისთვის.

კომისიამ ასევე განაცხადა, რომ ნატურა 2000-ის მართვის მხარდასაჭერად, აპირებს ხელი შეუწყოს ინოვაციური მიდგომებისა და საბაზრო ინსტრუმენტების, მათ შორის კერძო დაფინანსების გამოყენებას, თუმცა აღიარებს, რომ უახლოეს მომავალში, ეს წყაროები, სავარაუდოდ, ნატურა 2000-ის ქსელის მთლიანი დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების ძირითადი საჯარო დაფინანსება კვლავაც საჭირო იქნება ქსელის კონსერვაციის მიზნების მისაღწევად.

### **რეფორმირებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (ესსპ), როგორც ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების დაფინანსების ძირითადი წყარო 2014 წლიდან**

ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისთვის, ევროკავშირის დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოტენციურ წყაროს წარმოადგენს ესსპ. მისი ორი კომპონენტი განსხვავდება დაფინანსების, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, თუმცა მათ საერთო მიზნები გააჩნიათ. პირველი კომპონენტი ითვალისწინებს ფერმერების პირდაპირ დაფინანსებას (ასევე აფინანსებს სხვა ღონისძიებებს, როგორცაა ბაზარზე გასვლა და ექსპორტის რეფინანსირება). მეორე კომპონენტი ითვალისწინებს ღონისძიებების ფართო სპექტრს ფერმერების, მიწათმომწყობებისა და სოფლის თემების მხარდასაჭერად, რომლებიც ხორციელდება ეროვნული ან რეგიონული ადმინისტრაციების მიერ მომზადებული სოფლის განვითარების მრავალწლიანი პროგრამების (სგპ) მეშვეობით.

ახალ კანონმდებლობაში შესულია ნატურა 2000-ის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება ესსპ-ის ორივე კომპონენტის ფარგლებში. ესსპ-ის ევროკავშირის ოთხი ძირითადი რეგულაცია 2013 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. მათი დანერგვისათვის საჭირო დეტალური პროცედურები, რომლებიც 2014 წლის განმავლობაში გამოქვეყნდება, აქ არაა წარმოდგენილი.

პირველი კომპონენტი კვლავ ფერმერებისთვის პირდაპირ „წარმოებაზე არადაამოკიდებულ“ (decoupled) სუბსიდიებზეა ფოკუსირებული, მაგრამ მისი სტრუქტურა და საზღვრები მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2015 წლიდან ამოქმედდება სავალდებულო დაფინანსების რამდენიმე სქემა: საბაზისო სუბსიდიების ახალი სქემა (ანუ ჰექტრების მიხედვით ერთიანი დაფინანსების სქემის გაგრძელება), „მწვანე“ სუბსიდიები ('greening' payment) და დამატებითი დაფინანსება ახალგაზრდა ფერმერებისთვის. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ და ფერმერებს შესთავაზონ პირდაპირი დაფინანსების ორი დამატებითი ტიპი იმ რაიონებში, სადაც ფერმერები ბუნებრივ წინააღმდეგობებს აწყდებიან და „წარმოებასთან შეჭიდული“ სუბსიდიები (coupled payments) ეკოლოგიური, ეკონომიკური ან სოციალური მნიშვნელობის მქონე მეურნეობისთვის, რომლებიც სირთულეების წინაშე დგანან. ყველა ასეთი დაფინანსების ალტერნატივა შეიძლება იყო ბევრად უფრო მარტივი - პირდაპირი სუბსიდიების სქემა, სპეციალურად მცირე ფერმერებისთვის.

მუდმივი სათიბ-საძოვრების დასაცავად, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, წევრმა ქვეყნებმა უნდა მონიშნონ ეკოლოგიურად მგრძობიარე სათიბ-საძოვრები, რომლებიც დაცვასაჭიროებს (მათ შორის, ტორფიან დაჭარბტენიან ტერიტორიებზე). ფერმერებისთვის ამ ზონებში „მწვანე“ მოთხოვნაა, რომ ეს სათიბ-საძოვრები არ გადააკეთონ ან არ მოხნან. წევრ ქვეყნებს ნატურა 2000-ის ტერიტორიების ფარგლებს მიღმაც შეუძლიათ მონიშნონ და დაიცვან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვა სათიბ-საძოვრები. უფრო ზოგადად, მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ მუდმივი სათიბ-საძოვრების თანაფარდობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო ფართობთან (დადგენილ, წინა საბაზისო წელიწადთან შედარებით) 5 პროცენტზე მეტად არ უნდა შემცირდეს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეს მოთხოვნა გამოიყენონ ქვეყნის ან რეგიონულ დონეზე. მათ ასევე შეუძლიათ, რომ ეს ვალდებულება მეურნეობის დონეზე დააწესონ.

ესსპ-ის მეორე კომპონენტის მიხედვით, ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაცავად შეიძლება მრავალი სხვადასხვა ზომის მიღება (მათ შორის, მიწის მართვა, კონსერვაციის დაგეგმვა, ცოდნის გადაცემა და რჩევები). ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (EAFRD) ერთ-ერთი ახალი პრიორიტეტული მიმართულებაა „ბიომრავალფეროვნების აღდგენა და შენარჩუნება, მათ შორის ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე და მაღალი ბუნებრივი ღირებულების ფერმერულ სისტემებში, აგრეთვე ევროპის ლანდშაფტების მდგომარეობა“. EAFRD-ის წინა მიმართულებებთან შედარებით, ძირითადი ცვლილებები მოიცავს შემდეგს: გაფართოვდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები და „აგროეკოლოგიას“ ეწოდა „აგროეკოლოგია და კლიმატი“; აღიარებულ იქნა კოლექტიური ქმედების უპირატესობა გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული სარგებლიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ლანდშაფტის (და არა მხოლოდ) დონეზე, ვინაიდან ხელშეკრულების ერთზე მეტ მიწის მესაკუთრესთან დადების შემთხვევაში, იზრდება მაღალი საოპერაციო ხარჯების განწვევის შესაძლებლობა; შემუშავდა მოქნილი წესები ხელშეკრულებების ვადების განსაზღვრისათვის, ვალდებულებების შესრულების სანდო პერიოდის გასვლის შემდეგ; გაფართოვდა ნატურა 2000-ის კომპენსაციის ფარგლები და ამჟამად გაიცემა სხვა დაცულ ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო და/ან სატყეო სავარგულებისთვისაც (სადაც გარემოსდაცვითი შეზღუდვები არსებობს), რომლებიც ხელს უწყობენ ჰაბიტატების ურთიერთკავშირის გაუმჯობესებას (ჰაბიტატების დირექტივის მე-10 მუხლი).

წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ შექმნან თემატური ქვესქემები მათი სოფლის განვითარების პროგრამების (სგპ) ფარგლებში, სადაც ნაჩვენები იქნება, თუ როგორ უნდა მიიღონ ზომები ახალი რეგულაციებით დასახული პრიორიტეტების მისაღწევად და კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ქვეყნის ან რეგიონის კონტექსტში. რეგულაცია თემატური ქვესქემების საკითხების სახით ადგენს საჭიროებებს ახალგაზრდა ფერმერების, მცირე ფერმების, მთიანი ზონების, მიწოდების მოკლე ჯაჭვების, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციისათვის, ბიომრავალფეროვნებისთვის და წევრ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ ქვესქემებით განსაზღვრული ოპერაციების განხორციელებას.

ესსპ-ის ორი კომპონენტი იყენებს განსხვავებულ ინსტრუმენტებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მეურნეობის დონეზე მათ შორის არსებული პოტენციური სინერგია გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემების და მართვის პრაქტიკების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ადგილობრივი პირობები და გავაანალიზოთ, რომელი ღონისძიებებია საუკეთესოდ მორგებული თითოეულ ტერიტორიაზე კონსერვაციის მიზნების ხელშეწყობაზე.

ასევე მეთადმნიშვნელოვანია, რომ ექსტენსიური და მაღალი ბუნებრივი ღირებულების ფერმერული სისტემების **ეფექტური მხარდაჭერისთვის გამოყენებული იყოს სხვადასხვა ზომების კომბინაცია**. თუ ჩვენი მიზანია ფერმერული მეურნეობის შენარჩუნება ექსტენსიურად მართულ ტერიტორიაზე, ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატებით, ესსპ-ის მეორე კომპონენტით განსაზღვრულ აგრო-გარემოსდაცვით გადახდებთან ერთად, ხშირად საჭირო ხდება პირველი კომპონენტით დადგენილი გადახდების განხორციელებაც (Oñate et al, 2007; Poláková et al, 2011).

განხილული უნდა იყოს ნატურა 2000-ის ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწის ესსპ-ის როგორც პირველი, ასევე მეორე კომპონენტით გათვალისწინებულ გადახდებთან შესაბამისობის საკითხი. რიგ წევრ ქვეყნებში, ნატურა 2000-ის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ფართობები 2007-2013 წლების პერიოდისთვის, ესსპ-ის პირველი კომპონენტის ფარგლებში პირდაპირი სუბსიდიებისთვის შეუფერებლად ჩაითვალა. ეს საკითხი წევრი ქვეყნების გადასაწყვეტია. შესაბამისობის საკითხები უმეტესად დაკავშირებულია ნატურა 2000-ის სამეურნეო მიწების მახასიათებლებთან, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაგრამ არ შესაბამება წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებებს ან ევროკავშირის მიერ დადგენილ წესებს. ასეთი საკითხებია: საძოვრებზე ხეების, ბუჩქების არსებობა, მეურნეობის ან ნაკვეთის ზომა, მიწის მფლობელობის საკითხი, მიწის რეგისტრაციის მოძველებული ჩანაწერები და GAEC სტანდარტებთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებიც წევრმა ქვეყნებმა უფრო ინტენსიური აგრარული სისტემებისთვის შეიმუშავეს.

### **ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის ექსტენსიური სამეურნეო სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის**

პირველი კრიტიკული ნაბიჯი ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გასაგრძელებლად არის ესსპ-ის პირველი კომპონენტით გათვალისწინებულ გადახდებთან შესაბამისობის გულდასმით განხილვა, ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემების კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით. თუ მიწისა და ფერმერის შესაბამისობა დადასტურებულია, მეურნეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების გამოყენება - ხშირად კომბინირებულადაც, მათ შორის:

- საბაზისო სუბსიდიების სქემა, ერთიანი სუბსიდიის სქემა (1-ლი კომპონენტი)
- „მწვანე“ სუბსიდიები (1-ლი კომპონენტი)
- სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების შემცველი ფართობებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)
- ნებაყოფლობითი „წარმოებასთან შეჭიდული“ სუბსიდიები (1-ლი კომპონენტი)
- ან მცირე ფერმერებისთვის შემუშავებული სქემა, როგორც 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული ყველა ტიპის პირდაპირი გადახდების ალტერნატივა (1-ლი კომპონენტი)

### **ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის მეურნეობის შესაძლებლობის გაუმჯობესებისათვის**

ნატურა 2000 ფერმერული სისტემების ხანგრძლივი ეკონომიკური და ეკოლოგიური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ფერმერის მენეჯერული და გარემოსდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებაზე. მთავრობის მხარდაჭერა შესაძლებლობების გაძლიერებისთვის უზრუნველყოფილია ესსპ-ის ორივე კომპონენტით, მაგრამ, გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა მორგებული იყოს ფერმერებისა და ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების სპეციფიკურ საჭიროებებზე. შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობი

ლონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- საკონსულტაციო მომსახურება ფერმერებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)
- ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე მომუშავე ფერმერებს შორის (მე-2 კომპონენტი)
- ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (მე-2 კომპონენტი)
- მეურნეობის და ბიზნესის განვითარება (მე-2 კომპონენტი)
- ხელშეწყობა შემოსავლების კუთხით და სხვა გადახდები ახალგაზრდა ფერმერებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)

ფერმერებისთვის კონსულტაციების განწევა, ხელშეწყობა და ტრენინგების ჩატარება, ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების შენარჩუნებისა და ძირითადი ჰაბიტატების და სახეობების წარმატებული მართვის გასაღებია. ევროკავშირის ფერმერებს შორის ჯერ კიდევ არსებობს კონსულტაციებისა და მხარდაჭერის საჭიროება, რომელიც ჯერ არ დაკმაყოფილებულა. 2008 წელს ფერმერების მხოლოდ 5%-მა (რომლებიც პირდაპირი სუბსიდიებით ფინანსდებოდნენ) მიიღო ინდივიდუალური რჩევა (ევროპის კომისია, 2010a). ფერმერთა საკონსულტაციო სისტემისათვის (FAS) დადგენილი ფარგლები და მოთხოვნები, 2014 წლიდან წევრ ქვეყნებს მეტად სპეციფიკური საკონსულტაციო მომსახურების განწევის შესაძლებლობას აძლევს, რომელიც ნატურა 2000 ფერმერების გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საჭიროებებზეა მორგებული.

### **ესსპ-ის მხარდაჭერა და სხვა ღონისძიებები, ნატურა 2000-ის მეურნეობების პროდუქციაზე ფერმერების მიერ დამატებითი ღირებულების მისაღებად**

ნატურა 2000-ის და მაღალი ბუნებრივი ღირებულების სავარგულებში მომუშავე მრავალი ფერმერი საკუთარი პროდუქციის გაყიდვისას პრობლემებს აწყდება, ვინაიდან ისინი ხშირად მცირე მწარმოებლები არიან შორეულ რეგიონებიდან, სადაც მხოლოდ მცირე რაოდენობის მომხმარებელი არის მზად, რომ პროდუქციაში ნომინალურზე მაღალი ფასი გადაიხადოს. მეორე მხრივ, ზოგიერთს აქვს კარგი პოზიციონირება პირდაპირი მარკეტინგისათვის ეკოტურისტებთან და ტურისტული მომსახურების შესათავაზებლად, როგორცაა სასტუმროები და რესტორნები. ზოგიერთ რეგიონში ნატურა 2000-ის ფერმერებმა წარმატებით დაამყარეს პირდაპირი კავშირი სუპერმარკეტებთან. მხარდაჭერის სპექტრი ფერმერებისთვის, რომლებიც ცდილობენ დამატებითი ღირებულების მიღებას საკუთარი პროდუქციის გაყიდვებიდან, მოიცავს შემდეგს:

- მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა (მე-2 კომპონენტი)
- ხარისხის სქემები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის (მე-2 კომპონენტი)
- ნიშანდობა და დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნები

### **ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის**

ნატურა 2000 სასოფლო-სამეურნეო ფართობების მართვა, ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების კონკრეტული საჭიროებების მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია ესსპ-ის მეორე კომპონენტით გათვალისწინებული მთელი რიგი ზომების გამოყენებით, მათ შორის:

- ნატურა 2000-ის მართვის გეგმების მომზადება და განახლება
- დაფინანსება აგრო-ეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის
- აგრო-ეკოლოგიასა და ნატურა 2000-თან დაკავშირებული არასაწარმოო ინვესტიციები
- ნატურა 2000-ის კომპენსაციები
- სუბსიდიები ცხოველთა კეთილდღეობისთვის
- ტყეების ტყის ხანძრებისგან დაზიანების პრევენცია და აგროწარმოების პოტენციალის აღდგენა

აგროეკოლოგიური ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატურა 2000-თვის. 2007-2013 წლების სოფლის განვითარების პროგრამების ფარგლებში, რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ უკვე წარმატებით შეიმუშავა აგროეკოლოგიური სქემები, რომლებიც სპეციალურად მორგებულია ნატურა 2000-ის ტერიტორიების ან მაღალი ბუნებრივი ღირებულების მიწების მართვასთან, რომლებიც ნატურა 2000-ის ჰაბიტატებსა და სახეობებს შეიცავენ. ესსპ-ის ახალი მეორე კომპონენტი საშუალებას მისცემს წევრ ქვეყნებს და მათ რეგიონებს, რომ შემდგომში მსგავსი აგროეკოლოგიური და კლიმატური სქემები შეიმუშაონ, რომლებიც საუკეთესოდ მოერგება მათ ტერიტორიაზე არსებულ ნატურა 2000-ის აგრარულ ფართობებს.

### **ესსპ-ის გადახდები თანამშრომლობის პროექტებისა და ადგილობრივი პარტნიორობისათვის**

ადგილობრივი პარტნიორობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ნატურა 2000-ის კონსერვაციული მართვის განხორციელებაში ადგილზე. სოფლის განვითარების ევროპული ფონდი (სფფ) მოიცავს დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებს ფერმერთა სამოქმედო ჯგუფებისთვის ან ფერმერთა ჯგუფებსა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებს (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლებას ან არასამთავრობო ორგანიზაციებს) შორის, ასევე ლიდერული მიდგომის, მწარმოებელთა ჯგუფებისა და თანამშრომლობის პროექტებისთვის. მეორე კომპონენტით გათვალისწინებული მხარდაჭერის სპექტრი მოიცავს:

- თანამშრომლობის პროექტებს, მოკლე მიწოდების ჯაჭვებისა და ადგილობრივი ბაზრების ხელშეწყობისთვის და გარემოსდაცვითი პროექტებისა და პრაქტიკების კოლექტიური მიდგომის ხელშეწყობისთვის, ადგილობრივ და ტრანსნაციონალურ დონეზე
- ადგილობრივ პარტნიორობას - ლიდერულ მიდგომას.

### **ევროკავშირის სხვა ფონდები ნატურა 2000-თვის**

LIFE არის ევროკავშირის დაფინანსების ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას ევროკავშირის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიუჯეტი მცირეა ევროკავშირის სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან შედარებით, LIFE-ს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ნატურა 2000-თვის, რადგან ის აფინანსებს კონსერვაციის მეტად სპეციფიკურ, მიზანმიმართულ ღონისძიებებს, რომელთა დაფინანსება უფრო რთულია ევროკავშირის სხვა წყაროებიდან. ასეთი ღონისძიებებია ნატურა 2000-ის ფართობებზე მონიტორინგისა და კვლევის განხორციელება, მართვის მეთოდების განსაზღვრა და შემუშავება, და რისკების მართვა (Gantioler et al, 2010; Kettunen et al, 2011).

LIFE-ის დაფინანსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადგილებისთვის, სადაც აგრარული მართვის ღონისძიებები მიატოვეს და ნატურა 2000-ის მართვის დაგეგმვის პროცესი საკმარისად წინ არ წასულა იმისათვის, რომ დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოეძიებინათ (Kettunen et al, 2011). ნატურა 2000-ის მრავალი ადდგენითი პროექტის გრძელვადიან ფინანსურ მხარდაჭერას წარმატებით უზრუნველყოფს LIFE-ის პარალელური დაფინანსება აგროეკოლოგიური მიმართულებით (WWF და IEEP, 2009).

LIFE-ის ახალი ინტეგრირებული პროექტები, რომლებიც შეტანილია ფონდ LIFE-ის 2014-2020<sup>6</sup> წლების რეგლამენტში, შესაძლოა რელევანტური იყოს ნატურა 2000-ის ჰაბიტატების კონსერვაციისთვისაც, გარემოსდაცვითი ასპექტების ევროკავშირის პოლიტიკის სხვა საკითხებში ინტეგრაციის გაუმჯობესებით და გეგმებისა და სტრატეგიების უფრო ფართო ტერიტორიული მასშტაბით განხორციელებაზე (მაგ. რეგიონული, მრავალრეგიონული ან ქვეყნის მასშტაბით) ფოკუსირებით. ინტეგრირებული პროექტები ასევე ხელს შეუწყობს დაფინანსების სხვა წყაროების მობილიზებას ნატურა 2000-ის ზონებში კონსერვაციის მიზნების მისაღწევად და საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

ევროპის სტრუქტურულ ფონდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დაფინანსება გამოიყონ ნატურა 2000-ის ადდგენის, დაცვის, მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებებისთვის (ევროპის კომისია, 2011). თანხები ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ეკოტურიზმის, ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის ხელშესაწყობად, აგრეთვე ტრენინგებისა და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე. ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF) საშუალებას იძლევა გამოიყოს თანხები ბიომრავალფეროვნებისთვის, კერძოდ გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის და რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის, მათ შორის ბუნებრივი მემკვიდრეობის, ნატურა 2000-ისა და მწვანე ინფრასტრუქტურის<sup>7</sup> მეშვეობით. ევროპის სოციალურ ფონდს (ESF) შეუძლია მხარი დაუჭიროს შესაძლებლობების გაძლიერებას ნატურა 2000-თან და მცირე ბიზნესთან დაკავშირებული ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ფონდები ასევე იძლევიან ტრანსნაციონალური, ტრანსსასაზღვრო და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის დაფინანსების შესაძლებლობას, რაც შეიძლება სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს ნატურა 2000-ის ტერიტორიებისა და

---

6 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1293/2013 გარემოს დაცვისა და კლიმატის სფეროში სამოქმედო პროგრამის შემუშავებისა (LIFE) და (EC) No 614/2007 რეგულაციის გაუქმების შესახებ. OJ L 347/185-208

7 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1301/2013 მე-5 მუხლი, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის და ინვესტიციების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის და (EC) No1080/2006 გაუქმების შესახებ. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი L347/289-302

სახეობებისათვის. ასეთია, მაგალითად, ეკოტურიზმის განვითარების პროექტები, აგრეთვე მდინარის აუზების, სანაპირო ზონების, საზღვაო რესურსების და ქარბტენიანი ტერიტორიების კონსერვაციის, აღდგენისა და მართვის პროექტები.

### **ბაზართან დაკავშირებული და ინოვაციური ინსტრუმენტები**

არსებობს მთელი რიგი სხვა პოტენციური ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც საჯარო დაფინანსებამ ან/და პოლიტიკურმა ქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს კერძო სექტორის მიერ ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გაზრდას, ხშირად სახელმწიფო დაფინანსებასთან კომბინაციაში. ასეთია, მაგალითად, დაფინანსება არაკომერციული ორგანიზაციებისგან (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები), საქველმოქმედო შემოწირულობები კომპანიებისგან ან სოფლის თემებისგან.

არსებობს ბიომრავალფეროვნების მხარდამჭერი ადგილობრივი ბიზნესისა და კოოპერატივების მიკროდაფინანსების მნიშვნელოვანი პოტენციალიც, როგორცაა პირდაპირი მარკეტინგული ინიციატივები. ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, ვიზიტორებისა და ტურისტებისგან მიღებული დამატებითი შემოსავლები ასევე უფრო ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული ადგილობრივი განვითარებისა და კონსერვაციის ინტეგრირებული პროექტების მეშვეობით.

**გადახდების სქემები ეკოსისტემური სერვისებისთვის (PES)** ასევე შეიძლება წამახალისებელი ფაქტორი აღმოჩნდეს აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვისა და აღდგენისთვის, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის სერვისების შენარჩუნებას (ან პოტენციურ გაუმჯობესებას). ტიპური ეკოსისტემური სერვისები (რისთვისაც გადახდების აღნიშნული სქემებია შემუშავებული), მოიცავს გრუნტის წყლების ხარისხის და მდინარის წყლის ხარისხის გაუმჯობესებას (საკვები ნივთიერებების ჩადინებისა და ნიადაგის ეროზიის შეზღუდვა) და ნახშირბადის სეკვესტრს. PES სქემებმა შეიძლება იმუშაონ მინათმომწყობებთან, ფერმერებთან, საჯარო ორგანიზაციებთან (როგორცაა მუნიციპალური წყალმომარაგების კომპანიები) ან კერძო სანარმოებთან (როგორცაა ლუდსახარშები) და შეუძლიათ ფუნქციონირება ადგილობრივ, რეგიონულ, მდინარის აუზის ან ქვეყნის დონეზე. მაგალითად, წყალშემკრები აუზის მდგრადი მართვის პროგრამა (SCaMP)<sup>8</sup>, რომელიც შემუშავებულია გაერთიანებული სამეფოს წყალმომარაგების კომპანიის მიერ, ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოებასთან (RSPB) თანამშრომლობით, ეკოსისტემური სერვისებისთვის გადახდის სქემას, მაღალმთის დაბალ ბუჩქნარებზე საძოვრის შენარჩუნებისთვის იყენებს. წყალმომარაგების კომპანიის სარგებელი არის წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ტორფიანი ნიადაგების ეროზიის შემცირების გამო, რასაც თავის მხრივ, გადაწვა და გადაძოვება იწვევს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი E).

ამჟამად, მთელ ევროპაში მოქმედებს ნახშირბადით ვაჭრობის ნებაყოფლობითი და რეგულირებადი სქემები, რაც იმას ნიშნავს, რომ შენახულ ნახშირბადს, დამონების შემთხვევაში, შეიძლება ეკონომიკური და სავაჭრო ღირებულება ჰქონდეს (Wor-

8 <http://www.unitedutilities.com/scamp.aspx>

rall et al, 2009). ეს კი ნიშნავს, რომ მიწის მართვისთვის ახალი შემოსავლები შეიძლება გაჩნდეს. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ახლა ნახშირბადის ეროვნულ ბიუჯეტში უნდა ასახონ ნახშირბადის ემისიისა და აბსორბციის მონაცემები მიწათსარგებლობიდან, მიწათსარგებლობის ცვლილებისა და სატყეო მეურნეობიდან (LULUCF), რაც შეიძლება სტიმული აღმოჩნდეს ნახშირბადით მდიდარი ჰაბიტატების დაცვისთვის. ხელუხლებელ ტორფიან ნიადაგებზე ცოცხალი ღობეები და ბუჩქნარები შეიძლება ოფსეტური კომპენსაციის წყარო გახდეს.

### **ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს სასოფლო-სამეურნეო სისტემებისა და თემების მხარდაჭერისთვის, დაგეგმვის, დაფინანსებისა და საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომლებზეც დამოკიდებულია ნატურა 2000-ის ძირითადი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია. ნატურა 2000-ში აგრარული ფართობების მართვის ძირითადი ეტაპები და მათთან დაკავშირებული რეკომენდაციები შეჯამებულია ქვემოთ.

► 2014-2020 წწ. საპროგრამო პერიოდის დაწყებამდე, ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსერვაციის პრიორიტეტებისა და დაფინანსების საჭიროებების დასადგენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **სტრატეგიულ დაგეგმვას**. ეს მოითხოვს სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების მკაფიოდ დასახვას, ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დამოკიდებული ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის მიზნით. ნატურა 2000-ის დაფინანსების პრიორიტეტების EAFRD-ისა და დაფინანსების სხვა პროგრამებში ინტეგრირებას საფუძვლად უნდა დაედოს პრიორიტეტული სამოქმედო ჩარჩო (PAF). ამის შემდეგ, ნატურა 2000-ის მიზნები და EAFRD-დან და სტრუქტურული ფონდებიდან დაფინანსების მოთხოვნები 2014-2020 წლებისთვის, დროულად უნდა აისახოს წევრ სახელმწიფოსა და ევროკომისიას შორის პარტნიორობის სავალდებულო ხელშეკრულებაში. მნიშვნელოვანია, რომ ნატურა 2000-ის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული იყოს თანამშრომლობა გარემოსდაცვით და სოფლის მეურნეობის ოფიციალურ ორგანოებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის.

► ამ პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპებია **ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ფერმერული სისტემების იდენტიფიცირება და ფერმერების ჩართვა**. ამისათვის საჭიროა ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების არსებული მდგომარეობის, სამეურნეო სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის და მიწის მართვაში ან მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების ძირითადი მიზეზების და წნეხის შეფასება. მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების პროცესში ფერმერებისა და ადგილობრივი თემების ჩართვა, პარტნიორული მიდგომის შემუშავება, რომელიც სრულად ჩართავს მათ სამეურნეო სისტემებისა და სოფლის ეკონომიკის დამხმარე ღონისძიებების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში.

► საჭიროა **ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესსპ) მხარდაჭერაზე წვდომის მოპოვება და საკონტროლო ნორმების დადგენა**, გარემოსდაცვით და

სოფლის მეურნეობის სახელისუფლებო ორგანოებთან ერთობლივი მუშაობისა და მჭიდრო თანამშრომლობის გზით. უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნატურა 2000-ის მიწების კლასიფიცირებას სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ნაწილად და, თუ ისინი აკმაყოფილებენ ესსპ-ის მხარდაჭერისთვის საჭირო პირობებს, უნდა დარეგისტრირდნენ მიწის ნაკვეთების საინფორმაციო სისტემაში და მართვისა და კონტროლის ინტეგრირებულ სისტემაში.

იმ მოქნილობის გამოყენებით, რომელსაც ესსპ-ის რეგლამენტი სოფლის მეურნეობის მმართველ უწყებებს ანიჭებს, აუცილებელია, რომ ამ მიწებით მოსარგებლე ნატურა 2000-ის ფერმერებს მიეცეთ ესსპ-ის 1-ლი და მე-2 კომპონენტებით გათვალისწინებული მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა. სამართლებრივი ჩარჩოებით დადგენილ საზღვრებში, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიისთვის/საქმიანობისთვის დადგინდეს შესაბამისობის წესები, რათა ის აკმაყოფილებდეს მაღალი ბუნებრივი ღირებულების მქონე (HNV) და/ან ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის დადგენილ მახასიათებლებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ და ფერმერებისთვის გასაგებ ენაზე იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა განსხვავებაა: (ა) ნატურა 2000-ის კონტექსტში ეროვნული ან რეგიონული კანონმდებლობით ფერმერებისთვის დაკისრებულ სამართლებრივ ვალდებულებებსა (რომლებიც ფრინველების ან ჰაბიტატების დირექტივებთან დაკავშირებული ურთიერთგადაფარვადი შესაბამისობისთვის დადგენილი მართვის მოთხოვნებია (SMR)) და (ბ) სხვა ეროვნულ ან რეგიონულ კანონმდებლობას შორის.

► ნატურა 2000-ზე არსებული ფერმებისთვის ესსპ-ის მხარდაჭერის თანმიმდევრული და მიზანმიმართული პაკეტების შემუშავება მოითხოვს ინკლუზიური პარტნიორობის მიდგომას, სამიზნე ფერმერების სრულ ჩართულობას და მათი ექსპერტული ცოდნის გამოყენებას მეურნეობისა და ჰაბიტატის მართვის სფეროში. ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების და აგრარულ მართვაზე დამოკიდებული ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ესსპ-ის ორივე კომპონენტზე დაყრდნობით, შესაძლებელია მხარდაჭერის თანმიმდევრული, ინტეგრირებული პაკეტების შემუშავება. ესსპ-ის პირველი კომპონენტით გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის გადახდების განხორციელება, ხოლო EAFRD-ის ახალი ჩარჩო-პირობები მნიშვნელოვნად აიოლებს სოფლის განვითარების პროგრამით (RDP) კოჰერენტული მხარდაჭერის პაკეტების შემუშავებას ამ პროგრამის მუშაობის 2014-2020 წლების პერიოდში.

ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემები, სადაც ნატურა 2000-ის ჰაბიტატები გვხვდება, ეკონომიკურად და სოციალურად სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს. ამისათვის მეურნეობა უნდა იღებდეს ესსპ-ის ადეკვატურ და საიმედო საბაზისო დონის მხარდაჭერას, სუბსიდიებითა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობით, აგრეთვე გარკვეული ჰაბიტატებისა და სახეობების სპეციფიკური მართვის საჭიროებებისთვის განუული დაფინანსებით.

მხარდაჭერის პაკეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მეურნეობების კომპლექსური საჭიროებები, რათა პაკეტი იყოს თანმიმდევრული, რომელიც პირველ რიგში უზრუნველყოფს აგრარული სისტემის ფუნქციონირებას და მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, შემდეგ კი შექმნის სტიმულს ჰაბიტატისა

და სახეობების დეტალური მართვისთვის. ყოველივე ამისთვის საჭირო პოტენციური ღონისძიებები აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. წინამდებარე გზამკვლევაში თითოეული ეს ღონისძიება დეტალურად არის აღწერილი და ასევე წარმოდგენილია შესაბამისი პრაქტიკული მაგალითები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან.

ღონისძიებების არჩევანი საკმაოდ ფართოა და დამოკიდებულია სტრატეგიულ მიზნებზე, ნატურა 2000-ის აგრარული სისტემების მახასიათებლებზე, მათ წინაშე არსებულ საფრთხეებზე და სოფლის ეკონომიკაში არსებულ შესაძლებლობებზე.

დაფინანსების რაციონალური გამოყენებისთვის საჭიროა, რომ მხარდაჭერა მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული და ზუსტად მორგებული მეურნეობისა და ჰაბიტატის მოთხოვნებზე, შესაბამის სივრცულ დონეზე. მცირე ფერმერებს მარტივი წვდომა უნდა ჰქონდეთ ესსპ-ის ორივე კომპონენტით განსაზღვრულ მხარდაჭერაზე. განსაკუთრებით იქ, სადაც რამდენიმე მცირე მეურნეობაა ჩართული, გამოყენებული უნდა იყოს ჯგუფური და კოოპერატიული მიდგომები. კარგი იქნება „ქვევიდან ზევით“ მიდგომა, როგორცაა ლიდერული მიდგომა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი შეზღუდვების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC) გათვალისწინებულ სუბსიდიების განაკვეთებში, ნატურა 2000-ის და აგროეკოლოგიურ- კლიმატურ ღონისძიებებში ასახული იყოს მართვისთვის საჭირო სრული ხარჯები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპენსაციისთვის არ არსებობს ან ძალიან მცირეა შემოსავალი, და ასევე, გამოყენებული იყოს კალკულაციაში ტრანზაქციის ხარჯების დამატების შესაძლებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სოფლის განვითარების პროგრამის (RDP) მთიანი რეგიონების მეურნეობებისა და მცირე მეურნეობებისთვის განკუთვნილი ქვეპროგრამების თემატიკა შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის სპეციფიკური ვარიანტების შემუშავებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის უფრო მაღალი განაკვეთებით.

**ესსპ-ის მხარდაჭერის ღონისძიებები ნაგუხა 2000-ის სამეუხნეო სისტემებისთვის**

მიზანი	1-ლი კომპონენტი	მე-2 კომპონენტი
სასოფლო-სამეუხნეო საქმიანობის გაგვიძვების უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>საბაზისო სუბსიდიების სქემა, ერთიანი სუბსიდიების სქემა</b></li> <li>- „მწვანე“ სუბსიდიები</li> <li>- სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების შემცველი ფართობებისთვის (ANC)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკომპენსაციო სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>- ნებაყოფლობითი „წარმოებასთან შეჭიდული“ სუბსიდიები</li> <li>- ან სქემა მცირე ფერმერებისთვის, როგორც 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული ყველა ტიპის პირდაპირი სუბსიდიების ალტერნატივა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკომპენსაციო სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> </ul>
<p><i>ექსტენსიუხი სასოფლო-სამეუხნეო სისტემების მხახდაჭეხა</i></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> <li>- „დაკავშირებული“ სუბსიდიები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკომპენსაციო სუბსიდიები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> <li>- ორგანული მეურნეობა</li> </ul>
<p>შესაძლებლობების განვითარება და დამატებითი ღირებულების შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>სქემა ახალგაზრდა ფერმერებისთვის</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკონსულტაციო მომსახურება</li> <li>- ცოდნის გადაცემა და ინფორმაციული უზრუნველყოფა</li> <li>- ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში</li> <li>- მეურნეობისა და ბიზნესის განვითარება</li> <li>- მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა</li> <li>- ხარისხის სქემები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>- ძირითადი სერვისები (ნატურა 2000/HNV მართვის გეგმების შემუშავება)</li> </ul>
<p>სპეციფიკური მაჩთვა ნატურა 2000-ის ჰაბიტაგებისა და სახეობების კონსერვაციის მიმაჩთვებით</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>- გადახდები აგრო-ეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის</li> <li>- არასაწარმოო ინვესტიციები</li> <li>- ნატურა 2000-ის გადახდები</li> <li>- გადახდები ცხოველთა კეთილდღეობისთვის</li> <li>- ტყეების ტყის ხანძრებისგან დაზიანების პრევენცია და აგროწარმოების პოტენციალის აღდგენა</li> </ul>

**და მათი მაჩთვისთვის** (გამუქებული შრიფტით წარმოდგენილი ღონისძიებები სავალდებულოა წევრი ქვეყნებისთვის)

**► ფინანსური, ტექნიკური, საკონსულტაციო და ადმინისტრაციული რესურსების უზრუნველყოფა.** ნატურა 2000-ის მიწების მართვის გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის საჭიროა საკმარისი ფინანსური და სხვა რესურსები, მათ შორის, კვალიფიციური კონსულტანტები და საჭირო ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი გადამხდელი ორგანიზაციის პერსონალი.

სოფლის განვითარების პროგრამით (RDP) დაფინანსება უნდა იყოს შეძლებისდაგვარად გრძელვადიანი, რადგან დაფინანსების შეფერხება ამცირებს ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეების ნდობას, რის გამოც ისინი თავს იკავებენ გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებისგან (როგორცაა მაგალითად, ჰაბიტატის აღდგენა). აუცილებელია დაფინანსების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ფერმერებისთვის გასაცემი თანხების მხრივ, არამედ მხარდაჭერის ყველა ხარჯის გასაწევად, როგორცაა საკონსულტაციო მომსახურება, ტრენინგები და უნარ-ჩვევების გამომუშავება, ნატურა 2000-ის და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) ტერიტორიების მართვის გეგმების მომზადებისა და ჯგუფური მუშაობის ფასილიტაციისთვის.

კონსულტაციის განწევა და ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ფერმერებისათვის სანდო წყაროებიდან და ყოველთვის უნდა მოიცავდეს რჩევებს კონსერვაციის შესახებ, ასევე, როგორ შეიძლება მისი შეთავსება სასოფლო-სამეურნეო სისტემებთან. დაფინანსება უნდა მოიცავდეს მართვის ღონისძიებების გავლენის მონიტორინგსაც, მეურნეობის დონეზე.

► **მონიტორინგს, შეფასებას და განხილვას** დიდი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებების ეფექტურობისა და გავლენის შეფასებისათვის (თუ რამდენად არის მიღწეული მიზნები), აგრეთვე, დროთა განმავლობაში, სქემებისა და მართვის მეთოდების ადაპტაციისა და დახვეწისთვის. ინდიკატორების ნაკრების განსაზღვრა, მთლიანად ესსპ-სა და კონკრეტულად, სოფლის განვითარების პოლიტიკისთვის ხდება მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი ჩარჩოს (CMEF) მიხედვით. ის მოიცავს ერთიანი კონტექსტის ინდიკატორებს ნატურა 2000-ის ტერიტორიების, აგრარული ჰაბიტატების და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სავარგულების კონსერვაციის სტატუსის შეფასებისთვის, რომლებიც ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს. ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეიძლება დამატებითი ინდიკატორებიც განსაზღვრონ, რომლებიც მათი ქვეყნის ან რეგიონის სიტუაციას შეესაბამება.

მონიტორინგმა უნდა შეაფასოს განხორციელებული ღონისძიებების ფარგლები და დაფარვა, შესაძლო სირთულეები და წინააღმდეგობები ამ ღონისძიებების განხორციელების დროს და მათი გავლენა კონსერვაციის მიზნების შესრულებაზე. მნიშვნელოვანია მონიტორინგის სქემების შემუშავება, რომლებიც ფერმერული მეურნეობის დონეზეც გამოდგება, შესაბამისი და ადვილად გადამონმებადი ინდიკატორების გამოყენებით. ეფექტური აღმოჩნდა მიღწეული შედეგების რეგულარულ მონიტორინგში ფერმერების ჩართვა და გზების გამოძებნა მათი უკეთ მონაწილეობისთვის ამ სქემების შესრულებაში. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო საჯარო კომუნიკაციას, სამიზნე სახეობებისა და ჰაბიტატების პოზიტიური იმიჯის შექმნის მიზნით და იმ პირების აღიარებას, ვინც ძალისხმევას არ იშურებს ამ ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვისთვის.

იქ, სადაც ნატურა 2000-ის მართვის სქემები პირველად იწერება, მცირე საპილოტე გამოცდამ და შეფასებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სქემების ეფექტურობის გაუმჯობესებას, სიტუაციასთან მისადაგებას და განხორციელებას.

### **დასკვნითი შენიშვნები**

ფერმერები, რომლებიც ხელს უწყობენ აგრარულ საქმიანობაზე დამოკიდებული საკვანძო ჰაბიტატებისა და სახეობების სათანადოდ მართვას, ხშირად რთულ პირობებში მუშაობენ და უკიდურესად დაუცველნი არიან ეკონომიკური წნეხისაგან, რამაც შეიძლება მათ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სისტემების მიტოვება აიძულოს.

არსებობს დაფინანსების შესაძლებლობები მთლიანი მეურნეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისა და ევროკავშირის ინტერესის აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მხარდასაჭერად დანატურა 2000-ის ტერიტორიების მართვისთვის.

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მაქსიმალურად გამოიყენონ ეს შესაძლებლობები ნატურა 2000-ის ფერმერების ხელშეწყობის კომპლექსური პაკეტების შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ ექსტენსიური აგრარული სისტემების ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას და, ამავდროულად, ითვალისწინებენ საკვანძო ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციისათვის საჭირო მართვის სპეციფიკურ მეთოდებს.

2014-2020 წლებისთვის რედაქტირებული ერთიანი აგრარული პოლიტიკა (ესსპ) წევრ ქვეყნებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს მხარდაჭერის თანმიმდევრული პაკეტების შესამუშავებლად, სპეციალურად ნატურა 2000 ფერმერებისთვის. ეს მოიცავს ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია გაგრძელდეს ექსტენსიური ფერმერული სისტემების ფუნქციონირება. ეს ღონისძიებები დაეხმარება ფერმერებს წარმოებულ პროდუქციაზე დამატებითი შემოსავლების მიღებით და წაახალისებს მათ ნატურა 2000-ის ტერიტორიების, ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის.

# გზამკვლევის მიზანი

- **რისთვის შემუშავდა წინამდებარე გზამკვლევი?**

წინამდებარე გზამკვლევი მომზადდა იმისთვის, რომ დაეხმაროს წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობასა და ბუნების კონსერვაციაზე პასუხისმგებელ ორგანოებს და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, ნატურა 2000-ის უბნებზე სასოფლო-სამეურნეო სისტემებისა და პრაქტიკების შემუშავებასა და პოპულარიზაციაში, რაც ხელს შეუწყობს იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის სტატუსის შენარჩუნებას და/ან გაუმჯობესებას.

დოკუმენტი მომზადდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი ორგანოები, ფერმერთა ორგანიზაციები, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები) აქტიური დიალოგის გზით, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე აგრარული ფართობების მართვის უფრო კომპლექსური მიდგომების გზების მოძიების ხელშეწყობისთვის, კერძოდ კი, პარტნიორული მიდგომის გასაძლიერებლად.

გზამკვლევაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და ნატურა 2000-ის ურთიერთობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და წარმოდგენილია პრაქტიკული მოსაზრებები, მაგალითები და რეკომენდაციები, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისთვის, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე.

მასში წარმოდგენილია სხვადასხვა მიდგომა შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების, კოორდინაციისა და განხორციელებისთვის ევროკავშირისთვის საინტერესო ჰაბიტატებისა და სახეობების შესანარჩუნებლად, სხვადასხვა ტიპის ფერმერული სისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნატურა 2000-ის მართვის ღონისძიებების სოფლის განვითარების პროგრამებში ინტეგრაციას.

დოკუმენტის მიზანია წევრი ქვეყნებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სასარგებლო რჩევებისა და იდეების მიწოდება. მასში ასახულია მხოლოდ ევროკომისიის შეხედულებები და იგი არ არის იურიდიულად სავალდებულო. ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივები ეფუძნება სუბსიდირების პრინციპს. წევრმა სახელმწიფოებმა თავად უნდა განსაზღვრონ მათ ტერიტორიებზე არსებული ნატურა 2000-ის ფართობების მართვისათვის გასატარებელი ზომები ჰაბიტატების დირექტივის 6.1 და 6.2 მუხლების შესაბამისად.

ამრიგად, წინამდებარე გზამკვლევი, თავისი არსით არ არის დირექტიული ხასიათის, არამედ წარმოადგენს ინფორმაციისა და რჩევების სასარგებლო კრებულს, რათა დაეხმაროს წევრ ქვეყნებს ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში.

- **ვისთვის არის განკუთვნილი წინამდებარე გზამკვლევი?**

პირველ რიგში, წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში (ესსპ) ჩართული ადმინისტრაციული ორგანოებისთვის (განსაკუთრებით მათთვის, ვინც შეიმუშავებს სოფლის განვითარების პროგრამებს [RDPs] და ხელს უწყობს მათ განხორციელებას), და მათთვის, ვინც ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების დანერგვაში მონაწილეობს.

ბუნების დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებებისა და ნატურა 2000-ის უბნების მენეჯერებისთვის წარმოდგენილია უახლესი ინფორმაცია და ინსტრუქციები საკვანძო აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების მართვის შესახებ და მათი კონსერვაციის ხელშეწყობის არსებული ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ, მათ შორის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის ოფიციალური ორგანოებისა და სოფლის განვითარების პროგრამის მენეჯერებისთვის წარმოდგენილია ინფორმაცია ევროკავშირის ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებების და მათი მნიშვნელობის შესახებ სოფლის მეურნეობის სექტორისთვის. ისინი ასევე ნახავენ უამრავ პრაქტიკულ რჩევასა და მოსაზრებას, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებები და პროგრამები, ნატურა 2000-ის ფართობების კონსერვაციის ხელშეწყობისთვის, სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ და გეოგრაფიულ გარემოში.

გარდა ამისა, გზამკვლევი გამოადგებათ ფერმერულ ორგანიზაციებსა და მიწათმომწყობებს, რომლებიც ჩართული არიან აგრარული ფართობების პრაქტიკულ მართვაში ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე.

- **რას ნახავთ ამ დოკუმენტში?**

1-დი თავში წარმოდგენილია პოლიტიკის ზოგადი კონტექსტი და მოცემულია მოკლე ინფორმაცია ნატურა 2000-ის ქსელისა და ევროკავშირის პოლიტიკით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ, ევროპაში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის შესაჩერებლად.

მე-2 თავი განმარტავს სოფლის მეურნეობის როლს ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციაში, განსაზღვრავს ნატურა 2000-ის რომელი ჰაბიტატი და სახეობაა დაკავშირებული კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო სისტემებთან და პრაქტიკასთან და რა გავლენა აქვს სოფლის მეურნეობის მართვას მათ კონსერვაციაზე. ასევე წარმოდგენილია ძირითადი წნეხისა და საფრთხეების მიმოხილვა, რომელთა წინაშეც ეს ჰაბიტატები და სახეობები არიან.

მე-3 თავში მოცემულია ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვის მოთხოვნების მიმოხილვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონტექსტში. აქ მოცემულია ძირითადი ტერმინების განმარტებები, როგორცაა კონსერვაციის მიზნების დასახვა, კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება და „კონსერვაციის სახარბიელო

სტატუსის“ (FCS) მიღწევა. ასევე აღწერილია ნატურა 2000-ის ტერიტორიების აგრარული ფართობების დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობები.

*მე-4 თავში* აღწერილია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პრაქტიკები, რომლებიც საჭიროა ნატურა 2000-ის აგრარულ ფართობებზე არსებული ჰაბიტატებისა და სახეობების აღდგენისა და „კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის“ შენარჩუნებისათვის.

*მე-5 თავი* აღწერს პოლიტიკის ინსტრუმენტებს და დაფინანსების შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სათანადო სასოფლო-სამეურნეო სისტემებისა და პრაქტიკების შესანარჩუნებლად და რეინტროდუქციისათვის.

*მე-6 თავში* მოცემულია ეტაპებად დალაგებული ინსტრუქციები ესსპ-ის სხვადასხვა ტიპის პაკეტების შემუშავებისთვის, რომლებიც საჭიროა ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვის ხელშესაწყობად. მოყვანილია რეალური ცხოვრებისეული მაგალითები ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება და როგორგამოიყენეს ასეთი რეკომენდაციები პრაქტიკაში.

### **დანართები:**

*დანართი A* აღწერს ევროკავშირის ინტერესის ძირითადი ჰაბიტატების ტიპებს, რომლებიც დამოკიდებული არიან სოფლის მეურნეობაზე, ამ დამოკიდებულების ხარისხს, აგრეთვე მათ განაწილებას, საერთო ფართობს, ჰაბიტატების ფართობის წილს ნატურა 2000-ის საერთო ფართობთან და მათ ამჟამინდელ კონსერვაციის სტატუსს.

*დანართში B* მოცემულია ევროკავშირის ინტერესის აგრარულ ჰაბიტატებთან ასოცირებული ძირითადი სახეობების ნუსხა. აღწერილია მათი ჰაბიტატების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კონტექსტში, მათ პრიორიტეტულ სტატუსს და კონსერვაციის ამჟამინდელი სტატუსი.

*დანართში C* წარმოდგენილია საზოგადოებრივი მნიშვნელობის აგრარული ჰაბიტატების ფართობი იმ წევრ ქვეყნებში, სადაც ნებისმიერ ბიოგეოგრაფიულ არეალში ჰაბიტატების წილი მთლიანი ფართობის 10% ან მეტია. ამ დანართის მიზანია, რომ წევრმა ქვეყნებმა ყურადღება მიაქციონ იმ ჰაბიტატებს, რომლებზეც მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

*დანართში D* მოცემულია მართვის რეკომენდაციების მაგალითები I დანართში წარმოდგენილი ყველა ძირითადი ჰაბიტატის ტიპისთვის. რეკომენდაციები არ არის სავალდებულო და მართვა უნდა იყოს ადაპტირებული ქვეყნის და ადგილობრივ პირობებთან და ამოცანებთან და უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას.

*დანართში E* წარმოდგენილია 27 სხვადასხვა მიდგომის მაგალითი, რომლებიც სხვადასხვა წევრ ქვეყანაში დანერგეს აგრარული ფართობების მართვის,

ევროკავშირის ინტერესის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის ხელშესაწყობად.

# 1. შესავალი

## 1.1 სოფლის მეურნეობის მრავალსაკუნოვანი გამოცდილება

ევროპის მრავალფეროვანმა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკამ დიდი გავლენა მოახდინა სოფლის იერსახეზე, ჩამოაყალიბა თანამედროვე ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების რთული მოზაიკა, რაც ევროპის სოფლებს განსაკუთრებულობას ანიჭებს, როგორც კულტურული, ისე ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. დღესდღეობით, ევროკავშირის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი სასოფლო-სამეურნეო ფართობებს უჭირავს. სოფლის მეურნეობა კვლავ ძირითად ეკონომიკურ საქმიანობად რჩება სოფლების უმეტესობაში. ის სიცოცხლეს უნარჩუნებს სოფელს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკისთვის.

ბუნებრივია, წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მოსავლიანობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ფერმერებს ხელს უწყობდნენ, რათა მოეხდინათ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მოდერნიზაცია ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. გაშენდა მონოკულტურები, გაფართოვდა სავარგულები და მესაქონლეობის ფერმები, იყენებდნენ პესტიციდებსა და სასუქებს. შედეგად, უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში, ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი გაქრა ან ფორმა შეიცვალა.

თუმცა, ყველა სავარგული ვერ დაექვემდებარებოდა ინტენსიფიკაციისა და მექანიზაციის პროცესს. ბევრგან ადგილობრივი რელიეფი არ იძლევა ინტენსიური მეთოდების გამოყენების საშუალებას. ზოგან ფერდობები მეტად ციცაბოა, ნიადაგი კი მეტად ღარიბი, რელიეფი - რთულად მისასვლელი და სხვ. გარდა ამისა, ადგილობრივი მეურნეობის სტრუქტურა და მიწის განაწილება ართულებს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ცვლილებების განხორციელებას.

შედეგად, ევროკავშირის სავარგულების დიდი ნაწილი დღესაც ექსტენსიური მეთოდებით იმართება, რომლებიც კარგად არის ადაპტირებული ადგილობრივ პირობებთან. ეს სავარგულები, ჩვეულებრივ, ადგილობრივი მცირე ფერმერების ხელშია და არა მსხვილი აგრობიზნესის. მაგრამ ისინი უმცირესობას არ წარმოადგენენ. მცირე ფერმერები და ექსტენსიური აგრობიზნესი კვლავ შეადგენს ევროკავშირის 14 მილიონი ფერმერის მნიშვნელოვან ნაწილს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სასოფლო-სამეურნეო სისტემები არ არის ისე პროდუქტიული, როგორც თანამედროვე ფართომასშტაბიანი მეურნეობები, ისინი მაინც წარმოადგენენ ევროპული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილს და მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით როლს ასრულებენ ევროკავშირში, ქმნიან სამუშაო ადგილებს ადგილზე და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, ხელს უშლიან სოფლების დაცლას და ხელს უწყობენ სოფლის თემების შენარჩუნებას.

წარმოადგენენ სურსათისა და პროდუქტების მნიშვნელოვან წყაროს მრავალი შორეული სოფლისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპის მდიდარი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში.

თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის მიუხედავად, ექსტენსიური აგროსაწარმოების სიცოცხლისუნარიანობა დროთა განმავლობაში სულ უფრო გაურკვეველი ხდება. ბევრგან ფერმერები იძულებულნი არიან მიატოვონ თავიანთი მიწა და სხვაგან ეძებონ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები, რასაც დამანგრეველი სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოაქვს სოფლებისთვის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროკავშირის დიდ ტერიტორიებზე მიატოვეს სოფლის მეურნეობა. არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო მიწების მიტოვება, განსაკუთრებით დიდ პასტორალურ ტერიტორიებზე, მომდევნო ათწლეულების განმავლობაშიც გაგრძელდება.

მიწების მიტოვებას ნაწილობრივ არბილებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (ესსპ), რომელიც მხარს უჭერს ეკოლოგიურად ჭანსალ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას და სოფლის თემებს, რომლებიც მარგინალურ/ნაკლებად პროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო ზონებში ცხოვრობენ. ასევე, ესსპ-ის სუბსიდიების სანაცვლოდ, მიწის მფლობელებს მოეთხოვებათ სასოფლო-სამეურნეო ფართობებისთვის „კარგი აგრარული და ეკოლოგიური მდგომარეობის“ შენარჩუნება.

## 1.2 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმები

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ სათანადოდ დააფასოს ფერმერების ღვაწლი, რომლებიც საკუთარ სავარგულებს ბუნებრივ გარემოსთან თავსებადი და ხელშემწყობი მეთოდებით მართავენ. როგორც ზემოთ ითქვა, ფერმერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და გარემოს ხარისხის შენარჩუნებაში, ასევე საზოგადოებისთვის ფართო სპექტრის ეკოლოგიური ევროკავშირის სიკეთეებისა და მომსახურების მიწოდებაში.

ეს მნიშვნელოვანი როლი ჯეროვნად უნდა იყოს ასახული და მხარდაჭერილი შესაბამისი პოლიტიკური ვალდებულებით ყველა ადმინისტრაციულ დონეზე. ამ თვალსაზრისით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (ესსპ) ცენტრალურ როლს თამაშობს. წლების განმავლობაში განხორციელებულმა თანმიმდევრულმა რეფორმებმა სულ უფრო ცხადყო სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი სექტორის მხარდაჭერისა და წახალისების მნიშვნელობა - განსაკუთრებით სოფლის განვითარების ღონისძიებების გაძლიერების გზით ესსპ-ის მეორე კომპონენტის ფარგლებში. ასეთი ღონისძიებები, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მიზნად ისახავს დაეხმაროს რთულ სასოფლო-სამეურნეო პირობებში მომუშავე ფერმერებს, იყვნენ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და განაგრძონ ეკოლოგიურად მდგრადი პროდუქტების წარმოება ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიაში.

უფრო მეტიც, მეურნეობის სუბსიდირების წარმოებისგან გამოყოფამ და ურთიერთგადაფარვადი შესაბამისობის წესების შემოღებამ ესსპ-ის ფარგლებში,

ფერმერებს საშუალება მისცა უფრო ადვილად ადაპტირდნენ საბაზრო პირობებთან და თან დაიცვან ძირითადი გარემოსდაცვითი სტანდარტები.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და მექანიზაციის ზოგადი ტენდენცია შეწყდება (განსაკუთრებით ახალ ნევრ ქვეყნებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურები და სისტემები კვლავ განაგრძობენ ცვლილებას საბაზრო ფაქტორების გავლენით), მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს მძლავრი პოლიტიკური მოთხოვნაც, რომ განსაკუთრებით სახელმწიფო სახსრების გამოყენებისას მეტი ყურადღება დაეთმოს იმ ფაქტს, რომ ფერმერებმა მხოლოდ სურსათი კი არ აწარმოონ, არამედ სოფლის ლანდშაფტზეც იზრუნონ, უზრუნველყონ ფართო სპექტრის ეკოსისტემური სიკეთეები და სერვისები საზოგადოებისთვის და დაიცვან ბუნებრივი გარემო.

ამ კონტექსტში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ფერმერების მთავარი როლი სოფლის მეურნეობის ეფექტურობისა და პროდუქტიულობის მუდმივი ზრდის თვალსაზრისით, რომლებიც საკუთარ სავარგულებს ეკოლოგიურად მდგრადი და ადგილობრივ პირობებთან კარგად ადაპტირებული მეთოდებით მართავენ.

### **1.3 ევროკავშირისა და ნევრი ქვეყნების ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვალდებულებები**

სოფლის მეურნეობას, მრავალსაუკუნოვანი ფერმერული ტრადიციების წყალობით, ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ბიომრავალფეროვნებაში, რამაც ლანდშაფტებში ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების რთული მოზაიკა შექმნა, რამაც, თავის მხრივ, ფლორისა და ფაუნის უამრავი სახეობა მოიზიდა. ზოგიერთი მათგანი კარგად არის ცნობილი, მაგალითად, ლალა (Crex crex) და ყარყატი (Ciconia ciconia). გარდა ამისა მრავალმა სხვა, ნაკლებად ცნობილმა სახეობამ (როგორცაა Maculinea nausithous და ორქიდეების მრავალი სახეობა) ასევე დაიდო ბინა ამ ნახევრად ბუნებრივ ჰაბიტატებში.

ეს სახეობები ახლა მთლიანადაა დამოკიდებული ადგილობრივად ადაპტირებულ ექსტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემებსა და პრაქტიკაზე. თუმცა, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მიწების მიტოვებისგავლენამ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. დღეისათვის შემორჩენილია მალაი ბუნებრივი ღირებულების მქონე, ოდესღაც ექსტენსიური აგრარული ფართობების მხოლოდ 15-25%. 1980-იანი წლებიდან ფრინველთა პოპულაცია სავარგულებში დაახლოებით 50%-ით შემცირდა, მაგრამ შემდეგ დასტაბილურდა, ხოლო პეპლების პოპულაცია 70%-ით შემცირდა 1990 წლიდან, აღდგენის ნიშნები კი არ ჩანს (Van Swaay et al 2010).

ევროპის ბიომრავალფეროვნების ამ საგანგაშო კლების გამო, ევროკავშირის ნევრმა ქვეყნებმა მიიღეს ევროკავშირის კანონმდებლობის ორი ძირითადი ნაწილი

- ჰაბიტატების<sup>9</sup> და ფრინველების<sup>10</sup> დირექტივები - ევროკავშირის მთელ ბუნებრივ ტერიტორიებზე ევროპის ყველაზე ღირებული სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის მიზნით. ფრინველების დირექტივის მთავარი მიზანია ევროკავშირში ბუნებრივად გავრცელებული ველური ფრინველების ყველა სახეობის პოპულაციის შენარჩუნება და აღდგენა იმ დონეზე, რომელიც მათ ხანგრძლივ შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ჰაბიტატების დირექტივასაც მსგავსი მიზნები აქვს, მაგრამ ფრინველების გარდა, მოიცავს სხვა სახეობებსაც, აგრეთვე ჰაბიტატების გარკვეულ ტიპებს.

ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივები არ მოიცავს ევროპის ყველა მცენარისა და ცხოველის სახეობას (ე.ი. ევროკავშირის მთელ ბიომრავალფეროვნებას). მათი ობიექტია დაახლოებით 2000 სახეობის წარმომადგენელი (ევროპაში არსებული დაახლოებით 100 000 ან მეტი სახეობიდან), რომლებიც იმდენად იშვიათი ან გადაშენების საფრთხის წინაშეა, რომ სასწრაფო დაცვას საჭიროებენ. ხშირად მათ ევროკავშირის ინტერესის ან ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან სახეობებს უწოდებენ.

ეს ორი დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ არა მხოლოდ აღკვეთონ ევროკავშირის ინტერესის სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, არამედ მიიღონ ზომები მათ „კონსერვაციის სახარბიელო სტატუსამდე“ მისაყვანად, მთლიან ბუნებრივ არეალში ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. მხოლოდ იმის გამო, რომ ჰაბიტატს ან სახეობას საფრთხე არ ემუქრება (ანუ გადაშენების უშუალო საფრთხის წინაშე არ იმყოფება), სულაც არ ნიშნავს, რომ მას „კონსერვაციის სახარბიელო სტატუსი“ აქვს.

ევროკავშირის ბუნების დაცვის ეს ორი დირექტივა ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის ქვაკუთხედაა. 2012 წელს ევროკავშირმა მიზნად დაისახა ევროკავშირში ბიომრავალფეროვნების კარგვის და ეკოსისტემური სერვისების დეგრადაციის შეჩერება 2020 წლისთვის და, შეძლებისდაგვარად, მათი აღდგენა, და ასევე - ევროკავშირის წვლილის გაძლიერება ბიომრავალფეროვნების გლობალური კარგვის შეჩერებაში.

ეს ასახავს ევროპის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების მიერ გამოხატულ მყარ პოლიტიკურ ვალდებულებას და ბიომრავალფეროვნებას ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში აყენებს. ევროკავშირის გაძლიერებული

---

9 საბჭოს დირექტივა 92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია 1. 1. 2007. [http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/index_en.htm)

10 საბჭოს 2009/147/EC დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ, დირექტივა 79/409/EEC-ის კოდიფიცირებული ვერსია. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:020:0007:0025:EN:PDF> .

ბიომრავალფეროვნების სტრატეგია<sup>11</sup>, რომელიც მიღებულ იქნა 2012 წელს, ადგენს მოქმედების ექვს ძირითად მიმართულებას, რომლებიც საჭიროა ევროკავშირში ბუნებასა და ეკოსისტემის სერვისებზე მოქმედი ძირითადი წნეხის მოსახსნელად. ამ ექვსი მიმართულებიდან ერთ-ერთი არის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის წვლილის გაზრდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაში.

### **ევროკავშირის 2020 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია**

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების 2020 წლის სტრატეგია მიზნად ისახავს ევროკავშირის კონსერვაციის კანონმდებლობის ქვეშ მოქცეული ყველა სახეობისა და ჰაბიტატის მდგომარეობის გაუარესების შეჩერებას და მნიშვნელოვნად და გაზომვად კონდიციამდე გაუმჯობესებას. სტრატეგიის მიზანია ძირითად სექტორებთან ინტეგრაციის გაუმჯობესება მიზანმიმართულად და კონკრეტული აქტივობებით, რომლებიც გააძლიერებენ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და თევზჭერის დადებით წვლილს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებაში. სოფლის მეურნეობის შემთხვევაში, ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს ესსპ-ის ინსტრუმენტები. სტრატეგია ასევე მიზნად ისახავს ნატურა 2000-ის ჰაბიტატებსა და უფრო ფართო გარემოს შორის კავშირის გაუმჯობესებას მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

#### **მიზანი 1**

ევროკავშირის კონსერვაციის კანონმდებლობის ქვეშ მოქცეული ყველა სახეობისა და ჰაბიტატის მდგომარეობის გაუარესება შეჩერებულია და 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად და გაზომვად კონდიციამდეა გაუმჯობესებული ისე, რომ ამჟამინდელ შეფასებებთან შედარებით: (i) ჰაბიტატების დირექტივით გათვალისწინებული 100%-ზე მეტი ჰაბიტატი და 50%-ზე მეტი სახეობა აჩვენებს კონსერვაციის გაუმჯობესებულ სტატუსს; და (ii) ფრინველების დირექტივით გათვალისწინებული სახეობების 50%-ზე მეტი აჩვენებს დაცულ ან გაუმჯობესებულ სტატუსს.

#### **მიზანი 2**

2020 წლისთვის, ეკოსისტემები და მათი სერვისები შენარჩუნებული და გაუმჯობესებულია. შექმნილია მწვანე ინფრასტრუქტურა და აღდგენილია დეგრადირებული ეკოსისტემების არანაკლებ 15%.

#### **მიზანი 3**

ა) სოფლის მეურნეობა: 2020 წლისთვის მაქსიმალურადაა გაზრდილი სათიბ-საძოვრების, სახნავი მიწებისა და მრავალწლიანი კულტურების ის ფართობები, სადაც ხორციელდება ესსპ-ით გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას და სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციული სტატუსის გაზომვად გაუმჯობესებას და ეკოსისტემის სერვისების შეთავაზებას, ევროკავშირის 2010 წლის საბაზისო დონესთან

11 ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია მისამართზე:


[http://ec.europa.eu/environment/nature/biodiversity/comm2006/pdf/2020/1\\_EN\\_ACT\\_part1\\_v7\[1\].pdf](http://ec.europa.eu/environment/nature/biodiversity/comm2006/pdf/2020/1_EN_ACT_part1_v7[1].pdf)

შედარებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მდგრადი მართვის გაუმჯობესებას. ევროკომისიამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატურა 2000-ის დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა და აღდგენა მთავარი საკითხია ევროკავშირის 2020 წლის ბიომრავალფეროვნების მიზნის მისაღწევად.

## 1.4 ნატურა 2000-ის ქსელი

ბიომრავალფეროვნების დირექტივების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი და მექანიზმია ნატურა 2000-ის ქსელის შექმნა ევროკავშირის მასშტაბით, რომელშიც გაერთიანებული იქნება ევროკავშირის დონეზე მნიშვნელოვანი უბნები (SCI), ჰაბიტატების დირექტივით განსაზღვრული სპეციალური კონსერვაციული ტერიტორიები (SAC) და ფრინველების დირექტივით განსაზღვრული სპეციალური დაცული ტერიტორიები (SPA) (ერთად ნატურა 2000-ის ტერიტორიებს უწოდებენ). მე-3 თავში დეტალურად ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების მართვა და დაცვა.

ამჟამად ნატურა 2000-ის ქსელში 26000-ზე მეტი უბანია გაერთიანებული. ერთად, ისინი მოიცავენ ევროკავშირის ხმელეთის დაახლოებით 18%-ს, ასევე მნიშვნელოვან საზღვაო ტერიტორიებს. თუმცა, ნატურა 2000 არ არის მკაცრად დაცული ბუნებრივი ზონების სისტემა. ის იყენებს განსხვავებულ მიდგომას, რომელიც სრულად აღიარებს, რომ ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია და რომ ორივესთვის საუკეთესო შედეგების მიღწევა მხოლოდ ბუნებასთან პარტნიორობით არის შესაძლებელი.



## 1.5 პარტნიორობა ფერმერებსა და საზოგადოებას შორის

ფერმერების როლი ნატურა 2000-ის ქსელში იმითაც კარგად ჩანს, რომ ქსელის მთლიანი ფართობების დაახლოებით 40% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მოდის. ვინაიდან, როგორც წესი, მაღალი ბიომრავალფეროვნება სწორედ დაბალი აგროპროდუქტიულობის ზონებში გვხვდება, ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესობა აგრარული საქმიანობისთვის ნაკლებად გამოსადეგ ზონებში მდებარეობს. ტიპური მაგალითებია ალპური მდელოები, საძოვრები, სტეპები, ბუჩქნარი და ტენიანი მდელოები.

ზოგიერთ ასეთ ტერიტორიაზე გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პრაქტიკა თავისთავად უწყობს ხელს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციას, რის გამოც ეს ტერიტორიები ნატურა 2000-ის ფარგლებში მოექცა. საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ასეთი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების გაგრძელების ხელშეწყობასა და ამ საქმიანობაში ჩართული ფერმერების სათანადოდ დაფასებაზე. სხვა შემთხვევაში, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა შეიძლება მიტოვებულ იქნას ან მეურნეობის წარმოების სხვა, ისეთი ფორმით შეიცვალოს, რომელიც ნაკლებ ჰარმონიაში იქნება ბუნებასთან. ამ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს გზები შესაფერისი სამეურნეო სისტემების ხელახლა დანერგვის ან არსებული პრაქტიკის კორექტირებისათვის, რათა კვლავ შეენყოს ხელი ევროკავშირის ინტერესის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციას ამ ტერიტორიაზე.

ეს საჭიროებს მძლავრ პარტნიორულ მიდგომას დაინტერესებულ ფერმერებს, სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებსა და ფართო სამოქალაქო საზოგადოებას შორის. წინამდებარე გზამკვლევი მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ როგორ შეიძლება იმის მიღწევა, რომ ამგვარი პარტნიორობა ეფექტური და ყველასთვის სასარგებლო იყოს. მასში განხილულია სოფლის მეურნეობასა და ნატურა 2000-ის ურთიერთკავშირის ძირითადი გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები და წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნების სანიმუშო პრაქტიკის მაგალითებზე დაფუძნებული პრაქტიკული მოსაზრებები, მაგალითები და რეკომენდაციები ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისათვის.

## 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე

### हा ინფორმაციას მოიცავს ეს თავი?

წინამდებარე თავი მიმოიხილავს სხვადასხვა აგეოგრაფიულ სისტემისა და პრაქტიკის ხორც ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის ხედვით. აღწერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გიპებს, რომლებსაც ნატურა 2000-ის ქსელი მოიცავს და განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან პიხდაპიხ კავშირში მყოფ ჰაბიტატებსა და სახეობებს, რომლებიც ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების ორი დივერსიფიკაციით ახიან დაცული. განიხილავს წინებისა და საფრთხეების ძირითად ფორმებს, რომლის წინაშეც ეს ჰაბიტატები და სახეობები ახიან სოფლის მეურნეობის კონტექსტში და हा გავლენა აქვს სოფლის მეურნეობის მართვის სხვადასხვა ასპექტს მათ კონსერვაციაზე.

### 2.1 რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს აერთიანებს ნატურა 2000?


აგრო-ეკოსისტემები<sup>12</sup> ევროკავშირში ნატურა 2000 ქსელის მთლიანი ფართობის საშუალოდ 38%-ს (EEA, 2010) შეადგენს, ხოლო ნატურა 2000-ის უბნებს EU-27-ის მთლიანი აგრარული ფართობების 10.6% (ან 22.2 მილიონი ჰექტარი) უჭირავს (იხ. დიაგრამა 2.1).

#### დიაგრამა 2.1 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობების წილი ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე

**შენიშვნა:** ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პროცენტული წილი გაანგაზიშებულია Corine Land Cover-ის კლასების გამოყენებით. წყარო: ევროკომისია, 2013ა.

12 ამ განყოფილებაში „აგროეკოსისტემები“ მოიცავს CORINE Land Cover-ის (CLC) შემდეგ კლასებს:

- სავარგულები, რომელთა კულტივაცია რეგულარულად ხდება, მათ შორის ურწყავი სახნავი მიწები (CLC კლასი 211), სარწყავი მიწები, რომლებიც ყოველთვის ირწყვება (212), ბრინჯის ყანები (213), ვენახები (221), ხეხილი და კენკრის პლანტაციები (222), ზეთისხილის კორომები (223), საძოვრები (231) და მრავალწლოვან კულტურებთან ასოცირებული ერთწლიანი კულტურები (241).
- შერეული კულტივირებული სავარგული: კულტივაციის კომბინირებული სქემები (242), სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ბუნებრივი მცენარეულობის მნიშვნელოვანი ფართობებით (243) და აგრო-სატყეო ფართობებით (244).
- ნახევრად ბუნებრივი ტერიტორიები, შესაძლო ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით: ბუნებრივი სათიბ-საძოვრები (321), ცოცხალი ტორფნარი და ბუჩქნარი (heathland) (322), სკლეროფიტი მცენარეები (323).



უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „სასოფლო-სამეურნეო მიწა“ ამ კონტექსტში ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობისაა და არ გულისხმობს მხოლოდ „გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიას“, როგორც სხვა, მაგალითად, სათემო მეურნეობის სტრუქტურის კვლევების და კულტურ მცენარეთა სტატისტიკური მონაცემების<sup>13</sup> კონტექსტებში.

ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესობა ექსტენსიური სისტემებით იმართება და მათი არსებობა ძირითადად ასეთი

13 სათემო მეურნეობის სტრუქტურის კვლევებში (FSS), მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (UAA) არის სახნავ-სათესი მიწების, მრავალწლიანი სათიბ-საძოვრების, მრავალწლიანი კულტურებისა და ბოსტნების მთლიანი ფართობი, საკუთრების ან გამოყენების ტიპის მიუხედავად. ის (UAA) არ მოიცავს გამოყენებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, ტყეებს და მიწებს, რომლებიც დაკავებულია შენობებით, ფერმის ეზოებით, გზებით, ტბორებით და სხვ. გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწა (UAA) კულტურულ მცენარეთა სტატისტიკური მონაცემების კონტექსტში განსაზღვრულია (საბჭოს 1990 წლის 26 მარტის რეგულაცია (EEC) No 837/90 და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის რეგულაცია (EEC) No 959/93)) როგორც: 1) მარცვლეული კულტურებით (მარცვლეულთა ჯგუფის ან რომელიმე სახეობის) დაკავებული ფართობი (როგორც დანართებშია მითითებული), რომლის წარმოება აღემატება 50 000 ტონას წელიწადში და 2) გარდა მარცვლოვნებით დაკავებული სახნავ-სათესი ფართობებისა, ასევე სხვა სახნავ-სათესი ფართობები, მრავალწლიანი სათიბ-საძოვრები, მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობები და სხვა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწები. მრავალწლიანი სათიბ-საძოვრები ასევე შეიძლება მოიცავდეს UAA ტერიტორიების ნაწილებს აგრარული საკუთრების მიღმა. ამჟამად, ტერმინი „გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია“ (UAA) მეურნეობის სტრუქტურის კვლევისა და კულტურულ მცენარეთა სტატისტიკური მონაცემების კონტექსტებში, სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.

სისტემების გამოყენებაზე დამოკიდებული (იხ. ჩანართი 2.1). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო სისტემებში კონსერვაციის ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი პოზიტიური პრაქტიკის ხელშეწყობას. ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე დაბალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემები, ჩვეულებრივ, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, სადაც მეურნეობის სტრუქტურები და პრაქტიკები ადაპტირებულია და მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ პირობებთან (Oppermann et al, 2012). ზოგადად, ასეთი სისტემებია:

- მეცხოველეობის სისტემები, სადაც საკვები ზონები ძირითადად ნახევრად ბუნებრივი მცენარეულობითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა საძოვრები, ბუჩქნარი;
- დაბალინტენსიური სახნავ-სათესი სისტემები (მაგალითად, მწირ ნიადაგებზე, მშრალ, მლაშე ან წყალჭარბ ადგილებში, ან შორეულ ტერიტორიებზე), სადაც ხშირად თესლობრუნვაში ჩართულია დასვენებული მიწისთვის დამახასიათებელი მცენარეები, ნახევრად ბუნებრივი მცენარეულობით;
- დაბალინტენსიური მრავალწლოვანი კულტურები, როგორცაა ძველი, ტრადიციული მეთოდებით მართული ხეხილის ბაღები და ზეთისხილის კორომები; და
- მოშორებულ ადგილებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო სისტემები სახნავ-სათესი და/ან მრავალწლოვანი კულტურებითა და პირუტყვით. ამგვარი აგრარული სისტემები ასევე მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებს დაბალინტენსიური აგრონარმოებისა და ღირებული ლანდშაფტური მახასიათებლების მოზაიკით, რაც კარგ პირობებს ქმნის სახეობებით მდიდარი მრავალფეროვნებისთვის.

ნატურა 2000-ის უბნებში ხშირად გვხვდება **მეცხოველეობის დაბალინტენსიური სისტემები**. აქ შენარჩუნებულია ნახევრად ბუნებრივი საძოვრების, მდელოების, ჭაგნარისა და ბუჩქნარის დიდი ფართობები, სადაც ევროკავშირის ინტერესის მრავალი მცენარისა და ცხოველის სახეობა ბინადრობს და ჩვენი მთაგორიანი, მთიანი და სხვა ტერიტორიების ლანდშაფტს ქმნიან. მაგალითად, ისეთი სახეობები, როგორცაა ალპური ვირზაზუნა (*Marmota marmot latirostris*) და პეპლების იშვიათი სახეობები (მაგ., *Colias myrmidone* და *Erebia calcaria*) მთიან საძოვრებსა და მდელოებზე ბინადრობენ, სადაც ძოვებას ექსტენსიური ხასიათი აქვს.

დაბალინტენსიურ **სახნავ-სათეს სისტემებს**, როგორცაა მარცვლეულით დათესილი მშრალი სტეპები, ხშირად მონიშნავენ ნატურა 2000-ის უბნებად, რადგან იქ თავს აფარებენ იშვიათი და გადაშენების მაღალი საფრთხის წინაშე მყოფი სარეველა მცენარეების სახეობები, ასევე ძუძუმწოვრები, როგორცაა რუმინული ზაზუნა (*Mesocricetus newtoni*) და ევროპული თრია (*Spermophilus citellus*) და საფრთხის წინაშე მყოფი ზოგიერთი ფრინველის მსხვილი პოპულაციები, მათ შორის, სავათი (*Otis tarda*) და ველის კირკიტა (*Falco naumanni*). ამ სახნავ-სათეს სისტემებში, დასვენებული სავარგულები ან დაუთესავი ნაკვეთები, ასევე ნათესების და ანეულის მცენარეულობის მეჩხერი ან ჰეტეროგენული სტრუქტურა, ამ ტერიტორიებს მნიშვნელოვან ბუნებრივ ღირებულებას ანიჭებს.

**სადოვარ-ტყის, დაბალინტენსიური მეცხოველეობის სისტემები**, როგორცაა დეჰეზა და მონტადო, სადაც სახნავ-სათესი კულტურების მოყვანა კომბინირებულია პირუტყვის ძოვებასთან ხეებიან ტერიტორიებზე. ეს უნიკალური მახასიათებლების მქონე ფერმერული სისტემებია, რომლებსაც თავს აფარებს ევროკავშირის ინტერესის მრავალი სახეობა, როგორცაა იბერიული ზურმუხტისფერი ხვლიკი (*Lacerta schreiberi*) და ესპანური საიმპერატორო არწივი (*Aquila adalberti*).

ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე ხშირად გვხვდება დაბალინტენსიური სისტემები **მრავალწლიანი კულტურებით**, მათ შორის ხეხილისა და თხილის ბაღები, ზეთისხილის კორომები და ვენახები. მათი მდიდარი სტრუქტურა: ტერასების მოზაიკა, ცოცხალი ღობეები, საძოვრები და სხვა ნახევრად ბუნებრივი მცენარეულობა, შესაფერის ჰაბიტატებს ქმნის ღია ტყიან და/ან კლდოვან ჰაბიტატებთან ოდითგანვე დაკავშირებული მრავალი სახეობისთვის. ტრადიციულ ბაღებში კარგი პირობებია უამრავი სახეობისთვის, რომელთაც კომპლექსური ჰაბიტატები ესაჭიროებათ. ასეთია ჩრდილოეთის სავარცხლიანი ტრიტონი (*Triturus cristatus*) და საპროფაგები მწერები, რომლებიც გახრწნილი მერქნით იკვებებიან, როგორცაა ირემა ხოჭო (*Lucanus cervus*). მრავალწლიან ნათესებში ფრინველების მრავალ სახეობას შეხვდებით, მათ შორის *Hippolais olivetorum*-ს. ღამურები, როგორცაა მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), საკვებს ტრადიციულ ბაღებში ეძებენ. დაბალინტენსიური მრავალწლიანი ნათესების მაღალ ღირებულებას მათი ლანდშაფტური მახასიათებლები და კულტურული და ისტორიული კავშირებიც განსაზღვრავენ.

ნატურა 2000-ის ზოგიერთი სახეობა **ინტენსიური მეთოდებით მართულ სავარგულებშიც გვხვდება**. მათ შორისაა ბატებისა და გედების საერთაშორისოდ მნიშვნელოვანი მოზამთრე პოპულაციები, როგორცაა ლოყათეთრი ღერღეტი (*Branta leucopsis*) და მყივანი გედი (*Cygnus cygnus*), რომლებიც ზამთარში ინტენსიურ სათიბ-სადოვრებსა და მარცვლეულ კულტურების ნათესებში პოულობენ სარჩოს. ჩვეულებრივი ზაზუნა (*Cricetus cricetus*), რომელიც ჰაბიტატების დირექტივის IV დანართშია შეტანილი და, მე-12 მუხლის შესაბამისად, მკაცრ დაცვას მოითხოვს, გვხვდება სახნავ მიწებზე, სადაც საკმარისი საკვები და თავშესაფარია საფურაჟე კულტურების ნათესებსა და ნაკვეთის კიდეებში, სადაც აუღებელი მოსავალია დარჩენილი.

ჩანართი 2.1 კავშირი მაღალი ბუნების ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ფართობებსა და ნატურა 2000-ს შორის

მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სოფლის მეურნეობის კონცეფცია ფართოდაა ინტეგრირებული ევროპის აგრარულ პოლიტიკაში. მაღალი ბუნებრივი ღირებულების აგრარული ფართობები მოიცავს ევროპის იმ ტერიტორიებს, სადაც სოფლის მეურნეობა მიწათსარგებლობის ძირითად (როგორც წესი, დომინანტურ) ფორმას წარმოადგენს, და სადაც სოფლის მეურნეობასთან ასოცირებულია სახეობებისა და ჰაბიტატების დიდი მრავალფეროვნება ან ევროპის, ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით კონსერვაციული მნიშვნელობის სახეობების არსებობა, ან ორივე (Beaufoy & Cooper, 2008; Cooper et al, 2007; Oppermann et al, 2012). ამ განმარტების ფარგლებში განასხვავებენ მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სასოფლო-სამეურნეო მიწების სამ ტიპს:

- 1-ლი ტიპი: სასოფლო-სამეურნეო მიწა ნახევრად ბუნებრივი მცენარეულობის მაღალი თანაფარდობით
- მე-2 ტიპი: სასოფლო-სამეურნეო მიწა დაბალინტენსიური აგრონარმოების და ბუნებრივი და სტრუქტურული ელემენტების მოზაიკით, როგორცაა განაპირა მინდვრები, ცოცხალი ღობეების მწკრივები, ქვის კედლები, ტყიანი ან ბუჩქნარი ადგილები, პატარა მდინარეები და სხვ.
- მე-3 ტიპი: სასოფლო-სამეურნეო მიწა, სადაც თავსაფარებენ იშვიათი სახეობები ან დიდი რაოდენობით ბინადრობენ ევროპის ან მსოფლიო მნიშვნელობის პოპულაციები.

პრაქტიკაში, მაღალი ბუნებრივი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ნატურა 2000-ის მიწებს შორის მნიშვნელოვან გადაფარვას აქვს ადგილი, ვინაიდან მე-3 ტიპის მაღალი ბუნებრივი ღირებულების მიწების დასადგენად გამოყენებული იყო ნატურა 2000 ქსელის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ორნითოლოგიური ტერიტორიების (IBAs), პეპლების ძირითადი ტერიტორიების (PBAs) და ბიომრავალფეროვნების სხვა ეროვნული მონაცემთა ბაზების ინფორმაცია (დამატებითი დეტალებისთვის იხ. Paracchini et al 2008).

თუმცა, ეს ორი კონცეფცია მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მაღალი ბუნებრივი ღირებულების სოფლის მეურნეობა არის ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს ბიომრავალფეროვნების ყველა ასპექტს და არ გააჩნია იურიდიული ძალა. მეორე მხრივ, ნატურა 2000 რეგულირდება ევროკავშირის კანონმდებლობით. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ნატურა 2000-ის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაშიერთიანდებიან, თუმათგადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჰაბიტატების დირექტივით ან ფრინველების დირექტივით დაცული ერთი ან მეტი სახეობისა და ჰაბიტატისთვის (ანუ, არ არის აუცილებელი, რომ ნატურა 2000 მოიცავდეს ყველა იმ ტერიტორიას, სადაც ეს სახეობები ან ჰაბიტატები არიან წარმოდგენილი - იხ. თავი 3). ნატურა 2000-ში გაერთიანების შემდეგ, წევრ სახელმწიფოებს ევალუბათ ამ უბნების მართვა იმ სახეობებისა და ჰაბიტატების ტიპების დაცვის გარანტიით, რომლებისთვისაც აღნიშნული უბნები იყო განსაზღვრული.

ფერმერული სისტემებისა და ჰაბიტატებისა და სახეობების მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. თავი 4.

## 2.2 ევროკავშირის ინტერესის რომელი ჰაბიტატები და სახეობები საჭიროებენ ზრუნვას?

ნატურა 2000-ის ევროკავშირის ინტერესის მრავალი ჰაბიტატი და სახეობა, რომლებიც ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებითაა დაცული, დამოკიდებულია ან დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან (იხ. ცხრილი 2.1). ამიტომ, ისინი წინამდებარე გზამკვლევის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტებს წარმოადგენენ. უფრო მარტივად გასაგები რომ იყოს, მათ უბრალოდ ვუწოდებთ „ძირითად ჰაბიტატებს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე“ და „ძირითად სახეობებს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰაბიტატების დირექტივის შესაბამისად, ნატურა 2000 მოიცავს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ძირითად უბნებს, ჰაბიტატების აღნიშნული

ტიპებითა და სახეობებით და არა ყველა იმ ტერიტორიას, სადაც ეს ჰაბიტატები და სახეობები გვხვდება. როგორც ცხრილი 2.1 გვიჩვენებს, ზოგიერთი ტიპის ჰაბიტატის მთლიანი ფართობის მხოლოდ 20%-30%-ია დაცული ნატურა 2000-ის ქსელით.

### **2.2.1 ევროკავშირის ინგეხის ძიითადი ჰაბიტატები სასოფლო-სამეურნეო გეოგრაფიაში**

ჰაბიტატების დირექტივის I დანართში წარმოდგენილია 58 ტიპის ჰაბიტატი (მათ შორის, 23 არის პრიორიტეტული ტიპი<sup>14</sup>), რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე არსებულ ძირითად ჰაბიტატებად ითვლებიან, რადგან დამოკიდებული ან დაკავშირებული არიან ექსტენსიურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. ისინი დაყოფილია ჰაბიტატების რვა ფართო ჯგუფად (ევროპის კომისია, 2013b). აღნიშნული ჯგუფები აღწერილია ქვემოთ. უფრო დეტალური ინფორმაცია ჰაბიტატის თითოეული ტიპის შესახებ წარმოდგენილია A დანართში. ითვლება, რომ ამ ჰაბიტატების მესამედზე მეტი (24) მთლიანად არის დამოკიდებული სათანადო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე (Halada et al, 2011). ეს ის ჰაბიტატებია, რომელთა სახეობრივი შემადგენლობა მრავალი ათწლეულის ან საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა გადარჩევის შედეგად და მორგებულია როგორც ტერიტორიაზე არსებულ პირობებთან, ასევე ამ ტერიტორიის მართვის ტიპსა და ინტენსივობასთან. ამგვარი მართვის შეწყვეტა და მართვის ინტენსივობის მნიშვნელოვანი ცვლილებები იწვევს (ჩვეულებრივ, შეუქცევად) ცვლილებებს ჰაბიტატის სტრუქტურასა და სახეობათა შემადგენლობაში.

დანარჩენი 34 ჰაბიტატი ითვლება ნაწილობრივ დამოკიდებულად, რადგან მართვა ან ახანგრძლივებს ჰაბიტატის არსებობას სუკცესიის ბლოკირების გამო, ან ხელს უწყობს ჰაბიტატის გაფართოებას და ჰაბიტატის გაზრდილი ფართობის შენარჩუნებას. ზოგიერთი ჰაბიტატის შემთხვევაში, ეს დამოკიდებულება ვრცელდება ჰაბიტატის მხოლოდ ზოგიერთ ქვეტიპზე ან ამ ჰაბიტატის გარკვეულ ნაწილზე. ზოგიერთი პირველადი ტიპის იშვიათი ჰაბიტატი იქ, სადაც უფრო ექსტრემალურ კლიმატური პირობებშია, საერთოდ არ უნდა იყოს გამოყენებული რაიმე სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

---

14 ჰაბიტატების დირექტივის I დანართი განსაზღვრავს 72 ჰაბიტატისგან შემდგარ ქვეჯგუფს, როგორც პრიორიტეტული ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპებს, რადგან ისინი გაქრობის საფრთხის წინაშე იმყოფებიან და, რადგან ევროკავშირის საზოგადოებას გარკვეული პასუხისმგებლობა გააჩნია მათზე, ევროკავშირის გეოგრაფიულ საზღვრებში მათი ბუნებრივი გავრცელების არეალის გათვალისწინებით. ანალოგიურად, II დანართში წარმოდგენილი სახეობების ქვეჯგუფი იდენტიფიცირებულია პრიორიტეტულ სახეობებად, რადგან საზოგადოებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გააჩნია მათზე.

◦ **სანაპიროს და ჰალოფიტული ჰაბიტატები**

ზღვისპირა მლაშე მდელოები და ჭაობიანი ადგილები, ატლანტიკის, ჩრდილოეთის ზღვისა და ბორეალური სანაპიროების გასწვრივ ტრადიციულად ექვემდებარებიან ძოვებას. ძოვების მიტოვების შემთხვევაში, ისინი დეგრადირდებიან მცენარეულობის სიმჭიდროვის გაზრდის გამო. ხმელეთის სიღრმეში არსებული მლაშე მდელოები და ჭაობიანი ადგილები ასევე ექვემდებარებიან სეზონურ ძოვებას.



*Limonium* spp.  
ატლანტიკის მლაშე მდელოზე  
(ფოტო: Dr J.P. Doody)

◦ **სანაპიროს ქვიშის დიუნები და ხმელეთის სიღრმეში ახსებული დიუნები**

ფიქსირებული დიუნები ბალახითა და ბუჩქნარებით, ხშირად დამოკიდებულია ექსტენსიურ ძოვებაზე, რაც აჩერებს სუკცესიას და ინარჩუნებს ღია ჰაბიტატს. „მაჰერი“ გამორჩეული ქვიშიანი სანაპირო ლანდშაფტია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა დაბალინტენსიური ძოვებისა და კულტურათა მონაცვლეობის პირობებში. ხმელეთის სიღრმეში არსებული დიუნები და ქვიშიანი ბუჩქნარები ბალახებითა და ბუჩქებით, საჭიროებს ფართომასშტაბიან ექსტენსიურ ძოვებას ან თიბვას დამცირე ჩარევას, წონასწორობის გარკვეულ დონეზე შენარჩუნებისა და ბუჩქნარის დასათრგუნად.



კიქვიანი ფიქსირებული დიუნები  
სეფტონის სანაპიროზე  
(ფოტო: John Houston)

◦ **ზომიერი და ბოხეაღუი ბუჩქნახი**

მშრალი დაბალი ბუჩქნარი (heaths) ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატია, რომელიც ყალიბდება ტყისგან, ძოვებისა და წვის ხანგრძლივი ისტორიის შედეგად. ისტორიულად ეს ადგილები გამოიყენებოდა მრავალწლიან საძოვრებად შერეულ სასოფლო-სამეურნეო სისტემებში. ასევე, ისინი იძლეოდნენ სანვავს, საქონლის საგებელს, ზამთრის საკვებს პირუტყვისთვის, ჩალას - გადახურვისათვის და გზის სამშენებლო მასალებსაც კი. ნოტიო ბუჩქნარი ზოგჯერ ექვემდებარება ექსტენსიურ ძოვებას, მაგრამ მეტად მგრძნობიარეა გადაძოვების მიმართ. ალპური ბუჩქნარი ტრადიციულად ექვემდებარება სეზონურ ძოვებას - სამთაბარო რეჟიმში პირუტყვის გადარეკვისას, ისევე როგორც საძოვრის ველური მცენარეების სახეობები. ბორეალურ ბუჩქნარს ჩრდილოეთის ირემი ძოვს.



ჩხიღოეთ ატლანტიკის ტენიანი  
ჭაგნახი ნიუ ფოხესტში, ინგლისი  
(ფოტო: სტივ ჰამბლი)

◦ **სკლეოფიტული ბუჩქნაჰი (მახოგალი)**

სკლეოფიტური ბუჩქნარის ჰაბიტატები (მატორალი) ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გვხვდება. ბუნებრივი მცენარეულობის რამდენიმე მონაკვეთი ისეთ უბნებში მდებარეობს, სადაც ექსტრემალური პირობებია. მათ ხელი არ უნდა ვახლოთ. თუმცა, უმეტესობა მეორადი ჰაბიტატებია, რომლებიც მუხის ტყეების განადგურებისა და შემდგომში, საუკუნეების განმავლობაში, ცხვრისა და თხის ღია სივრცეებზე ძოვებისა და რეგულარული წვის შედეგად ჩამოყალიბდნენ. მაგალითად, ბუჩქნარ ან კირქვიან მდელოებზე ღვიის ბუჩქების ფორმაციები ფართოდაა გავრცელებული ევროპის თითქმის ყველა რეგიონში, სადაც ბუჩქნარისა და საძოვრების დამახასიათებელი მოზაიკური სურათის შენარჩუნება ექსტენსიურ ძოვებაზე დამოკიდებული.



ღვიის ბუჩქნაჰი ცენტრალურ იტალიაში.  
(ფოტო: კაზენცინოს ცის ეხოვნური პაჰკი)

◦ **ბუნებრივი და ნახევრად-ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემები**

ევროპის ბალახოვანი ეკოსისტემები მცენარეთა ტიპებისა და ქვეტიპების ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, მეტად მშრალი, მწირი მცენარეული ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემებიდან ალუვიურ მდელოებამდე და ცოცხალ ტორფნარამდე, ალპური მდელოებიდან „დეჰუზას“ ტიპის საძოვრებამდე -მარადმწვანე მუხის ხეებით (Quercus) და სტეპურ მდელოებამდე. შესაბამისად, მრავალფეროვანია მართვის სისტემები და ტრადიციებიც. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია სათიბები.



სახეობებით მდიდარი ბალახოვანი ეკოსისტემები ჩეხეთის ხესპუბლიკაში  
(ფოტო: კიკონოშეს ეხოვნური პაჰკის ადმინისტრაცია)

◦ **ტორფიანი ჭაობები და დაბლობის ჭაობები**

ტორფიანი ჭაობების უმეტესობა მეტად ღარიბია ცხოველის საკვები მცენარეებით და მგრძნობიარეა ძოვების მიმართ. ამიტომ, მათ უმეტესობას ძოვებისთვის არ იყენებენ. ძოვების შემთხვევაში საჭიროა მეტად ფრთხილი კონტროლი. დაბლობის ჭაობებს, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით არ იყენებენ, მაგრამ ზოგიერთ ასეთი ტიპის ჰაბიტატს, რომელიც ძალიან ტენიანი არ არის, იყენებენ მსუბუქი ძოვებისთვის ან პირუტყვის საგებელი მასალის შესაგროვებლად.



◦ **ქვიანი ჰაბიტატები**

ნახევრად ბუნებრივი ბალახებისა და ბუჩქების მოზაიკურ ჰაბიტატში კირქვიანი ქვაფენილი ღია მდგომარეობაში შენარჩუნება საჭიროებს ძოვებას და/ან განმენდას. ქვიანი ჰაბიტატები შეიძლება იყოს ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების უფრო დიდი მოზაიკის ნაწილიც, როგორცაა ალპური საძოვრები ან ჩრდილოეთის ალვარები.



კიხქვიანი ქვაფენილი ბუჩენში (იხილეთ) (ფოტო: შეიხონ დ. პაი)

◦ **ტყიანი საძოვრები და მდელოები**

ფენოსკანდინავიის ტყიანი საძოვრები და მდელოები ოდესღაც ფართოდ გავრცელებული ფერმერული სისტემების ნარჩენებია, სადაც საძოვრებზე ხეები და ბუჩქებია მიმოფანტული. ეს ტერიტორიები ტრადიციულად პირუტყვისთვის ფურაჟის შესაგროვებლად გამოიყენებოდა.



ტყიანი საძოვარი შვედეთში (ფოტო: იენს იოჰანესონი)

## ცხიდი 2.1 - ევროკავშირის ინტეგრაციის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატები

ძირითადი / წყაროები: **სოფლის მეურნეობის უწყება** = სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულება (Halada et al (2011): 3 = სრულად დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო მართვაზე, 2 = ნაწილობრივ დამოკიდებული, 1 = ნაწილობრივ დამოკიდებული, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ქვეტიპის ან გავრცელების არეალი ნაწილისთვის. **პრიორიტეტი** = პრიორიტეტული სტატუსი ჰაბიტატების დირექტივის I დანართის მიხედვით. **% N2K** = ნატურა 2000-ის ქსელის ფარგლებში დაცული ჰაბიტატების თანაფარდობა, ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების დაფარვის ანგარიშის შესახებ დანართის მე-17 მუხლის მიხედვით (ETC/BD, 2008). **% UFC**: არასახარბიელო კონსერვაციული სტატუსის ჰაბიტატების ფართობების\* წილი გაანგარიშებულია თითოეულ წევრ ქვეყანასა და ბიოგეოგრაფიულ რეგიონში არსებული ყველა ჰაბიტატის შეფასების მონაცემების შეჯამებით, რომელიც კლასიფიცირებულია საერთო არასახარბიელო კონსერვაციის სტატუსად, და შემდეგ ეს რიცხვი გაყოფილია ამ ჰაბიტატების მთლიან ფართობზე (ETC/BD 2008, მე-17 მუხლის მონაცემთა ბაზა). **% XX**: იმ ჰაბიტატების ფართობების\* წილი, რომელთა კონსერვაციული სტატუსი არ არის ცნობილი, გაანგარიშებული იმავე წესით. (შენიშვნა: ეს ნიშნავს, რომ არახელსაყრელად შეფასებული ჰაბიტატის მთელი ტერიტორია არახელსაყრელ მდგომარეობაშია, მაშინ როცა მე-17 მუხლის გაიდლაინების მიხედვით, გარკვეული თანაფარდობა შესაძლოა კვლავ სახარბიელო სტატუსის კონდიციაში იყოს, მაშინ როცა საერთო მდგომარეობა შეფასებულია როგორც არასახარბიელო სტატუსის მქონე).

\* რუმინეთი (RO) და ბულგარეთი (BG) არ არის წარმოდგენილი. ჰაბიტატების არსებობა რუმინეთსა და ბულგარეთში განისაზღვრება ETC/BD-ს ჰაბიტატების საკონტროლო სიით<sup>15</sup>.

შენიშვნა: ხორვატიის განწვრიანების გამო, დაემატა თიბვაზე დამოკიდებული ბალახოვანი ეკოსისტემების დამატებითი ტიპი: 6540 - Molinio-Hordeion secalini-ის ხმელთაშუა ზღვის (სუბმედიტერანული) სათიბ-საძოვრები.

წყარო: საბჭოს 2013 წლის 13 მაისის დირექტივა 2013/17/EU, რომელიც ცვლის გახვევდ გახემოსდაცვით დირექტივებს ხოხვატიის ხესპუბრიკის გაწვევიანების გამო.

15 ETC/BD (2012) ჰაბიტატების საკონტროლო სია. [http://bd.eionet.europa.eu/article17/reference\\_portal](http://bd.eionet.europa.eu/article17/reference_portal)

კოდი	ჰაბიტატის ტიპი	სოფლის მეურნეობის უწყება	პრიორიტეტული ჰაბიტატი	% N2K	% UFC	% XX
1330	ატლანტიკური დამლაშებული მდელოები	1		65%	100%	0%
1340	ხმელეთის დამლაშებული მდელოები	2	*	51%	100%	0%
1530	პანონიკური დამლაშებული სტეპები და დამლაშებული ჭაობიანი ადგილები	1	*	55%	100%	0%
1630	ბალტიის ბორეალური (სუბარქტიკული) სანაპიროს მდელოები	2	*	71%	100%	0%
2130	ფიქსირებული სანაპირო დიუნები ბალახოვანი მცენარეულობით (ნაცრისფერი დიუნები)	1	*	57%	95%	1%
2140	დეკალცინირებული ფიქსირებული დიუნები <i>Empetrum nigrum</i> -ით	1	*	58%	93%	0%
2150	ატლანტიკის დეკალცინირებული ფიქსირებული დიუნები ( <i>Calluno-Ulicetea</i> )	1	*	41%	28%	72%
2190	ბალახით დაფარული ტენიანი დიუნები	2		51%	93%	6%
21A0	Machairs (მახერები)	3	*	27%	100%	0%
2250	სანაპირო დიუნები ღვიით ( <i>Juniperus spp.</i> )	2	*	67%	76%	24%
2310	მშრალი ქვიშიანი დაბალი ბუჩქნარი <i>Calluna</i> და <i>Genista</i> -ით	1		68%	100%	0%
2320	მშრალი ქვიშიანი დაბალი ბუჩქნარი <i>Calluna</i> და <i>Empetrum nigrum</i> -ით	1		43%	99%	1%
2330	ხმელეთის დიუნები <i>Corynephorus</i> და <i>Agrostis</i> -ის ღია ბალახოვანი ეკოსისტემებით	1		43%	98%	2%
2340	ხმელეთის პანონიკური დიუნები	3	*	29%	100%	0%
4010	ჩრდილოეთ ატლანტიკის ტენიანი დაბალი ბუჩქნარი <i>Erica tetralix</i> -ით	3		36%	100%	0%
4020	ატლანტიკის ზომიერი ტენიანი დაბალი ბუჩქნარი <i>Erica ciliaris</i> და <i>Erica tetralix</i> -ით	3	*	41%	16%	84%
4030	ევროპის მშრალი დაბალი ბუჩქნარი	3		37%	52%	47%
4040	ატლანტიკის მშრალი სანაპირო ჯაგნარი <i>Erica vagans</i> -ით	3	*	33%	63%	0%
4060	ალპური და ბორეალური (სუბარქტიკული) დაბალი ბუჩქნარი	1		73%	22%	4%
4090	ენდემური ორო-მედიტერანული დაბალი ბუჩქნარი კურდღლისცოცხათი	2		62%	2%	91%
5120	<i>Cytisus purgans</i> -ის მთიანი ფორმაციები	1		73%	0%	92%
5130	<i>Juniperus communis</i> -ის ფორმაციები ჯაგნარებში ან კირიან ბალახოვან ეკოსისტემებში	2		30%	47%	7%
5210	ხისებრი სკლეროფიტული ბუჩქნარი (მატორალი) <i>Juniperus spp.</i> -ით	1		65%	0%	86%

5330	თერმო-ხმელთაუაზღვისპირა (თერმო-მედიტერანული) და უდაბნოში გარდამავალი ბუჩქნარი	1		69%	15%	77 %
5420	გარიგა (ფრიგანები) <i>Sarcopoterium spinosum</i> -ით	2		85%	0%	6%
5430	<i>Euphorbio-Verbascion</i> -ის ენდემური გარიგა (ფრიგანები)	2		79%	0%	7%
6110	<i>Alysso-Sedion albi</i> -ის კლდოვანი კირიანი ან ბაზოფილური მინდვრები	1	*	57%	12%	78 %
6120	ქსეროფიტული ქვიშნარი კირიანი ბალახოვანი ეკოსისტემები	2	*	18%	99%	1%
6140	პირენეის <i>Festuca eskia</i> -ს სილიციუმის შემცველი ბალახოვანი ეკოსისტემები	2		90%	64%	11
6150	სილიციუმიანი ალპური და ბორეალური (სუბარქტიკული)ბალახოვანი ეკოსისტემები	2		58%	10%	0%
6160	<i>Festuca indigesta</i> -ს ორო-იბერიული ბალახოვანი ეკოსისტემები	2		68%	0%	100 %
6170	ალპური და სუბალპური კირიანი ბალახოვანი ეკოსისტემები	2		64%	26%	31%
6180	მაკარონეზიის მეზოფილური ბალახოვანი ეკოსისტემები	2		86%	100%	0%
6190	კლდოვანი პანონიკური ბალახოვანი ეკოსისტემები ( <i>Stipo-Festucetalia pallentis</i> )	3		47%	63%	0%
6210	ნახევრად ბუნებრივი მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემები და ბუჩქნარები კირქვიან სუბსტრატებზე ( <i>Festuco-Brometalia</i> )	3		49%	49%	23 %
6220	ფსევდო-სტეპები ბალახებითა და <i>TheroBrachypodietea</i> -ს ერთწლოვანი ფორმებით	3	*	60%	3%	82 %
6230	Species-rich ძიგვას ( <i>Nardus</i> ) სახეობებით მდიდარი ბალახოვანი ეკოსისტემები, მთიან ტერიტორიებზე (და მთის ქვედა სარტყლებში კონტინენტურ ევროპაში)	3	*	37%	80%	2%
6240	სუბ-პანონიკური სტეპის ბალახოვანი ეკოსისტემები	2	*	67%	100%	0%
6250	სტეპის ბალახოვანი ეკოსისტემები პანონიკურ ლიოსზე	3	*	39%	99%	1%
6260	პანონიკური ქვიშიანი სტეპები	3	*	33%	100%	0%
6270	ფენოსკანდინავიის სახეობებით მდიდარი დაბლობები მშრალი და ზომიერად ტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემებით	3	*	22%	100%	0%
6280	სკანდინავიური ალვარები და პრეკამბრიული კირიანი პლატოები	3	*	54%	53%	0%
62A0	აღმოსავლეთ სუბმედიტერანული (ხმელთაშუა ზღვის) მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემები ( <i>Scorzoneratalia villosae</i> )	3		95%	91%	0%
6310	(Dehesas) მარადმწვანე მუხნარი - <i>Quercus</i> spp.	3		65%	0%	98 %

6410	ცოცხალი ტორფნარის მდელოები ( <i>Molinia meadows</i> ) კირიან, ტორფიან ან თიხნარ-ლამიან ნიადაგებზე ( <i>Molinion caeruleae</i> )	3		35%	94%	4%
6420	ხმელთაშუა ზღვის (მედიტერიანული) ტენიანი მაღალბალახოვანი მდელოები ( <i>Molinio-Holoschoenion</i> )	2		65%	3%	95%
6430	დაბლობის და ალპური ზონის მთაგორიანი ადგილების მაღალბალახიანი ჰიდროფილური პერიფერიული თანასაზოგადოებები	1		44%	77%	23%
6440	მდინარის ხეობების ალუვიური მდელოები ( <i>Cnidion dubii</i> )	3		52%	100%	0%
6450	ჩრდილოეთის ბორეალური ალუვიური მდელოები	3		18%	100%	0%
6510	დაბლობის სათიბები მდელოები ( <i>Alopecurus pratensis, Sanguisorba officinalis</i> )	3		46%	89%	6%
6520	მთის სათიბი მდელოები	3		51%	99%	1%
6530	ფენოსკანდინავიური ტყიანი მდელოები	3	*	54%	100%	0%
6540	<i>Molinio-Hordeion secalini</i> -ის სუბმედიტერიანული ბალახოვანი ეკოსისტემები	3		n/a	n/a	n/a
7210	კირიანი დაბლობის ჭაობები <i>Cladium mariscus</i> -ით და <i>Caricon davalliana</i> -ის სახეობებით	1	*	26%	71%	2%
7230	დაბლობის ტუტე ჭაობები	2		43%	97%	0%
8230	სილიციუმის შემცველი ქანები პირველადი მცენარეულობით ( <i>SedoScleranthion</i> ან <i>Sedo albi-Veronicion dillenii</i> )	1		34%	9%	82%
8240	კირქვიანი ქვაფენილი	2	*	47%	27%	37%
9070	ფენოსკანდინავიური ტყიანი საძოვრები	3		19%	100%	0%

## 2.2.2 ევროკავშირის ინტეგრაციის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სახეობები

ჰაბიტატების დირექტივის II დანართი მოიცავს 197 სახეობას ან ქვესახეობას, რომლებიც დაკავშირებულია აგროეკოსისტემებთან ან ბალახოვან ეკოსისტემებთან. ეს საკვანძო სახეობები<sup>16</sup> მოიცავს 115 მცენარეს, 48 უხერხემლოს, 4 ამფიბიას, 89 ქვეწარმავალს და 21 ძუძუმწოვარს. ფრინველების დირექტივის I დანართში მოცემული ფრინველის 195 სახეობიდან 62 ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებულ სახეობებად<sup>17</sup>. ყველა, 259 სახეობა შეტანილია წინამდებარე სახელმძღვანელოს B დანართში წარმოდგენილ ნუსხაში მათი პრიორიტეტული ჰაბიტატებით.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ამ საკვანძო სახეობების უმეტესობის გადარჩენა დამოკიდებულია ევროკავშირში ტრადიციული ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებაზე. სახეობების უმეტესობა (215 სახეობა) ძირითადად დაკავშირებულია ბალახოვან ეკოსისტემებთან, 11 სახეობა - ექსტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, ხოლო 30 სახეობას ესაჭიროება ორივე ამ ტიპის სასოფლო-სამეურნეო სისტემა. საგებელი მასალის შესაგროვებლად.

---

16 ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების ანგარიში (EEA, 2010) განსაზღვრავს ძირითად სასოფლო-სამეურნეო სახეობებს, როგორც სახეობებს, რომლებიც იყენებენ აგროეკოსისტემებს და/ან ბალახოვან ეკოსისტემებს, როგორც პრიორიტეტულ ჰაბიტატს. EEA-ს განმარტებითი შენიშვნები მიუთითებს, რომ სახეობებსა და მათ ჰაბიტატებს შორის ურთიერთობის ტიპი იყოფა სამ კატეგორიად:

- პრიორიტეტული (შესაფერისი) ჰაბიტატი: სახეობის ძირითადი ჰაბიტატი, სადაც სახეობა ჩვეულებრივ ბინადრობს ან პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ტიპის ჰაბიტატთანაა დაკავშირებული.
- შესაფერისი ჰაბიტატი: ჰაბიტატი, რომელშიც სახეობა რეგულარულად გვხვდება, მაგრამ ის არ არის პრიორიტეტული ჰაბიტატი ან სასურველი ჰაბიტატის დადგენა შეუძლებელია (სახეობებისთვის, რომლებიც რეგულარულად ბინადრობს სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებში)
- შემთხვევითი ჰაბიტატი: სახეობა ზოგჯერ ბინადრობს ამ ტიპის ჰაბიტატში, მაგრამ სახეობის პოპულაციის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყენებს ამ ტიპის ჰაბიტატს.

17 სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ფრინველების ძირითადი სახეობები განისაზღვრება, როგორც ფრინველების დირექტივის I დანართში ჩამოთვლილი სახეობები, რომელთა 10%-ზე მეტს ევროპული პოპულაციები წარმოადგენს ან ერთი, ან რამდენიმე ტიპის აგრარულ ჰაბიტატში ბინადრობენ, წლის მინიმუმ ერთი სეზონის განმავლობაში (Tucker and Evans, 1997). თითოეული ჰაბიტატით მოსარგებლე სახეობების რაოდენობა, პრიორიტეტული სახეობები და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი (არახელსაყრელი სტატუსის) სახეობები წარმოდგენილია B დანართში.

◦ **მცენარეები**

სიის მცენარეთა ზოგი სახეობა ენდემურია და მხოლოდ მცირე ტერიტორიებზე გვხვდება, სადაც მათი შენარჩუნება დაცული ტერიტორიების ფარგლებშია შესაძლებელი. სხვა სახეობები ბოლო ხანებამდე ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ შემცირდა ჰაბიტატების და ტრადიციული ექსტენსიური ფერმერული პრაქტიკების შემცირების გამო. ესენია სახნავ-სათესის სარეველები, რომლებიც ოდესღაც საკმაოდ უხვად იყო გავრცელებული იყო მთელ ევროპაში, მაგრამ ახლა მხოლოდ მცირე, ფრაგმენტულ პოპულაციებადაა შემორჩენილი იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ექსტენსიური მეთოდებით მოჰყავთ მარცვლეული კულტურები.



*Iris humilis* უნგხეთის ქვიშიან ბაღახოვან ეკოსისტემებში (ფოტო: Wikimedia Commons)

◦ **უხეხემლოები**

ბალახოვან ეკოსისტემებთან ასოცირებული უხეხემლოთა სახეობების ნუსხა მოიცავს დღის პეპლების 17 და ღამის პეპლების 8 სახეობას. ამ ჩამონათვალში შედის ის პეპლები, რომლებიც ბოლო დრომდე ფართოდ იყვნენ გავრცელებული სათიბ მდელოებზე, ტენიან მდელოებზე (*Molinia* და დაბლობის დაჭაობებული მდელოები) ან კირქვიან საძოვრებზე, მაგრამ მათი პოპულაციები მკვეთრად შემცირდა ამ ბალახოვანი ეკოსისტემების დაკარგვის გამო. სია ასევე მოიცავს კუტკალიებსა და ჭრიჭინებს, ხოჭოებსა და მოლუსკებს, რომლებიც ნახევრად ბუნებრივ ბალახოვან ეკოსისტემებში გვხვდებიან.



*Lycaena dispar* (ფოტო: ფ. ძიხზა)

◦ **ამფიბიები და ხეპტილები**

სასოფლო-სამეურნეო მიწებთან ასოცირებული ამფიბიებისა და ქვეწარმავლების ძირითადი სახეობები ხშირად მჭიდროდ არიან დაკავშირებული შერეული მოზაიკის მქონე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებთან, რომლებიც მდიდარია სტრუქტურული და აგრარული ლანდშაფტის ელემენტებით, როგორცაა წყალსატევები, მშრალი წესით ნაშენი ქვის კედლები და ტერასები, ასევე ბაღები, ვენახები ან ბოსტნები. ამფიბიების სხვა სახეობებს შეცვლილ ჰაბიტატებში ბინადრობაც შეუძლიათ. მაგალითად, ევროპული მყვარის ქვესახეობა *Pelobates fuscus insubricus*, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში, მდინარე პოს ქალებში,



ველის გვედგესა (*Vipera urisinii*) უპიჩაგესად დაკავშირებულია ღია მდელოებთან

ბრინჯის ყანებში გვხვდება.

◦ **ძუძუმწოვრები**

სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ძუძუმწოვრების ძირითადი სახეობები მოიცავს მსხვილ ჩლიქოსნებს, რომლებიც იყენებენ ექსტენსიურ საძოვრებს პირუტყვის სეზონური ან ექსტენსიური ძოვების სისტემებით. ასეთია არჩვის ორი სახეობა (*Rupicapra* spp.) ალპურ საძოვრებზე, ასევე დომბა (*Bison bonasus*) ტყის ბალახოვან ეკოსისტემაში. ამ ნუსხაში შედიან სხვადასხვა შერეული მოზაიკის, სტრუქტურული ელემენტებით მდიდარ სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში მობინადრე ძუძუმწოვრებიც. მათ შორისაა ევროპული ქრცვინი (*Mustela putorius*), კაბრერას ვირთაგვა (*Microtus cabrerai*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), სევერცოვის თაგვანა (*Sicista subtilis*) და თრიას ორი სახეობა (*Spermophilus citellus* და *Spermophilus suslicus*).

◦ **ფრინველები**

სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ფრინველების საკვანძო სახეობების სია მოიცავს იმ სახეობებს, რომელთა ევროპული პოპულაციების 10%-ზე მეტი ერთი ან მეტი ტიპის აგრარულ ჰაბიტატში ბინადრობს, წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც. სტეპის ბალახოვანი ეკოსისტემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია— ისინი შედარებით იშვიათია ევროკავშირში, მაგრამ მასპინძლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ფრინველების 32 საკვანძო სახეობას. ნახევრად ბუნებრივი ხმელთაშუა ზღვის ბუჩქნარი და ნოტიო ბალახოვანი ეკოსისტემები ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრინველებისთვის.

დაბალინტენსიური მარცვლეული კულტურების სისტემები (მაგ. ფსევდო-სტეპები) მეტად მნიშვნელოვანია I დანართში შესული მრავალი ფრინველისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ტიპური აგრარული ჰაბიტატები I დანართის მრავალი სახეობის ფრინველისთვის, რომელთაგან ბევრი ჰაბიტატ-გენერალისტია და ფართოდაა გავრცელებული. ეს სახეობები ფართო აგრარულ გარემოში კონსერვაციის ღონისძიებების გატარებას საჭიროებენ.



ევროპული თხია (*Spermophilus citellus*)  
(ფოტო: MME Archive)



თეთხმუცელა გვიგჩიგა (*Pterocles alchata*)  
(ფოტო: ჯ. მ. სეხეზა)

### 2.3 როგორია ამჟამად სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსი?

წევრ სახელმწიფოებს ევალუბათ, რომ ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ წარადგინონ ანგარიში ჰაბიტატების შესახებ, ასევე ევროკავშირის ინტერესის სახეობების კონსერვაციული სტატუსის შესახებ (იხ. ჩანართი 2.2). 2001-2006 წწ.-ის ანგარიშში ნაჩვენებია, რომ ნატურა 2000-ის ძირითადი ჰაბიტატების და სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული სახეობების უმრავლესობა საფრთხის წინაშე რჩება - წევრმა ქვეყნებმა შეაფასეს აგრარული ჰაბიტატების 76%, როგორც არასახარბიელო კონსერვაციული სტატუსის მქონე (ETC/BD, 2008; ევროპის კომისია, 2009).

**სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ტიპების** მხოლოდ 7% შეფასდა სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის მქონედ, მაშინ, როცა არასასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებიდან ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა 21% (იხ. დიაგრამა 2.2). წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ანგარიშები გვიჩვენებს, რომ ბალახოვანი ეკოსისტემები ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ არიან.

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ატლანტიკის რეგიონში, სადაც სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ არც ერთ ჰაბიტატს არ აქვს სახარბიელო სტატუსი. ატლანტიკის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო მიწები უდიდეს ზეწოლას განიცდიან. ეს მიწები მოიცავენ ევროკავშირის ყველაზე ინტენსიური მეთოდებით დამუშავებულ ტერიტორიას. პანონიის და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში ამ ტიპის ჰაბიტატებიდან სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი 5% და 3% აქვს შესაბამისად. თუმცა, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ჰაბიტატების ძალიან მაღალი პროცენტისთვის კონსერვაციული სტატუსი უცნობი იყო.

#### **დიაგრამა 2.2. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ტიპების კონსერვაციული სტატუსი, ახასიათებელი - სამეურნეო ჰაბიტატების სტატუსთან შედარებით (2001-2006 წწ.)**


ევროპისთვის მნიშვნელოვანი, ევროკავშირის ინტერესის სახეობების 70%-ის კონსერვაციული სტატუსი აგროეკოსისტემებში არასახარბიელოა, მაშინ როცა მხოლოდ 3% არის ხელსაყრელ მდგომარეობაში და 27%-ის კონსერვაციული სტატუსი არ არის ცნობილი; რაც შეეხება ბალახოვანი ეკოსისტემების სახეობებს, 56%-ის კონსერვაციული სტატუსი არასახარბიელოა, 15%-ის - სახარბიელო, ხოლო 29%-ის კონსერვაციული სტატუსი არ არის ცნობილი.

ჩანართი 2.2. ევროკავშირის ინტერესის მქონე ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსის შეფასება


წევრმა სახელმწიფოებმა მათ ტერიტორიაზე უნდა ჩაატარონ ბუნებრივი ჰაბიტატების და ევროკავშირის ინტერესის ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების კონსერვაციული სტატუსის რეგულარული მონიტორინგი, ანუ ეს ეხება ბიომრავალფეროვნების დირექტივების დანართებში ჩამოთვლილ ყველა ჰაბიტატსა და სახეობას. ეს მოთხოვნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ნატურა 2000-ის უბნებით და მონაცემები უნდა შეგროვდეს როგორც ნატურა 2000-ის ქსელის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რათა მივიღოთ კონსერვაციული სტატუსის

შეფასების სრული სურათი. ჰაბიტატების დირექტივის მე-17 მუხლის შესაბამისად, მონიტორინგის ძირითადი შედეგები ევროკომისიას წარედგინება ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ.

**სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ტიპები (204 შეფასება)**



**ჰაბიტატების ტიპები, რომლებიც ახ ახინ დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან (497 შეფასება)**



წყარო: ევროპის კომისია, 2009.

ჰაბიტატების დირექტივით დაცული ჰაბიტატების ტიპებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსის პირველი სისტემატური შეფასება განხორციელდა 2007 წელს (2001–2006 პერიოდისთვის) 25 წევრ ქვეყანაში და 11 (შვიდი ხმელეთის და ოთხი საზღვაო) ბიოგეოგრაფიულ რეგიონში. წევრმა სახელმწიფოებმა წარმოადგინეს ანგარიში ნატურა 2000-ის ჰაბიტატის თითოეული ტიპისა და სახეობის გავრცელებისა და სტატუსის შესახებ თავიანთ ტერიტორიაზე 2007 წელს და მიუთითეს თითოეული ჰაბიტატისა და სახეობის არასახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შესაძლო მიზეზები, საფრთხის კოდების სტანდარტული ნუსხის გამოყენებით, რაც ევროკავშირის ინტერესის აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობებისთვის, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საფრთხეების მნიშვნელობის შედარებით ყოვლისმომცველი შეფასების საშუალებას იძლევა. ეს ანგარიში წარმოადგენდა პირველ მიმოხილვას და ათვლის წერტილს მომავალი ტენდენციების შესაფასებლად. 2007-2012 წლების ანგარიშები გამოქვეყნდება 2014 წელს.

წყარო: ETC/BD (2008) ტექნიკური ანგარიში ჰაბიტატების დირექტივის მე-17 მუხლის მიხედვით (2001-2006). ევროპის ბიომრავალფეროვნების ცენტრი (<http://bd.eionet.europa.eu/article17>)

წვერი სახელმწიფოები პირველად 2014 წელს წარადგინენ მოხსენებას ფრინველთა სახეობების კონსერვაციული სტატუსის შესახებ, ფრინველების დირექტივის შესაბამისად.

ევროკავშირში ფრინველების მონიტორინგი ფართო მასშტაბით ხორციელდება. ცხადია, რომ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფრინველების უმეტესობის რიცხოვნობა შემცირებულია და ბევრი მათგანი საფრთხის წინაშე იმყოფება. BirdLife International-ის მონაცემებით, 2004 წელს, ევროკავშირში, სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებული ფრინველთა 62 სახეობიდან, 55 ითვლებოდა არახელსაყრელ კონსერვაციული სტატუსის მქონედ (BirdLife International, 2004). არასახარბიელო სტატუსის სახეობების ასეთი ძალიან მაღალი წილი ნათლად მეტყველებს სასოფლო-სამეურნეო მიწებთან ასოცირებულ ფრინველთა სახეობების კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაზე. გარდა ამისა, ფრინველების 62 საკვანძო სახეობიდან, 20 იდენტიფიცირებულია პრიორიტეტულ სახეობად და ამიტომ საჭიროებს დამატებით სპეციალურ დამცავ ზომებს, როგორცაა სამოქმედო გეგმები<sup>18</sup>.

ეს შედეგები ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე კონსერვაციის ღონისძიებების აუცილებლობას, ჰაბიტატების დირექტივის მიზნების მისაღწევად. ასეთი ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბალახოვანი ეკოსისტემების ჰაბიტატებისთვის, რომლებთანაც ძირითადი სახეობების უმეტესობა არის დაკავშირებული. ეს ნათლად აჩვენებს ამ ჰაბიტატების მნიშვნელობას და ფერმერებისთვის დამხმარე ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების, აგრეთვე სპეციფიკური სამეურნეო სისტემებისა და მეთოდების დანერგვის აუცილებლობას, ამ ჰაბიტატების გრძელვადიანი კონსერვაციისათვის.

## 2.4 რა ძირითადი ფაქტორები იწვევს ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში?

ექსტენსიური ფერმერული სისტემები ნატურა 2000-ის უბნებში და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სხვა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე, მეტად მოწყვლადია, რადგან ამ ტერიტორიებზე არსებობს საფრთხე, რომ ადამიანები თავს დაანებებენ **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას** (IEEP & Veeneology, 2005; Keenleyside & Tucker, 2010; Poláková et al, 2011; Zimmermann et al, 2010).

სოფლის მეურნეობის მიტოვება გამოწვეულია ფაქტორების ერთობლიობით,

---

<sup>18</sup> მიუხედავად იმისა, რომ ფრინველების დირექტივა არ განსაზღვრავს პრიორიტეტულ ფრინველთა სახეობებს, ორნისის კომიტეტმა (რომელიც რჩევებს აძლევს კომისიას დირექტივის დანერგვასთან დაკავშირებით), დაამტკიცა 51 სახეობისა და ქვესახეობის სია, რომლებიც ითვლებიან პრიორიტეტულად LIFE Nature-ის მიერ დაფინანსებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის. აღნიშნული პრიორიტეტული სახეობები მოიცავს გლობალური საფრთხის წინაშე მყოფ ყველა სახეობას, აგრეთვე ზოგიერთ სხვა სახეობას, რომელიც რეგულარულად გვხვდება ევროკავშირის ფარგლებში დაგანსაკუთრებული საფრთხის წინაშე იმყოფებიან, მათი იშვიათობის და/ან პოპულაციის რიცხოვნობის სწრაფად კლების გამო.

რომლებიც ძირს უთხრიან მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობას მინის გამოყენების ამჟამინდელ პირობებში, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო (Keenleyside & Tucker, 2010). ამ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობა დგას გამოწვევების წინაშე, რომლებიც განპირობებულია სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების ერთობლიობით, როგორცაა ხორცის პროდუქტებზე ფასების კლება, მუშახელისა და დროის დეფიციტი, ბაზრებზე ცუდი წვდომა, სოფლის მოსახლეობის დაბერება, ნიადაგის ეროზია და პროდუქტიულობასა და მექანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც ისეთი გეოგრაფიული ფაქტორებით არის განპირობებული, როგორცაა ციკაბო ფერდობები ან ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება (IEEP & Veeneecology, 2005; Keenleyside & Tucker, 2010).

ექსტენსიური მეცხოველეობა არამომგებიანი გახდა მრავალ აგრარულ რეგიონში, რამაც გამოიწვია საქმიანობის მიტოვება ან ინტენსიფიკაცია ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის გამო (Beaufoy & Marsden, 2010). აღმოსავლეთ ევროპაში სახელმწიფო მეურნეობების დახურვამ გამოიწვია პირუტყვის რაოდენობის მკვეთრი შემცირება და საძოვრების დიდი ფართობების მიტოვება.

მიტოვების ყველაზე მაღალი რისკის წინაშე მთიანი და მთაგორიანი ტერიტორიებია (Keenleyside & Tucker, 2010). მათი ჰაბიტატების უმეტესობას დაბალი საფურაჟე ღირებულება გააჩნია და დაბალპროდუქტიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ აგრარულ ბაზარზე ასეთი სისტემები ხშირად მხოლოდ მცირედ მომგებიანია (Ecologic, 2006b). მაგალითად, გაერთიანებული სამეფოში ფერმერების მესამედმა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, შეამცირა ან საერთოდ შეწყვიტა საქონლის ძოვება მორლენდებში (Clothier and Finch, 2012).

მნიშვნელოვანი ზეწოლა ძირითად სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებსა და სახეობებზე არის **მართვის ინტენსიფიკაცია**. ბოლო ასი წლის განმავლობაში, და განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტორებმა (როგორცაა ფასების ზრდა და სასაქონლო ბაზრები, ტექნოლოგიური მიღწევები და ესსპ-ის მხარდაჭერის ღონისძიებები), სოფლის მეურნეობის მასშტაბური გაუმჯობესება და მართვის ინტენსიფიკაცია გამოიწვია.

ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები აგრარულ ჰაბიტატებში, რამაც გამოიწვია მრავალი შემორჩენილი ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი ელემენტის გაქრობა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ძლიერ მოდიფიცირებული და გამარტივებული აგრარული სისტემები. ზოგიერთ ტერიტორიაზე მრავალი ჰაბიტატი მიტოვების გამო დაზარალდა, სხვაგან კი ინტენსიფიკაციამ მიაყენა ზიანი.

## **2.5 რა ძირითადი წნეხი და საფრთხე ემუქრება სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულ ჰაბიტატებსა და სახეობებს?**

დოკუმენტის ამ ნაწილში შეჯამებულია სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ცვლილებით გამოწვეული ყველა სახის ზეწოლა აგრარულ ჰაბიტატებსა და სოფლის მეურნეობაზე

დამოკიდებულ სახეობებზე<sup>19</sup>. შედეგები ნაჩვენებია 2.3 და 2.4 დიაგრამებზე.

შეფასება გვიჩვენებს, რომ ექსტენსიური ტრადიციული მეცხოველეობის მიტოვება ყველაზე მნიშვნელოვანი წნეხია ძირითად აგრარულ ჰაბიტატებზე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. იმავდროულად, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული სხვა სახის ზეწოლაც ასევე უარყოფითად აისახება ძირითად აგრარულ ჰაბიტატებსა და ევროკავშირის ინტერესის სახეობებზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ზეწოლა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დამოკიდებულ მეთეს სახეობებზე, დიდწილად იმ ჰაბიტატებზე ზეწოლის ანარეკლია, რომლებშიც ეს სახეობები ბინადრობენ. ძოვებასა და თიბვასთან დაკავშირებული მართვის მეთოდები ზეწოლის ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს, რასაც მოსდევს ნიადაგის განაყოფიერება, კულტივაცია, ტყის გაშენება და ჰიდროლოგიური ცვლილებები. სახეობების ნახევარზე მეტი ზიანდება არასაკმარისი ძოვებით ან გადაძოვებით, ხოლო ძოვების პრაქტიკასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები, როგორცაა პირუტყვის ტიპის ცვლილება ან არასაკმარისი მწყემსვა, გავლენას ახდენს შესწავლილი სახეობების არანაკლებ 32%-ზე.

#### ◦ **არასაკმარისი ძოვება და/ან თიბვა**

არასაკმარისი ძოვება გავლენას ახდენს შესწავლილი ჰაბიტატების ორ მესამედზე, მათგან ცხრა კრიტიკული საფრთხის წინაშეა, ძოვების სრული შეწყვეტის გამო. არასაკმარისი ძოვება, ასევე ძოვების მიტოვება, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს სახეობების უმეტესობაზე ყველა ტაქსონომიურ ჯგუფში. არასაკმარისი თიბვა ან თიბვის შეწყვეტა გავლენას ახდენს I დანართში შესულ ყველა ტიპის მდელოს ჰაბიტატზე - ეს კრიტიკულ საფრთხეს წარმოადგენს მდელოს ჰაბიტატების თითქმის ნახევრისთვის.

თიბვის შეწყვეტა რამდენიმე წლით ამცირებს მდელოს მცენარეთა სახეობრივ მრავალფეროვნებას (Baur et al, 2006; Dover et al, 2011). მიტოვებულ საძოვრებზე თავდაპირველად შეიძლება კონსერვაციული მნიშვნელობის მცენარეთა სახეობების სიუხვე შეიმჩნეოდეს, მაგრამ დაიკარგოს საერთო სახეობრივი მრავალფეროვნება, განსაკუთრებით როზეტიანი და ადრე მოყვავილე სახეობები (Vassilev et al, 2011). ხანგრძლივი პერიოდით მიტოვების შემთხვევაში, ჰაბიტატები ხშირად ბუჩქნარითა და ტყეებით იფარება. ბუჩქნარისა და დაბალი ბუჩქნარი ჰაბიტატები ასევე დამოკიდებული არიან დაბალინტენსიურ ძოვებაზე, რითიც ხდება

---

19 იმ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დეტალური შეფასება, რომელიც გავლენას ახდენს ძირითად აგრარულ ჰაბიტატებზე, განხორციელდა ლიტერატურისა და ექსპერტთა მოსაზრებების საფუძველზე. ასევე განხორციელდა იმ ზეწოლის დეტალური შეფასება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დამოკიდებულ სახეობებს ადგებათ. შეფასება ეყრდნობა ჰაბიტატების დირექტივაში შეტანილი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციული სტატუსის შესახებ წევრი ქვეყნების 2007 წლის ანგარიშებს, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურასა და ექსპერტთა მოსაზრებებს (ლიტერატურა მითითებულია B და D დანართებში).


სუქცესიის შეჩერება (Calaciura and Spinelli, 2008) და სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება (Papanikolaou et al, 2011).

◦ **ახასაკმახისი მწყემსვა**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, აქტიური მწყემსვით მიმდინარე ძოვების შემცირებამ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ნახევრად ბუნებრივი საძოვრების დიდ ფართობებზე, რამაც გამოიწვია ბუჩქნარების დაზიანება და ზოგან გადაძოვება (García-González, 2008; Rochon et al, 2009). შესაბამისად, ზენოლის ყველაზე გავრცელებული ტიპი აგრარული ტერიტორიების ძირითად სახეობებზე არის პასტორალური ძოვების სისტემების მიტოვება და ბუჩქნარის დაზიანება ბალახოვან ეკოსისტემებში. გამოცდილი მწყემსების ნაკლებობა და სიძვირე ფართოდ გავრცელებული პრობლემაა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი რეგიონის სათემო საძოვრებზე (García-González, 2008; Pardini and Nori, 2011).


**დიაგნოზა 2.3. თითოეული ტიპის ზეწოდის შედეგად დაზიანებული და კიბიკუდი საფხობის წინაშე დამდგარი ძირითადი აგიახული ჰაბიტატების წიდი**

**Key: under-grazing (არასაკმარისი ძოვება)** = ძოვების ძალიან შემცირება, ასევე, ძოვების შეწყვეტა, უარყოფით გავლენას ახდენს ჰაბიტატის სტატუსის შენარჩუნებაზე; **change in grazing practice (ძოვების პრაქტიკის შეცვლა)** = ძოვების პერიოდისა და პირუტყვის ტიპის შეცვლა, დამატებითი საკვების გამოყენება და არასაკმარისი მწყემსვა; **overgrazing (გადაძოვება)** = პირუტყვის მაღალი სიმჭიდროვე ან ძოვების ხანგრძლივი პერიოდი, რაც აზიანებს ჰაბიტატს (მათ შორის, ინვევს მცენარეების ცვლილებას, ნიადაგის დატკეპნას და ეროზიას, ევტროფიკაციას, ბუდეების გადათელვას); **fertiliser or manure (სასუქის ან ნაკელის გამოყენება)** = მეურნეობის ნაკელის და/ან ხელოვნური სასუქის გამოყენება; **afforestation (ტყის გაშენება)** = ტყის სახეობების გამიზნული დარგვა და არა ბუნებრივი აღდგენა; **cultivation (კულტივაცია)** = ინტენსიურ ბალახოვან ეკოსისტემად გადაქცევა მოხვნის, ნიადაგის განოყიერების და განმეორებითი დათესვის გზით ან მარცვლოვანი კულტურების დათესვით; **hydrological changes (ჰიდროლოგიური ცვლილებები)** = მათ შორის, ქარბტენიანი ტერიტორიების დრენაჟი, ბუნებრივი დატბორვის პრევენცია მდინარეების ან სანაპიროს ბუნებრივი დინამიკის შეცვლით, მიწისქვეშა წყლების დინამიკის შეცვლა სარწყავად გამოყენების მიზნით; **poor burning management (წვის პროცესების ცუდი მართვა)** = წვის პრაქტიკის შემცირება ან შეწყვეტა ამცირებს კონსერვაციულ სტატუსს, რადგან არ ხდება წვის პროცესების კონტროლირებადი მართვა; ასევე ბუნებრივი ხანძრების პრევენცია; **reduction in hay cutting (თივის დამზადების შემცირება)** = თივის ქრის შემცირება ან შეწყვეტა მიტოვების გამო; **change in hay cutting/change to silage (თივის დამზადების პრაქტიკის ცვლილება/სასილოსედ გამოყენება)** = თივის ვადების, მექანიზაციასა და სხვა დაუზუსტებელი ცვლილებები, ტერიტორიის სათიბი ან საძოვარი დანიშნულების შეცვლა სილოსის დამზადებით; **damage from burning (დაზიანება წვის შედეგად)** = წვა (სასოფლო-სამეურნეო ან სხვა მიზნებისთვის), რაც ზიანს აყენებს ჰაბიტატის მდგომარეობას; **herbicides (პერბიციდების გამოყენება)** = ზიანს აყენებს ჰაბიტატის ან სახეობის კონსერვაციულ სტატუსს, ან პესტიციდების გამოყენება ზიანს აყენებს სახეობებს.



**დიაგრამა 2.4. თითოეული ტიპის ზეწოლის შედეგად დაზარალებული და კრიტიკული საფრთხის წინაშე დამდგარი, აგრძელებს საქმიანობაზე დამოკიდებული ძირითადი სახეობების წილი**

**Key:** იხ. ზემოთ; **loss of farm habitats (სამეურნეობის ჰაბიტატის დაკარგვა)** = სასოფლო-სამეურნეო მიწებზე არსებული ჰაბიტატის მახასიათებლების დაკარგვა (მაგ. ცოცხალი ღობეები, ქვის კედლები, ტერასები, უხეში ბალახის კიდეები, ტყეები, ხეები, ტბორები, ძველი შენობა-ნაგებობები); **loss of habitat diversity (ჰაბიტატების მრავალფეროვნების დაკარგვა)** = კონკრეტულ კულტურებზე ფოკუსირება (სპეციალიზაცია)/კულტურათა მონაცვლეობის შემცირება/ჰაბიტატის მოზაიკის დაკარგვა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გამო; **farm operations (სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები)** = ცხოველების დალუპვა, რომლებსაც არ შეუძლიათ თავი აარიდონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას; **competition with livestock (კონკურენცია პირუტყვთან)** = კონკურენცია ჰაბიტატისთვის ან საკვებისთვის სამონადირეო, ან პირუტყვის სახეობებთან, ან ამ სახეობებით გადამდებ დაავადებებთან.



◦ **სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ინტენსიფიკაცია, გაძაძოვება და პიხუტყვის მაღალი სიმჭიდროვე, დამატებითი კვება**

ნატურა 2000-ის უბნებში, სადაც აგრონარმოების პროდუქტიულობის ზრდის ან მეცხოველეობის მართვაში ცვლილებების შეტანის პოტენციური არსებობს, ჰაბიტატებს ხშირად ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ინტენსიფიკაცია. შეფასებული ჰაბიტატებისა და სახეობების ნახევარზე მეტს, მათი გავრცელების ზოგიერთ არეალში, ზიანი მიაყენა გადაჭარბებულმა ძოვებამ. მოშორებულ ბალახოვან ეკოსისტემებზე გაძაძოვების გავლენა მას შემდეგ შემცირდა, რაც ესპ-ის პირდაპირი გადასახადები აღარ იყო დაკავშირებული პირუტყვის რაოდენობასთან (Van der Wal et al, 2011). თუმცა, ზოგან, გაძაძოვებას მაინც აქვს ადგილი, რისი მიზეზიც არის არასაკმარისი მწყემსვა (მწყემსების ნაკლებობა), პირუტყვის ტიპის ცვლილება და ძოვების კონტროლის სხვა ისეთი სისტემების არარსებობა, როგორცაა როტაციული ძოვება.

პირუტყვის დამატებითი კვება ასევე იძლევა პირუტყვის სიმჭიდროვის გაზრდის საშუალებას და ცვლის ძოვების სეზონურობას, რაც ზრდის ძოვებით გამოწვეულ ზენოლას. უფრო მეტიც, თუ საკვებურს რეგულარულად არ უცვლიან ადგილს, პირუტყვის საკვებურის გარშემო კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის ძლიერი ლოკალური ეროზია და ევტროფიკაცია, მეორე მხრივ - ამ ადგილებიდან მოშორებით კი მცენარეულობის არასაკმარისი ძოვება.

#### ◦ **ცვლილებები თიბვის მეთოდებსა და მექანიზაში**

თიბვის მექანიზაცია და ინტენსიფიკაცია ფართომასშტაბიან უარყოფით გავლენას ახდენს ბალახოვანი ეკოსისტემის მცენარეებისა და ცხოველების თანასაზოგადოებაზე. თივის ტრადიციული მეთოდით დამზადება ქმნიდა ერთგვარ მოზაიკას, რაც სხვადასხვა დონეზე თიბვით, სავარგულების მცირე ზომით, ხელით შრომით და ადგილობრივი მოთხოვნა-მიწოდებით იყო განპირობებული. თანამედროვე მექანიზებული თიბვა (მაგალითად, სილოსის დასამზადებლად ან ფურაჟისთვის - ბაგურ კვებაზე მყოფი პირუტყვისთვის), ჩვეულებრივ, ხდება ერთიანად, დიდ ფართობზე, რაც უხერხემლოებისა და ფრინველების ჰაბიტატების მომენტალურ და სრულ განადგურებას იწვევს, ასევე - ბალახის სინქრონულ ზრდას მთელ ტერიტორიაზე, ამცირებს ჰაბიტატის ჰეტეროგენობას და ზიანს აყენებს იმ სახეობებს, რომლებსაც შიშველი გრუნტი ან დაბალბალახიანი ადგილები ესაჭიროებათ (Cizek et al, 2012). თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ასევე პირდაპირ კლავს მცირე ზომის ცხოველებს, რომლებიც დროულად ვერ ახერხებენ გაქცევას, როგორცაა კუტკალიები, ფუტკარი, ამფიბიები და ზოგიერთი ფრინველი, რომელსაც შეწყვილების პერიოდი გვიან აქვს (Humbert et al, 2009).

#### ◦ **სასუქები და ჩაუმქალი კიხი**

ნახევრად ბუნებრივი მდელოების უმეტესობა საკვები ნივთიერებებით ღარიბია და უკიდურესად მგრძობიარეა ნიადაგის ნაყოფიერების ხელოვნურად ამაღლების მიმართ. სასუქის შეტანა დიდ გავლენას ახდენს მცენარეთა თანასაზოგადოებებზე, როგორც წესი, ამცირებს სახეობათა მრავალფეროვნებას და ზრდის მცენარეების სიმადლეს და სიმჭიდროვეს (Cop et al, 2009; Gibson, 2009). ნატურა 2000-ის ჰაბიტატების უმეტესობა ასევე უკიდურესად მგრძობიარეა ნიადაგში ჩაუმქრალი კირის შეტანის მიმართ, რაც ცვლის ნიადაგის pH-ს და, შესაბამისად, ცვლის საკვები ნივთიერებების ბალანსს ნიადაგში. I დანართში წარმოდგენილი მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემების ჰაბიტატების უმეტესობა ვერ იტანს ვერანაირ სასუქს. ორივე, აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათზე (Ceulemans et al, 2013).

საძოვრებზე დამოკიდებული ზოგიერთი ძირითადი მცენარის რიცხოვნობა ნიადაგის ნაყოფიერების მატებასთან ერთად მცირდება, უფრო დომინანტური სახეობების გავრცელების გამო, რომლებსაც უკეთ შეუძლიათ გაზრდილი რაოდენობის საკვები ნივთიერებების გამოყენება (Firbank et al, 2008). ნუტრიენტებით ღარიბ ჰაბიტატებთან დაკავშირებული უხერხემლოების მრავალ სახეობაზე უარყოფითად მოქმედებს მცენარეთა თანასაზოგადოებაში მომხდარი ასეთი ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათთვის სპეციფიკური მცენარეული საკვები წყაროს დაკარგვას (Orbicon, Écosphère,

ATECMA, Ecosystems LTD, 2009).

ზოგიერთ სათიბ მდელოზე მცირე რაოდენობით შეაქვთ მეურნეობის ნაკელი, საკვები ნივთიერებების დანაკარგის ასანაზღაურებლად (თივის მოცილების გამო) და პროდუქტიულობისთვის რომელიც ზოგჯერ აუცილებელია სათიბი მდელოს ბალახოვანი თანასაზოგადოების შესანარჩუნებლად. თუმცა, თხევადი ნაკელის ან ხელოვნური სასუქის გამოყენება, რაც შერწყმულია ხშირ თიბვასთან სილოსის დამზადების მიზნით, იწვევს ბალახის დომინირებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს სახეობრივ შემადგენლობაში, ანადგურებს ჰაბიტატის ღირებულებას (Stoate et al, 2009; Zechmeister et al, 2003). სათიბი მდელოები ჰაერიდან ევტროფიკაციის შედეგად ზარალდებიან სასუქის შეტანით და კარგავენ სახეობრივ მრავალფეროვნებას.

### ◦ **ჰეხტიციდები და პესტიციდები**

ჰერბიციდების და/ან პესტიციდების გამოყენება მრავალ სახეობას სხვადასხვა გზით აზიანებს, თუმცა, როგორც წესი, ეს არ არის ფართომასშტაბიანი პრობლემა ბალახოვან ეკოსისტემებში. ზოგადად მცენარეებზე აგროქიმიკატები პირდაპირ ზემოქმედებენ. გარდა ამისა, მცირდება სახეობები, რომლებიც დამტვერვის და/ან მავნებლების კონტროლის ფუნქციებს ასრულებენ (Geiger et al, 2010; Haughton et al, 2001). ქვეწარმავლების, ამფიბიების, ფრინველებისა და ძუძუმწოვრების მრავალ სახეობაზე ზემოქმედება, როგორც წესი, არაპირდაპირია და დაკავშირებულია საკვებად გამოყენებულ მცენარეთა და უხერხემლოთა სახეობების შემცირებასთან (Campbell et al, 1997; IUCN, 2012; Morris et al, 2005 წ. ).

თუმცა, აგროქიმიკატებმა შეიძლება უშუალოდაც იმოქმედონ ქვეწარმავლებისა და ამფიბიების ჯანმრთელობაზე, წყლის ნაკადების დაბინძურების, პარაზიტებისა და დაავადებების მიმართ მათი მოწყვლადობის გაზრდის გამო (მაგ. Christin et al, 2009). მეცხოველეობის პარაზიტების წინააღმდეგ ავერმექტინების ან სხვა ანტიჰელმინთების ჭარბი გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს ნაკელში უხერხემლოებზე და ასევე ფრინველებზე და ღამურებზე, რომლებიც ამ უხერხემლოებით იკვებებიან (Beynon, 2012; Vickery et al, 2001). ანტიკოაგულანტული როდენტიციდები, რომლებიც გამოიყენება ვირთაგვების პოპულაციების კონტროლისთვის, ტოქსიკურია როგორც მარცვლის მჭამელი სახეობებისთვის, ასევე მტაცებლებისთვის, რომლებიც ვირთაგვებს შეექცვიან. ეს ნივთიერება ნატურა 2000-ის სახეობებში სიკვდილის შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიზეზია (Lemus et al, 2011; Sánchez-Barbudo et al, 2012).

### ◦ **ბალახოვანი ეკოსისტემების გამოყენების ან კულტივაციის ინტენსიფიკაცია ან სახნავ-სათეს სავაჩგურებად გადაქცევა**

ბალახოვანი ეკოსისტემების გამოყენების ინტენსიფიკაცია ნიადაგის განაყოფიერებით, განმეორებითი თესვით და დრენაჟით, სილოსის წარმოების მიზნით, მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ნატურა 2000-ის ჰაბიტატებზე (Buckingham et al, 2010). განსაკუთრებით ზარალდებიან ბუნებრივ ან ექსტენსიური მეთოდებით მართულ ბალახოვან ეკოსისტემებთან ასოცირებული მცენარეები და უხერხემლოთა სახეობები, როგორცაა, მაგალითად, დიდი ცისფერი პეპელა (Macu-

linea arion) (Orbicon, Écospère, ATECMA, Ecosystems LTD, 2009).

◦ **ცვლილებები ექსტენსიუხ სახნავ-სათეს სავახგულებში**

სახეობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული არიან მარცვლოვან ექსტენსიურ სისტემებთან, განსაკუთრებით ზარალდებიან მიტოვების ან მართვის ინტენსიფიკაციის გამო. მაგალითად, ველის კირკიტა (*Falco naumanni*), სავათი (*Otis tarda*) და სარსარაკი (*Tetrax tetrax*) დამოკიდებული არიან დაბალინტენსიურ მემარცვლეობაზე, რომელსაც როტაციული ხასიათი აქვს და ნათესები მონაცვლეობს ცხვრის ძოვებასთან, ესპანეთში (Catry et al, 2012; SEO & Birdlife International, 2011). მარცვლოვნების სტეპების ინტენსიფიკაციის შედეგად დაზარალებული სახეობებია: მწყერჩიტა (*Anthus campestris*), ტოროლა (*Melanocorypha calandra*), და თეთრი ყარყატი (*Ciconia ciconia*) (Delgado and Moreira, 2000). მცენარეები განსაკუთრებით დაზარალა მინათმოქმედების ტრადიციული მეთოდების ცვლილებებმა. მაგალითად, *Bromus grossus*, *Centaurea lactiflora*, *Ononis hackelii*, *Linaria ricardoi*, *Santolina semidentata* და *Notothylas orbicularis*, ტრადიციული მარცვლოვანი კულტურების ნათესებში, სარეველების სახით გვხვდებიან, მაგრამ თესლეულის კონტროლის გაუმჯობესებამ და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ცვლილებამ (ნიადაგის უფრო ინტენსიური დამუშავება, ზამთრის პერიოდში ნიადაგში ნამჭის არ დატოვება, ჰერბიციდების გამოყენება და ნიადაგის განაყოფიერება სასუქებით) მათი პოპულაციის მკვეთრი შემცირება გამოიწვია (BfN, 2011; ICNB, 2006).

◦ **წვის პირობების კონგლომირებული მართვის დეფიციტი - საჭიროზე ნაკლები წვა, ჭახტი წვა და ცყის ხანძხებით გამოწვეული ზიანი**

ზოგიერთი ტიპის ბალახოვანი ეკოსისტემების, ბუჩქნარისა და დაბალი ბუჩქნარის ჰაბიტატში, ტრადიციულად, კონტროლირებადი წვის მეთოდი გამოიყენება, რაც ხელს უწყობს ახალი, ყუათიანი მცენარეების ზრდას პირუტყვისთვის და აჩერებს სუქცესიას გატყვევების მიმართულებით. თუ წვის აქტიური მართვა აღარ მოხდება და პარალელურად ძოვებაც შეწყდება, დაბალ ბუჩქნარ ჰაბიტატზე შეიძლება რამდენიმე სახეობა გაბატონდეს და ბიომრავალფეროვნება დაიკარგოს. უფრო მეტიც, ბუჩქების სახეობების დომინანტობის ზრდამ და ნარჩენების დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის უკონტროლო და ინტენსიური ხანძარი, აალებადი მერქნიანი ბიომასის არსებობის გამო. ასეთი ინტენსიური ხანძარი შეიძლება ძალიან დიდ ტერიტორიებზე გავრცელდეს, გამოიწვიოს ნიადაგის მნიშვნელოვანი დაზიანება (განსაკუთრებით, ტორფიანი ნიადაგების), ნიადაგში ჩამდინარე წყლების მატება და ეროზია, რასაც შეიძლება ხანგრძლივი ეკოლოგიური შედეგები მოჰყვეს.

◦ **ჰაბიტატის მახასიათებლების დაკაჩვვა**

სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტებში მრავალი სახეობა განსაკუთრებით არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატების საზღვრებზე (ცოცხალი ღობეები, ქვის კედლები, თხრილები და სხვ.) ან სასოფლო-სამეურნეო ასოცირებული ჰაბიტატის სხვა ატრიბუტებზე (წყალსატევები, შენობა-ნაგებობები და სხვ.). გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ქვეწარმავლები,

როგორცაა ევროპული მცურავი (*Elaphe situla*), ტრადიციულად ბინადრობენ კულტივირებულ სავარგულებში, მშრალი წყობის ქვის კედლებზე, ტერასებზე და ცოცხალ ღობეებში. სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ინტენსიფიკაცია და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკარგვა, მათი ჰაბიტატების დაკარგვას იწვევს (IUCN, 2012; Temple and Cox, 2009).

#### ◦ **ჰაბიტატის მხავადფეხოვნების დაკარგვა**

ზოგიერთი სახეობა განსაკუთრებით დამოკიდებულია სხვადასხვა ჰაბიტატების მოზაიკაზე, სადაც ამ სახეობების პოპულაციები ბინადრობენ (Batáry et al, 2007a; Batáry et al, 2007b). მაგალითად, დუნაის ყვითელი პეპლის (*Colias myrmidone*) ყველა ცნობილი პოპულაცია საბინადროდ ირჩევს ან უკვე გვხვდება უაღრესად მრავალფეროვან ლანდშაფტებში, მათ შორის საძოვრებზე, სათიბ მდელოებზე, სახნავ-სათეს სავარგულებში, ანეულში, ბუჩქნარში, მეჩხერ ტყეებსა და ტყეებში (Marhoul and Olek, 2010). ეს სახეობა წელიწადში ორ თაობას იძლევა, რომლებსაც ნაწილობრივ ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნილებები აქვთ და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ ერთი ტიპის ნაკვეთით შეუძლებელია. მიწის მრავალფეროვანი და დინამიკური გამოყენება უფრო ფართო ლანდშაფტის ფარგლებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული თაობისთვის ყველა საჭირო რესურსის უზრუნველსაყოფად რამდენიმე წლის განმავლობაში. ასეთი წვრილსტრუქტურის ლანდშაფტები ჩამოყალიბდა წინა საუკუნეების განმავლობაში ტრადიციული მიწათსარგებლობის შედეგად, მათი მრავალფეროვანი ფიზიკური მახასიათებლების ურთიერთქმედების შედეგად, როგორცაა ტოპოგრაფია, ნიადაგისა და კლიმატის ტიპი, ისტორიული კულტურული ფაქტორები, მიწის საკუთრების ფორმა და მართვის მეთოდები.

#### ◦ **სხვა სამეურნეო ოპეჩაციები ან ინფრასტრუქტურა**

ღია ჰაბიტატებში ღობეების გაკეთებამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ზოგიერთ მსხვილ ფრინველს, რომლებიც ფრენისას კარგად ვერ მანევრირებენ. ასეთ სახეობებს ფართო და ღია ჰაბიტატები ესაჭიროებათ. შესაბამისად, ისეთი ადგილების შემოღობვამ, როგორცაა სტეპები, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ სახეობებზე, როგორცაა სავათი (*Otis tarda*) (Bota et al, 2005), როჭო (*Tetrao tetrix*) ხშირად ეჯახება ირმის საწინააღმდეგოდ მოწყობილ ღობეებს, გაერთიანებული სამეფოში (Baines and Andrew, 2003).

#### ◦ **ჰიდროლოგიური ცვლილებები**

სახეობების მეოთხედსა და ჰაბიტატების მესამედზე გავლენას ახდენს ჰიდროლოგიური ცვლილებები, ხოლო რვა ჰაბიტატს, ასეთი ცვლილებების გამო, კრიტიკული საფრთხე ემუქრება. ხშირ შემთხვევაში, ზიანი გამოწვეულია დრენაჟის გამოყენებით, სოფლის მეურნეობის, კომერციული სატყეო მეურნეობის ან ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით (Middleton et al, 2006). ხელოვნური დრენაჟისთვის თხრიან არხებს ან თხრილებს და კაშხლებისა და რაბების გამოყენებით, წყლის ნაკადს მიმართულებას უცვლიან (Holden et al, 2004). ეს იწვევს გრუნტის წყლების დონის შემცირებას და ჰაბიტატების გაშრობას, რასაც

შედეგად მოჰყვება ჰაბიტატის ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცვლილება და დამახასიათებელი ეკოლოგიური თანასაზოგადოებების დაკარგვა (Šefferoová et al, 2008a; Šefferoová et al, 2008b).

ტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები და მდელოები მეტად მგრძობიარეა მიწისქვეშა წყლების დონის ცვლილებების მიმართ, რასაც იწვევს წყლის ჭარბი ექსტრაქცია, სადრენაჟე არხების დაწევა ან მდინარის ნაპირების შემოკავება (Houston, 2008). უძველესი წყლის სისტემები, რომლებიც აშენებულია მდელოებისა და მთიანი საძოვრებისთვის წყლის მისაწოდებლად, ასევე მნიშვნელოვან ჰაბიტატებს ქმნიან მცენარეებისა და ცხოველებისათვის, მაგრამ ასეთი ჰაბიტატები სულ უფრო იშვიათი ხდება (Küster and Keenleyside, 2009).

### ◦ **ცყის გაშენება**

ტყეების გაშენება მთავარ ზენოლად ითვლება მიტოვებულ საძოვრებსა და მდელოებზე, მათ შორის ფიქსირებულ დიუნებზე, ხმელეთის დიუნებზე და ქსეროფიტულ ქვიშნარ ბალახოვან ეკოსისტემებში, სადაც წინვოვანი ხეებია დარგული.

**დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის, კერძოდ, ზოგიერთი ტრადიციული ექსტენსიური ფერმერული სისტემის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ნატურა 2000-ის უბნებისათვის. ევროპის მრავალ ტერიტორიაზე ასეთ ტრადიციულ ფერმერულ სისტემებს საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიტოვება. საჭიროა ამ ტერიტორიაზე სასწრაფო ღონისძიებების ჩატარება მათ შესანარჩუნებლად. ეს მოითხოვს საკმარის და ადეკვატურ მხარდაჭერას ფერმერებისთვის, რომლებიც დგანან ზემოთ აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, მათ მიერ განეული გარემოსდაცვითი სერვისების გათვალისწინებით.**

### **დამატებითი ინფორმაცია**

- A, B და C დანართებში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აგრარულ მართვაზე დამოკიდებული ან მასთან დაკავშირებული ჰაბიტატების ტიპებისა და სახეობების, მათი გავრცელებისა და დღევანდელი კონსერვაციული სტატუსის შესახებ.
- ნატურა 2000 ბიოგეოგრაფიული სემინარები თავს უყრის დეტალურ ინფორმაციას ჰაბიტატების სტატუსის, მათზე არსებული ზენოლისა და მათ წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ.  
See: [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/platform/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/platform/index_en.htm)
- ყველა ჰაბიტატისა და ევროკავშირის ინტერესის სახეობის კონსერვაციული სტატუსის შეფასება ხელმისაწვდომია მე-17 მუხლის ანგარიშებში: [http://bd.eionet.europa.eu/activities/Reporting/Article\\_17/reference\\_portal](http://bd.eionet.europa.eu/activities/Reporting/Article_17/reference_portal)
- ევროკომისია (2011). სოფლის განვითარება ევროკავშირში - სტატისტიკური და ეკონომიკური ინფორმაცია. ანგარიში 2011. კონტექსტუალური ინდიკატორი 10:

ნატურა 2000-ის ტერიტორია:

[http://ec.europa.eu/agriculture/statistics/rural-development/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/rural-development/index_en.htm)

- ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების საბაზისო ანგარიში (2010): <http://www.eea.europa.eu/publications/eu2010-biodiversity-baseline>
- მაღალი ბუნებრივი ღირებულების ფერმერული სისტემები მთელ ევროპაში (Oppermann et al (2012)). მაღალი ბუნებრივი ღირებულების სოფლის მეურნეობა ევროპაში. ევროპის 35 ქვეყნის გამოცდილება და პერსპექტივები. Ubstadt-Weiher, verlag regionalkultur. See: <http://efncp.org/publications/books/>
- ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა გზამკვლევი ფრაგმენტაციის შემცირების ზომების შესახებ (Kettunen et al, 2007). იხ: [http://ec.europa.eu/environment/nature/ecosystems/docs/adaptation\\_fragmentation\\_guidelines.pdf](http://ec.europa.eu/environment/nature/ecosystems/docs/adaptation_fragmentation_guidelines.pdf)
- ევროკომისიამ ჩაატარა კვლევების სერია მწვანე ინფრასტრუქტურის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. იხ: <http://ec.europa.eu/environment/nature/ecosystems/studies.htm>

### 3. ნატურა 2000-ის მართვის მოთხოვნების მიმოხილვა

#### **ჩა აჩის განხილული წინამდებარე თავში?**

წინამდებარე თავში განმარტებულია საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს ნატურა 2000-ის ყველა უბანზე, მათი კონსერვაციული მართვის მიზნით, ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის შესაბამისად. განმარტებული და ილუსტრირებულია ძირითადი კონცეფციები, როგორცაა კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის მიღწევა, კონსერვაციის მიზნების დადგენა მოცემული უბნის დონეზე და საჭირო კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელება.

ამ თავში ასევე აღწერილია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს 6.1 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები ნატურა 2000-ის უბნებზე, რომლებიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვან ტერიტორიებს იმის გათვალისწინებით, რომ მართვის დაგეგმვის პროცესი განსხვავდება სხვადასხვა ადგილზე, რაც დამოკიდებულია ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების ეკოლოგიურ მოთხოვნებზე და ასევე თითოეული უბნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე და ფიზიკურ მახასიათებლებზე.

#### **3.1 როგორ უნდა მოხდეს ნატურა 2000-ის უბნების მართვა და დაცვა?**

როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივები წევრ სახელმწიფოებს, სხვა საკითხებთან ერთად, ავალდებულებს, განსაზღვრონ ნატურა 2000-ის ქსელის უბნები, ბიომრავალფეროვნების ამ ორი დირექტივით გათვალისწინებული, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების ტიპების კონსერვაციის მიზნით.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნატურა 2000-ის ქსელი მოიცავს მხოლოდ ამ სახეობებისა და ჰაბიტატების ძირითად ტერიტორიებს და არ მოითხოვს ყველა იმ ტერიტორიის იდენტიფიცირებას, სადაც ეს სახეობები და ჰაბიტატები გვხვდებიან. ნატურა 2000-ის ფარგლებს მიღმა არსებული, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვისა და კონსერვაციისთვის, ბიომრავალფეროვნების ორი დირექტივა სხვა ზომებს ითვალისწინებს, მაგრამ რადგან წინამდებარე გზამკვლევის განხილვის ძირითად საგანს ნატურა 2000-ის უბნების მართვა წარმოადგენს, აღნიშნული ზომები აქ უფრო დეტალურად არ არის განხილული.

მას შემდეგ, რაც ტერიტორია გაერთიანდება ნატურა 2000-ის ქსელში, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მართონ და დაიცვან იგი ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის დებულებების შესაბამისად. მე-6 მუხლი მოიცავს სამ ძირითად დებულებას, რომლებიც წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვენ შემდეგს:

- თითოეულ უბანზე დაინერგოს **კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებები,**

რომლებიც აკმაყოფილებენ დაცული ჰაბიტატის ტიპებისა და ევროკავშირის ინტერესის სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებს (მუხლი 6.1);

- **ალკვთოს ნებისმიერი დამაზიანებელი აქტივობა**, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეაშფოთოს სახეობები ან გააუარესოს მათი ჰაბიტატების, ან დაცული ჰაბიტატების ტიპების მდგომარეობა (მუხლი 6.2);
- **დაიცვას ტერიტორია ახალი, პოტენციურად დამაზიანებელი პროექტებისა და გეგმებისგან**, მთელი რიგი პროცედურული და მატერიალურ-სამართლებრივი გარანტიების დაწესებით აღნიშნული გეგმებისა და პროექტების მართვაზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ნატურა 2000-ის უბნებზე (მუხლი 6.3 და 6.4).

ამ სტრუქტურაში ჩანს, რომ ნატურა 2000-ის უბნები არ არის მკაცრად დაცული ტერიტორიები, სადაც ყოველთვის გამორიცხული იქნება ყველა სახის საქმიანობა. ეს ქსელი გვთავაზობს განსხვავებულ მიდგომას, რომელიც სრულად აღიარებს, რომ ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია და რომ ორივესთვის საუკეთესო შედეგების მიღწევა მხოლოდ ბუნებასთან „პარტნიორობით“ არის შესაძლებელი. ამ გზით, ნატურა 2000 მხარს უჭერს მდგრადი განვითარებისა და გამოყენების პრინციპს. მისი მიზანია არა ეკონომიკური აქტივობის გამორიცხვა, არამედ ისეთი პარამეტრების დადგენა, რომლის ფარგლებშიც ასეთი აქტივობები შეიძლება განხორციელდეს, და ამავდროულად, დაცული იყოს ევროპის ყველაზე მეტი საფრთხის წინაშე მყოფი და ღირებული სახეობები და ჰაბიტატები.

• **„სახაზბიერო კონსერვაციული სტატუსის“ მიღწევა**

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების ორი დირექტივის მთავარი მიზანია, რომ ის სახეობები და ჰაბიტატები, რომელთა დაცვასაც ეს ორი დირექტივა ისახავს მიზნად, მიაღწიონ „ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსს“, მათ ბუნებრივ არეალში, ევროკავშირის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების დირექტივებით განსაზღვრული სახეობებისა და ჰაბიტატების შემდგომი გაუარესების ან გადაშენების პრევენცია. ნევრ სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ მიიღონ აქტიური ზომები ამ სახეობებისა და ჰაბიტატების შენარჩუნებისა და ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსამდე მისაყვანად.

ნატურა 2000-ის უბნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საერთო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, რადგან ისინი მოიცავს ამ სახეობებისა და ჰაბიტატების ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად ადგილებს. ამიტომ, თითოეული უბანი ისე უნდა იმართებოდეს, რომ მაქსიმალურად ეფექტურად შეუნყოს ხელი იმ სახეობებისა და ჰაბიტატების ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსამდე მიღწევას, რომელთა გამოც ეს უბნები დადგინდა ევროკავშირის ფარგლებში.

ის ფაქტი, რომ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან მრავალ სახეობასა და ჰაბიტატს ამჟამად არასახარბიელო კონსერვაციული სტატუსი აქვს (იხ. თავი 2), ცხადყოფს 6.1 მუხლის დებულებების განხორციელების მნიშვნელობას, რადგან აშკარაა, რომ

მრავალი სახეობა და ჰაბიტატი საჭიროებს აქტიური კონსერვაციული ზომების მიღებას ნატურა 2000-ის ქსელის ფარგლებში, თუკი ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსამდე მათი მიყვანის რაიმე იმედი მაინც არსებობს.

• **კონსერვაციის მიზნების დასახვა**

იმისათვის, რომ ნატურა 2000-ის თითოეულმა უბანმა სრულად შეუნყოს ხელი სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის მიღწევის ამ საერთო მიზანს, მნიშვნელოვანია თითოეული ჰაბიტატის ტიპისა და სახეობის კონსერვაციის მკაფიო მიზნების დადგენა. ეს მოითხოვს რეგიონულ მიდგომას (გარდა ძალიან იშვიათი ჰაბიტატებისა და სახეობებისა), რომელიც შემდგომ შეიძლება გადაითარგმნოს ცალკეული უბნების დონეზე და მოერგოს ყველა სპეციფიკურ უბანს თითოეულ რეგიონში (Louette et al., 2011). თითოეულ უბანზე უნდა განსაზღვროს და მიზნებში გაიწეროს თითოეული სახეობისა და ჰაბიტატის ტიპის სასურველი მდგომარეობა, რომლებისთვისაც ეს უბნები გამოიყო.

ამის გაკეთება უკეთესია რაოდენობრივი პრინციპით, სადაც შესაძლებელია ან მიზანშეწონილია. მაგალითად, დაწესდეს მიზნების მიღწევის კონკრეტული ვადები თითოეული ჰაბიტატის ტიპისა და სახეობისთვის (მაგ. ლალდას პოპულაციის რიცხოვნობის გაზრდა 20 წყვილამდე 8 წლის განმავლობაში, ტენიანი მდელოს ფართობის გაზრდა 100 ჰექტრამდე, კარგად დაცულ მდგომარეობაში). შემდგომი განხილვისთვის იხ. ნაწილი 3.2.

**ჩანართი 3.1 რა არის სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი?**

ტერმინი „**კონსერვაციული სტატუსი**“ განსაზღვრულია ჰაბიტატების დირექტივით (მუხლი 1).

– ბუნებრივი ჰაბიტატისთვის, კონსერვაციული სტატუსი ნიშნავს „ზეგავლენების ერთობლიობას, რომელიც მოქმედებს ბუნებრივ ჰაბიტატზე და მისთვის დამახასიათებელ სახეობებზე, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ მის გრძელვადიან ბუნებრივ განაწილებაზე, სტრუქტურასა და ფუნქციებზე და მისთვის დამახასიათებელი (ტიპური) სახეობების გრძელვადიან გადარჩენაზე, მე-2 მუხლში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში“ (მუხლი 1 e).

– სახეობისთვის კონსერვაციის სტატუსი ნიშნავს „ზეგავლენების ერთობლიობას, რომელიც მოქმედებს მოცემულ სახეობაზე და სავარაუდოდ, მოქმედებენ მათ გრძელვადიან გავრცელებაზე და პოპულაციების რიცხოვნობაზე, მე-2 მუხლში მითითებული ტერიტორიის ფარგლებში“ (მუხლი 1i).

**ბუნებრივი ჰაბიტატის** კონსერვაციული სტატუსი ითვლება „ხელსაყრელად“, როდესაც:

- მისი ბუნებრივი არეალი და ტერიტორიები, რომლებსაც ის ამ არეალის ფარგლებში მოიცავს, სტაბილურია ან იზრდება და
- სპეციფიკური სტრუქტურა და ფუნქციები, რომლებიც აუცილებელია მისი გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის, არსებობს და სავარაუდოდ ისევ იარსებებს უახლოეს მომავალში, და

- მისი ტიპური სახეობების კონსერვაციული სტატუსი სახარბიელოა, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ.

**სახეობის** კონსერვაციული სტატუსი ითვლება „ხელსაყრელად“, როდესაც:

- მოცემული სახეობის პოპულაციის დინამიკის შესახებ მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ იგი გრძელვადიან პერსპექტივაში ინარჩუნებს თავის მდგომარეობას და მისი პოპულაცია ბუნებრივი ჰაბიტატების სიცოცხლისუნარიან ნაწილს წარმოადგენს, და
- სახეობების ბუნებრივი გავრცელების არეალი არ მცირდება და, სავარაუდოდ, არ შემცირდება უახლოეს მომავალში, და
- არსებობს და, სავარაუდოდ, სამომავლოდაც იარსებებს საკმარისად დიდი ფართობის ჰაბიტატი, სადაც ამ სახეობის პოპულაციები ხანგრძლივად შენარჩუნდება.

• **კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება**

კონსერვაციის მიზნების დადგენის შემდეგ, უნდა განისაზღვროს და ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმდეს ამ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებები, მათი ეფექტურად დანერგვის მიზნით. ეს ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს იმ ჰაბიტატებისა და სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც ეს უბნები არის გამოყოფილი.

**მუხლი 6(1):** „კონსერვაციის სპეციალური ტერიტორიებისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მართვის გეგმები, რომლებიც სპეციალურადაა შემუშავებული ამ უბნებისთვის ან ინტეგრირებულია განვითარების სხვა გეგმებში, აგრეთვე სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სახელშეკრულებო ღონისძიებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება დანართის ჰაბიტატის ტიპებისა და II დანართში მოცემულ ამ უბნებზე არსებული სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებთან“.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ 6.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები სავალდებულოა, და არა შერჩევითი (იხ. ჩანართი 3.2). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განახორციელონ კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებები ყველა შემთხვევაში და არა მხოლოდ „როგორც საჭიროა“. ეს ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს როგორც აქტიურ მართვას, ისე აღდგენით საქმიანობას, როგორცაა რეგულარული თიბვა ან ინვაზიური ბუჩქების მოცილება, აგრეთვე პასიურ „არაინტერვენციულ“ ქმედებებს, როგორცაა ტერიტორიების დაუმუშავებლად ან ანეულად დატოვება.

### **ჩანართი 3.2 - 6.1 მუხლის სამართლებრივი ინტერპრეტაცია**

სასამაჩთროს გადაწყვეტილებით (საქმე C-508/04) დადგინდა, რომ წევრი სახელმწიფო თავს ვეი ააჩილებს ყველა საჭირო კონსეხვაციური ღონისძიების განხორციელებას ნაგუხა 2000-ის უბნებზე. „დიხექცივის 6(1) მუხლიდან გამომდინაჩეობს, რომ „კონსეხვაციის საჭირო ღონისძიებები“ ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს და აჩა „საჭიროებისამებჩ“. 6(1) მუხლში სიგყვა „საჭიროებისამებჩ<sup>20</sup>“ ეხება მხოლოდ მაჩთვის გეგმებს და აჩ უნდა იყოს გაგებუდი, ხოგოჩც ვადლებუდებების ზოგადი შემლუდვა აუცილებედი საკანონმდებლო, ადმინისტრაციური ან სახელშეკუდებო ზომების მილებასთან დაკავშირებით...

დიხექცივა მოითხოვს კონსეხვაციის აუცილებედი ზომების განხორციელებას, ჩაც გამოჩიცხავს წევრი სახელმწიფოების მიეჩ საკუთაჩი შეხედულების მიხედვით მოქმედებას.... უფხო მეგიც, უბჩადო ადმინისტრაციური პჩაქტიკა, რომელიც თავისი ბუნებით გუდისხმობს ცვდილებას ხედისუფდების შეხედულებისამებჩ და აჩ აჩის ადეკვატუხად გასაჭაჩოებუდი, აჩ შეიძლება ჩაითვადოს წევრი სახელმწიფოებზე დაკისხებუდი ვადლებუდებების შესხუდებად დიხექცივის გჩანსფოჩმაციის კონტექსტში“.

სხვადასხვა უბანში კონსერვაციული ღონისძიებები სხვადასხვანაირად ხორციელდება, თითოეული უბნის სპეციფიკური პირობების მიხედვით (მაგალითად, ტერიტორია კერძო საკუთრებაა თუ სახელმწიფო საკუთრება). მუხლი 6.1 უზრუნველყოფს უფრო მეტ მოქნილობას ამ კუთხით და სივრცეს უტოვებს თითოეულ ნევრ სახელმწიფოს, გადანყვიტოს რა არის უკეთესი კონსერვაციისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში, ეს შეიძლება მოიცავდეს შესაბამის **მართვის გეგმებს**, რომლებიც მორგებული იქნება მოცემულ ტერიტორიაზე ან ინტეგრირდება განვითარების სხვა გეგმებში, ასევე შესაბამის **საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან სახელშეკრულებო ღონისძიებებს**.

მრავალი ნევრი სახელმწიფო მართვის გეგმებს იყენებს როგორც ინსტრუმენტს, მენეჯერების და სხვა დაინტერესებული მხარეების, ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციის საკითხებზე ინსტრუქტაჟისთვის. ზოგადად, უბნების დონეზე მართვის გეგმები გამოიყენება ამ უბნების კონსერვაციის მიზნების ფორმულირებისათვის, ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელ ზომებთან ერთად (თუმცა, შესაძლებელია სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც იმ პირობით, რომ ისინიც კონსერვაციის მიზნების განხორციელებას მოემსახურებიან).

მართვის გეგმები ასევე შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, სხვადასხვა სოციალურ-

20 ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ 6(1) მუხლით განსაზღვრული ვალდებულება კონსერვაციული ღონისძიებების ყველა შემთხვევაში განხორციელებას კი არ ითვალისწინებდა, არამედ კონსერვაციის მხოლოდ „აუცილებელ“ ზომებს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ასეთი ზომების მიღება საჭირო იყო ავსტრიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და აკრძალვებთან ერთად, ისინი მართლაც ტარდებოდა პროვინციის კომპეტენტური ხელმძღვანელი ორგანოების მიერ, რათა ხელსაყრელი კონსერვაციული სტატუსისთვის მიეღწიათ.

ეკონომიკური ფენის დაინტერესებული მხარეების, ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებლობების განსაზღვრისათვის, დადგენილი საჭირო კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელებისას.

მართვის გეგმები შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დოკუმენტები ან ინტეგრირებული იყოს განვითარების სხვა გეგმებში, გარემოს დაცვის სხვა საზოგადოებრივ პოლიტიკაში ინტეგრირების წესის შესაბამისად. ინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ უბანზე არსებული შესაბამისი ჰაბიტატებისა და სახეობებისთვის, მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე წერტილები და კონსერვაციის ღონისძიებები.

მართვის გეგმის კიდევ ერთი უპირატესობაა, რომ ის მოსახერხებელი ინსტრუმენტია 6.1 მუხლის დებულებების მკაფიოდ და გამჭვირვალედ განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას ნატურა 2000-ის მიზნების შესახებ და წაახალისებს მათ გეგმის განხილვაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. მართვის გეგმები ასევე დაგვეხმარება ღონისძიებების დაფინანსებასა და სხვა გეგმებში უკეთ ინტეგრაციაში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები (მაგ., ეროვნული ან ბუნებრივი პარკები) ყოველთვის არ არის საკმარისი ნატურა 2000-ის უბნების სამართავად და, შესაბამისად, ამ ტერიტორიების და იქ არსებული **ევროპისთვის მნიშვნელოვანი** სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციის სპეციფიკურ მიზნებზე უნდა იყოს მორგებული.

მიუხედავად იმისა, რომ ნატურა 2000-ის უბნების მართვის გეგმები მხოლოდ ჰაბიტატების დირექტივაშია წარმოდგენილი, აღნიშნული გეგმები, როგორც ჩანს, სასურველი ვარიანტია წევრი ქვეყნების უმეტესობისთვის და ბევრი მათგანი სავალდებულოდაც კი მიიჩნევა.

### **3.2 მუხლი 6.1 -ის დანერგვა ნატურა 2000 -ის აგრარულ უბნებში**

შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილია 6.1 მუხლის დანერგვისათვის საჭირო ეტაპები ნატურა 2000-ის უბნებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვან ფართობებს მოიცავს. თითოეული ეს ეტაპი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ხორციელდება, რაც დამოკიდებულია როგორც ევროპისათვის მნიშვნელოვანი სახეობებისა და ჰაბიტატების ეკოლოგიურ მოთხოვნილებებზე, ასევე თითოეული უბნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე და ფიზიკურ მახასიათებლებზე. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული ეტაპები მხოლოდ საორიენტაციოა და მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ როგორ შეუძლიათ წევრ ქვეყნებს 6.1 მუხლის დებულებების შესრულება.

- **ნაგუხა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო სისტემების იდენტიფიცირება**

ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების იდენტიფიცირება, პირველ რიგში,

მოითხოვს აგრარულ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი ჰაბიტატებისა და ძირითადი სახეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების კარტოგრაფირებას ან მათი მდებარეობის სხვაგვარად განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ნაწილობრივ ან ცოტა ხნის წინ მიტოვებული ძირითადი აგრარული ჰაბიტატების ჩართვაც, რომლებიც შესაძლოა აღდგეს, მაშინაც კი, თუ ამჟამად არ არსებობს ან ძალიან მცირე მტკიცებულება არსებობს იქ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ წევრი ქვეყნების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების (UAA) შესახებ დოკუმენტაცია შესაძლოა არ მოიცავდეს ნატურა 2000-ის ან მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ფერმერების მიერ მართული ძირითადი ჰაბიტატების მნიშვნელოვანი ტერიტორიები არ არის აღრიცხული როგორც გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (UAA).

მეორე ეტაპია ამ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე არსებული ფერმერული სისტემების იდენტიფიცირება (მიტოვებული მიწების შემთხვევაში ან ბოლო დრომდე არსებული). მრავალი სასოფლო-სამეურნეო სისტემა რთულია და მოიცავს მიწის სხვადასხვა ნაკვეთებს, რომლებიც ზოგჯერ ძლიერაა განცალკევებული, სხვადასხვა დანიშნულებისთვის. ყველა ეს ნაკვეთი, საბოლოო ჯამში, მეურნეობის ფუნქციონირებას განაპირობებს. ასეთ სისტემაში, ნატურა 2000-ის კონკრეტულ ჰაბიტატებში მართვის ღონისძიებების განხორციელება (მაგ., სეზონური ძოვება ნახევრად ბუნებრივ ჰაბიტატებში, სათიბ მდელოებზე ან ანეულში) სავარაუდოდ არაეფექტური იქნება, თუ მიზნების განსაზღვრისა და მართვის ღონისძიებების დაგეგმვისას არ იქნება გათვალისწინებული ურთიერთობა მეურნეობის დანარჩენ ნაწილთან.

ეს განსაკუთრებით სარისკოა მაშინ, როცა სამეურნეო სისტემა მთლიანობაში არ არის ეკონომიკურად ეფექტური, სადაც მხოლოდ ერთი ნაწილის მართვა ხელს არ შეუშლის მთლიანი სისტემის მიტოვებას ან პირიქით, ინტენსიფიკაციას. მეცხოველეობის ზოგიერთი სისტემა კარგად არის ადაპტირებული გარკვეულ ჰაბიტატებთან, როგორცაა პასტორალური მომთაბარე სისტემები.

ორივე ეტაპის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო მიწების, ფერმებისა და ფერმერების სრული მოცულობის იდენტიფიცირება, რაც გათვალისწინებული იქნება კონსერვაციის ზომების განსაზღვრისას, მოცემულ ტერიტორიაზე კონსერვაციის მიზნების მისაღწევად. ამიტომ არის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაციის შეგროვება ყველა დაინტერესებული მხარის შესახებ, რომლებიც ჩართული იქნებიან საქმიანობაში ან კონსულტაციებში მართვის დაგეგმვისას.

- **ძირითადი აგიახული ჰაბიტატებისა და სახეობების სამიზნეების იდენტიფიცირება**

წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ მკაფიო პასუხისმგებლობა, რომ ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივების შესაბამისად უზრუნველყონ ყველა ჰაბიტატისა და საზოგადოებრივი ინტერესის სახეობის შენარჩუნება ან აღდგენა კონსერვაციის ხელსაყრელ სტატუსამდე (იხ. ზევით 3.1 განყოფილება). თუმცა, პრაქტიკაში

აუცილებელია გათვალისწინებული იყოს, თუ რომელ ჰაბიტატებსა და სახეობებს შეიძლება დასჭირდეს კონსერვაციის ყველაზე გადაუდებელი და მასშტაბური ღონისძიებები.

ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების წინამდებარე გზამკვლევის კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ წევრმა ქვეყნებმა საჭიროების მიხედვით შეაფასონ მათი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების სტატუსი ეროვნულ, რეგიონულ და ბიოგეოგრაფიულ დონეზე. აქცენტი უნდა გაკეთდეს ძირითადი აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების (როგორც მე-2 თავშია განსაზღვრული) შეფასებაზე, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში სხვა ჰაბიტატებსა და საზოგადოებრივი ინტერესის სახეობებს შესაძლოა მნიშვნელოვანი კავშირი ჰქონდეთ სოფლის მეურნეობასთან და, შესაბამისად, შეიძლება ასევე ღირდეს მათი განხილვაც.

კარგი იქნება თითოეული ძირითადი აგრარული ჰაბიტატისა და სახეობისთვის პრიორიტეტულობის დადგენისა და სამიზნედ არჩევისას გათვალისწინებული იყოს კონსერვაციული მნიშვნელობის შემდეგი მახასიათებლები:

- არასახარბიელო კონსერვაციის სტატუსის სახეობის ჰაბიტატის/ან პოპულაციის არეალის წილი ევროკავშირის, ბიოგეოგრაფიულ და ეროვნულ დონეზე<sup>21</sup>
- ევროკავშირის ჰაბიტატების და/ან ბიოგეოგრაფიული ჰაბიტატების ტერიტორიის მთლიანი ფართობის ან სახეობათა პოპულაციების თანაფარდობა (წილი) წევრ ქვეყანაში (იხ. დანართი C თითოეული წევრი სახელმწიფოს ძირითადი აგრარული ჰაბიტატების საორიენტაციო შეფასებისთვის)
- ჰაბიტატის ტერიტორიის ან სახეობის პოპულაციის წილი, რომელიც წევრი სახელმწიფოს ნატურა 2000-ის უბნების ფარგლებშია მოქცეული

მას შემდეგ, რაც შეფასდება ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების სტატუსი, სასარგებლო იქნება მათი კონსერვაციის მიზნების განხილვა ნატურა 2000-ის თითოეულ უბანში, მაგალითად, შესაძლებელია განისაზღვროს სამიზნეები ჰაბიტატების ან სახეობების პოპულაციის რიცხოვნობის გაზრდის (ან აღდგენის) მიზნით, იქ სადაც ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია (და/ან ფრაგმენტულია), მათი გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (Kettunen et al 2007). სხვა, ნაკლები საფრთხის წინაშე მყოფი ჰაბიტატების შემთხვევაში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მათი გარკვეული პროცენტის შენარჩუნების მიზნის დასახვა (მაგ., 95%-ის შენარჩუნება ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსში).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიზნების დასახვისას ასევე გათვალისწინებული იყოს პრაქტიკული მოსაზრებები, როგორცაა ჰაბიტატის აღდგენის ეკოლოგიური მიზანშეწონილობა, ისევე როგორც დამატებითი პოტენციური სარგებელი ეკოსისტემური სერვისებიდან (მაგ., ნახშირბადის ემისიის შემცირება, წყლის რესურსებისა და წყალდიდობის მართვა, რეკრეაციული და ლანდშაფტის დაცვით

---

21 ეს მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს მე-17 მუხლის უახლეს შეფასებებს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ თანაფარდობას, რომელიც შეფასებულია, როგორც „არახელსაყრელი – ცუდ მდგომარეობაში მყოფი“.

მიღებული სარგებელი). ასეთმა დამატებითმა სარგებელმა შეიძლება გაზარდოს ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერა კონსერვაციის ღონისძიებების მიმართ და შექმნას შესაძლებლობები ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოსაძიებლად.

- **ზენოლისა და კონსერვაციის სტრატეგიაზე პოტენციური გავლენის შეფასება**

ნატურა 2000-ის ფარგლებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების იდენტიფიცირებისა და ძირითადი აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობებისთვის მიზნების დასახვის შემდეგ, მომდევნო ეტაპია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სისტემებზე მოქმედი მამოძრავებელი ფაქტორებისა და ზენოლის იდენტიფიცირება, რომლებიც ზემოქმედებენ იმ სხვადასხვა აგრარულ სისტემებზე, რომლებზეც დამოკიდებულია ნატურა 2000-ის აგრარული ტერიტორიების მართვა. ეს ანალიზი დაგვეხმარება იმ სამეურნეო სისტემებისა და მიწების იდენტიფიცირებაში, რომლებსაც მომავალში საფრთხე ემუქრებათ მიტოვების ან ინტენსიფიკაციის გამო, რაც საშუალებას მოგვცემს ჩავერიოთ მანამ, სანამ ძალიან გვიან იქნება.

ძირითადი სამიზნე და პრიორიტეტული აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან ერთად, ეს საშუალებას მისცემს მმართველ ორგანოებს დაადგინონ სტრატეგიული პრიორიტეტები პრაქტიკული ღონისძიებებისთვის ზენოლის შესამცირებლად და კონსერვაციის მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ღონისძიებათა კომბინირებული პაკეტის შემუშავებით, რომელიც მოიცავს მრავალ სამიზნე ჰაბიტატსა და სახეობას.

ასევე მნიშვნელოვანია აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეგროვება. ეს მოითხოვს სანდო, განახლებულ და ვრცელ ეკოლოგიურ მონაცემებზე წვდომას (მაგ. ინვენტარიზაციის მონაცემები, ჰაბიტატის რუკები და სახეობების ატლასები). შეიძლება ჩატარდეს კვლევები, გაკეთდეს ჩანაწერები და რუკები. ასეთი აქტივობები შეიძლება იყოს ძვირი, მაგრამ გამოცდილება და მტკიცებულებები აჩვენებს, რომ კარგად გამოკვლეული, სწორად დაპროექტებული და მიზნობრივი ინტერვენციები მთლიანობაში უფრო ეფექტურია. ამ თვალსაზრისით სასარგებლოა ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებისა და ხელმისაწვდომი სერვისების<sup>22</sup> გამოყენება.

- **ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციის მიზნების დასახვა უბნების ღონეზე**

როგორც ზემოთ იყო განმარტებული, ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ კონსერვაციის მიზნები ნატურა 2000-ის თითოეული უბნისთვის. უბნის ღონეზე დადგენილი კონსერვაციის მიზნებით უნდა განისაზღვროს სტატუსი, რომელიც უნდა იყოს მიღწეული ამ ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ინტერესის თითოეული სახეობისა და ჰაბიტატის ტიპისთვის, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ძალისხმევა ამ ტერიტორიაზე საერთო სახარბიელო კონსერვაციის სტატუსის მისაღწევად.

22 მაგ., როგორცაა [www.conservationevidence.com](http://www.conservationevidence.com)

ეს მოიცავს უბნის დონეზე შეფასებას, თუ რამდენად საჭიროებს ჰაბიტატი ან სახეობა კონსერვაციის კონკრეტული სტატუსის შენარჩუნებას, ან უფრო ხშირად აღდგენას და გაუმჯობესებულ კონსერვაციულ სტატუსამდე მიყვანას (იხ. დანართი 3.3 და დანართი 3.4). მნიშვნელოვანია მკაფიო და მისაღები კონსერვაციული მიზნების შემუშავება, რადგან ეს არის კონსერვაციული ღონისძიებების განსაზღვრის საფუძველი. კონსერვაციის მიზნები შეიძლება დაკონკრეტდეს ადგილწარმოშობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში ან შეიძლება შემდგომში შემუშავდეს ტერიტორიის (უბნის) მართვის გეგმების, ან სხვა ინსტრუმენტების კონტექსტში.

უბნის დონეზე განსაზღვრული კონსერვაციის მიზნები უნდა ეფუძნებოდეს ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებს. ეკოლოგიური მოთხოვნები მოიცავს აბიოტური და ბიოტური ფაქტორების ყველა ეკოლოგიურ მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია ჰაბიტატისა და სახეობების სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის უზრუნველსაყოფად, მათი გარემოსთან ურთიერთობის ჩათვლით (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მცენარეულობა და სხვ.).

ეს მოთხოვნები ეფუძნება მეცნიერულ ცოდნას და შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე, რადგან ისინი განსხვავებულია სხვადასხვა სახეობისთვის, აგრეთვე ერთი და იმავე სახეობისთვის სხვადასხვა ადგილას. ისინი უნდა ასახავდნენ ტერიტორიის შენარჩუნების ან აღდგენის მნიშვნელობას, კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის დონეზე, მოცემულ უბანში არსებული ჰაბიტატებისა და სახეობებისათვის და ნატურა 2000 ქსელთან შესაბამისობისთვის.

კონსერვაციის მიზნები ასევე უნდა ითვალისწინებდეს დეგრადაციის ან განადგურების საფრთხეს რომელსაც აწყდებიან მოცემულ უბანში არსებული ჰაბიტატები და სახეობები. ამ უბნისთვის სპეციფიკური კონსერვაციის მიზნების დასადგენად ადეკვატური საბაზისო მონაცემებია საჭირო.

### **ჩანართი 3.3 როგორ შეიძლება კონსერვაციის მიზნების დასახვა ნატურა 2000-ის აგრარული ტერიტორიებისთვის?**

კონკრეტული უბნის კონსერვაციის მიზნების დასახვისას, შესაძლოა სასარგებლო იყოს ჰაბიტატებისა და საზოგადოებრივი ინტერესის სახეობების კონსერვაციის სტატუსის შესაფასებელი პარამეტრების გამოყენება (როგორც ანგარიშების ნაწილი, ჰაბიტატების დირექტივის მე-17 მუხლის შესაბამისად). ჰაბიტატებისთვის ეს პარამეტრები მოიცავს მის არეალს, ფართობს, რომელსაც იკავებს ჰაბიტატის მოცემული ტიპი ამ არეალში და სპეციფიკურ სტრუქტურასა და ფუნქციებს (ტიპური სახეობების ჩათვლით) ამ ჰაბიტატის ფარგლებში. სახეობებისთვის გასათვალისწინებელია მათი გავრცელების არეალი, პოპულაცია და ჰაბიტატის ფართობი. იმ ატრიბუტების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს კონსერვაციის მიზნების განსაზღვრისას, მოცემულია ქვემოთ:

- ჰაბიტატის ტერიტორია: სამიზნე ჰაბიტატების მიერ დაკავებული ტერიტორია უნდა იყოს სტაბილური ან მზარდი (შეიძლება დადგინდეს საერთო სამიზნე ტერიტორიები).
- ჰაბიტატის სტრუქტურა და ფუნქცია: სამიზნე ჰაბიტატის თანასაზოგადოებები უნდა იყოს სტაბილური გავრცელებისა და შემადგენლობის თვალსაზრისით. შენარჩუნებული უნდა იყოს ჰაბიტატის ფუნქციები და ეკოლოგიური პარამეტრები, რომლებზეც დამოკიდებულია ჰაბიტატის მდგრადობა.
- სახეობების სიუხვე და გავრცელება, პოპულაციის სტრუქტურა და სხვ.: სახეობათა პოპულაციები სტაბილურია ან იზრდება (შეიძლება განისაზღვროს სამიზნე რიცხვები). პოპულაციის ტენდენციები უმჯობესდება. სახეობების განაწილება, მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილები და კავშირები, შენარჩუნებული ან გაუმჯობესებულია (მაგ., ჰაბიტატის გაუმჯობესების და გაუმჯობესებული ადგილების რეკონსტრუქციის გზით). პოპულაციის სტრუქტურა შენარჩუნებულია.

#### **ინფორმაცია ნატურა 2000-ის მიზნების შესახებ**

ფერმერები და ფართო საზოგადოება ვერ დარწმუნდება ნატურა 2000-ის აგრარული ტერიტორიების მართვის საჭიროებაში, თუ არ ეცოდინება კონსერვაციის ზომების აუცილებლობა და როგორ შეიძლება ეროვნული და რეგიონული მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მათი მეურნეობის ნატურა 2000-ის ფარგლებში მოქცეულ უბანში კონსერვაციის მიზნების დასახვამ.

ამიტომ, წევრი ქვეყნები დიალოგში უნდა ჩაერთონ დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით ადგილობრივ მინათმომწყობებთან და მიაწოდონ ინფორმაცია აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობების სტრატეგიული და კონსერვაციის მიზნების შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ კონსერვაციის მიზნები წარმოდგენილი იყოს ფერმერებისა და მინათმომწყობებისათვის შესაფერისი და ადვილად გასაგები ენით. ეს მნიშვნელოვანია ხელისუფლების ორგანოებთან ორმხრივი დისკუსიისათვის იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მათი აგრარული ფართობების მართვას ხელი შეუწყოს ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციამ. ფერმერებმა შესაძლოა კარგად იცოდნენ მიწის მართვის ძველი მეთოდები, რომლებმაც კონსერვაციის წარმატება

ან წარუმატებლობა განაპირობა.

**ჩანართი 3. 4 კონკრეტული უბნის კონსერვაციის მიზნების რამდენიმე მაგალითი**

ესპანეთში, მშრალი სავარგულებისა და სტეპის ფრინველების საბინადრო, ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციის ზოგიერთი სპეციფიკური მიზანია შემდეგი:

- საზოგადოებრივი ინტერესის ფრინველთა სხვადასხვა სახეობების საბინადრო ჰაბიტატის სათანადო ხარისხისა და ფართობის შენარჩუნება და აღდგენა, მათი კონკრეტული ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.
- საფრთხის შემცველი ფაქტორებისა და ზეწოლის შემცირება საზოგადოებრივი ინტერესის ფრინველების სახეობებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან მოცემულ ტერიტორიაზე(უბანში) სასოფლო-სამეურნეო თესვა-საქმიანობასთან.
- გარკვეული მექანიკური, ძირითადად მარცვლოვან კულტურებთან დაკავშირებული აქტივობების ფრინველებზე ზემოქმედების შემცირება.
- დასვენებული მიწების (ანეულის) რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა და მათი სწორი მართვის უზრუნველყოფა.
- სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან ასოცირებული ცოცხალი ღობეებისა და ბუნებრივი მცენარეული საფარის რაოდენობისა და ხარისხის შენარჩუნება და აღდგენა.
- მცირე სეზონურ ნაკადებთან დაკავშირებული მცენარეულობის დაცვა.
- სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტის მოზაიკის შენარჩუნების ხელშეწყობა, რაც შესაძლებელია ტრადიციულ ექსტენსიურ სოფლის მეურნეობაში კულტურათა მონაცვლეობის გზით.
- ინტეგრირებული წარმოების უფრო ეფექტური სისტემის შემუშავება, სტაბილური მოსავლიანობით და დაბალი ხარჯებით.
- ექსტენსიური მეცხოველეობის ხელშეწყობა გარკვეულ ტერიტორიებზე ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემების შესანარჩუნებლად.
- საძოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობა, შესაფერისი სახეობების ადგილობრივი ჯიშების ადეკვატური ნაკრების დათესვით.

ეს არის იმ ტიპის მიზნების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება დაისახოს ნატურა 2000-ის სტეპისა და მშრალი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებისთვის. აქ წარმოდგენილი ფორმულირება საკმაოდ ზოგადია, მაგრამ საიტ-სპეციფიკური კონსერვაციის მიზნებში უფრო დეტალურად არის მითითებული ჰაბიტატები, სახეობები, ფართობები, პოპულაციის რიცხოვნობა და სხვა შესაბამისი პარამეტრები.

*წყარო: მახთვის გეგმები ნატურა 2000-ის უბნებისთვის, რომლებიც მასპინძლობს მშხად სავაიკულებისა და სტეპის ფრინველებს ესპანეთში.*

- **კონსერვაციის უცილებელი ზომების განსაზღვრა**

კონსერვაციის ზომები წარმოადგენს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მოცემულ ტერიტორიაზე კონსერვაციის მიზნების მისაღწევად. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ იმ ჰაბიტატებისა და სახეობების ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც განისაზღვრა ეს ტერიტორია, ასევე უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს, აგრეთვე რეგიონულ და ადგილობრივ გარემოებებს (მუხლი 2.3).

კონსერვაციის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს როგორც სპეციფიკურ ზომებს (მაგ. მართვის ღონისძიებებს და/ან მართვის შეზღუდვებს) და ჰორიზონტალურ ზომებს, რომლებიც ვრცელდება ნატურა 2000-ის უფრო დიდ ფართობზე არსებულ მრავალ ტერიტორიაზე (მაგ., ნიტრატებით დაბინძურების შესამცირებელი ან ნადირობის, ან რესურსების გამოყენების რეგულირების ზომები). კონსერვაციის ღონისძიებების დასაწერად შესაფერისი ინსტრუმენტები შეიძლება იყოს მოცემული ტერიტორიებისთვის სპეციალურად შემუშავებული მართვის გეგმები ან ინტეგრირებული იყოს განვითარების სხვა გეგმებში და/ან შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღონისძიებებში.

ნატურა 2000-ის უბნების **მართვის გეგმები** ფართოდ გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში, თუმცა სხვა ღონისძიებებსაც ასევე წარმატებით იყენებენ. ბევრი ქვეყანა ნატურა 2000-ის უბნების სამართავად იყენებს სხვადასხვა ვარიანტების კომბინაციას. მრავალი ნევრი ქვეყანა „საიტ-სპეციფიკური“ მართვის გეგმებს იყენებს მენეჯერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინსტრუქტაჟისათვის, რათა მათ შეძლონ თავი გაართვან ნატურა 2000-ის უბნების კონსერვაციას სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით.

ზოგადად, უბნების დონეზე შემუშავებული მართვის გეგმები გამოიყენება მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ზომების ფორმულირებისათვის. მართვის გეგმები ასევე შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების დაინტერესებული მხარეების, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის იმ პასუხისმგებლობათა განსაზღვრის ინსტრუმენტი, რომლებიც მათ დაეკისრებათ მართვის უზრუნველყოფის, ნებადართული აქტივობების დადგენისა და მოცემული უბნისათვის პოტენციური საფრთხის შემცველი გარკვეული აქტივობების იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, კონსერვაციის ეროვნული, რეგიონული ან ევროპული სამოქმედო გეგმები კონკრეტული სახეობების ან ჰაბიტატებისათვის (ზოგჯერ სახეობის სამოქმედო გეგმებსაც უწოდებენ) ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს კონსერვაციის იმ აუცილებელი ღონისძიებების დასადგენად, რომლებიც უნდა განხორციელდეს თითოეულ საიტზე (უბანში). ამ გეგმებით შეიძლება განისაზღვროს კონსერვაციის ღონისძიებები სხვადასხვა უბნებისა და ლოკაციებისთვის და შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ინსტრუმენტი ნატურა 2000-ის კონკრეტულ უბნებზე ამ ღონისძიებების განსახორციელებლად. ნატურა 2000 უბნებისთვის კონსერვაციის მიზნების დასახვა და კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა

შესაძლებელია სექტორალური მართვის გეგმებითაც (მაგ., სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები).

**სამართლებრივი ზომები**, როგორც წესი, აგებულია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოდელზე და შეიძლება დააწესოს კონკრეტული მოთხოვნები იმ ტიპის აქტივობებისთვის, რომლებიც შეიძლება ნებადართული, შეზღუდული ან აკრძალული იყოს ნატურა 2000-ის უბნებზე. **ადმინისტრაციულ ზომები** ადგენს შესაბამის პირობებს ნატურა 2000-ის უბნებში კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელებასთან ან სხვა აქტივობების დაშვებასთან დაკავშირებით.

**საკონტრაქტო ზომები** გულისხმობს ხელშეკრულებების ან შეთანხმებების დადებას, ჩვეულებრივ, მმართველ ორგანოებსა და მიწათმფლობელებს ან მიწათმოსარგებლებს შორის. ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო ღონისძიებების მაგალითია სოფლის განვითარების რეგლამენტის ფარგლებში ფერმერთან დადებული აგრო-გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომელთა მიზანია გარკვეული ჰაბიტატების (მაგ., სათიბები, საძოვრები) და სახეობების კონსერვაციის სახარბიელო სტატუსის შენარჩუნება. კონსერვაციისათვის შეიძლება საჭირო იყოს კომპლექსური ზომების მიღება, რაც მოითხოვს სხვა ტიპის კონტრაქტებსა და შეთანხმებებს, ასევე სხვა სახის სპეციფიკურ ზომებს, მათ შორის კონსერვაციის ღონისძიებების ნებაყოფლობით განხორციელებას, რომელიც არ გულისხმობს ანაზღაურებას ან რაიმე სახის წახალისებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, კონსერვაციის აუცილებელი ზომები საკმარისად დეტალურად უნდა იყოს შემუშავებული, მათი ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. აუცილებელია მათი განხორციელებისთვის საჭირო საშუალებებისა და ინსტრუმენტების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითება და აღწერა. ასევე უნდა შემუშავდეს ადეკვატური სამუშაო გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება ღონისძიების განხორციელების დრო და ყველა მონაწილის როლი და პასუხისმგებლობები. სამუშაო გეგმა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს და ადაპტირდეს. მაგალითად, უკვე განხორციელებული ღონისძიებების რეალურ შედეგებზე დაყრდნობით.

ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს განხორციელებული კონსერვაციული ღონისძიებების შემონმების გრაფიკი, რათა შეფასდეს მათი ვარგისიანობა და პროგრესი კონსერვაციის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, შემონმდეს მათი ადეკვატურობა, გაზომვისა და დანერგვის ხარისხი.

ამ ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვის დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ნატურა 2000-ის უბნების მართვის გეგმებთან ან დადგენილ კონსერვაციის ღონისძიებებთან შესაბამისობა.

სხვადასხვა აგრარულ პირობებში მართვის სხვადასხვა მიდგომებია საჭირო, მაგალითად, ექსტენსიური სისტემებისთვის შეიძლება საკმარისი იყოს არსებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შენარჩუნება, ხოლო სიდრმისეული ცვლილებები შეიძლება საჭირო გახდეს უფრო ინტენსიურ სამეურნეო სისტემებში.

ჰორიზონტალური ღონისძიებები შეიძლება გამოსადეგი იყოს კონკრეტული ტიპის ჰაბიტატებისთვის ან სახეობებისთვის, მთელი რეგიონის, ან ქვეყნის მასშტაბით, ან ისეთი დიფუზური ზენოლის დასაძლევად, როგორცაა ევთროფიკაცია სოფლის მეურნეობის ჩამდინარე წყლებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საკმარისი იყოს რამდენიმე მარტივი მოთხოვნის შესრულება მთელ სამეურნეო ფართობზე. გარდა ამისა, არ არის აუცილებელი, რომ ასეთი ზომები იყოს ახალი, რადგან არსებული ზომებიც შესაძლოა ხელს უწყობდეს კონსერვაციის მიზნების მიღწევას.

მეორე მხრივ, ზოგიერთ ტერიტორიაზე შეიძლება საჭირო იყოს უფრო კონკრეტული მიდგომები, მათ შორის ზუსტად მორგებული და მიზანმიმართული ღონისძიებები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება კონკრეტული სახეობის ან ჰაბიტატის მართვის საჭიროებებს კონკრეტულ ადგილას. ცალკეული სახეობის მართვის ღონისძიებების დაგეგმვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სიცოცხლის ციკლისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება. ადგილობრივმა პირობებმა შეიძლება გარკვეულწილად შეცვალოს ჰაბიტატებისა და სახეობების კონკრეტული საჭიროებები.

მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს, რა აუცილებელ კონსერვაციულ ღონისძიებებს მოითხოვს კანონი და მითითებული იყოს, ვისზე და რომელ მიწებზე ვრცელდება ეს ვალდებულებები. ფერმერებისთვის მიწის მართვასთან დაკავშირებული სავალდებულო მოთხოვნები, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს წამახალისებელი გადახდების მოცულობაზე, რადგან ვალდებულებები განსაზღვრავს ზოგიერთი გადახდის საბაზისო დონეს<sup>23</sup> (დეტალებისთვის იხ. ნაწილი 5.3).

### • 3.3 ნატურა 2000 საიტების მართვისთვის საჭირო ხესუხების იდენტიფიცირება

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური საჭიროებების განსაზღვრას ნატურა 2000-ის უბნების სათანადო მართვისთვის, რათა ოპტიმალური კონტრიბუცია იყოს ჩადებული საზოგადოებრივი ინტერესის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციაში. პირველ ეტაპზე აუცილებელია კონსერვაციის ღონისძიებების განსაზღვრა (მაგ., მართვის გეგმებში და სხვა ინსტრუმენტებში).

ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვისთვის ევროკავშირის სახსრებით გათვალისწინებული შესაძლებლობების უკეთ გამოსაყენებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნატურა 2000-ის დაფინანსების სტრატეგიულ მრავალწლიან დაგეგმვას. კომისიამ მოუწოდა წევრ ქვეყნებს, რომ ნატურა 2000-ის დასაფინანსებლად შეიმუშაონ პრიორიტეტული სამოქმედო ჩარჩო-პირობები, რომელიც განსაზღვრავს 2014-2020 წლებში განსახორციელებელ სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს, ასევე ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც

---

23 საბაზისო დონე განსაზღვრავს გამყოფ ხაზს გარემოსდაცვით ვალდებულებებსა (რომლებიც ფერმერებმა უნდა შეასრულონ საკუთარი ხარჯებით) და გარემოსდაცვითი მართვის გაძლიერებულ დონეს შორის, რისთვისაც ფერმერებს შეიძლება გადაუხადონ თანხა, მაგალითად, აგროგარემოსდაცვითი სქემების მეშვეობით (Kristensen and Primdahl, 2006)

შეიძლება გამოყენებული იყოს ამ ღონისძიების განსახორციელებლად<sup>24</sup> (ჩანართი 3.5).

### ეკოპოლიტიკური თანადაფინანსება

ნატურა 2000-ის დაფინანსების შესაძლებლობები შეტანილია ევროკავშირის თითოეულ შესაბამის ფონდში, 2014-2020 წლების დაფინანსების პერიოდისთვის. კერძოდ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (ესსპ) იყო და დარჩება დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ (იხ. თავი 5). მიუხედავად იმისა, რომ ნატურა 2000-ის დაფინანსებაზე პირველადი პასუხისმგებლობა წევრ ქვეყნებს ეკისრებათ, ჰაბიტატების დირექტივის მე-8 მუხლი ნატურა 2000-ისთვის აუცილებელი კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელებას ცალსახად აკავშირებს ევროკავშირის თანადაფინანსებასთან.

კომისიამ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების დაცვის ევროკავშირის მიერ დაფინანსების მნიშვნელობაზე, ახალ მრავალწლიან ფინანსურ ჩარჩოებში და განაცხადა, რომ ამისათვის საჭიროა გაძლიერებული ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ნატურა 2000-ის სამოქმედო ჩარჩო-პირობების პრიორიტეტების ინტეგრაციას ევროკავშირის სექტორული ფონდების ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებში (European Commission, 2011).<sup>25</sup>

ინტეგრირებული მიდგომა შეირჩა იმისათვის, რომ ნატურა 2000-ის უბნების მართვა მიწისა და წყლის რესურსების მართვის ფართო პოლიტიკის ნაწილი იყოს, რათა წევრმა ქვეყნებმა დასახონ პრიორიტეტები და შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა და ზომები, რომლებიც მათ ეროვნულ და რეგიონულ სპეციფიკას ასახავს და თავს აარიდებს ევროკავშირის დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტების დუბლირებასა და გადაფარვას და დუბლირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სირთულეებისა და ტრანზაქციის ხარჯებს.

კომისიამ ასევე განაცხადა თავისი განზრახვა, ხელი შეუწყოს ინოვაციური მიდგომებისა და ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტების, მათ შორის კერძო დაფინანსების გამოყენებას ნატურა 2000-ის მართვის მხარდასაჭერად, თუმცა აღიარებს, რომ ეს წყაროები უახლოეს მომავალში სავარაუდოდ შეადგენენ ნატურა 2000-ის მთლიანი დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს. ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების ძირითადი საჯარო დაფინანსება კვლავაც საჭირო იქნება ქსელის კონსერვაციის მიზნების მისაღწევად.

---

24 Cohesion funding in COM (2011) 612 final, COM (2011) 614 final; Common Agricultural Policy in COM (2011) 625 final, COM (2011) 627 final; European maritime and fisheries policy in COM (2011) 804 final; LIFE financial instrument for the environment and climate action in COM (2011) 874 final

25 European Commission Communication on 'A budget for Europe 2020' COM(2011) 500 final, Part I (and the environment and climate policy fiches COM(2011) 500 final, Part II)

პრიორიტეტიზებული სამოქმედო ჩარჩო-პირობები წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტს ნატურა 2000-ის დაფინანსების ინტეგრაციის გასაძლიერებლად ევროკავშირის შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ახალი საპროგრამო პერიოდისთვის, კერძოდ, სხვადასხვა ფონდების შესაბამის საოპერაციო პროგრამებში.

### **დანეხვისათვის საჭირო საკმაისი დაფინანსების უზრუნველყოფა**

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პოლიტიკის მთელ რიგ ინსტრუმენტებს გააჩნია პოტენციური უზრუნველყოს ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვის დაფინანსება, პრაქტიკულად არასაკმარისი თანხები გამოიყოფა ან მიეწოდება წევრ სახელმწიფოებს: ამჟამად დადგენილია, რომ საჭირო თანხების მხოლოდ მეხუთედი ან ნაკლებია რეალურად ხელმისაწვდომი. (European Commission, 2011; Gantioler et al, 2010; Kettunen et al, 2011). სხვადასხვა შეზღუდვები, როგორცაა ნატურა 2000-ის შეზღუდული ინტეგრაცია სახელმწიფო დაფინანსების პრიორიტეტებში და სექტორის ცნობადობის ან დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ნაკლებობა, ართულებს ევროკავშირის თანადაფინანსების ჩარჩოებით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენებას (Kettunen et al., 2011).

#### **ჩანართი 3.5 პრიორიტეტიზებული სამოქმედო ჩარჩო-პირობები, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი ნატურა 2000-ის დაფინანსებისთვის**

ჰაბიტატების დირექტივის მე-8 მუხლი ევროკომისიისაგან მოითხოვს ნატურა 2000-ის უბნებში პრიორიტეტულ ღონისძიებათა განხორციელების თანადაფინანსებისათვის ჩარჩო-პირობების დადგენას, შესაბამისი ინსტრუმენტებით დაფინანსებას ხელმისაწვდომი წყაროებიდან, შესაბამისი ღონისძიებების, მათი განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებისა და საჭირო დაფინანსების, მათ შორის თანადაფინანსების იდენტიფიკაციის საფუძველზე. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წევრი ქვეყნები ნატურა 2000-თვის დაადგენენ ეროვნულ და/ან რეგიონულ პრიორიტეტულ სამოქმედო ჩარჩო-პირობებს (PAFs) მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის (2014-2020). ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს უფრო მკაფიო ჩარჩო-პირობებს მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის, აღწერს ნატურა 2000-ის დასაფინანსებელ ღონისძიებებს, განსაზღვრავს ევროკავშირის თითოეული ფონდის პოტენციურ წვლილს ნატურა 2000-ის ეროვნულ/რეგიონულ ქსელში მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის. ასევე განსაზღვრავს განსახორციელებელ პრიორიტეტულ ღონისძიებებს, ასევე განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების პირობებს. ჰაბიტატების კომიტეტმა, წევრ სახელმწიფოებთან ერთად, შეიმუშავა პრიორიტეტული სამოქმედო ჩარჩო-პირობების ერთიანი ფორმატი. პრიორიტეტიზებული სამოქმედო ჩარჩო-პირობები (PAF) წარმოადგენს დაგეგმვის ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრას და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით მათი მიღწევის განხილვას. წევრი ქვეყნების პრიორიტეტიზებული სამოქმედო ჩარჩო-პირობები განსაზღვრავს ნატურა 2000-ის სტრატეგიულ კონსერვაციულ პრიორიტეტებს 2014-2020 წლებისთვის. წევრმა ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ ნატურა 2000-ის დაფინანსების საჭიროებები, შესაბამისი გეგმებისა თუ პროგრამების ფარგლებში.

მათი გავლენისა

და ინტეგრირებული მიდგომის პერსპექტივების მაქსიმალურად გასაზრდელად, სამოქმედო ჩარჩო-პირობები უნდა შემუშავდეს 2014-2020 წლების დაფინანსების პერიოდისთვის გათვალისწინებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერისა და რეგიონული განვითარების პროგრამების საბოლოო შეთანხმებამდე. მიზანს წარმოადგენს სტრატეგიული ფოკუსირება ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებზე. ასევე პრიორიტეზებულ სამოქმედო ჩარჩო-პირობებსა და შესაბამის პროგრამებში წარმოდგენილი ინფორმაციის კომპლემენტარულობა და თანმიმდევრულობა.

დამატებითი ინფორმაცია: <http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/financing/>

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ პრიორიტეტები და შეიმუშაონ პოლიტიკა და ღონისძიებები, რომლებიც ასახავს მათ ეროვნულ და რეგიონულ თავისებურებებს. ნატურა 2000-ის ტერიტორიების ეფექტური მართვა და აღდგენა მოითხოვს სტრატეგიულ დაგეგმვას, რისთვისაც გამოყენებული იქნება ევროკავშირის სექტორის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული დაფინანსების შესაძლებლობები.

მე-5 თავში აღწერილია თანადაფინანსების შესაძლებლობები ევროპაში. ნატურა 2000-ის მეურნეობების მართვისთვის საჭირო დაფინანსების დაგეგმვის რეკომენდაციები წარმოდგენილია მე-6 თავში.

### დამატებითი ინფორმაცია

- Guidance by the European Commission on managing Natura 2000 sites: the provisions of Article 6 of the Habitats Directive 92/43/EEC. European Commission, 2000.  
[http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/guidance_en.htm)
- European Commission interpretation note on the definition of Conservation objectives for Natura 2000 sites, and new guidance on the definition of conservation measures in accordance with Article 6(1).  
[http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/docs/commission\\_note2.pdf](http://ec.europa.eu/environment/nature/legislation/habitatsdirective/docs/commission_note2.pdf)
- European Commission guidance on Financing Natura 2000:  
<http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/financing/>

## 4. რეკომენდაციები აგროსისტემებთან დაკავშირებული ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის ნატურა 2000-ის უბნებში

### ხას ეხება წინამდებარე თავი?

წინამდებარე თავში შეჯამებულია მაჩთვის ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც საჭიროა ძირითადი აგროსისტემებისა და სახეობებისათვის სახაზიერო კონსერვაციული სტრატეგიის შენახუნებისათვის ნატურა 2000-ის უბნებში. მასში წარმოდგენილია რეკომენდაციები იმ ძირითადი ასპექტების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა იმგვარი აგროსისტემების დანეგვისას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების შენახუნებას.

### 4.1 ჰაბიტატების მართვა

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბალინტენსიური მეთოდებით მართვა აუცილებელი პირობაა წინამდებარე გზამკვლევაში წარმოდგენილი იმ ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატებისა და სახეობების უწყვეტად შენარჩუნებისა და ხელსაყრელ კონსერვაციულ სტატუსამდე მისაყვანად, რომლებიც ნატურა 2000-ის უბნებში გვხვდებიან და დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებთან. შესაბამისი გრძელვადიანი მართვის მეთოდების ხელახლა გამოყენებამდე, ხშირად აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო.

მართვის ამ ღონისძიებებს ძირითადად ფერმერები განახორციელებენ. ამიტომ, მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის განვებაა საჭირო. ზოგიერთ ფერმერს უკვე აქვს მართვის სანიმუშო მეთოდების გამოყენების გამოცდილება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ვალიროთ მათი წვლილი აღნიშნული ჰაბიტატების კონსერვაციასა და მართვაში და მხარი დაუჭიროთ ამ საქმიანობაში. სხვებს დასჭირდებათ მხარდაჭერა იმისათვის, რომ დაუბრუნდნენ საქმიანობას მიტოვებულ ადგილებში ან თავი შეიკავონ მეურნეობის ინტენსიფიკაციისაგან.

ამ ნაწილში აღწერილია ის ძირითადი აგრარული მეთოდები (პრაქტიკები), რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების სათანადო მართვას.

### ძოვება

წინამდებარე გზამკვლევაში განხილული სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატების უმეტესობა იმართება ძოვებით, რაც ხელს უშლის საძოვრებზე მერქნიანი ბუჩქებისა და ხეების თანდათანობით გამოჩენას და აკონტროლებს ინვაზიური უცხო სახეობების შემოჭრას. თუმცა, ჰაბიტატები შეიძლება დეგრადირდეს გადაძოვების ან არასაკმარისი ძოვების, აგრეთვე პირუტყვის შეუფერებელი სახეობებისა და ძოვების არასწორი რეჟიმის შერჩევის გამო. ძირითადი რეკომენდაციები ძოვების

## მართვისას არის შემდეგი:

- *პიხუტყვის სიმჭიდროვე/ინტენსივობა.* თითქმის ყველა ძირითადი ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატისთვის რეკომენდებულია, რომ ძოვების რეჟიმი იყოს ექსტენსიური, პირუტყვის დაბალი და ზომიერი სიმჭიდროვით. თუმცა, ზოგიერთი, მცირე რაოდენობით ჰაბიტატი, კონსერვაციული ღირებულების შესანარჩუნებლად, საჭიროებს შედარებით ინტენსიურ ძოვებას. ჰაბიტატის მოცემული ტიპისთვის პირუტყვის კონკრეტული სიმჭიდროვის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია კონკრეტული ადგილობრივი პირობები, მათ შორის: ვეგეტაციის ტიპი და ასაკი; ჰაბიტატის პროდუქტიულობა; ნიადაგის ტიპი; ჰიდროლოგიური პირობები; ველური ბალახისმჭამელი ცხოველების ძოვების დონე; ტერიტორიის მართვის ისტორია და კონსერვაციის მიზნები. იმისათვის რომ ზეწოლა საძოვრებზე ზომიერი და შესაფერისი იყოს, საჭიროა ბალახის დაცვა პირუტყვის სიმჭიდროვესა და ძოვების პერიოდის ხანგრძლივობას შორის. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პირუტყვის გამოყენების დონე.
- *პიხუტყვის ტიპები, ჯიშები და კომბინირებული ძოვება.* პირუტყვის სხვადასხვა სახეობა სხვადასხვანაირად ძოვს, რაც განაპირობებს მათ შესაფერისობას კონკრეტული ჰაბიტატებისთვის. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არაშერჩევითია ძოვების თვალსაზრისით და, შესაბამისად, შეუძლია ბალახის უხვი სახეობების სუპრესია. ცხვარი უფრო შეეფერება ნუტრიენტებისადმი მგრძობიარე ჰაბიტატებს, ეროზიისადმი მიდრეკილ ტერიტორიებს, სადაც პირობები უფრო მშრალია და ბალახოვანი ეკოსისტემების პროდუქტიულობა დაბალია. როგორც წესი, ცხენი და პონი ნაკლებად გამოიყენება ცხვართან ან პირუტყვთან კომბინაციაში. თხისა და ცხვრის შერეული ფარა სარგებლის მომტანია ზოგიერთი ტიპის ჰაბიტატში, განსაკუთრებით იქ, სადაც შელახულია ბუჩქები. თუმცა, თხის შეყვანა მწყემსის გარეშე არ შეიძლება ჰაბიტატის მგრძობიარე ადგილებში. მძოველი ცხოველების კომბინაციის გამოყენებით შეიძლება შეიქმნას ბალახოვანი საფარის მრავალფეროვანი სტრუქტურა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფს სახეობათა ფართო სპექტრისთვის.
- *სეზონურობა და ვადები, ჰოგაციური ძოვება.* ზოგიერთ ალპურ და სუბალპურ მდელოზე, სეზონურობა მთაბარობის (საქონლის გადარეკვის) ტრადიციული რეჟიმების საფუძველია, რომლის დროსაც პირუტყვი ზაფხულში გორაკებზე ძოვს, ზამთარში კი ხეობის საძოვრებზე ეშვება. ძოვების სეზონურობა ვარირებს რეგიონების მიხედვით, ხოლო პროდუქტიულობამ და ნიადაგის პირობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მთელი წლის განმავლობაში ძოვებას, გარკვეულ სიმაღლეებზე და განედებზე არსებულ ჰაბიტატებში. მიუხედავად იმისა, რომ სეზონური ძოვების დადგენილ ფორმებს გრძელვადიანი კლიმატური პირობები განსაზღვრავს, მართვის დონეები საჭიროებს წლიდან წლამდე ადაპტირებას, ვინაიდან მრავალ ნახევრად ბუნებრივ ჰაბიტატში პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი რყევები ფიქსირდება, კლიმატური ცვალებადობის გამო. უწყვეტ ძოვებასთან შედარებით, ძირითადად უპირატესობა ენიჭება როტაციულ ძოვებას, რადგან ის უკეთ უზრუნველყოფს ჰეტეროგენულ

ჰაბიტატის ჩამოყალიბებას, ცალკეული უბნების გათელვითა და ნაკელით ჭარბი დაზიანების გარეშე. თუმცა, ეს ძვირი და შრომატევადია (საჭიროებს მწყემსვას ან ტერიტორიის შემოღობვას), რამაც შეიძლება შეამციროს მისი პრაქტიკულობა. როგორც აღინიშნა, უნდა მოიძებნოს ბალანსი ხანგრძლივი პერიოდით შედარებით დაბალინტენსიურ ძოვებასა და ხანმოკლე პერიოდით მაღალინტენსიურ ძოვებას შორის.

### **წვრილდება მესაქონლეობა**

მრავალი ჰაბიტატისთვის, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, საქონლის მწყემსვა კულტურული ტრადიციანია. კვალიფიციური მწყემსვა უზრუნველყოფს ექსტენსიურ ძოვებას ღია ჰაბიტატებში; ძოვების სეზონურობა და როტაცია ოპტიმალურ სიტუაციას ქმნის მცენარეთა მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, რაც სახარბიელოა როგორც პირუტყვისათვის, ასევე ბიომრავალფეროვნებისთვის. მწყემსები დიდ საძოვრებს სექტორებად ყოფენ და პირუტყვს მეტ-ნაკლებად ნოყიერ მცენარეულობას აძოვებენ, რითაც უზრუნველყოფენ ოპტიმალური ბალანსის დაცვას, კარგ საკვებ რაციონს და ენერჯის მინიმალურ დანახარჯს, ამავდროულად ინარჩუნებენ საძოვრებს და აკონტროლებენ ბუჩქნარს. ამგვარად, პირუტყვის მწყემსვას სარგებელი მოაქვს ბიომრავალფეროვნებისთვის, რადგან:

- აკონტროლებს ბუჩქნარსა და დაბალ ბუჩქნარს
- ინარჩუნებს ჰაბიტატის მობილურ სტრუქტურას და ჰაბიტატის კიდევს აკონტროლებს ტყის ხანძრებს
- ამცირებს ეროზიისა და გაუდაბნოების რისკს
- ეკოსისტემაში ქმნის ლეშის წყაროს
- ხელს უწყობს მცენარეთა თესლის გავრცელებას
- უზრუნველყოფს ნუტრიენტების გადანაწილებას და კონცენტრაციას

პასტორალური და სამთაბარო (საქონლის გადარეკვის) სისტემები, რომლებიც ღია საძოვრებზე სეზონურ ძოვებას უზრუნველყოფს, ახლა ფართო მასშტაბით არის მიტოვებული. ამ სისტემების მხარდამჭერი ინიციატივები მოიცავს სამწყემსო სკოლებს საფრანგეთსა და ესპანეთში.

### **ცხვრისა და პიხუცყვის ფაჩხში შეჩეკვა, საჩწყულებებისა და თავშესაფრების ადგილმდებარეობის განსაზღვრა**

ევროპის ზოგიერთ ადგილას მწყემსები მტაცებლებისგან დაცვის მიზნით ცხვარსა და პირუტყვს ღამით შემოღობილ ადგილებში ამყოფებენ. ამ პრაქტიკას, რომელსაც ფარეხში შეჩეკვას უწოდებენ, შეუძლია შექმნას ძოვების ძალიან მაღალი წნეხი მცირე ფართობზე, რაც გამოიწვევს ტერიტორიის გადაკორტნას და გადათელვას, ევტროფიკაციას და ნიადაგის თვისებების შეცვლას. ამას შეიძლება მოჰყვეს

დამახასიათებელი სახეობების რიცხოვნობის შემცირება და ხშირად უცხო სახეობების ინვაზია. ანალოგიურად, წყლის წყაროების და თავშესაფრის ადგილმდებარეობა გავლენას ახდენს პირუტყვის ქცევაზე, რაც პოტენციურად გამოიწვევს მსგავს პრობლემებს. ფარეხში შერევა არ არის რეკომენდებული ბუნებრივ ბალახოვან ეკოსისტემებში ან ნახევრად ბუნებრივ მშრალ ბალახოვან ეკოსისტემებში. თუმცა, ზოგიერთ ადგილას ეს შეიძლება იყოს დაშვებული იმ პირობით, რომ პირუტყვის ბინა ყოველდღიურად გაიწმინდება ან საქონლის სიმჭიდროვე და ძოვების პერიოდი შეიზღუდება.

### **კონგხოდიხებადი წვა**

ზოგიერთ ბუნებრივ და ნახევრად ბუნებრივ ბალახოვან ეკოსისტემას, ბუჩქნარებს, სადაც საქონელი ძოვს, შეიძლება დასჭირდეს ფრთხილი მართვა წვის პროცესის გამოყენებით, რათა არ გავრცელდეს მერქნიანი სახეობები (განსაკუთრებით არაადეკვატური ძოვების შემთხვევაში), შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა და გამოთავისუფლდეს საკვები ნივთიერებები. წვა ხელს უწყობს საკვები ნივთიერებების დაბალი დონის შენარჩუნებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ატმოსფერული დაბინძურების გამო, ნალექებს (წვიმას) მეტი ნუტრიენტები შეაქვს ნიადაგში, ვიდრე ბუნებრივად არის საჭირო. გაერთიანებულ სამეფოში, მაღალმთის დაბალ ბუჩქნარებში, მცირე ზომის ნაკვეთებზე ფართოდ გამოიყენება კონტროლირებადი წვა, მცენარეული საფარის სტრუქტურული მრავალფეროვნების გასაზრდელად, დომინანტური სახეობების ზრდის ყველა ფაზის შენარჩუნების ხარჯზე, რაც ხელს უწყობს უხერხემლოებისა და ფრინველების სიუხვეს და მრავალფეროვნებას. თუმცა, წვის ცუდი მართვა (მაგ., დიდი ტერიტორიების დაწვა, ძალიან ხშირად, მცენარეულობის არასწორი ტიპი ან ასაკი, ან წვა ტორფიან ნიადაგებზე) მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს.

ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, წვის პროცესების მართვა უნდა იყოს საგულდაგულოდ დაგეგმილი და კონტროლირებადი (განსაკუთრებით თუ არსებობს ცეცხლის უკონტროლო გავრცელების რისკი) და მკაცრად განხორციელდეს ეროვნული რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, რომელთა ნუსხა წარმოდგენილია წინამდებარე თავის დასასრულს.

### **თიბვა/თივის დამზადება**

მრავალ ნახევრად ბუნებრივ ბალახოვან ეკოსისტემას (მდელოს) თიბავენ თივის დასამზადებლად - ფურაჟისთვის, რომელსაც ინახავენ ზამთარში პირუტყვის გამოსაკვებად. ზოგიერთი ტიპის დაბალი პროდუქტიულობის მდელოები, ტრადიციულად გვიან ითიბება ცხოველთა საგებლად გამოყენებისათვის. თიბვა არაშერჩევითად ხდება, ამიტომ ის ხელს უწყობს ბალახისა და დაბალი მცენარეების ზრდას და ამცირებს მაღალ ბალახსა და მერქნიან მცენარეებს. მინდვრებიდან მოთიბული ბალახის აღება ხელს უწყობს საკვები ნივთიერებების დაბალი დონის ხანგრძლივად შენარჩუნებას, რაც ნახევრად ბუნებრივ მდელოებზე განაპირობებს მცენარეთა მრავალფეროვნებას და მცენარეული საფარისა და მასთან ასოცირებული უხერხემლო ცხოველების მაღალი კონსერვაციული ღირებულების შენარჩუნებას.

ვადები დასიხშირე. ზოგადად, სათიბები უნდა გაითიბოს მას შემდეგ, რაც ფრინველები დაასრულებენ ბარტყების გამოზრდას და მცენარეები თესლს წარმოქმნიან, დათესვის შემდეგ, როდესაც ბალახის სიმაღლე მიაღწევს დაახლოებით 50-120 სმ-ს. თიბვის ოპერაციები უნდა ვარირებდეს სივრცესა და დროში, რათა ჰაბიტატს ჰქონდეს მოზაიკური იერი. ამისათვის ტერიტორია (ჰაბიტატის 10-20%) არ უნდა მოითიბოს მთელი წლის განმავლობაში და ყოველწლიურად ხდებოდეს მოუთიბავი ნაკვეთების მონაცვლეობა (როტაცია) ან წლის განმავლობაში ყველა ნაკვეთი უნდა მოითიბოს, მაგრამ თითოეული - სხვადასხვა დროს. ბალახოვანი ეკოსისტემების როტაციული მართვის პროგრამა ხელს უწყობს სუკცესიის სხვადასხვა ეტაპების შენარჩუნებას და ზრდის სახეობებათა მრავალფეროვნებას. სათიბის ოპტიმალური სიხშირე იცვლება გარემოს ტიპებსა და ქვეტიპებს შორის და კონკრეტულ უბნებს შორის, ეს დამოკიდებულია, მაგალითად, კონსერვაციის მიზნებზე.

სათიბი ოპერაციები უნდა განსხვავდებოდეს დროისა და სივრცის მიხედვით, რათა შეიქმნას ჰაბიტატის მოზაიკა ან ტერიტორიების (ჰაბიტატის 10-20%) დატოვების გარეშე ერთი წლის განმავლობაში და ყოველწლიურად ნაკვეთების მონაცვლეობით, ან ყველა ნაკვეთის თიბვით წელიწადში სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა დროს. ბრუნვითი მდელოების მართვის პროგრამა ინარჩუნებს სხვადასხვა თანმიმდევრულ ეტაპებს, ზრდის სახეობების მრავალფეროვნებას. თიბვის ოპტიმალური სიხშირე ვარირებს სხვადასხვა უბნებზე არსებული ჰაბიტატების ტიპებისა და ქვეტიპების მიხედვით და დამოკიდებულია, მაგალითად, კონსერვაციის მიზნებზე.

- *მინდოხში გაშრობა და მოჭრილი ბიომასის მოცილება.* სათიბ მდელოებზე მოჭრილი თივა, სანამ აიღებენ და შეკრავენ, მინდორში უნდა დარჩეს გასაშრობად, რათა თესლი დაცვივდეს და მოყვავილე მცენარეები გამრავლდნენ. სხვა მოთიბული ჰაბიტატების უმრავლესობაში, აუცილებელია მოჭრილი თივის რაც შეიძლება სწრაფად აღება, რათა არ მოხდეს ნიადაგის საკვები ნივთიერებებით გამდიდრება და თივის ქვეშ დარჩენილი მცენარეული საფარის „მოხუთვა“.
- *სათიბი აღჭურვილობა და გექნიკა.* თიბვის ტრადიციული დაბალინტენსიური მეთოდები, როგორცაა თივის ჭრა, ცელით ჭრა, არაეკონომიური გახდა, მაგრამ მძიმე ტექნიკამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ჰაბიტატებს, განსაკუთრებით წყალუხვ ან ფხვიერ ნიადაგებზე, რომლებიც მგრძნობიარენი არიან ეროზიისა და დატკეპნის მიმართ. სველ ნიადაგზე ბალახი უნდა მოიჭრას ხელით ან სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით. მდელოს ფაუნის მანქანა-დანადგარებით პირდაპირი განადგურების შესამცირებლად, თიბვა უნდა მოხდეს მინდვრის ცენტრიდან კიდეებისკენ; ბალახი უნდა მოიჭრას არანაკლებ 10 სმ სიმაღლეზე; თიბვა უნდა დაიწყოს დილის 10 საათის შემდეგ; საჭრელი ხელსაწყო ნაკლებად დამაზიანებელი უნდა იყოს. თუმცა, ზოგიერთ რეგიონში, ტრადიციული მეთოდები მოითხოვს მოჭრას მოკლედ, ხავსის ფენის ზემოთ, და თიბვის ვადებიც შეიძლება განსხვავებული იყოს.
- *თიბვისა და ძოვების კომბინირება.* ზოგ ჰაბიტატში იყენებენ ძოვებას თიბვასთან ერთად კომბინაციაში ბალახის მოჭრის შემდეგ ჩვეულებრივ შემოდგომაზე ან ზამთარში მშრალ და რბილ ადგილებში, ძოვებამ შეიძლება განაპირობოს ჰაბიტატის მეტი ჰეტეროგენულობა და ბალახეულის მეტი მრავალფეროვნება,

ვიდრე მხოლოდ ბალახის ქრამ, რადგან ცხოველები უპირატესობას ანიჭებენ ნოყიერ ბალახს, და გადათელვა კინვეს მოშიშვლებული ნიადაგის ადგილების გაჩენას. ზოგიერთ შემთხვევაში, თიბვა შეიძლება გამოყენებული იყოს გადაძოვებით წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, განსაკუთრებით იმ ჰაბიტატების თავდაპირველი გასუფთავებისთვის, რომლებიც მჭიდროდაა დაფარული ბუჩქნარით.

- *ძოვების ჩანაცვლება თიბვით.* ეს არ არის რეკომენდებული, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები ეკოსისტემის შემადგენლობაში (Dover et al, 2011). თუმცა, ზოგიერთ ჰაბიტატში და ბალახოვანი ეკოსისტემის პეკლების მრავალი სახეობისთვის, მაგალითად, მეტად დაბალი ინტენსივობით ძოვებამ შეიძლება კარგად ჩაანაცვლოს თიბვა.

### **სასუქების გამოყენების შეზღუდვა ან აჩგამოყენება - ნაკელი და მინეხადუხი სასუქები**

თითქმის ვერც ერთი ტიპის მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემა ვერ იტანს ნიადაგის განაყოფიერებას სასუქებით, როგორც ტერიტორიის შიგნით, ასევე მის მიმდებარე ადგილებში. მრავალ მათგანზე უკვე უარყოფითად მოქმედებს ევტროფიკაცია. ამ ჰაბიტატების მართვისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სასუქის ნუტრიენტების ნიადაგში შეტანის, სასოფლო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებით ან საკვები ნივთიერებებით მდიდარი ზედაპირული წყლებით დატბორვისა და მძოველი პირუტყვის დამატებითი კვების თავის არიდებას.

ზოგადად, მდელოების სასუქით განოყიერება არ არის რეკომენდებული, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მანამდეც არ ხდებოდა სასუქის შეტანა. ზოგიერთი მდელოზე, ტრადიციულად, შეჰქონდათ მცირე რაოდენობის ნაკელი, რათა შეევესოთ თიბვით განპირობებული საკვები ნივთიერებების დანაკარგი ან ნიადაგი ნაყოფიერდებოდა პერიოდული დატბორვის შედეგად. ამ შემთხვევაში ნიადაგს ანაყოფიერებდა საკვები ნივთიერებებით მდიდარი ლექი. ამჟამად, მრავალი მდელო მიდრეკილია ევტროფიკაციისკენ. ამიტომ ნიადაგის განაყოფიერება მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული ან აკრძალული როგორც ჰაბიტატის შიგნით, ისე მის გარემომცველ ტერიტორიაზე. თუმცა, ზოგიერთი ტიპის მთიან და დაბლობის მდელოს, გარკვეულ პირობებში, შეიძლება სარგებელი მოუტანოს მცირე რაოდენობით სასუქის შეტანამ, პროდუქტიულობისა და სახეობათა მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით. ნიადაგის ნებისმიერ დონეზე განაყოფიერებამდე, გასათვალისწინებელია სახეობათა მრავალფეროვნებაზე გავლენა და ევტროფიკაციის შედეგები. ასეთ მდელოებზე, სახეობების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე მინიმალური საზიანო გავლენის დასადგენად, რეკომენდებულია მართვის ინტეგრირებული, მულტიტაქსონური მიდგომა.

### **აღგენის უფხო ინგენსიუხი ღონისძიებები, მათ შოხის ჰაბიტატის აღგენა**

იმ ადგილებში, სადაც აგრარული ჰაბიტატები დაზიანდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის ზენოლის შედეგად, შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი აღგენითი ღონისძიებების განხორციელება, ნატურა 2000-ის ძირითადი

ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის სახარბიელო სტატუსამდე მისაყვანად. აღდგენითი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს:

- *ნიადაგის გამდიდრების შეჩეხება (ხევეხსია) და მცენახეების ჰინგხოლუქცია.* იმ ადგილებში, სადაც ჰაბიტატები დაზიანებულია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გამო, მათ შორის დრენაჟითა და ნიადაგის განაყოფიერებით, საჭიროა ამ ჰაბიტატების აღდგენა ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებით, ნიადაგის განაყოფიერების შეჩერებით და, ზოგიერთ შემთხვევაში, საკვები ნივთიერებების მოცილებით. ეს შეიძლება მოიცავდეს საკვები ნივთიერებებით მდიდარი ნიადაგის ზედა ფენის მოცილებას ან მრავალწლიან კულტივაციას და იმ მცენარეების მოცილებას, რომლებიც ნუტრიენტებს დიდი რაოდენობით მოიხმარენ.
- *ხედახარი დათესვა, მცენახეთა სახეობივი მხავადფეხოვნების აღსადგენად.* ამის მიღწევა შესაძლებელია შესაფერისი ბალახოვანი ეკოსისტემებიდან შემოტანილი თივის მიმოხვევით (მწვანე ან მშრალი თივა) ან მცენარის ზოგიერთი კონკრეტული ჯიშის თესლის მოპოვებით და ზაფხულში შიშველ გრუნტზე დათესვით - სატკეპნის გამოყენებით ან სათესი ტექნიკით ბალახში დათესვით. ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს სათესი კვალის მომზადება მოხვნით ან დადისკვით.
- *ბუჩქნახის კონგხოდი.* მიტოვებული ან არასაკმარისად ნაძოვი ჰაბიტატების აღდგენა შესაძლებელია ბუჩქების მოცილებით, თიბვის და/ან ძოვების ხელახლა დაწყებამდე.
- *ინვაზიური სახეველებისა და უცხო სახეობების კონგხოდი.* ინვაზიური, არაადგილობრივი ბუჩქები და ხეები უნდა მოიჭრას, დარჩენილი კუნძები უნდა ამოიძირკვოს ან დამუშავდეს, რათა თავიდან არ აღმოცენდეს. სარეველა შეიძლება დაიფარცხოს, მოითიბოს ან კენწეროები მოეჭრას აყვავებამდე, მაგრამ არაფრინველების ბუდობის პერიოდში. ზამთრის ბოლოდან გაზაფხულის დასაწყისამდე ძოვება ხელს უწყობს ზოგიერთი მრავალწლოვანი სარეველის კონტროლს, ხოლო პირუტყვის მიერ ინტენსიური გადათელვა ხელს უწყობს ენერის გვიმრის კონტროლს (*Pteridium aquilinum*).
- *ხეების შენახჩუნება ცყიან საძოვებებზე: გადაბედვა, ხეების დაბადზე გადაბედვის კხაქცია (coppicing), გაახალგაზრდავება.* არასაკმარისად ნაძოვი და მიშვებული, გაბარდული ტყიანი საძოვრების ხელყოფამ, შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ხანდაზმულ ხეებზე (მსხვილ, ბებერ და ფულუროიან ხეებზე). მათ ირგვლივ მცენარეების ზრდა უნდა შემცირდეს. ზოგიერთი ხე შეიძლება დარჩეს მომწიფებამდე და გახლეჩამდე, რაც გაზრდის ჰაბიტატის სტრუქტურულ მრავალფეროვნებას. ესპანეთსა და პორტუგალიაში (დეჰეზა და მონტადო) საჭიროა მუხის ხეების აღდგენის დაცვა და ხელშეწყობა, ხელახლა დარგვის, ახალგაზრდა ხეების ძოვებისგან დაცვისა და ძოვების როტაციის გზით.

## პიქოლოგიური მახთვის აღდგენა

ზოგიერთი ნახევრად ბუნებრივი ძირითადი ჰაბიტატი გვხვდება ჭარბტენიან რეგიონებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია წყლის დონეების აწევა ან პერიოდული წყალდიდობა. ისინი დამოკიდებული არიან ისტორიული ჰიდროლოგიური რეჟიმების გაგრძელებაზე. ეს რეჟიმები ხშირად იცვლებოდა წყალდიდობის სამართავად, მიწის ალტერნატიული ფორმით გამოყენების ან განვითარების გამო. მართვის პროცესები, შეძლებისდაგვარად, უნდა მოიცავდეს ასეთი ცვლილებების აღდგენას. ჰიდროლოგიური რეჟიმების აღდგენის სტრატეგიები შემუშავებული უნდა იყოს ბუნებრივი ჰიდროლოგიური ფუნქციების მიბაძვით, მათ შორის წყლის რესურსების ერთი და იმავე წყაროს გამოყენებით.

- *პიქოლოგიური ეხთეულების მახთვა.* მართვა უნდა განხორციელდეს ცალკეული ჰიდროლოგიური ერთეულების დონეზე, თუ მათი იზოლირება შესაძლებელია, ასევე მთელი ჰიდროლოგიური სისტემის დონეზე. ამიტომ, ჰიდროლოგიური მართვა მოითხოვს სისტემის კარგ ცოდნას და უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება მიმდებარე ჰაბიტატებსა ან მიმდებარე ინფრასტრუქტურაზე.
- *ღენაჟის ჰევეხსია.* არსებული სადრენაჟო არხები შეიძლება დაიბლოკოს ხის, ლითონის ან პლასტმასის ფურცლების ჩახერგვით ან გაივსოს ნიადაგის და მცენარეული „საცობით“, წყლის რეტენციის მიზნით. დამატებითი დრენაჟი დაუშვებელია.
- *გხუნტის წყლების დონისა და რეჟიმების აღდგენა.* ზოგიერთი ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატი (განსაკუთრებით ტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები) მეტად მგრძობიარეა გრუნტის წყლების დონის ცვლილების მიმართ. წყლების დონე უნდა გაიზარდოს გრუნტის წყლების ამოღების შეჩერებით ან, თუ ეს შეუძლებელია, ამოსაღები წყლის რაოდენობისა და ამოღების პერიოდების შეზღუდვით. ზოგიერთ ტერიტორიაზე, მიწისქვეშა წყლების შევსება შესაძლებელია ჯებირების ან რაბების აშენებით წყლის შესანარჩუნებლად, თუმცა, ნაკლებად წყალშედნევადი ნიადაგების მქონე ჰაბიტატებში, წყლის არასასურველი სტაგნაციის ან არხების გადავსების რისკიც არსებობს.
- *დატბორვისა და მდინარის დონის ჰეგუდიხება.* ზოგიერთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატი (როგორცაა ალუვიური მდელოები) საკვები ნივთიერებებითა და სუბსტრატის მასალებით მომარაგების თვალსაზრისით, დატბორვაზეა დამოკიდებული. ზამთარში მდინარიანი დაბლობების დატბორვას დიდი მნიშვნელობა აქვს მოზამთრე წყალმცურავი ფრინველებისთვის (როგორცაა იხვები, ბატები და გედები) და ასევე მენაპირე ფრინველების გამრავლებისთვის შესაფერისი ჰაბიტატების შესაქმნელად. იმ ადგილებში, სადაც წყლის შეგუბება პრაქტიკულია, ზამთრის პერიოდში ტერიტორიების დატბორილ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს რაბები. სადაც ეს შეუძლებელია, მდინარის უფრო ბუნებრივი რეჟიმი უნდა აღდგეს სხვა საშუალებებით (Eriksson, 2008).

- სანაპიროს ჰიდროლოგია. სანაპირო ჰაბიტატები, მათ შორის მდელოები და დიუნების სისტემები, დამოკიდებულია მოქცევით, ტალღებითა და ქარით გამოწვეულ რეგულარულ შემფოთებებზე. მართულ გადანაწილებას, ანუ სანაპირო დაცვის მოხსნას ბუნებრივი სანაპირო დინამიკის აღსადგენად, შეუძლია ხელახლა შექმნას ღია ჰაბიტატი და აღადგინოს მისი დინამიკა, იმ პირობით, რომ სრულად იქნება გათვალისწინებული ყველა პოტენციური შედეგი (მაგ., ნალექების რეჟიმი, ეროზიის დონე სანაპიროზე). ხშირ შემთხვევაში, დამცავი საშუალებების სრული მოხსნა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი შეცვლა დატბორვის უფრო ბუნებრივი რეჟიმის აღსადგენად. მაგალითად, ზღვის კედლებს შეიძლება დაემატოს ნაკადის მარეგულირებელი არხები და რაბები მოქცევის კონტროლისათვის, რაც მნიშვნელოვანია სანაპიროს მდელოებისა და საძოვრებისთვის.

## 4.2 სახეობების მართვა

ძირითადი აგრარული სახეობების უმრავლესობისთვის სახარბიელო კონსერვაციის სტატუსის შენარჩუნებისა და აღდგენისთვის საჭირო ღონისძიებები იგივეა ან მსგავსია იმის, რაც წინა თავებში იყო აღწერილი ძირითადი აგრარული ჰაბიტატებისთვის. ძირითადი საკითხები მოიცავს ძოვების რეჟიმებსა და სეზონებს, თიბვის სწორად შერჩეულ ვადებს, წყლის დონის შენარჩუნებასა და დატბორვის რეჟიმებს ტენიან ბალახოვან ეკოსისტემებში, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებაზე უარის თქმას ან მკაცრ კონტროლს. თუ ჰაბიტატის მართვა მოითხოვს დანვის პროცესებს, საჭიროა მისი ფრთხილად დაგეგმვა და კონტროლი, იმ ფრინველების გამრავლების პერიოდების გათვალისწინებით, რომლებიც ბუდეებს მიწაზე იკეთებენ, აგრეთვე იმ პერიოდების გათვალისწინებით, როდესაც მცენარეები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ხანძრის მიმართ.

ეს რეკომენდაციები ვერ მოიცავს დამატებითი ქმედებების სრულ სპექტრს, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს ყველა ძირითადი აგრარული სახეობისთვის. თუმცა, ზოგიერთი განსაკუთრებით საზოგადო ან მნიშვნელოვანი აქტივობა სახეობათა კონსერვაციისთვის, არის შემდეგი:

- ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც დაკავშირებულია კვებასთან, გამრავლებასა და თავშესაფართან, ნებისმიერ სეზონზე და სახეობების გავრცელების არეალში, რაც შეიძლება მოითხოვდეს ჰაბიტატის სხვადასხვა ნაკვეთების მოზაიკურ სტრუქტურას.
- ჰაბიტატის გარკვეული მახასიათებლების შენარჩუნება, როგორცაა ცოცხალი ღობეები, ხეები, თხრილები და სხვ., როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.
- ზოგიერთი სახეობის განსაკუთრებული მოთხოვნები დამატებით კვებაზე, რომელიც ადვილად არ შეიცვლება (მაგ., ლეში სვავეებისთვის).
- სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის, მაგალითად, თიბვის და ძოვების სიმჭიდროვის და ვადების შეცვლა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს მოწყვლადი სახეობების სიკვდილიანობა და შემფოთება (მაგ.,

ფრინველების, რომლებიც მიწაზე ბუდობენ).

- უცხო სახეობების კონტროლი ან აღმოფხვრა, რომლებიც კონკურენციას უწევენ ან მტაცებლობენ კონსერვაციული მნიშვნელობის სახეობებზე.

კონსერვაციის ღონისძიებები მოითხოვს სახეობების ეკოლოგიის, მათი სასიცოცხლო ციკლის და ტერიტორიის სპეციფიკური პირობებისა და მოთხოვნების კარგ ცოდნას. აგროეკოლოგიური ღონისძიებები უნდა მოიცავდეს მორგებულ, ეფექტურ და შედეგიან ინტერვენციებს (იხ. თავი 6). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ინტერესის მრავალი სახეობა ასევე დამოკიდებულია ნატურა 2000-ის უბნებს მიღმა არსებულ ჰაბიტატებზეც.

### **სახნავ-სათეს მიწებზე მობინაჟი სახეობების დაცვის ძირითადი ღონისძიებები**

გადაშენების საფრთხის წინაშე ყველაზე მეტად მყოფი ზოგიერთი სახეობა, რომელთა ნუსხა მოცემულია ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებში, დამოკიდებულია სახნავი მიწების ექსტენსიურ მართვაზე. მართვის ძირითადი ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- დაბალი ინტენსივობის კულტივაცია: სასუქების მცირე რაოდენობით გამოყენება, ურწყავი მართვა ან მინიმალური მორწყვა, და დაბალპროდუქტიული გარემოსთვის შესაფერისი კულტურების ჯიშების გამოყენება;
- პესტიციდების გამოყენებაზე უარის თქმა;
- ღრმა ხვნის არდაშვება სახნავ-სათესი მიწების ქვიშიან ნიადაგებზე, სადაც *Pe-lobates fuscus* ბინადრობს, ან თიხნარ ნიადაგებზე, სადაც ზაზუნების სახეობები (*Cricetus cricetus* ან *Mesocricetus newtoni*) ბინადრობენ;
- საგაზაფხულო მარცვლეულის დათესვა და მოსავლის აღების შემდეგ, ნამჭის დიდხანს დატოვება, აგრეთვე ნაკვეთების ანეულად დატოვება (ნაკვეთების დასვენება);
- სახნავ-სათესი მიწების და ბალახოვანი ეკოსისტემების შერევა და მონაცვლეობა;
- კულტურებით დათესილი ნაკვეთები ან ზოლები ფურაჟის და/ან თავშესაფრისთვის, მაგ., მწვანე ფურაჟი, თესლი ფრინველებისთვის;
- მოსავლის აღების მეთოდის ადაპტირება სახეობის მოთხოვნილებებთან, როგორცაა გაუთიბავი ზოლების ან ნაკვეთების დატოვება თავშესაფრებად, სათიბელას (*cutterbar mower*) გამოყენება, სათიბელას ნინ ჯაჭვოვანი სათიბელას გამოყენება ცხოველების დასაფრთხობად, თივის კონდიციონებისთვის (ახლად მოჭრილი ბალახის დაქუცმაცება უფრო სწრაფად გასაშრობად) თავის არიდება;
- ღობეების მონიშვნა (მაგ. ამრეკლავი ფიგურებით) მსხვილი ფრინველების, მაგ.,

სავათის (Otis tarda) შეჯახების პრევენციისთვის;

- საბუდარი ნაკვეთების ან თავშესაფარი ზოლების შექმნა.

### **სახეობების კონსერვაციის ძირითადი ღონისძიებები ინტენსიუხად მახთვლ სასოფლო-სამეურნეო სავაჩგულებში**

ზოგიერთი ძირითადი სახეობა, განსაკუთრებით ბატები და სხვა წყლის ფრინველები, ასევე ჩვეულებრივი ზაზუნა, გვხვდება ინტენსიურად მართულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ამ სახეობების კონსერვაციის ზომები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და სპეციფიკური კონკრეტული სახეობებისთვის, მაგალითად:

- ხელუხლებელ (შეუშფოთებელ) ადგილებში, ბატებისა და წყლის სხვა ფრინველების მიერ გამოწვეული ზიანის მართვა (ძირითადად ზამთარში), მათთვის „მსხვერპლად შეწირული“ კულტურული მცენარეების ან მოსავლის ნარჩენების მიწოდებით (ფერმერებისთვის კომპენსაციის გადახდით).
- მობუდარი ფრინველების დაცვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან ბუდეების მონიშვნით.
- პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა უხერხემლოთა პოპულაციის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით ტერიტორიის საზღვრებში.
- გრუნტის წყლების დონის შენარჩუნების, ზამთარში დატბორვის, და/ან ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნების ხელშეწყობა, რათა ფრინველებმა ადვილად შეძლონ ნიადაგიდან საკვების მოპოვება.
- ზომების მიღება ჩვეულებრივი ზაზუნასთვის (*Cricetus cricetus*) – „მწვანე ფურაჟის“ მომცემი უბნების და „მსხვერპლად შესაწირი“ მარცვლოვნების ზოლების შენარჩუნება, ღრმა ხვანაზე უარის თქმა, რათა სოროები არ დაზიანდეს (იხ. ნიდერლანდების კვლევა E დანართში).

### **აგრაული ჰაბიტატების დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა სახეობებისთვის**

აგრარული ჰაბიტატები, როგორცაა ცოცხალი ღობეები, მშრალი ქვის კედლები, წყალსატევები და ტერასები, ექსტენსიურ სოფლის მეურნეობასთან ასოცირებული ძირითადი ჰაბიტატებია. ტრადიციულად მართული მრავალწლიანი კულტურები, მათ შორის ვენახები, ხეხილის ბაღები, ზეთისხილის კორომები და თხილის ნარგავები, მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია საზოგადოებრივი ინტერესის ფრინველების, ძუძუმწოვრების, ქვეწარმავლების, ამფიბიებისა და უხერხემლოების თანასაზოგადოებებისთვის. თავად კულტურული მცენარეები (განსაკუთრებით ბებერი ხეები), ისევე როგორც ექსტენსიურად ბალახოვანი ეკოსისტემები და სხვა ასოცირებული ჰაბიტატები, უზრუნველყოფენ ადგილებს ბუდობისა და კვებისათვის (იხ. იტალიის კვლევა E დანართში).

ძირითადი აგრარული ჰაბიტატები და მახასიათებლები, რომლებიც საჭიროებენ

დაცვასა და შენარჩუნებას, მოიცავს შემდეგს:

- ცოცხალი ღობეები, კორომები ან პატარა ტყეები, ცალკე მდგომი ხეები და ბუჩქები მინდვრებში - შეიძლება საჭირო გახდეს ძოვებისა და გაკორტნისაგან მათი დაცვა, გასხვლა ან სხვა მცენარეებით ჩანაცვლება.
- ხეები და ბუჩქები, რომლებსაც ტრადიციულად ბელავენ (coppicing), უნდა შენარჩუნდეს ტრადიციული მეთოდების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა დაირგოს, ჰაბიტატის უწყვეტად შენარჩუნების მიზნით; აგრარულ ტერიტორიებზე არსებული დიდი ძველი ხეები საჭიროებენ დაცვას - გულდასმით მართვასა და კონკურენტი მცენარეების მოშორებას, საჭიროების შემთხვევაში - გადარგვას.
- მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ტბორები და თხრილები რეგულარულად უნდა გაინმინდოს, გაკონტროლდეს მცენარეულობა, დაცული იყოს დაბინძურებისა და გამოშრობისგან; რეგულარულად უნდა შეიქმნას ახალი ტბორები.
- მშრალი ქვის კედლები და ქვის ტერასები - უნდა შენარჩუნდეს და დაცული იყოს.
- მინდვრის საზღვრები და ბუფერული ზოლები - უნდა მოითიბოს და არ უნდა იყოს გამოყენებული პესტიციდები და ჰერბიციდები.
- ხეხილის ბაღები, ზეთისხილის კორომები, თხილის ნარგავები ბებერი ხეებით, უნდა იყოს მოვლილი, უნდა მოხდეს მათი რეგულარული გასხვლა, ხელახლა გაშენება და არ უნდა იყოს გამოყენებული პესტიციდები.
- სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, სარდაფები და გამოქვაბულები - ღამურების, ფრინველების, ქვეწარმავლების და სხვ. გამოსაზამთრებელი (ჰიბერნაციის), დასაბუდებელი და გასამრავლებელი ადგილებია, და ეს ადგილები დაცული უნდა იყოს შემფოთებისაგან.

### **სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების და მეგაპოპულაციების შენარჩუნება**

ჰაბიტატის მონაკვეთები საკმარისად დიდი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შესანარჩუნებლად ან საკმარისი კავშირები უნდა არსებობდეს

მეტაპოპულაციების<sup>26</sup> მხარდასაჭერად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვილი სახეობებისთვის, რომლებსაც დიდი ფართობის ჰაბიტატები ესაჭიროებათ (როგორცაა მტაცებელი ფრინველები და მსხვილი ხორცისმჭამელი მტაცებლები), განსაკუთრებით ფრაგმენტირებულ ლანდშაფტებში. სახეობები, რომლებიც იშვიათია შესაფერისი ჰაბიტატის არარსებობის გამო, ყველაზე დიდ სარგებელს მიიღებენ შესაფერისი ჰაბიტატის აღდგენით და შესაბამისი მართვით. ასევე შეიძლება მათი რეინტროდუქცია იმ ადგილებში, საიდანაც გაქრნენ. მეორე მხრივ, საჭიროა იმ სახეობების კონსერვაცია, რომლებიც ძირითადად ბუნებრივი მიზეზების გამო იშვიათი. ამისათვის უნდა მოხდეს იმ ადგილების დაცვა, სადაც ისინი უკვე გვხვდება, მაგალითად, ბოტანიკურ „მიკრო ნაკრძალებში“.

თუ პოპულაციები არ არიან ხანგრძლივად სიცოცხლისუნარიანი, კონსერვაციის ძალისხმევა ფოკუსირებული უნდა იყოს სამიზნე ლოკაციებზე. შესაფერისი ჰაბიტატის ფართობი და/ან ხარისხი უნდა გაიზარდოს კავშირების გაძლიერებამდე. არსებული პოპულაციების ხანგრძლივად შენარჩუნებისთვის, შესაძლოა საჭირო გახდეს ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებების განხორციელება. იმ ადგილებში, სადაც კავშირების არსებობაა საჭირო, უნდა შეიქმნას „ქვის საფეხურები“ და უნდა დაიდლოს ძირითადი ბარიერები, როგორცაა გზები და რკინიგზა. ტყეები და სახნავი მიწები ასევე შეიძლება იყოს ეფექტური ბარიერები ბალახოვანი ეკოსისტემების სახეობებისთვის, ბალახიანი გახსნილი საზღვრები, გზისპირები და სარკინიგზო ლიანდაგები შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი დერეფნები, რომლებიც მეტაპოპულაციებს დააკავშირებს, თუ სათანადო მართვა მოხდება.

### 4.3 ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის დაგეგმვის ძირითადი ასპექტები

აგრარული ჰაბიტატების ეფექტური მართვა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

- **კონსერვაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადგილობრივი მიზნები** - იმისათვის, რომ ზომები იყოს ეფექტური, კონსერვაციის მიზნები თითოეული უბნისთვის უნდა იყოს ნათელი და გასაგები, რათა მართვის ღონისძიებები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ამ მიზნებთან. როდესაც მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, როგორც წესი, შესაძლებელია ამ მიზნების მისაღწევად მართვის შესაბამისი ქმედებების განსაზღვრა, რაც მათ პრაქტიკაში ეფექტურ გამოყენებას ბევრად უფრო გაამარტივებს (Poláková et al. 2011).

---

26 მეტაპოპულაცია არის ერთი სახეობის პოპულაციების ერთობლიობა, რომელიც არსებობს ფრაგმენტულ ლანდშაფტში და განაწილებულია ჰაბიტატის რამდენიმე ნაკვეთზე, რომლებიც დაკავშირებულია გაბნეული ინდივიდებით. დისპერსია დამოკიდებულია ნაკვეთებს შორის მანძილსა და ლანდშაფტების გარდამავალი ნაწილების ხარისხზე (ბარიერები, დერეფნები და სხვ.) და გავლენას ახდენს გადაშენების და რეკოლონიზაციის ადგილობრივ ტემპებზე, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მეტაპოპულაციის სიცოცხლისუნარიანობას.

- **ადგილობრივ პირობებზე მორგებული მართვა** - სასოფლო-სამეურნეო ინტერვენციები უნდა იყოს მორგებული და მიზანმიმართული, რათა იყოს ეფექტური. ოპტიმალური მართვა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ჰაბიტატის ქვეტიპებისა და სხვადასხვა უბნების მიხედვით. ეს დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ნიადაგი, მცენარეულობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, კლიმატი და მართვის ისტორია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კონკრეტული ადგილის მართვის ისტორია, რადგან ჰაბიტატები ხშირად ადაპტირდებიან ტრადიციულ რეჟიმებთან და დამოკიდებულია მათ გაგრძელებაზე.
- **საუკეთესო ცოდნა-გამოცდილების გამოყენება** - მართვის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონსერვაციული ცოდნა, ასევე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გამოცდილება. აუცილებელია **მართვის საუკეთესო მეთოდებიდან და სამეცნიერო მტკიცებულებებიდან სწავლა**, კონსერვაციის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ექსპერტებთან და მენეჯერებთან კონსულტაციებით. მნიშვნელოვანია **გავითვალისწინოთ ტრადიციული ცოდნა და პრაქტიკა**, თუ ისინი ეფექტურია ჰაბიტატის ხარისხის შესანარჩუნებლად.
- **აღდგენის ღონისძიებები** ხშირად საჭიროა სათანადო გრძელვადიანი მართვის დანერგვამდე.
- **კონსერვაციული კომპრომისები** შესაძლოა საჭირო გახდეს კონსერვაციული ღონისძიებების დაბალანსება და კონსერვაციის მიზნების მკაფიოდ დასახვა, ვინაიდან სხვადასხვა სახეობა განსხვავებულად რეაგირებს მართვის ღონისძიებებზე. მართვის შესაფერისმა სტრატეგიებმა ან უნდა მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს ყველა სახეობას ან უპირატესობა მიანიჭოს კონსერვაციის მიზნებით განსაზღვრულ მგრძნობიარე, ან პრიორიტეტულ სახეობებს.
- **ადაპტაციური მართვა და ინოვაცია** - კონკრეტული ადგილის მართვის ოპტიმალური სტრატეგიის დასადგენად, განსაკუთრებით ჰაბიტატის აღდგენისას, ხშირად საჭიროა ექსპერიმენტები. ეს მოითხოვს სათანადო ქმედებების ფრთხილად დაგეგმვას და მათი გავლენის ზედმინვნით მონიტორინგს, რათა საჭიროების შემთხვევაში სათანადო კორექტივები იყოს შეტანილი.
- **ჰაბიტატის მრავალფეროვნება და ჰეტეროგენურობა** - ზოგიერთი ძირითადი ჰაბიტატის რთული სტრუქტურა, ფუნდამენტს ქმნის სახეობრივი მრავალფეროვნებისთვის. ჰაბიტატების ჰეტეროგენურობის შენარჩუნებისათვის, ჰაბიტატის შიგნით მართვის ტიპი და ინტენსივობა უნდა ვარიირდეს და შენარჩუნებული უნდა იყოს მეურნეობის განაპირა ადგილებში არსებულ ჰაბიტატებში.
- **ჩარევები ლანდშაფტის დონეზე** - კონსერვაციული ღონისძიებების ეფექტურობას ამ ღონისძიებების მასშტაბი განაპირობებს. შესაფერისი ჰაბიტატის ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიანი ადგილების შენარჩუნების ან აღდგენისათვის, ან სახეობის მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი

პოპულაციების შენარჩუნებისათვის, საჭიროა კონსერვაციული ღონისძიებების საკმარისად დიდ ფართობზე განხორციელება.

## დამატებითი ინფორმაცია

D დანართი უფრო კონკრეტულად აღწერს მართვის ძირითად ღონისძიებებს I დანართის თითოეული ძირითადი ჰაბიტატის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის, რომლებიც აგრარულ მართვაზე დამოკიდებულია. ასევე წარმოდგენილია დამატებითი ლიტერატურა ჰაბიტატის მართვის რეკომენდაციებისა და გაიდლაინების შესახებ.

აგრარულ მართვაზე დამოკიდებული ზოგიერთი ტიპის ჰაბიტატის მართვის რეკომენდაციები მოცემულია ნატურა 2000-ის მართვის ევროკომისიის ვებგვერდზე [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/habitats/models\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/habitats/models_en.htm)

ნატურა 2000-ის ზოგიერთი სახეობის მართვის რეკომენდაციები მოცემულია ველური ბუნებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ინიციატივის ანგარიშებში (2007-2009), სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიძლება ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებით დაცული ველური ბუნების გარკვეული სახეობების კონსერვაციის ხელშეწყობა სოფლის განვითარების პროგრამებით. (2007-2013 წწ.).

[http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/best\\_practice\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/best_practice_en.htm) and

[http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/docs/species\\_report.pdf](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/management/docs/species_report.pdf)

ნატურა 2000-ის ცოდნის ბაზა გთავაზობთ წვდომას ჰაბიტატებისა და სახეობების მართვის გამოცდილებაზე, შესაბამის კონტაქტებზე, ფორუმზე დისკუსიისთვის, ასევე შესაბამის ღონისძიებებზე, დოკუმენტებსა და სიახლეებზე:

[http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/platform/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/platform/index_en.htm)

ევროკომისიის ნახევრად ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემების შესახებ ბიბლიოთეკა, ინფორმაციის მზარდი წყაროა:

[http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/calendar/index\\_pubs.htm](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/calendar/index_pubs.htm)

## 5. ერთიანი აგრარული პოლიტიკა (ესსპ) და დაფინანსების სხვა წყაროები ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემებისათვის

### ჩას ეხება წინამდებარე თავი?

წინამდებარე თავში აღწერილია სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის ყველაზე რელევანტური ღონისძიებები ნატურა 2000-ის უბნებში, ერთიანი აგრარული პოლიტიკის (ესსპ) ფარგლებში. აქ წარმოდგენილი მიმოხილვა ეფუძნება წევრი ქვეყნების მიერ ესსპ-ის ღონისძიებების გამოყენების მტკიცებულებებს 2007 - 2013 წლებში და განსაზღვრავს დაფინანსების ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს 2014 წლიდან, ესსპ-ის უკანასკნელი შესწორებების ფარგლებში განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

აქ განხილული პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავს დაფინანსების შესაძლებლობებს ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებულ ღონისძიებების ფარგლებში, ასევე ევროკავშირის სხვა მნიშვნელოვანი ფონდებიდან, როგორცაა სტრუქტურული ფონდები და LIFE ინსტრუმენტი. ეს თავი ასევე განიხილავს ბაზარზე დაფუძნებული მიდგომების პოტენციალს ნატურა 2000-ის მართვის მხარდასაჭერად, მაგალითად, გადახდებს გარემოსდაცვითი სერვისებისთვის და აკრედიტაციისა და ნიშანდების სქემებს.

### 5.1 ევროკავშირის დაფინანსება ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის

ამ განყოფილებაში შეჯამებულია ძირითადი პოლიტიკა და ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო სისტემებისა და აგრარული მართვის შენარჩუნების ან აღდგენისთვის, რომლებიც საჭიროა ნატურა 2000-ის უბნებისა და სახეობების კონსერვაციისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანია ერთიანი აგრარული პოლიტიკის ორი ფონდი, ევროპის სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდი (EAGF), რომელიც აფინანსებს ესსპ-ის პირველ კომპონენტს და სოფლის განვითარების ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი (EAFRD), რომელიც აფინანსებს სოფლის განვითარებას ესსპ-ის მე-2 კომპონენტის ფარგლებში. ესსპ-ის და სტრუქტურული ფონდების რეფორმის მიზანია გააუმჯობესოს ევროკავშირის მიერ გასაწევი ხარჯების კომპლემენტარობა, კოორდინაცია და დამატებითი ღირებულება. 2014 წლიდან წევრ ქვეყნებს მოუწევთ იმის დემონსტრირება, თუ როგორ აპირებენ ამის გაკეთებას 2014-2020 წლების ხარჯვითი პროგრამების დამტკიცებამდე.

ზოგადი დებულებების რეგულაცია<sup>27</sup> პირველად შემოაქვს საერთო მიზნებისა და

27 2013 წლის 17 დეკემბრი რეგულაცია (EU) No 1303/2013

ნესების ერთობლიობა ევროკავშირის ხუთი ფონდისთვის<sup>28</sup>, რომლებიც ადრე ცალ-ცალკე იმართებოდა, მათ შორის EAFRD-სა და სტრუქტურული ფონდებისთვის. მათ კონკრეტულ მიზნებთან ერთად, თითოეული ეს ფონდი ახლა დააფინანსებს თერთმეტ თემატურ მიზანს, მათ შორის „გარემოს შენარჩუნებასა და დაცვას და რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებას<sup>29</sup>“. თითოეულმა წევრმა ქვეყანამ უნდა დადოს პარტნიორობის შეთანხმება (PA) რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი, თუ როგორ აპირებს ხუთი ფონდის გამოყენებას 2014-2020 წლებში და პარტნიორობის შეთანხმება ევროკომისიას წარუდგინოს დასამტკიცებლად. ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ თუ ამ ხუთი ფონდის დაფინანსების ფარგლებში, პარტნიორობის ხელშეკრულებაში არ იქნება გათვალისწინებული ნატურა 2000-ის მხარდაჭერა, თითოეული ფონდისთვის მნიშვნელოვნად შემცირდება კომისიის მიერ მისი დამტკიცების ალბათობა 2014-2020 წლების შესაბამის პროგრამებში. 5.1 ცხრილში წარმოდგენილია ევროკავშირის დაფინანსების ძირითადი წყაროები ნატურა 2000 აგრარული ფართობების მართვისთვის და ევროკავშირის ძირითადი კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს ამ სახსრების გამოყენებას წევრი ქვეყნების მიერ.

**ცხიდი 5.1. ევროკავშირის ფონდები, რომლებსაც შეუძლიათ ნატურა 2000 აგიახუდი ფართობების მართვის მხარდაჭერა**

ევროკავშირის ფონდი	ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვასთან შესაბამისობა
<p><b>ესსპ-ის მეორე კომპონენტი ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის (EAFRD)</b></p>	<p>დაფინანსების მთავარი წყარო, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ნატურა 2000 სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსერვაციული მართვისა და ნატურა 2000-ის აგრარული სისტემებისა და მათთან დაკავშირებული ადგილობრივი თემების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად.</p>
<p><b>ესსპ-ის პირველი კომპონენტი ევროპის სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდი (EAGF)</b></p>	<p>სხვადასხვა პირდაპირი გადახდების მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც შეიძლება დაეხმაროს ნატურა 2000-ის დაბალინტენსიურ მეურნეობებს და აგრარული სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, ინტენსიფიკაციით ან მიტოვებით გამოწვეული ეკონომიკური ზეწოლის პირობებში.</p>

28 ხუთი ფონდი, რომელიც ერთობლივად ცნობილია ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო (ESI) ფონდების სახელწოდებით: ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF), კოჰეზიური ფონდი (CF), ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისთვის (EAFRD) და ევროპის საზღვაო და თევზჭერის ფონდი (EMFF).

29 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1303/2013 მე-9 მუხლი

<p><b>ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF)</b>  <b>ევროპის სოციალური ფონდი (ESF)</b>  <b>კოკეზიური ფონდი (CF)</b></p>	<p>დაფინანსება რელევანტური უნდა იყოს რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო ფართო კონტექსტში. შესაბამისი მიზნები მოიცავს გარემოს შენარჩუნებას და დაცვას და რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებას, მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ინოვაციებს, სამუშაო ადგილების შექმნას და ეკოლოგიური მდგრადობის ხელშეწყობას, სოციალური ინკლუზიურობის, განათლებისა და ტრენინგების ხელშეწყობას.</p>
<p><b>LIFE</b></p>	<p>მნიშვნელოვანი დაფინანსება სავარგულების მართვის ინოვაციური და სადემონსტრაციო პროექტებისთვის, მაგრამ ის არ არის მართვის ღონისძიებების მუდმივი დაფინანსების წყარო. LIFE უაღრესად შერჩევითია და მხოლოდ იმ აქტივობებს აფინანსებს, რომლებსაც ევროკავშირის სხვა ფონდები არ აფინანსებენ.</p>
<p><b>ევროკავშირის ძირითადი რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს ამ სახსრების გამოყენებას:</b></p> <p><b>პირდაპირი გადახდები:</b> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No1307/2013, რომელიც ადგენს ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების წესებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მხარდაჭერის სქემებში და აუქმებს საბჭოს რეგულაციას (EEC) No637/.2008 და საბჭოს რეგულაციას (EC) No73/2009 (2013) OJ L347/608, 20.12.2013 წ.</p> <p>კომისიის 2014 წლის 11 მარტის დელეგირებული რეგულაცია (EU) No 639/2014, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციას (EU) No1307/2013, რომელიც ადგენს ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების წესებს მხარდაჭერის სქემებით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფარგლებში და შესწორება შეაქვს ამ დებულების დანართში X (2014 წ.) OJ L181/1, 20.06.2014წ.</p> <p>ევროკომისიის 2014 წლის 16 ივნისის დანერგვის რეგულაცია (EU) No 641/2014, ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) No1307/2013 გამოყენების წესების შესახებ, რომელიც ადგენს ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების წესებს მხარდაჭერის სქემებით, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფარგლებში (2014) OJ L181/74, 06/20/2014</p> <p><b>პორიზონტალური:</b> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No1306/2013 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დაფინანსების, მართვისა და მონიტორინგის შესახებ და საბჭოს რეგულაციების (EEC) No 352/78, (EC) No. 165/94, (EC) No. 2799/98, (EC) No. 814/2000, (EC) No. 1290/2005 და (EC) No. 485/2008 (2013) OJ L347/549, გაუქმების შესახებ, 20.12.2013.</p>	

**ზოგადი დებულებები:** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No1303/2013, რომელიც ადგენს საერთო წესებს ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის, ევროპის სოციალური ფონდის, კოჰეზიური ფონდის, ევროპის სოფლის განვითარების ფონდისა და ევროპის საზღვაო და თევზჭერის ფონდისთვის, აგრეთვე ადგენს ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის, ევროპის სოციალური ფონდის, კოჰეზიის ფონდისა და ევროპის საზღვაო და თევზჭერის ფონდის ძირითად დებულებებს და აუქმებს საბჭოს რეგულაციას (EC) No1083/2006 (2013) OJ L347/320, 20.12.2013 წ.

**EAFRD:** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No. 1305/2013 სოფლის განვითარების ევროპული სოფლის მეურნეობის ფონდის (EAFRD) მიერ სოფლის განვითარების მხარდაჭერის შესახებ და საბჭოს რეგულაციის (EU) No1698 გაუქმების შესახებ. /2005 (2013) OJ L347 /487, 12/20/2013.

**გარდამავალი დებულებები:** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No1310/2013, რომელიც ადგენს გარკვეულ გარდამავალ დებულებებს სოფლის განვითარების მხარდაჭერის შესახებ სოფლის განვითარების ევროპული სოფლის მეურნეობის ფონდის (EAFRD) მიერ, რომელიც ცვლის რეგულაციას (EU) ევროპარლამენტისა და საბჭოს No 1305/2013 რესურსებთან და მათ განაწილებასთან დაკავშირებით 2014 წლისთვის და ცვლის საბჭოს რეგულაციას (EC) No73/2009 და ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციებს (EU) No 1307/2013, (EU) No1306 /2013 და (EU) No 1308/2013, 2014 წელს მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

**EFRD:** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No 1299/2013 ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერის კონკრეტული დებულებების შესახებ, ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობის მიზნის ფარგლებში. (2013) OJ L347/259, 12/20/2013.

**LIFE:** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის რეგულაცია (EU) No1293/2013, რომელიც ადგენს გარემოსა და კლიმატის სამოქმედო პროგრამას (LIFE) და აუქმებს რეგულაციას (EC) No 614/2007 (2013) OJ L347/185, 20/12/2013.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ამ რეგულაციების სხვა დეტალური წესები ჩამოყალიბდება დელეგირებულ აქტებში და დანერგვის აქტებში, რომლებიც გამოქვეყნდება მოგვიანებით, 2014 წელს.

არსებული სახსრების გამოყოფისა და გამოყენების დონის გაზრდა (აღწერილია 3.3 ნაწილში), ნატურა 2000-ის დაფინანსების დეფიციტის შესავსებად, დიდწილად დამოკიდებულია 2014 წელს წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ესსპ-ის ორივე კომპონენტის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსების პრიორიტეტების განსაზღვრასა და განაწილებასთან დაკავშირებით.

პროგრამირების ახალი ინსტრუმენტები წევრ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს უზრუნველყონ ნატურა 2000-ის სოფლის აგრარული ფართობების მართვის

გაუმჯობესებული მხარდაჭერა დაფინანსების ძირითადი პროგრამებით, განსაკუთრებით ესსპ-ის ფარგლებში, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ევროკავშირის დაფინანსების მრავალი სხვა კონკურენტული პრიორიტეტის გათვალისწინებით. თავდაპირველად საჭიროა ნატურა 2000-ის დაფინანსების საჭიროებების სტრატეგიული დაგეგმვა და აქტივობების კოორდინაცია დაფინანსების სხვადასხვა წყაროების ფარგლებში და მათ შორის. წევრი ქვეყნების პრიორიტეტიზებული სამოქმედო ჩარჩო-პირობები განსაზღვრავს ნატურა 2000-ის კონსერვაციის სტრატეგიულ პრიორიტეტებს 2014–2020 წლებისთვის და ქმნის საფუძველს ამ პრიორიტეტების განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების ტიპის, მასშტაბისა და წყაროების გაანგარიშებისა და განსაზღვრისათვის (იხ. განყოფილება 3.3). ნატურა 2000-ის ხელმძღვანელობის სურვილია, რომ მათი ინტერესები ასახული იყოს როგორც კომისიისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პარტნიორობის შეთანხმებაში, ასევე პარტნიორობის ფარგლებში შემდგომ საქმიანობაში.

## **5.2 ესსპ-ის კორექტირებული ვერსია, როგორც ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების დაფინანსების ძირითადი წყარო 2014 წლიდან**

ესსპ-ის ორი კომპონენტი განსხვავდება დაფინანსების, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. პირველი კომპონენტი მთლიანად ფინანსდება EA-GF-ის მიერ და უზრუნველყოფს ფერმერებისთვის პირდაპირ გადახდებს (ასევე აფინანსებს სხვა ღონისძიებებს, როგორცაა ბაზარზე ინტერვენციები და ექსპორტის რეფინანსირება). მეორე კომპონენტი თანადაფინანსებულია EAFRD-ისა და წევრი ქვეყნების მიერ და ითვალისწინებს ღონისძიებების ფართო სპექტრს ფერმერების, მიწათმომწეობებისა და სოფლის თემების მხარდასაჭერად, რომლებიც ხორციელდება ეროვნული ან რეგიონული ადმინისტრაციების მიერ მომზადებული სოფლის განვითარების მრავალწლიანი პროგრამებით (RDP). ახალ რეგულაციებს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ნატურა 2000-ის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერასთან ესსპ-ის ორივე კომპონენტის ფარგლებში.

### **ცვლილებები ესსპ-ის პიხვედ კომპონენტში, ფეხმეხებისათვის გასაწევ გადახდებთან დაკავშირებით, მათი შემოსავლების მხარდაჭეხის მიზნით**

პირველი კომპონენტის ორიენტირად კვლავ რჩება ფერმერებისთვის „წარმოებაზე არადაამოკიდებული“ სუბსიდიების უზრუნველყოფა, თუმცა ნატურა 2000-თან დაკავშირებული გადახდების სტრუქტურა და დიაპაზონი მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ახალი კანონმდებლობის<sup>30</sup> თანახმად, წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ შემოიღონ ტერიტორიებზე (ფართობებზე) დაფუძნებული გადახდები:

- **საბაზისო გადახდის სქემა (BPS)**, რომელიც ჩაანაცვლებს ერთიანი გადახდის სქემას (SPS) 2015 წლიდან (თუმცა წევრ ქვეყნებს, რომლებიც იყენებენ ერთიანი

30 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No 1307/2013

გადახდის სქემას, შეუძლიათ ასე გააგრძელონ 2020 წლამდე);

- გადახდები კლიმატისა და გარემოსთვის სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამოყენებისათვის (მწვანე გადახდები);
- დამატებითი **გადახდები ახალგაზრდა ფერმერებისთვის.**

წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ფერმერებს შესთავაზონ სამი სხვადასხვა ტიპის გადახდები:

- დამატებითი გადახდები ფერმერებისთვის იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი **ბუნებრივ წინააღმდეგობებს აწყდებიან**, და
- დამატებითი **დაკავშირებული** გადახდები იქ, „**სადაც მეურნეობის გარკვეული ტიპები ან კონკრეტული აგრარული სექტორები, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ეკონომიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზეზების გამო, განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან**“, ან
- გამარტივებული გადახდები მცირე ფერმერებისთვის, პირველი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

ყველა ეს გადახდა დაფუძნებული იქნება ფართობზე, გარდა „დაკავშირებული“ გადახდებისა, რომელიც შეიძლება დაფუძნებული იყოს გარკვეულ ფართობზე, მოსავლის მოცულობაზე ან ცხოველების რაოდენობაზე. წევრ ქვეყნებს, რომლებიც ამჟამად იყენებენ SPS-ს, მოუწევთ ცალკეულ ფერმებზე დაფუძნებული „ისტორიული“ გადახდებიდან (რომლებიც დაფუძნებული იყო მოცემულ საანგარიშო წელში მიღებულ სუბსიდიებზე), 2019 წლიდან გადავიდნენ ფიქსირებულ BPS გადასახადებზე ჰექტრების მიხედვით. ეს გავლენას მოახდენს ევროკავშირის 15 წევრი ქვეყნის უმრავლესობაზე, რომლებიც დღემდე იყენებენ SPS-ს და აუცილებლად გამოიწვევს ფერმერებს შორის გადახდების გარკვეულ გადანაწილებას. გადახდის განაკვეთი შეიძლება განისაზღვროს ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე და რეგიონებისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მათ შორის, „აგრონომიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების, რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის, ან ინსტიტუციური, ან ადმინისტრაციული სტრუქტურის“<sup>31</sup> გათვალისწინებით. პირველი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების მიღებას შეძლებენ მხოლოდ „აქტიური ფერმერები“, რომლებიც ეწევიან „სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას“, თუ მათი სამეურნეო საქმიანობისას „სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე ბუნებრივად არის შენარჩუნებული ძოვების ან კულტივირებისთვის შესაფერისი პირობები“, როგორც ამას აკეთებენ ნატურა 2000-ის ფერმერები. მათ მიერ გადახდების მიღების უფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავენ წევრი ქვეყნები „მინიმალურ აქტივობას“ და „მრავალწლიან ბალახოვან ეკოსისტემას“, კომისიის მიერ დადგენილ ფარგლებში<sup>32</sup>.

31 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 23-ე მუხლი

32 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 მე-4 და მე-9 მუხლები

## ცვლილებები მე-2 კომპონენტში - ახალი თემატიკის სტრუქტურა 2014-2020 წლების სოფლის განვითარების პროგრამებისთვის (RDPs)

მე-2 კომპონენტის ფარგლებში, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ძირითადად ეხება რეგულაციის არქიტექტურას და, შესაბამისად, 2014-2020 წლების სოფლის განვითარების პროგრამების (RDPs) სტრუქტურას. სამი ღერძი, რომელიც ახასიათებდა სოფლის განვითარების წინა პოლიტიკას, ამოღებულია და ნევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ზომის კომბინაცია EAFRD-ის ექვსი პრიორიტეტის განსახორციელებლად, რაც ასახავს ESI-ის ხუთი ფონდის, მათ შორის EAFRD-ის, საერთო თემატურ მიზნებს. ეს პრიორიტეტებია:

1. „სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში და სოფლად არსებული ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების სტიმულირება“;
2. „მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობისა და ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ყველა რეგიონში, ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა“;
3. „სურსათის მიწოდების ჯაჭვის ხელშეწყობა, აგრარული პროდუქციის გადამუშავებისა და მარკეტინგის, ცხოველთა კეთილდღეობისა და რისკების მართვის ჩათვლით“;
4. „სოფლის მეურნეობასთან და სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, კონსერვაცია და გაუმჯობესება“;
5. „რესურსების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა, ნახშირბადის ემისიის შემცირებაზე ორიენტირებულ და კლიმატგონივრულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის, სასურსათო და სატყეო მეურნეობის სექტორებში“; და
6. „სოციალური ინკლუზიურობის, სიღარიბის დაძლევისა და სოფლად ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“.

თითოეული პრიორიტეტი შემდგომში განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. რეგულაცია გვთავაზობს სოფლის განვითარების პროგრამის საორიენტაციო ღონისძიებათა ნუსხას ექვსი პრიორიტეტისთვის. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ეკოსისტემებისთვის არსებობს პრიორიტეტების სამი ძირითადი მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთია „ბიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და გაუმჯობესება, მათ შორის, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ბუნებრივი ან სხვა სპეციფიკური შეზღუდვების წინაშე იმყოფებიან. ასევე მაღალი ბუნებრივი ღირებულების სოფლის მეურნეობა და ევროპის ლანდშაფტების მდგომარეობა<sup>33</sup>“. გარდა ამისა, თითოეულმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის სამი ურთიერთგადაფარვადი მიზნის შესრულებას.

ნევრ ქვეყნებს შეუძლიათ შეადგინონ თემატური ქვეპროგრამები ქვეყნის ან რეგიონულ კონტექსტში არსებული სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად -

33 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მე-5 მუხლი და VI დანართი

სოფლის განვითარების ეფექტური მინი პროგრამები ძირითადი პროგრამის ფარგლებში. თემატური ქვეპროგრამები შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი ხელისუფლების, რეგიონული განვითარების სააგენტოების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ბენეფიციარებს შეიძლება შესთავაზონ უფრო მაღალი გადახდები. თემატური ქვეპროგრამების ზოგიერთი პოტენციური თემატიკა<sup>34</sup> შეიძლება იყოს ახალგაზრდა ფერმერების, მცირე მეურნეობების, მთიანი ტერიტორიების, მიწოდების მოკლე ჯაჭვების მოთხოვნები, ასევე კლიმატის შერბილება და ადაპტაცია, ასევე ბიომრავალფეროვნება. შერბილება და ადაპტაცია განსაზღვრულია, როგორც პოტენციური საკითხები.

სხვა ცვლილებები ნატურა 2000-ის ფერმერებისთვის მოიცავს ერთობლივი საქმიანობის სარგებლიანობის აღიარებას გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული თვალსაზრისით, განსაკუთრებით ლანდშაფტის დონეზე, ასევე მიწოდების მთელ ჯაჭვში თანამშრომლობის სარგებლიანობის აღიარებას. გარდა ამისა, ყურადღება მნიშვნელოვნად გამახვილებულია ინოვაციებზე, გარემოს დაცვაზე, მათ შორის „ნატურა 2000-ის ტერიტორიების სპეციფიკურ საჭიროებებზე“<sup>35</sup> და კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილება და ადაპტაციაზე. ნატურა 2000-ის კომპენსაციური ზომების ფარგლები გაფართოვდა, რათა მოიცვას სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ფართობები სხვა გარემოსდაცვით ზონებში, სადაც არსებობს გარემოსდაცვითი შეზღუდვები, რაც ხელს შეუწყობს ჰაბიტატებს შორის კავშირის გაუმჯობესებას (ჰაბიტატების დირექტივის მე-10 მუხლი).

### **პოტენციური სინეჩგია ესსპ-ის პიხვედ და მეოხე კომპონენტებს შოხის, ნაგუხა 2000-ის ფეხმეხების მხახდასაჭეხად**

ესსპ-ის ორი კომპონენტი სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებს. მეურნეობის დონეზე მათ შორის არსებული პოტენციური სინერგია გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემების და კონსერვაციული მართვის პრაქტიკების მხარდასაჭერად. ახალი კანონმდებლობა ხაზს უსვამს ასეთი სინერგიის უპირატესობის გამოყენების აუცილებლობას.<sup>36</sup> ექსტენსიურად მართულ ტერიტორიაზე, ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატებით, ესსპ-ის მეორე კომპონენტით განსაზღვრულ აგრო-გარემოსდაცვით გადახდებთან ერთად, ხშირად საჭირო ხდება პირველი კომპონენტით დადგენილი გადახდების განხორციელებაც (Oñate et al, 2007; Poláková et al, 2011).

მე-2 კომპონენტი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დაფინანსების მთავარი წყარო იყო სოფლის მეურნეობის დაცული ტერიტორიების სპეციფიკური მართვისთვის, მაგრამ ნატურა 2000-ის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მასშტაბი და მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვნად განსხვავებულია წევრ ქვეყნებში. 2014-2020 წლების განმავლობაში, ასეთი დაფინანსება უფრო მეტად გაუნევეს კონკურენციას სოფლის

34 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მე-7, მე-8 და 66-ე მუხლები და IV დანართი

35 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 8 (1) c (iv)

36 ერთიანი სტრატეგიული ჩარჩო, პარაგრაფი 4.2 (1), 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1303/2013 დანართი I

განვითარების სხვა პრიორიტეტებს წევრი ქვეყნებისა და რეგიონების დონეზე. ახლა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია შეიქმნას ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მხარდაჭერის თანმიმდევრული (კოჰერენტული) პაკეტი, ორივე კომპონენტით გათვალისწინებული დაფინანსების გამოყენებით, რათა გარანტირებული იყოს საკმარისი მხარდაჭერა ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემებისა და მაღალი ბუნებრივი ღირებულების ფერმერული სისტემებისათვის.

### 5.3 ესსპ-ის გადახდების გარემოსდაცვითი საკონტროლო დონე

#### უხითიხთგადაფაჰვადი და სხვა მოთხოვნები

„საკონტროლო დონის“ კონცეფცია გამოიყენება ფერმერებისათვის გასაწევი გადახდებისთვის, ესსპ-ის ორივე კომპონენტის ფარგლებში. ეს არის ხარჯების განაწილების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს გამყოფ ხაზს გარემოსდაცვითი მოთხოვნების დონეებს შორის: პირველი, რომელიც ფერმერმა უნდა დააკმაყოფილოს საკუთარი ხარჯებით და მეორე, გარემოსდაცვითი მართვის მაღალ დონეს შორის, რომლისთვისაც ფერმერებს გადაუხდიან, მაგალითად, აგრო-გარემოსდაცვითი სქემების შესაბამისად.

ეკოლოგიური საკონტროლო დონე, ტერიტორიის ფართობზე დაფუძნებული ესსპ-ის ყველა გადახდისათვის, ეხება:

- მართვის სათანადო სავალდებულო მოთხოვნებს (SMR), მაგალითად, ჰაბიტატების ან ფრინველების დირექტივების იმ ნაწილების მიხედვით, რომლებიც ეხება ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვას მეურნეობის დონეზე;
- სანიმუშო აგრარული და ეკოლოგიური პირობების (GAEC) სტანდარტებს, როგორც ეს განსაზღვრულია წევრი ქვეყნების მიერ ევროკავშირის ერთიანი ჩარჩო-პირობების ფარგლებში;
- სხვა ეროვნულ ან რეგიონულ რეგულაციებს, რომლებიც გამოიყენება მეურნეობის დონეზე, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ფერმერი ესსპ-ის გადახდებს.

გარდა ამისა, აგროეკოლოგიურ-კლიმატური და ტერიტორიის ფართობზე დაფუძნებული EAFRD-ის სხვა გადახდების შემთხვევაში, საკონტროლო დონე ეხება:

- „სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის“ ფარგლებში დადგენილ შესაბამის კრიტერიუმებს (რეგულაცია (EU) No1307/2013-ის მუხლი 4(1)(c) და 4(2)).
- (მხოლოდ მათთვის, ვინც იღებს გადახდებს აგრო-ეკოლოგიურ-კლიმატური და ორგანული მეურნეობისათვის) მოთხოვნებს სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააკონკრეტონ სოფლის განვითარების პროგრამაში (RDP).

პირველი კომპონენტის მიხედვით, პირდაპირი „მწვანე“ გადახდების მოთხოვნები გამოიყენება აგრო-ეკოლოგიურ-კლიმატური სქემების პრემიების გაანგარიშებისას,

რათა ადგილი არ ჰქონდეს აგრო-ეკოლოგიურ-კლიმატური ვალდებულებების ორმაგ დაფინანსებას, რომლებიც ფინანსდებიან აგრო-ეკოლოგიური გადახდებით და თავისი ბუნებით შეესაბამებიან რეგულაცია (EU) No 1307/2013-ს 43-ე მუხლში მითითებულ პრაქტიკებს (სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, რომელიც სასარგებლოა კლიმატისა და გარემოსთვის), რომელიც ექვემდებარება „მწვანე“ გადახდებს პირველი კომპონენტის ფარგლებში.

წევრმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ GAEC-ის საკუთარი, შემოწმებადი სტანდარტები სასოფლო-სამეურნეო მიწებისთვის, ახალი საერთო ჩარჩო-პირობების ფარგლებში და ამავდროულად უნდა გაითვალისწინონ „ტერიტორიების სპეციფიკური მახასიათებლები, მათ შორის ნიადაგი და კლიმატური პირობები, არსებული სასოფლო-სამეურნეო სისტემები, მიწათსარგებლობა, თესლობრუნვა, სამეურნეო პრაქტიკები და მეურნეობის სტრუქტურები“<sup>37</sup>.

ესსპ-ის რეფორმირებისას, ცვლილებები შევიდა ურთიერთგადაფარვად ჩარჩო-პირობებში ისე, როგორც ნაჩვენებია 5.2 ცხრილში. GAEC და SMR სტანდარტები ახლა ორგანიზებულია სამ ჯგუფში, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებას, სავარგულშიკარგიაგრარული პირობების შენარჩუნებას; საზოგადოების, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობას; და ცხოველთა კეთილდღეობას. ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებზე დაფუძნებული SMR სტანდარტები ძირითადად იგივე რჩება, მაგრამ GAEC-ის ჩარჩო-პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. GAEC-ის ნებაყოფლობითი სტანდარტები მოიხსნა, მათ შორის „პირუტყვის მინიმალური სიმჭიდროვე და/ან ძოვების შესაფერისი რეჟიმები“ და პრობლემური „არასასურველი მცენარეულობის ხელყოფის პრევენცია“, რომლებიც ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ იმგვარად დანერგა, რომ ნატურა 2000-ის ჰაბიტატებს ზიანი მიაყენა. ეს უკანასკნელი ჩაანაცვლა შენარჩუნებისა და მინიმალური აქტივობის შესაბამისმა კრიტერიუმებმა, რომლებიც წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს (EU) No1307/2013 რეგულაციის 4(1) მუხლის (c)(ii) და (c)(iii) პუნქტების შესაბამისად. გარდა ამისა, GAEC 7 გვთავაზობს ახალ არჩევანს „ინვაზიური მცენარეების სახეობების გავრცელების პრევენციული ზომების“ მისაღებად, რომელიც წევრ ქვეყნებს შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში დანერგონ. პირველი კომპონენტით გათვალისწინებულ „მწვანე“ გადახდების სქემაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, მრავალწლიანი საძოვრების ტერიტორიის<sup>38</sup> შენარჩუნებისთვის დადგენილი და მოქმედი წესები, 2015 და 2016 წლებში კვლავ დარჩება ურთიერთგადაფარვის საკითხად.

37 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1306/2013 94-ე მუხლი

38 (EC) 1120/2009 რეგულაციის მიხედვით

**ცხრილი 5.2. ურთიერთგადაფარვასთან დაკავშირებული მოთხოვნები 2015 წლიდან, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, სავარგულის კარგი აგრარულ კონდიციაში შენარჩუნების საკითხებთან მიმართებაში**

წყარო: 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაცია (EU) No 1306/2013, დანართი II (OJ L347, 20.12.2013)

სფერო	ზირითადი საკითხი	მოთხოვნები და სტანდარტები		
გარემო კლიმატის ცვლილება, კარგი აგრარული პირობები სავარგულში	წყალი	SMR 1	საბჭოს 1991 წლის 12 დეკემბრის დირექტივა 91/676/EEC სოფლის მეურნეობის წყაროებიდან ნიტრატებით გამოწვეული დაბინძურებისგან წყლის დაცვის შესახებ (OJ L375, 31.12.1991, p.1)	მუხლი 4 და 5
		GAEC 1	ბუფერული ზოლების დაარსება წყლის დინებების გასწვრივ <sup>(1)</sup>	
		GAEC 2	იქ, სადაც წყლის სარწყავად გამოყენება ექვემდებარება ავტორიზაციას, ავტორიზაციის პროცედურების დაცვა	
		GAEC 3	გრუნტის წყლების დაცვა დაბინძურებისგან: მინისქვეშა წყლებში პირდაპირი ჩაშვების აკრძალვა და მინისქვეშა წყლების არაპირდაპირი დაბინძურების თავიდან აცილების ღონისძიებები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საფრთხის შემცველი ნივთიერებების პირდაპირ მიწაზე დაღვრით და ნიადაგში შეღწევით. უნდა ვიხელმძღვანელოთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხის შემცველი ნივთიერებების იმ ნუსხით, რომელიც მოცემულია 80/68/EEC დირექტივის დანართში, მისი ძალაში ყოფნის უკანასკნელი დღის მონაცემებით.	
	ნიადაგი და ბმული ნახშირბადი	GAEC 4	ნიადაგის მინიმალური საფარი	
		GAEC 5	ეროზიის შემცირების მიზნით, ნიადაგის მინიმალური მართვა, ტერიტორიის სპეციფიკური პირობების შესაბამისად	
		GAEC 6	ნიადაგის ორგანული მასის შენარჩუნება შესაბამისი პრაქტიკით, მათ შორის სახნავზე ნამჯის დაწვის აკრძალვა, გარდა ფიტოსანიტარული მიზეზებისა <sup>(2)</sup>	
	ბიომრავალფეროვნება	SMR 2	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის დირექტივა 2009/147/EC გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ (OJ L20, 26.1.2010, p.7)	მუხლი 3(1), მუხლი 3(2)(b), მუხლი 4(1), (2) და (4)
		SMR 3	საბჭოს 1992 წლის 21 მაისის დირექტივა 92/43/EEC ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ (OJ L206, 22.7.1992, p.7)	მუხლი 6(1) და (2)

	ლანდშაფტი, შენარჩუნების მინიმალური დონე	GAEC 7	ლანდშაფტის მახასიათებლების შენარჩუნება, მათ შორის, სადაც საჭიროა, ცოცხალი ღობეების, ტბორების, თხრილების, ზოლებად დარგული, ჭგუფებად განლაგებული ან ცალკე მდგომი ხეების, მინშდვრის კიდეებისა და ტერასების შენარჩუნება. ცოცხალი ღობეების გაკაფვის და ხეების მოჭრის აკრძალვა ფრინველების გამრავლებისა და შთამომავლობაზე ზრუნვის სეზონზე, და, სადაც შესაძლებელია, ინვაზიური მცენარეების სახეობების გავრცელების პრევენცია.	
<p><sup>(1)</sup> GAEC-ის ბუფერული ზოლები გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც 91/676/EEC დირექტივის 3(2) მუხლით განსაზღვრულ მოწყვლად ზონებში, ისე მათ მიღმა. ნაკადებთან ახლოს დაცული უნდა იყოს მინიმუმ სასუქების გამოყენების პირობებთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მითითებულია 91/676/EEC დირექტივის II დანართის A.4 პუნქტში და, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს 91/676/EEC დირექტივის 5(4) მუხლის მიხედვით წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამების შესაბამისად.</p> <p><sup>(2)</sup> ეს მოთხოვნა შეიძლება შემოიფარგლოს სახნავ სავარგულში ნამჭის დანვის ზოგადი აკრძალვით, მაგრამ წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს დამატებითი მოთხოვნების დანესება.</p>				

### ესსპ-ის პიხველი კომპონენტის მიხედვით განხორციელებული „მწვანე“ გადახდების ეფექტი

წევრმა ქვეყნებმა (ან რეგიონებმა), ესსპ-ის პირველი კომპონენტით გათვალისწინებული პირდაპირი გადახდებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 30 პროცენტი უნდა მიმართონ ახალი „მწვანე“ გადახდებისკენ, კლიმატისა და გარემოსთვის სარგებლის მომტანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისთვის<sup>39</sup>. თითქმის ყველა ფერმერი, რომელსაც აქვს BPS ან SAPS გადახდების მიღების უფლება, უნდა აკმაყოფილებდეს სამი „მწვანე“ პრაქტიკის მოთხოვნას (ან ექვივალენტურ პრაქტიკას). გამონაკლისია: სერტიფიცირებული ორგანული ფერმერები, რომლებიც ავტომატურად მიიღებენ გადახდების თანხას; ფერმერები, რომელთა მიწები მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობს ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე და რომლებმაც უნდა დაიცვან „მწვანე“ პრაქტიკის მხოლოდ ის ზომები, რომლებიც თავსებადია ნატურა 2000-ის დირექტივების მიზნებთან; გადახდების მიმღები მცირე ფერმერები, რომლებიც თავისუფლდებიან „მწვანე“ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

მიწის მართვაზე, სავარაუდოდ, ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს ის მეურნეობები, რომლებიც მოიცავს დიდ ფართობებს სახნავ-სათესი კულტურებით და დასვენებული მიწებით, მაგრამ ბალახით ან საფურაჟე კულტურებით დაფარულ შედარებით მცირე ფართობებს. „მწვანე“ მოთხოვნები წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას

39 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 43-ე და 47-ე მუხლები

აძლევს, გაძლიერებულად დაიცვან საძოვრების ღირებული ჰაბიტატების ხვნისა და კონვერსიისაგან (ფუნქციის ცვლილებისაგან).

სამი მწვანე მოთხოვნა არის შემდეგი:

- **კულტურების გამრავალფეროვნება:**<sup>40</sup> მეურნეობებმა, რომელთა სახნავ-სათესი მიწების ფართობი აღემატება 10 ჰექტარს (ანეულის ჩათვლით) უნდა გააშენოს მინიმუმ ორი განსხვავებული კულტურა მაინც, ისე რომ ძირითადი კულტურა არ იკავებდეს სახნავ-სათესი ფართობის 75 პროცენტზე მეტს; თუ სახნავი მიწის ფართობი აღემატება 30 ჰექტარს, აუცილებელია სამი სხვადასხვა კულტურის მოყვანა. ეს მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ ბალახოვან ეკოსისტემებზე ან შერეულ მეურნეობებზე, რომლებსაც სახნავი კულტურები 30 ჰექტარზე მეტ ფართობზე აქვთ გაშენებული (ანეულის ჩათვლით, თუმცა ბალახითა და საფურაჟე კულტურებით დაკავებული ფართობის გამოკლებით), არსებობს სხვა გამონაკლისებიც.
- **მრავალწლიანი (მუდმივი) ბალახოვანი ეკოსისტემები**<sup>41</sup>:
  - ნევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მთლიანობაში მრავალწლოვანი ბალახოვანი ეკოსისტემების თანაფარდობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო ფართობთან (წინა საანგარიშო წელთან შედარებით), არ შემცირდეს 5 პროცენტზე მეტით. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს მოთხოვნა ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე. მათ ასევე შეუძლიათ დააწესონ ეს ვალდებულება ცალკეული მეურნეობის დონეზე. მრავალწლოვანი ბალახოვანი ეკოსისტემები, რომლებიც გატყიანდა, ამ გაანგარიშებაში დანაკარგად არ ჩაითვლება.
  - ნატურა 2000-ის უბნებში ნევრმა ქვეყნებმა უნდა მონიშნონ ის მრავალწლოვანი ბალახოვანი ეკოსისტემები, რომლებიც არიან „ეკოლოგიურად მგრძნობიარე“ („მრავალწლოვანი ბალახოვანი ეკოსისტემების“ ახალი განმარტება იხ. ქვემოთ), ტორფნარისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების ჩათვლით, რომლებიც საჭიროებენ მკაცრ დაცვას ნატურა 2000-ის მიზნების მისაღწევად. ამ ტერიტორიებზე ფერმერებისთვის წაყენებული „მწვანე“ მოთხოვნა იქნება ის, რომ არ გადააკეთონ ან არ მოხნან ტერიტორია.
  - ნევრ ქვეყნებს, ნატურა 2000-ის უბნებს მიღმაც შეუძლიათ შეარჩიონ და მონიშნონ „დამატებითი მგრძნობიარე ტერიტორიები“, „გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ღირებული“ მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების ტერიტორიის ფარგლებში, მათ შორის ნახშირბადით მდიდარ ნიადაგებზე, რომლებიც დაექვემდებარებიან დაცვის იმავე დონეს, „მწვანე“ მოთხოვნების შესაბამისად.
- **ეკოლოგიურად ღირებული ტერიტორიები**<sup>42</sup>: ფერმერები, რომლებიც ამუშავებენ 15 ჰექტარზე მეტ სახნავ მიწას (გარკვეული გამონაკლისის გარდა), უნდა უზრუნველყონ, რომ მათი სახნავი ფართობის 5 პროცენტის ექვივალენტური ტერიტორია იყოს „ეკოლოგიურად ღირებული ტერიტორია“. ეს ტერიტორიები შეიძლება იყოს ანეული, ტერასები, ლანდშაფტური მახასიათებლების მქონე

40 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 44-ე მუხლი

41 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 45-ე მუხლი

42 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 46-ე მუხლი

უბნები, ბუფერული ზოლები, აგროსატყეო მეურნეობა, ტყის კიდეები, ხანმოკლე როტაციის ბუჩქნარი და გატყიანებული ტერიტორიები - სოფლის განვითარების ან სხვა მსგავსი პროგრამით მხარდაჭერილი; აგრეთვე შეთესილი კულტურები, მწვანე საფარი და აზოტმაფიქსირებელი კულტურები. თუ ფერმერებს სჭირდებათ ეკოლოგიურად ღირებული ტერიტორიების შექმნა, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ნატურა 2000-ის სახეობისთვის მეტი ჰაბიტატი იქნება ხელმისაწვდომი, ნატურა 2000-ის უბნების მიღმა არსებულ სახნავ-სათეს სავარგულებში და გაუმჯობესდება ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე არსებული ჰაბიტატების ღირებულება და გამტარიანობა (Dänhardt et al, 2010; Gilbert-Norton et al, 2010; Smith et al, 2010). თუმცა, რამდენად გვექნება დამატებითი ხარისხიანი ჰაბიტატები, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოკლე ვადით ასვენებენ ეკოლოგიურად ღირებულ ტერიტორიას (EFA) ხვნისაგან, რა ტიპის ტერიტორიები და მახასიათებლებია დაცული, იმართება თუ არა ისინი ბიომრავალფეროვნებისთვის და როგორ არის განაწილებული ადგილზე და ლანდშაფტის დონეზე (Allen et al, 2012a).

ნატურა 2000-ისა და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) მიწებისთვის, პირველი კომპონენტით გათვალისწინებული „მწვანე“ გადახდების ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა არის აგროგარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებული გადახდების გაანგარიშების საბაზისო დონის გაზრდის ეფექტი, რაც თავიდან აგვაცილებს ესსპ-ის პირველი კომპონენტის „მწვანე“ მოთხოვნებთან გადაფარვას და აამაღლებს პასტორალური ჰაბიტატების დაცვის საბაზისო დონეს, ნატურა 2000-ის ტერიტორიების მიღმა, თუ წევრი სახელმწიფოები არ გადაწყვეტენ ახალი მონიშვნების გაკეთების უფლებამოსილების გამოყენებას.

#### **5.4 მრავალწლიანი (მუდმივი) ბალახოვანი ეკოსისტემებისა და მრავალწლიანი (მუდმივი) საძოვრების ახალი განმარტება**

მოქმედ კანონმდებლობაში მრავალწლიანი საძოვრები განმარტება, როგორც „მიწა, რომელიც გამოიყენება ბარახის ან საფუხაჟე ბარახოვანი მცენახეების მოსაყვანად ბუნებრივად (თავისთავად) ან კულტივაციის გზით (თესვით) და რომელიც მეუხნეობაში ახ მონაწილეობს კულტურათა მონაცვლეობაში ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში“. ამან გამოიწვია ერთგვარი გაურკვევლობა ბუნების დაცვის მიზნით მართულ მიწაზე ესსპ-ის 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებულ გადახდებთან დაკავშირებით, რომელიც განიხილა ევროპულმა სასამართლომ 2010 წელს<sup>43</sup>. ახალი კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების განმარტება, რომელიც გამოიყენება ესსპ-ის გადახდების უფლებამოსილების მისანიჭებლად, მაგრამ ძირითადი გადაწყვეტილებების იმის შესახებ, თუ რომელ საძოვარ ჰაბიტატებსა და მიწებზე გავრცელდება ზემოთ აღნიშნული, მთლიანად წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობაა. მათ შეუძლიათ არ გამოიყენონ გაფართოებული განმარტება.

43 ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (C-61/09).  
<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:62009J0061:EN:HTML>

2015 წლიდან, მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების ძირითადი განმარტება (მათ შორის, მრავალწლიანი საძოვრების) ასეთია: „მიწა, ხომედიც გამოიყენებოდა ბადახის ან საფუხაჟე ბადახოვანი მცენახეების მოსაყვანად ბუნებრივად (თავისთავად) ან კუდგვიაციის გზით (თესვით) და ხომედიც მეუხნეობაში ახ მონაწილეობდა კუდგუხათა მონაცვლეობაში ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში“, მაგრამ ახლა ის ასევე „შეიძლება მოიცავდეს სხვა სახეობებს, ხოგოხიცაა ბუჩქები და/ან ხეები, ხომედთა ძოვებაც შესაძლებელია, იმ პირობით, რომ ბადახები და საფუხაჟე ბადახოვანი მცენახეები სხვა ბადახოვანი საკვები დახრება დომინანტუხი“. გარდა ამისა, წევრმა ქვეყნებმა შეიძლება არჩიონ ფართო განმარტების გამოყენება და მაშინ, ასევე მოიცავდეს „მიწას, ხომედიც შეიძლება გამოყენებულ იყოს ძოვებისთვის და წახმოადგენდეს ადგილობრივი პიქტიკების შემადგენელ ნაწილს, სადაც ბადახი და საფუხაჟე ბადახოვანი მცენახეები გხადიცოდად ახ ახის დომინანტუხი საძოვარ გეხიგოხიებზე“. კომისია განსაზღვრავს კრიტერიუმებს ბალახისა და სხვა ბალახოვანი საფურაჟე მცენარეების დომინანტობის დასადგენად და „დამკვიდრებული ადგილობრივი პრაქტიკების“ დასადგენად.

მრავალი საძოვარი განსაკუთრებით ღირებულია ბიომრავალფეროვნებისთვის, თუ ის შედგება ღია ბალახოვანი ეკოსისტემების მოზაიკისგან, მიმოფანტული ბუჩქებით და/ან ხეებით ან სხვა ლანდშაფტის სხვა ელემენტებით, როგორცაა მოუთიბავი ბალახიანი ადგილები, კედლები, ქვები, ლელიანი ან ტენიანი ადგილები, ან ტყიან საძოვარ სისტემას წარმოადგენს (Bergmeier et al, 2012). მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების ახალი განმარტებები, ესსპ-ის პირველი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების უფლების შესახებ გადანყვეტილებებთან ერთად, შეიძლება გამოყენებული იყოს წევრი სახელმწიფოების მიერ, ამგვარი ჰაბიტატების ესსპ-ის მხარდაჭერის ფარგლებში მოსაქვევად. ფართო განმარტება ასევე იძლევა მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვის საშუალებას „მწვანე“ გადახდების გამოყენებით.

ეს არის პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი და მისასაღმებელი გაუმჯობესება, მაგრამ რეალურად რა გავლენა ექნება მას, დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების მზაობაზე, მიიღონ გაფართოებული განმარტება, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მიწის მთლიანი ფართობი, რომლის მხარდაჭერა შესაძლებელი იქნება პირდაპირი გადახდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან.

## **5.5 ესსპ-ის გადახდების უფლებამოსილება ნატურა 2000-ის აგრარული ფართობებისთვის**

შესაძლებელია, რომ ნატურა 2000-ის ტერიტორიები ექვემდებარებოდეს ესსპ-ის გადახდებს როგორც პირველი, ასევე მეორე კომპონენტის ფარგლებში, მაგრამ რიგ წევრ სახელმწიფოებში ნატურა 2000-ის აგრარული ჰაბიტატების მნიშვნელოვანი ტერიტორიები 2007-2013 წლების პერიოდისთვის არ ითვლებოდა პირდაპირი გადახდებისთვის შესაფერისად. გადახდების დაუშვებლობასთან დაკავშირებული პრობლემები მოიცავდა საძოვრებზე ხეების, ბუჩქების და ჩირგვების არსებობას, ფერმის ან ნაკვეთის ზომას, მიწაზე საკუთრების უფლებებს, მიწის რეგისტრაციის მოძველებულ ჩანაწერებს და GAEC-ის სტანდარტებთან დაკავშირებულ სირთულეებს,

რომელიც წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს უფრო ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემებისთვის. ეს პრობლემები ხშირად დაკავშირებულია ნატურა 2000-ის აგრარულ ტერიტორიების მახასიათებლებთან, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს მათ ღირებულებას ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაგრამ არ ჯდება ევროკავშირის გადახდების დაშვებასთან დაკავშირებულ ან წევრი ქვეყნების მიერ ამ წესების იმპლემენტაციის პირობებში.

კომისიის გაიდლაინების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ იმ მიწებზე, სადაც ხეების რაოდენობა თითოეულ ჰექტარზე 50-ზე მეტია<sup>44</sup>, ზოგადი წესის მიხედვით, გადახდები დაუშვებლად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ წევრ ქვეყნებს ასევე შეეძლოთ ალტერნატიული პროპორციული სისტემის გამოყენება, ამ წესმა ზოგიერთ სფეროში პრობლემები გამოიწვია. ახალი წესები და მითითებები გამოქვეყნდება ესსპ-ის საკანონმდებლო ცვლილებების<sup>45</sup> ფარგლებში.

მრავალ წევრ ქვეყანაში ექსტენსიური საძოვრების ვრცელ ფართობებს ტყის მიწების სტატუსი აქვს, ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსისა, მაგალითად, ესპანეთში, სადაც 19 მილიონ ჰექტარზე მეტი გამოიყენება პირუტყვის საძოვრად, ძირითადად საერთო სარგებლობის მიწების სახით (Beaufoy et al, 2011a).

ჩანართი 5.1-ში მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, თუ როგორ გამორიცხავდა წარსულში ზოგიერთი წევრი ქვეყანა ნატურა 2000-ის აგრარულ ტერიტორიებზე ესსპ-ის მხარდაჭერას და როგორ გამოიყენეს სხვებმა ევროკავშირის წესების ფარგლები ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და ფერმერების მხარდასაჭერად.

თუმცა, მრავალი მახასიათებელი და ტერიტორია, რომელიც ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ შეუფერებლად მიიჩნია პირველი კომპონენტის მიხედვით პირდაპირი გადახდების დაშვებისათვის, აღმოჩნდა, რომ გადახდები დასაშვებია მეორე კომპონენტის მიხედვით აგროგარემოსდაცვითი სქემების მიხედვით. ასეთ ჰაბიტატებში, პირველი კომპონენტის ფარგლებში პირდაპირი გადახდების დაუშვებლობის პასუხად, შეიმუშავეს ზოგიერთი აგროგარემოსდაცვითი სქემა. მაგალითად, შემუშავდა სქემები ტყიანი ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის ესტონეთსა და შვედეთში, ნატურა 2000-ის უბნებზე მიზანმიმართული აქცენტით (King, 2010). სასურველი იქნებოდა მხარდაჭერის უფლებრივი საკითხების გადაჭრა. ზოგიერთ შემთხვევაში, მომავალში ეს შეიძლება შესაძლებელი გახდეს „მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემები“ გაფართოებული განმარტებისა და ლანდშაფტის მახასიათებლების საფუძველზე დაშვების წესების შემოღების წყალობით<sup>46</sup>.

44 კომისიის რეკომენდაცია, რომ ნაკვეთი, სადაც ხეების რაოდენობა თითოეულ ჰექტარზე 50-ზე მეტია, „ზოგადი წესის მიხედვით“, გადახდები დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

[http://marswiki.jrc.ec.europa.eu/wiki/ესსპ/index.php/ETS\\_specific\\_inspection\\_examples\\_2011](http://marswiki.jrc.ec.europa.eu/wiki/ესსპ/index.php/ETS_specific_inspection_examples_2011)

45 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1306/2013, 76 (2) (c) მუხლი

46 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1306/2013 76 (2) (c) მუხლი

ზოგიერთ შემთხვევაში, ნატურა 2000-ის მეურნეობებს შეუწყდათ მხარდაჭერა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ფართობი ქვეყნის ხელისუფლების მიერ დაწესებულ მინიმალურ ფართობზე ნაკლებია. კანონმდებლობა განსაზღვრავს მინიმალური ფართობის საორიენტაციო საზღვრებს პირდაპირი გადახდებისთვის, პირველი კომპონენტის ფარგლებში (100 ევროზე ნაკლები წელიწადში ან ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწა), მაგრამ ნევრსახელმწიფოებს შეუძლიათ ამ საზღვრების კორექტირება დადგენილ ფარგლებში, „მათი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის სტრუქტურის გათვალისწინებით“. მაგალითად, თითოეულ მეურნეობაში მხარდასაჭერად საჭირო მინიმალური ფართობი შეიძლება იყოს 0,1 ჰექტარი - მალტაში; 0,3 ჰექტარი - კვიპროსში, უნგრეთში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და სლოვენიაში; 0,4 ჰექტარი - საბერძნეთსა და ბულგარეთში, 0,5 ჰექტარი - იტალიასა და პოლონეთში<sup>47</sup>.

ნევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაძლებლობა და დააწესონ დაბალი საზღვრები, რათა ნატურა 2000-ის მცირე მეურნეობებისთვის მიიღონ მხარდაჭერის უფლება, ესსპ-ის 1-ლი კომპონენტის ფარგლებში.

### **ჩანახტი 5.1. წევრი ქვეყნების მიერ ესსპ-ის 1-ლი კომპონენტის ფარგლებში მხარდაჭერის დაშვების წესების დანეხვა 2007-2013 წლებში**

2007-2013 პროგრამული პერიოდის განმავლობაში, ნევრი ქვეყნები სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევდნენ ესსპ-ის მხარდაჭერის უფლების მოპოვების შესახებ კომისიის რეკომენდაციებს, აგრეთვე GAEC-ის სტანდარტების მოთხოვნებს, განსაკუთრებით ბუჩქნარიანი და ხეებიანი საძოვრებისთვის. ზოგიერთმა ნევრმა ქვეყანამ აირჩია ფართო მიდგომა, რომელიც სახარბიელოა მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) ტერიტორიებისა და ნატურა 2000-ის აგრარული ფართობებისათვის. მათ აქტიურად მართული საძოვრების დიდი ტერიტორიები, იქ არსებული ბუჩქებითა და ხეებით, გააერთიანეს იმ ტერიტორიებთან ერთად, სადაც დაშვებულია გადახდები პირველი კომპონენტის ფარგლებში. გაერთიანებულმა სამეფომ მიწის ნაკვეთების საინფორმაციო სისტემაში (LPIS) შეიტანა დაბალი ბუჩქნარის უმეტესობა და მიიჩნია, რომ იქ დასაშვები იყო გადახდების განხორციელება 1-ლი კომპონენტის ფარგლებში მანამ, სანამ მცენარეული საფარი ძალიან გამსხვილდებოდა და მძოველი პირუტყვისთვის გაუვალი გახდებოდა (DVL და NABU, 2009). საფრანგეთმა ცალსახად დაუშვა დაბალი პროდუქტიულობის ტერიტორიების გამოყენება საფურაჟედ, თუ იქ საკმაოდ არის ბალახის, ბუჩქების ან ნაყოფის (წაბლი, რკო) რესურსი, პირუტყვის გამოსაკვებად, მათ შორის ექსტენსიური და უხეში საძოვრები, მაღალმთის მდელოები (moorland) და ტყიანი ადგილები (მათ შორის ისეთი, სადაც 50 ხეზე მეტია თითოეულ ჰექტარზე) (Beaufoy et al, 2011b). ესპანეთმა მიწის ნაკვეთების საინფორმაციო სისტემაში (LPIS) შექმნა ბუჩქნარიანი საძოვრებისა და ხეებიანი საძოვრების სპეციალური კატეგორიები; მაგალითად, კასტილიისა და ლეონის რეგიონში 1-ლი კომპონენტით დასაფინანსებელი აგრარული ფართობების დაახლოებით 40% მიეკუთვნება ამ ორი კატეგორიიდან ერთ-ერთს (Beaufoy et al, 2011a). მკვეთრად საპირისპიროდ, სხვა ნევრმა სახელმწიფოებმა საერთოდ არ ისარგებლეს მარეგულირებელი შესაძლებლობებით, რათა შეეტანათ

47 2013 წლის 17 დეკემბრის რეგლამენტის (EU) No1307/2013 მე-10 მუხლი და IV დანართი

ექსტენსიური საძოვრების დიდი ტერიტორიები LPIS რეესტრში და მიეღოთ 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული გადასახადები, გამოტოვეს პოზიტიური ზემოქმედების შესაძლებლობა ბიომრავალფეროვნებაზე და ამ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო სისტემების სიცოცხლისუნარიანობაზე.

GAEC-ის სტანდარტი, რომელიც ხელს უშლის „არასასურველი მცენარეულობის ხელყოფას“, ზოგიერთ ადგილას საძოვრების ბუჩქებისა და ბარდებისაგან განმედიან მოტივაციას ქმნიდა (Birdlife International, 2009; Cumulus Consultants, 2011; Hart and Baldock, 2011). 2009 წელს ბულგარეთის მმართველმა ორგანომ განაცხადა, რომ მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების 400,836, რომლებიც ადრე მაღალი ბუნებრივი ღირებულების ტერიტორიებად (HNV) ითვლებოდნენ, არ აკმაყოფილებდა 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების მიღების პირობებს, ძირითადად იმიტომ, რომ მათი განმარტება GAEC-ის სტანდარტის მიხედვით, მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების დასაცავად მოითხოვდა „მრავალწლიანი საძოვრებისა და მდელოების არასასურველი ბუჩქებისგან განმედიან“. ფერმერებმა დაიწყეს ტერიტორიების ბუჩქებისა და ბარდებისაგან გასუფთავება, რის შედეგადაც რამდენიმე ღირებული და დაცული ჰაბიტატი განადგურდა.

GAEC-ის ამ მოთხოვნამ, მიწების მიტოვების პრობლემასთან ერთად (ძირითადად მრავალწლიანი საძოვრები, თუმცა სახნავ-სათესი მიწებიც), გამოიწვია დიდი ტერიტორიების ამოღება როგორც SAPS-ის გადახდებიდან, ასევე ტერიტორიის ფართობზე დაფუძნებული გადახდებიდან Axis 2-ის ფარგლებში (Keenleyside et al, 2012).

გერმანიაში, სხვადასხვა ბალახოვანი ეკოსისტემებსა და დაბალი ბუჩქნარის ტერიტორიებზე, რომლებიც კონსერვაციული მეთოდებით იმართებოდნენ, არ იყო დაშვებული 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდები, რადგან ისინი არ განიხილებოდნენ (პროდუქტიული) აგრარული მეთოდებით მართულ ტერიტორიებად (DVL & NABU, 2009), თუმცა ეს შეიძლება შეცვალოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ. რუმინეთში დაახლოებით 1.9 მილიონი მცირე ფერმერი (რომელთა მფლობელობაშია მეურნეობათა 45%) ამოვარდნილია SAPS-დან, რადგან ისინი 1 ჰექტარზე ნაკლებ ფართობს ამუშავებენ (Redman, 2010). შემოუღობავი საძოვრების დიდი ფართობები (ჩვეულებრივ, საერთო სარგებლობის მიწები), არ არის რეგისტრირებული პირდაპირი გადახდებისთვის (Nori and Gemini, 2011).

წესები, რომლის მიხედვითაც ლანდშაფტის გარკვეული მახასიათებლები (როგორცაა ბუჩქები, ხეები ან ცოცხალი ღობეების არსებობა), ტერიტორიას შეიძლება განსაზღვრავდნენ პირდაპირი გადახდების უფლების მქონედ, ასევე განსხვავებულად იყო გამოყენებული წევრი ქვეყნების მიერ (DVL და NABU, 2009; Oppermann, 2009). მაგალითად, ელემენტები, რომელთა სიგანე აღემატება 4 მ-ს (ან 2 მ-ზე მეტს, ნაკვეთის შიგნით მდებარეობის შემთხვევაში), ზოგადად ამოირიცხა

დაშვების უფლების მქონე ტერიტორიებიდან<sup>48</sup>, თუმცა წევრ ქვეყნებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეშვათ ლანდშაფტის ისეთი ელემენტების არსებობა, როგორცაა ნებისმიერი სიგანის ცოცხალი ღობეები. მათ შეატყობინეს კომისიას, რომ ასეთი ელემენტები აშკარად უნდა განიხილებოდეს „ლანდშაფტის მახასიათებლებად“, რომელიც ფერმერმა უნდა შეინარჩუნოს GAEC-ის მოთხოვნის ფარგლებშიც. ირლანდიაც ასე მოიქცა, მაგრამ ბევრი სხვა წევრი ქვეყანა - არა (Beaufoy et al, 2011b), მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა დაშვების უფლების მქონე ტერიტორიიდან ამორიცხა გარემოს ისეთი ელემენტების არსებობა, როგორცაა ცოცხალი ღობეები. თუ დასაშვების უფლების მქონე ფართობში 0,1 ჰექტარზე მეტი ლანდშაფტის ელემენტები შედიოდა, კონტროლის მიზნით<sup>49</sup> უნდა ასახულიყო რუკაზე და გაციფრულებული სახით ასახულიყო მიწის ნაკვეთების რეესტრის სისტემაში (LPIS). ამის გაკეთება ძალიან რთულია დინამიკური ელემენტებისთვის, როგორცაა ბუჩქები ექსტენსიურ საძოვრებზე (DVL და NABU, 2009). მაშინაც კი, თუ ფერმერები და მწყემსები ძალისხმევას არ დაიშურებენ მათი კარტოგრაფირებისთვის, აუდიტის დროს შეიძლება შეცვლილი იყოს ამ ელემენტების მდებარეობა და/ან ტერიტორია.

## **5.6 The რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სისტემის ხელშეწყობას და არა მხოლოდ მიწების მართვის მხარდაჭერას**

ნატურა 2000-ის მრავალი სასოფლო-სამეურნეო სისტემა საფრთხის წინაშე იმყოფება. ის ფერმერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების აუცილებელ მართვას, ხშირად მუშაობენ რთულ პირობებში, მარგინალურ მიწებზე შრომის ინტენსიური სისტემების გამოყენებით; უკიდურესად დაუცველნი არიან ეკონომიკური ზეწოლის მიმართ, რამაც შეიძლება აიძულოს ისინი მიატოვონ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სისტემები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანად შეწყვიტონ წარმოება.

მეცხოველეობის ექსტენსიური სისტემები განსაკუთრებით წნეხის ქვეშ იმყოფება. საძოვრად გამოყენების ნაცვლად, ზოგიერთი ბალახოვანი ეკოსისტემა ახლა ითიბება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ ტიპის ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნებაზე, რომლებიც ტრადიციულად საძოვრებად გამოიყენებოდა. მაგალითად, ესტონეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, ფერმერები ქრიან ან ანადგურებენ ბალახს, მოჭრილ ბალახს ადგილზე ტოვებენ მულჩირებისთვის, რაც ამცირებს მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებას, ხელახლა აღმოცენების დათრგუნვის გამო (King, 2010). ფერმერებმა ბალახი ყვავილობის პერიოდშიც მოჭრან. უფრო ინტენსიური წარმოების სისტემებზე გადასვლის ალტერნატიული გადაწყვეტა ასევე შეიძლება საზიანო იყოს, თუ ბინაზე მყოფი პირუტყვი აღარ გამოიყენებს ზაფხულის საძოვრებს და სათიბი მდელოები სილოსის წარმოების ადგილებად გადაიქცევა.

თუ ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო სისტემა მთლიანობაში არ არის

48 საბჭოს 2009 წლის 19 იანვრის რეგულაციის (EC) No 73/2009 34-ე მუხლი, <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:316:0065:01:EN:HTML>


49 [http://marswiki.jrc.ec.europa.eu/wiki/sb3/index.php/Area\\_measurement](http://marswiki.jrc.ec.europa.eu/wiki/sb3/index.php/Area_measurement)

ეკონომიკურად მომგებიანი, მხოლოდ კონკრეტული ჰაბიტატებისა და დამახასიათებელი ელემენტების მართვის მხარდაჭერა შეიძლება საკმარისი არ იყოს ამ პრაქტიკის გასაგრძელებლად. იმ შემთხვევებში, როდესაც ნატურა 2000-ის მიწამეურნეობის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს (მაგ., რძის მწარმოებელი ფერმები, ალპური საზაფხულო საძოვრებით), აუცილებელია, რომ მეურნეობა განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, ნატურა 2000-ის ფარგლებს გარეთ არსებული ნებისმიერი მიწის ნაკვეთის ჩათვლით.

ამიტომ, მნიშვნელოვანია ნატურა 2000-ის ფერმებისთვის მხარდაჭერის კომპლექსური პაკეტის შემუშავება, რომელიც, პირველ რიგში, უზრუნველყოფს ექსტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, რომელზეც ეფექტური მართვაა დამოკიდებული, და მეორეც, იყენებს მართვის სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც საჭიროა ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების დასაცავად.

უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს მეურნეობის მიტოვების და ინტენსიფიკაციის ძირითადი საფრთხეების აღმოფხვრა. ამისათვის საჭიროა ფერმერს მიეცეს შესაძლებლობა, განაგრძოს (ან განაახლოს) მიწის დამუშავება და შეინარჩუნოს მეურნეობის ექსტენსიური სისტემა. ეკონომიკური და სოციალური სიცოცხლისუნარიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს მიზანმიმართული მხარდაჭერით, რაც გაზრდის შესაძლებლობებს და ფასს მოუმატებს მეურნეობაში წარმოებულ პროდუქტებს. ფერმერული სისტემის საბაზისო მხარდაჭერის შემდეგ, ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების მართვის კონკრეტული მეთოდების მხარდაჭერა დასრულდება პაკეტით, რომელიც ნაჩვენებია 5.1 დიაგრამაზე. მხარდაჭერის ეს ინტეგრირებული პაკეტი შეიძლება შეიქმნას ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებული ფართო სპექტრის ზომების გამოყენებით, როგორც აღწერილია 5.7–5.12 განყოფილებებში.

**დიაგრამა 5.1. ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემების მხარდაჭერის ინტეგრირებული პაკეტის შემუშავება**



## 5.7 ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად

ევროკავშირში დაბალი და საშუალო ინტენსივობის ძოვების სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დიდწილად ეყრდნობა პირდაპირ გადახდებს 1-ლი კომპონენტის ფარგლებში (Osterburg et al, 2010). ბევრ წევრ ქვეყანაში ეს გადახდები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის შესანარჩუნებლად იმ მიწებზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა მიატოვონ. ამ ტერიტორიების მიტოვების არდაშვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფერმერები ჯერ კიდევ ფლობენ იმ ტრადიციულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ადაპტირებულია ადგილობრივ ეკოსისტემებთან. ასეთ შემთხვევებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტამ შეიძლება ამ უნარ-ჩვევების სამუდამოდ დაკარგვა გამოიწვიოს.

პირველი გადამწყვეტი ეტაპი სოფლის მეურნეობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად არის 1-ლი კომპონენტის მიხედვით გადახდების მიღების უფლების მოპოვება ნატურა 2000-ის რაიონებში. ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო სისტემების სპეციფიკური მახასიათებლები გათვალისწინებული უნდა იყოს, მაგალითად, „მრავალწლიანი ბალახოვანი ეკოსისტემების“ ფართო განმარტების გამოყენების დროს, 1307/2013 რეგულაციის (EU) 4(1)(c) მუხლის (ii) და (iii) პუნქტებში მითითებული კრიტერიუმებისა და მინიმალური აქტივობის განსაზღვრისას, ასევე ლანდშაფტის ელემენტებისა და მეურნეობის მინიმალური ფართობის განსაზღვრისათვის წესების დადგენისას.

თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ნატურა 2000-ის ფერმერებს ჰქონდეთ „გადახდების მიღების უფლება“, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯერ არასდროს ჰქონიათ პირდაპირი გადახდების მიღების შესაძლებლობა. წევრმა ქვეყნებმა შეიძლება გადაწყვიტონ (2014 წლის 1 აგვისტომდე) გადახდის ახალი უფლებების გავრცელება აქტიურ ფერმერებზე, რომლებსაც არ შეეძლოთ 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული გადახდების მიღება (მაგალითად, წევრ ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ SAPS-ს, რადგან მხოლოდ ისეთ მიწებს ფლობდნენ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პირობების“ მოთხოვნებს, სახელმწიფო“ გადახდების მიღების უფლებების განსაზღვრის პერიოდში, 2003 წელს მოქმედი სქემების ფარგლებში). წევრ ქვეყნებს, რომლებიც ამჟამად იყენებენ SPS-ს, შეუძლიათ ასევე მიანიჭონ გადახდების მიღების უფლებები ფერმერებს, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ ეს უფლება და შეუძლიათ წარმოადგინონ მტკიცებულება, რომ ისინი ნამდვილად არიან ფერმერები<sup>50</sup>. ეს არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ესსპ-ის ფარგლებში პირდაპირი გადახდების დასაბრუნებლად ნატურა 2000-ის იმ ტერიტორიებისთვის, რომელიც ამჟამად არ არის მხარდაჭერილი.

მიწისა და ფერმერის უფლებების უზრუნველყოფის შემდეგ, შესაძლებელია ესსპ-ის ორივე კომპონენტით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის გადახდებით სარგებლობა, რომლებიც ხშირად შეიძლება გამოყენებულ იყოს კომბინირებულად,

50 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 მუხლი 24 (1)

ამ ფერმერთა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, მათ შორის:

- საბაზისო გადახდების სქემა და ერთიანი გადახდების სქემა და მათთან ასოცირებული „მწვანე“ მოთხოვნები (1-ლი კომპონენტი)
- მცირე ფერმერების სქემა (1-ლი კომპონენტი)
- გადახდები ბუნებრივი ბარიერების შემცველი ფართობებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)
- ნებაყოფლობითი „დაკავშირებული“ გადახდები (1-ლი კომპონენტი)
- გადახდები ორგანული ფერმერებისათვის (მე-2 კომპონენტი)

### **საბაზისო გადახდების სქემა და ერთიანი გადახდების სქემა (1-ლი კომპონენტი)**

ძირითადი გადახდის სქემა (BPS) წარმოადგენს გადახდებს შემოსავლების ხელშეწყობისთვის, რომელიც ცვლის მოქმედ პირდაპირი გადახდის სქემას (SPS) 2015 წლიდან, მაგრამ წევრ ქვეყნებს, რომლებიც იყენებენ ერთიანი გადახდის სქემას (SAPS), შეუძლიათ განაგრძონ ამ სქემის გამოყენება 2020 წლამდე. BPS გადახდა განხორციელდება სტანდარტული განაკვეთით თითოეულ ჰექტარზე, ყველაზე გვიან - 2019 წლამდე, მაგრამ წევრ ქვეყნებს აქვთ მოქნილი შესაძლებლობა, გაითვალისწინონ ისტორიული ფაქტორები იმ პირობით, რომ არც ერთი განაკვეთი თითოეული ჰექტრისთვის არ იქნება საშუალო განაკვეთის 60%-ზე დაბალი. გარდა ამისა, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაანესონ განსხვავებული განაკვეთები სხვადასხვა რეგიონისთვის, თუ ისინი განისაზღვრება ობიექტურად, მაგალითად, „აგრონომიული და ეკონომიკური მახასიათებლების და მათი რეგიონალური სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ან მათი ინსტიტუციური, ან ადმინისტრაციული სტრუქტურის“ მიხედვით<sup>51</sup>.

### **მცირე ფერმერების სქემა (1-ლი კომპონენტი)**

ალტერნატივის სახით წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება აირჩიონ მცირე ფერმერების სქემა, რომელიც გთავაზობთ გამარტივებულ პირდაპირ გადახდას 500<sup>52</sup>-დან 1250 ევრომდე ოდენობით, თითოეულ მეურნეობაში. ამ სქემის არჩევა ფერმერებს შეუძლიათ პირველი კომპონენტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადახდების ნაცვლად<sup>53</sup>. ეს მიზნად ისახავს გადახდების განხორციელების დროს ადმინისტრაციული ტვირთის გამარტივებას ევროკავშირში არსებული უამრავი ძალიან მცირე მეურნეობისთვის. ამ სქემის გამოყენება დაეხმარება ნატურა 2000-ის მცირე, ნაწილობრივ თვითმოხმარებაზე ორიენტირებულ მეურნეობებს, პირველად მიიღონ მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფერმერებს ამ გადახდების არჩევის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ექნებათ, კანონმდებლობის ძალაში შესვლიდან მალევე, მაგრამ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ავტომატურად გადაიყვანონ

51 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 მუხლი 22 (5)

52 ქვედა ზღვარი შეიძლება იყოს 200 ევრო კვიპროსში, ხორვატიასა და სლოვენიაში, ხოლო 50 ევრო მალტაში

53 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1307/2013 61-ე და 65-ე მუხლები

ფერმერები გადახდების ამ სქემაზე, რომლებიც უკვე იღებენ დაბალი განაკვეთის პირდაპირ გადახდებს.

### **„მწვანე“ გადახდები (1-ლი კომპონენტი)**

ნატურა 2000-ის ფერმერებს მოეთხოვებათ შეასრულონ „მწვანე“ მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება ნატურა 2000-ის მიზნებს, ხოლო ის, ვინც მცირე ფერმერების სქემაშია მოქცეული, თავისუფლდებიან „მწვანე“ ვალდებულებებისგან. რეალურად, ნატურა 2000-ის მეურნეობათა უმეტესობა, სავარაუდოდ, უკვე აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს (დანვრილებით იხილეთ 5.3 განყოფილებაში ზემოთ), მაგრამ გადახდების დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ზუსტად განსაზღვრონ, თუ რის გაკეთება მოეთხოვებათ ფერმერებს ნატურა 2000-ის მიწებზე. თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებს ესმოდათ ეს მოთხოვნა, რათა თავი აარიდონ ნატურა 2000-ის ჰაბიტატების შესაძლო დაზიანებას (მაგ., ექსტენსიური სახნავი სავარგულების ეკოლოგიურად ღირებულ ტერიტორიებად (EFA) გადაქცევით), რადგან ეს შეიძლება გადახდების მიღების პირობად მიაჩნდეთ.

წევრი ქვეყნებისთვის წაყენებული ახალი მოთხოვნები ნატურა 2000-ის უბნებში საძოვრებად გამოყენებული ჰაბიტატების მაღალი ღირებულების ტერიტორიებად აღნიშვნის შესახებ, დამატებით დაცვას უზრუნველყოფს ამ მიწებისთვის, რომელთა მოხვნას ან გარდაქმნას ფერმერები ველარ შეძლებენ (თუ მათ არ სურთ რისკის წინაშე დააყენონ მათთვის გასაწევი პირდაპირი გადახდების ნაწილი ან მთლიანი მოცულობა). მსგავსი აღნიშვნები შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის უბნების მიღმაც, თუ ეს წევრი ქვეყნების სურვილი იქნება.

### **გადახდები ბუნებრივი ბაზიკების შემცველი ტერიტორიებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)**

ე.წ. LFA (დაბალპრივილეგირებული ტერიტორიები) (ან ბუნებრივი ბარიერების შემცველი) გადახდები დიდი ხანია უზრუნველყოფდა გადამწყვეტ მხარდაჭერას მეცხოველეობისთვის საჭირო ექსტენსიური საძოვარი სისტემების შენარჩუნებას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრავალი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატისა და სახეობისთვის. მაგალითად, იტალიაში დაბალი პროდუქტიულობის ალპური მდელოების დიდი ნაწილი საჯარო საკუთრებაა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები იყენებენ LFA გადახდებს ექსტენსიური ძოვების ტრადიციული სამთაბარო სისტემების მხარდასაჭერად. ღონისძიება ასევე უზრუნველყოფს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას ხელმოკლე სოფლებში. შესაბამისად, რიგი წევრი სახელმწიფოები მიზნად ისახავს სოფლის განვითარების პროგრამების ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილი ამ ღონისძიებებისკენ მიმართოს (მათ შორის, ავსტრია, ფინეთი, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი და სლოვენია). (Cooper et al, 2006). პოლონეთში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნახევარზე მეტი იღებს LFA გადახდებს. მთლიანობაში ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარზე მეტს, წევრი ქვეყნები LFA სტატუსს ანიჭებენ. ამ ზომების გამოყენება განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი გზავნილი ამ ადგილებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სოციალური ღირებულების შესახებ და ხაზს უსვამს საზოგადოების მზობას იზრუნოს მათ

ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე (Poláková et al, 2011). ამ გადახდებს, როგორც წესი, თან არ ახლავს მართვის სპეციფიკური მოთხოვნები და ფერმერები მეორე კომპონენტის ფარგლებში განხორციელებულ LFA გადახდებს ესსპ-ის მხარდაჭერის ფორმად განიხილავდნენ, თუმცა ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ 2007-13 წლების პერიოდში LFA გადახდები უფრო მიზნობრივი აგროგარემოსდაცვითი სქემებით შეცვალა (მაგალითად, ინგლისსა და უელსში).

ახალი რეგულაციის მიხედვით, ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიები (ANC) განისაზღვრება ახალი ბიოფიზიკური კრიტერიუმების<sup>54</sup> გამოყენებით, რაც გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს LFA-ს არსებულ საზღვრებში (მე-2 კომპონენტით გათვალისწინებული გარდამავალი გადახდები ხელმისაწვდომი იქნება LFA იმ მიწებისთვის, რომლებიც არ კვალიფიცირდება ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებად (ANC).

წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ შესთავაზონ ფერმერებს ორი ტიპის ANC გადახდა: 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული დამატებითი გადახდის თანხები დაემატება საბაზისო გადახდებსა (BPS) და „მწვანე“ გადახდებს, ასევე უფრო ნაცნობი, მეორე კომპონენტით გათვალისწინებული გადახდის განახლებული ვერსია (რომელიც თავდაპირველად დაკავშირებული იყო პირუტყვის რაოდენობასთან ან დათესილი ტერიტორიის ფართობთან, მაგრამ ახლა გადახდა ხდება ჰექტრების რაოდენობის მიხედვით).

წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ მონიშნონ სამი განსხვავებული ტიპის ANC ტერიტორია<sup>55</sup>:

- a. მთიანი ტერიტორიები, სადაც კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად ამცირებს ვეგეტაციის სეზონს ზღვის დონიდან დიდი სიმაღლის, ციცაბო ფერდობების ან 62-ე განედის ჩრდილოეთით მდებარეობის გამო;
- b. მთიანი ტერიტორიები, სადაც კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად ამცირებს ვეგეტაციის სეზონს ზღვის დონიდან დიდი სიმაღლის, ციცაბო ფერდობების ან 62-ე განედის ჩრდილოეთით მდებარეობის გამო;
- c. სხვა ტერიტორიებზე, რომელზეც გავლენას ახდენს კონკრეტული წინააღმდეგობები და სადაც აუცილებელია მიწის მართვის გაგრძელება გარემოს შენარჩუნების ან გაუმჯობესების მიზნით, სოფლის ლანდშაფტის დაცვის, ტურისტული პოტენციალის შენარჩუნების, ან სანაპირო ზოლის დაცვისათვის. ამ ტერიტორიების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს წევრი ქვეყნების ტერიტორიის 10 პროცენტს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ახალი მოთხოვნა ბ) პუნქტში მითითებული, აგრონარმოების თვალსაზრისით გაუმჯობესებული მიწების ამორიცხვის შესახებ,

54 2013 წლის 17 დეკემბრის №1305/2013 რეგულაციის (EU) III დანართი

55 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) №1305/2013 32-ე მუხლი და III დანართი

არ იყოს გამოყენებული იმგვარად, რომ ნატურა 2000-ის გარკვეული მიწებიც გამოირიცხოს (მაგ., სათიბები).

წვერი ქვეყნები არ არიან ვალდებული დაანესონ ANC გადასახადები რომელიმე კომპონენტის ფარგლებში, მაგრამ თუკი ამას გააკეთებენ, მაშინ Natura 2000-ის ფერმერებს, რომლებიც ფლობენ მიწებს ახალ ANC ტერიტორიებზე, შესაძლებლობა ექნებათ მოითხოვონ მე-2 კომპონენტით გათვალისწინებული ANC გადახდების და ასევე პირველი კომპონენტით ANC-თვის დადგენილი პირდაპირი გადახდები (თუ მათ არ აირჩიეს მცირე ფერმერების სქემა). 1-ლი კომპონენტის ANC გადახდების მოცულობა არუნდააღელმატებოდეს 1-ლი კომპონენტის დასაფინანსებლად ეროვნული ბიუჯეტიდან გამოყოფილი მაქსიმალური თანხის (ჭერის) 5 პროცენტს და არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი წვერი სახელმწიფოს ყველა ANC ტერიტორიაზე<sup>56</sup>.

ANC გადახდები მე-2 კომპონენტის მიხედვით იქნება 25 ევროდან 250 ევრომდე (ან 450 ევრო მაღალმთიან ადგილებში) თითოეულ ჰექტარზე წელიწადში, ბუნებრივი ბარიერების გამო დაკარგული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, იმ მოცემულობასთან შედარებით, თუ ეს ბარიერები არ იქნებოდა. შედარების ეს მოთხოვნა მნიშვნელოვან ცვლილებებს განაპირობებს გადახდების მოცულობის გაანგარიშებაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადახდის განაკვეთების გაზრდა ნატურა 2000-ის ზოგიერთ ტერიტორიაზე და სხვა HNV მიწებზე, მიმდინარე პერიოდთან შედარებით, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოხდება შედარება და რა ხარჯები იქნება გათვალისწინებული. იმ სიტუაციებში, როდესაც არსებობს ნატურა 2000 მიწების მიტოვების რისკი, მნიშვნელოვანია ამ მიწებზე მეურნეობის წარმოების სრული ხარჯების გათვალისწინება (Barnes et al, 2011). ეს ANC გადახდები შემცირდება იმ მეურნეობებისათვის, რომელთა ფართობი გარკვეულ სიდიდეს აღემატება<sup>57</sup>.

### **ნებაყოფლობითი „დაკავშირებული“ გადახდები (1-ლი კომპონენტი)**

1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული ახალი პირდაპირი გადახდები მოიცავს ინსტრუმენტს (73/2009 რეგულაციის 68(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული წინა, სპეციფიკური მხარდაჭერის მსგავსად), რომელიც წვერ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ თავიანთი ეროვნული ბიუჯეტის წლიური ჭერის 8% (ზოგიერთ შემთხვევაში მეტი) პირდაპირი გადახდებისათვის შეზღუდული რაოდენობის სექტორებისა და წარმოების ფორმების ხელშეწყობისთვის, იმ „სექტორებში ან რეგიონებში, სადაც კონკრეტული ტიპის მეურნეობები, ან კონკრეტული აგრარული სექტორები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური თუ ეკოლოგიური მიზეზების გამო, განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დგანან<sup>58</sup>“. წვერი ქვეყნების მიერ განხორციელებული მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა

56 2013 წლის 17 დეკემბრის რეგლამენტის (EU) No1307/2013 48-ე და 49-ე მუხლები

57 2013 წლის 17 დეკემბრის No1305/2013 რეგულაციის (EU) 31-ე მუხლი

58 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1307/2013 52-55-ე მუხლები. 8%

შეიძლება გაიზარდოს 13%-მდე, პლუს 2%-ით ცილოვანი კულტურებისთვის და გარკვეულ პირობებში შეიძლება იყოს 13%-ზე მეტი.

ეცნობოს კომისიას.

ამ ტიპის გადახდებმა შეიძლება უზრუნველყოს სასარგებლო მიზნობრივი მხარდაჭერა ეკონომიკურად დაუცველი მესაქონლეობისთვის, განსაკუთრებით მთავორიან და მთიან რაიონებში, თუმცა წარსულში წევრ სახელმწიფოებს ზოგადად არ დაუწესებიათ გარემოსდაცვითი კრიტერიუმები ფერმერებისთვის, რომლებიც იღებენ 68-ე მუხლით გათვალისწინებულ თანხებს, ან გაუზომიათ მიიღეს თუ არა ეკოლოგიური სარგებელი (IEEP & Alterra, 2010). წევრმა ქვეყნებმა ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება ძირითადად არჩიეს საქონლის ხორცის წარმოების სექტორისათვის, გარკვეულწილად ასევე ცხვრის, თხისა და რძის პროდუქტების წარმოებისათვის, განსაკუთრებით ეკონომიკურად ან ეკოლოგიურად მგრძობიარე ადგილებში (Pitts et al, 2010). 68-ე მუხლით გათვალისწინებული გადახდების კონსერვაციის მიზნით გამოყენების მაგალითებია ექსტენსიური მესაქონლეობის სქემა ირლანდიაში, ბურენში, ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე (იხ. დანართი E); პორტუგალიაში ადგილობრივი ჯიშების და ექსტენსიური მესაქონლეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) მდელოებსა და დეჰესაში (dehesas); და ექსტენსიური მესაქონლეობის და მრავალწლიანი საძოვრების ხელშეწყობა დანიაში (Hart et al, 2010).

### **გადახდები ორგანული სოფლის მეურნეობისთვის (1-ლი კომპონენტის „მწვანე“ გადახდები და მე-2 კომპონენტი)**

ნატურა 2000-ის მრავალი ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემა მოითხოვს შედარებით მცირე ცვლილებებს, ორგანული წარმოების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. სერტიფიცირებული ორგანული მეურნეობები ავტომატურად ექვემდებარებიან „მწვანე“ გადახდების მიღებას 1-ლი კომპონენტის ფარგლებში. წევრ ქვეყნებში, სადაც მრავალწლიანი საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის ორგანული მეთოდებით იმართება, მე-2 კომპონენტით გათვალისწინებული მხარდაჭერა, ორგანულ მეურნეობაზე გადასვლის ან შენარჩუნების მიზნით, შეიძლება გახდეს შემოსავლების მნიშვნელოვანი დამატებითი წყარო ნატურა 2000-ის ფერმერებისათვის<sup>59</sup>, ასევე, პოტენციურად, მეცხვარეობისა და მეთხევრობის ექსტენსიური სისტემებისთვის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, როგორცაა (საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია), ექსტენსიური სახნავ-სათესი სისტემებისთვის მარგინალურ მიწებზე (მაგ., ესპანეთში მარცვლეულის წარმოების მაგალითი).

ახალი კანონმდებლობა, ორგანული წარმოების სისტემების გადასვლისა და შენარჩუნების მხარდაჭერას განაცალკევებს აგრო-გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზომებისგან, მაგრამ ორივე ტიპის მხარდაჭერის სტრუქტურა ერთნაირია და მოიცავს ხუთიდან შვიდამდე გადახდას წელიწადში<sup>60</sup>. გათვალისწინებულია ფერმერებისთვის ტრანზაქციის ხარჯების ანაზღაურება, პირველი გადახდის გაანგარიშების დროს 20%-ის დამატებით (ან 30%-ის, ფერმერთა

59 მათ შორისაა ჩეხეთი (25%-ზე მეტი), საბერძნეთი, ლატვია და სლოვაკეთი (15-16%), ავსტრია და პორტუგალია (10%-ზე მეტი) (ევროპის კომისია, 2010ა)

60 2013 წლის 17 დეკემბრის რეგლამენტის (EU) No1305/2013, 29-ე მუხლი

ჯგუფის შემთხვევაში). გადახდების მაქსიმალური განაკვეთები ჰექტარზე 450-დან 600 ევრომდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია ფერმერულ სისტემაზე.

## **5.8 ესსპ-ის მხარდაჭერა Natura 2000-ის მეურნეობების ფერმების შესაძლებლობების განვითარებისთვის**

მხარდაჭერის გარეშე, ნატურა 2000-ის მრავალი მეურნეობა უბრალოდ ვერ გადარჩება. ნატურა 2000-ის ფერმერული სისტემების გრძელვადიანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ფერმერის ადმინისტრაციული და გარემოსდაცვითი პოტენციალისა და მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაზე:

- იმისათვის, რომ საჯარო ფონდებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით ისარგებლოს, ფერმერმა ჯერ უნდა გაიაზროს ნატურა 2000-ის მიზნები და მისი მეურნეობის სასიცოცხლო როლი ამ მიზნების მიღწევაში; მეორეც, ფერმერს უნდა გააჩნდეს ცოდნა და ადმინისტრაციული უნარები ამ გადახდებისა და სერვისების საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად, იცოდეს, რის გაკეთებაა საჭირო და აწარმოოს საჭირო ჩანაწერები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერებმა გააცნობიერონ, რომ მხარდაჭერის მიზნები არის გარემოსდაცვითი და არა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისკენ მიმართული.
- ნატურა 2000-ის მრავალ ფერმერს შეუძლია შეამციროს ხარჯები და გაზარდოს შემოსავალი, თუ დაზოგავს შრომას ტექნოლოგიების გამოყენებით, ექნება წვდომა ნატურა 2000-ის აგრარული პროდუქციის ბაზარზე და დააკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტების მოთხოვნებს. სამეურნეო საქმიანობისა და მეურნეობაში მომუშავე პირთა შესაძლებლობების ამგვარად გაუმჯობესებამ, შეიძლება უზრუნველყოს საკმარისი შემოსავლები მეურნეობისა და ოჯახისათვის, გარემოსდაცვითი სერვისებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

საჯარო მხარდაჭერა შესაძლებლობების გასაძლიერებლად უზრუნველყოფილია ესსპ-ის ორივე კომპონენტით, მაგრამ, გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა მორგებული იყოს ფერმერებისა და ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების სპეციფიკურ საჭიროებებზე. შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- საკონსულტაციო მომსახურება მეურნეობისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)
- ცოდნის და ინფორმაციის გადაცემა (მე-2 კომპონენტი)
- ინვესტიციები მხარდაჭერისთვის (მე-2 კომპონენტი)
- მეურნეობის და ბიზნესის განვითარება (მე-2 კომპონენტი)
- ხელშეწყობა შემოსავლებით და სხვა გადახდებით ახალგაზრდა ფერმერებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)
- ნატურა 2000-ის ფერმერების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება (მე-2 კომპონენტი)

## საკონსულტაციო მომსახურება მეუხნეობისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)

ფერმერებისთვის კონსულტაციების გაწევა, ხელშეწყობა და ტრენინგების ჩატარება, ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების შენარჩუნებისა და ძირითადი ჰაბიტატების და სახეობების წარმატებული მართვის გასაღებია.

ევროკავშირის ფერმერებს შორის ჯერ კიდევ არსებობს კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, რომელიც ჯერ არ დაკმაყოფილებულა. 2008 წელს ფერმერების მხოლოდ 5%-მა (რომლებიც პირდაპირი გადახდებით ფინანსდებოდნენ) მიიღო ინდივიდუალური რჩევა (ევროპის კომისია, 2010a). მცირე ფერმერებს არ აქვთ სათანადო წვდომა საკონსულტაციო მომსახურებაზე, არ უტარდებათ ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო მიწებზე არსებულ ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის საკითხებზე. ასევე საჭიროა ეფექტური კავშირების არსებობა კვლევასა და ურთიერთშესაბამისობის მოთხოვნების დანერგვას შორის (Angileri, 2011). ზოგიერთმა ფერმერმა განაცხადა, რომ ურთიერთშესაბამისობის მოთხოვნების დარღვევის შიშით შეაჩერა გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების განხორციელება (Göbler, 2009). ეს ხაზს უსვამს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ფერმერებთან ბიომრავალფეროვნების საკითხებზე კომუნიკაციას და ინფორმაციის გავრცელებას, მათი მეურნეობის მართვის კონტექსტში, ფერმერისთვის კონკრეტულ სიტუაციაში რჩევის მიცემას და არა უბრალოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას.

წევრი ქვეყნები ვალდებული არიან ჩამოაყალიბონ ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემა, რომელიც 2015 წლიდან ფერმერებს რჩევებს მიაწვდის შემდეგ საკითხებზე: ურთიერთშესაბამისობა (SMR და GAEC), „მწვანე“ მოთხოვნები, ევროკავშირის წყლის რესურსებთან და პესტიციდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნები მეურნეობის დონეზე, სოფლის განვითარების პროგრამის (RDP) ღონისძიებები მეურნეობის მოდერნიზაციის, კონკურენტუნარიანობის, სექტორის ინტეგრაციის, ინოვაციების, ბაზარზე ორიენტაციისა და მენარმეობის ხელშეწყობის კუთხით<sup>61</sup>. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ უფრო ფართო სპექტრის კონსულტაციების შეთავაზება ფერმერთა საკონსულტაციო სერვისების სისტემის მეშვეობით. კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მეურნეობის კონვერსია და გამრავალფეროვნება, რისკის მართვა და პრევენციული ღონისძიებები, აგრო-გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული გადახდების საბაზისო მოთხოვნები, და რჩევები კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან, ბიომრავალფეროვნებასთან და წყლის რესურსებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე<sup>62</sup>.

წარსულში მსხვილი მეურნეობები ფერმერთა საკონსულტაციო სერვისების სისტემის მთავარი ბენეფიციარები იყვნენ. ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ხელისუფლება პრობლემებს აწყდებოდა მცირე ფერმებისთვის კონსულტაციების გაწევის კუთხით.

61 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1306/2013, 12-15 მუხლები

62 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1306/2013, I დანართი

2015 წლიდან ნევრ ქვეყნებს შეუძლიათ, სურვილის შემთხვევაში, ფერმერთა გარკვეულ კატეგორიებს პრიორიტეტულად მიანიჭონ კონსულტაციებსა და რჩევებზე წვდომის შესაძლებლობა, პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ იმ ფერმერებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აქვთ წვდომა ასეთი ტიპის მომსახურებაზე და უზრუნველყონ მათი „წვდომა ისეთ საკონსულტაციო სერვისებზე, რომლებიც შეესაბამება მათ საკუთრებაში არსებულ მეურნეობის სპეციფიკურ მდგომარეობას“<sup>63</sup>.

2015 წლიდან საკონსულტაციო სერვისების სისტემის სფერო და მოთხოვნები, ნევრ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, ნატურა 2000-ის ფერმერებს შესთავაზონ გარემოსდაცვითსა და ეკონომიკურ საჭიროებებზე მორგებული, მეტად სპეციფიკური სამრჩევლო მომსახურება. თუმცა, არ არსებობს გარანტია, რომ ისინი ამას გააკეთებენ ან რომ ნატურა 2000-ის და HNV ფერმერების მოთხოვნილებები რჩევებსა და კონსულტაციებზე, უფრო პრიორიტეტულად დაისახება ინტენსიური სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ფერმერების საჭიროებებთან შედარებით.

საკონსულტაციო სერვისების სისტემის უზრუნველყოფა არის 1-ლი კომპონენტის მოთხოვნა, მაგრამ ნევრი ქვეყნების მიერ საკონსულტაციო მომსახურების ჩამოსაყალიბებლად საჭირო დაფინანსება მომდინარეობს მე-2 კომპონენტით თანადაფინანსებული სოფლის განვითარების პროგრამებიდან<sup>64</sup>. ამ ღონისძიების ფარგლებში გადახდები ხორციელდება საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებლებისათვის. ასევე არის ფინანსური მხარდაჭერა მრჩველთა ტრენინგისთვის. გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერა მრჩველთა მოსამზადებლადაც. საკონსულტაციო სერვისების სისტემის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება კონსულტაციების ხარისხსა და კონსულტანტების კვალიფიკაციაზე და იმაზე, თუ როგორ ამყარებენ კომუნიკაციას და ურთიერთობენ მინათმფლობელებთან. ისინი ასევე წარმოადგენენ მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს მკვლევრებსა და ფერმერებს შორის: ისინი ახდენენ ფერმერების საჭიროებების იდენტიფიცირებას, თავს უყრიან მათ პრაქტიკულ გამოცდილებას და უზრუნველყოფენ კვლევების შედეგად მიღებული ცოდნის ადგილობრივ სიტუაციებში გამოყენებას.

კონსულტანტებს უნდა ჰქონდეთ საჭირო ტექნიკური კვალიფიკაცია და გამოცდილება, განსაკუთრებით ნატურა 2000-ის სავარგულებთან დაკავშირებით, ასე რომ, ეს შეიძლება იყოს დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო როგორც მრჩველების მომზადების, ასევე ფერმერებისთვის მომსახურების გასაწევად.

ნევრი ქვეყნები ხშირად აწვდიდნენ ფერმერებს რჩევებს აგრო-გარემოსდაცვითი სქემების შესახებ, ცალკეული ორგანიზაციების ან კერძო კონტრაქტორების მეშვეობით, მაგრამ ამ მომსახურების მიწოდება ასევე შესაძლებელია ადგილობრივი ორგანიზაციების მიერაც, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და ფერმერთა ასოციაციები, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ მცირე ფერმერებსა და სამრჩევლო სამსახურებს შორის არსებული ისეთი უფსკრულის ამოვსებაში, როგორც ნაჩვენებია 5.2 ჩანართში.

63 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1306/2013 მუხლი 14

64 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 15

**ჩანახტი 5.2. სამხრევლო მომსახურების მაგალითები ფეხმეხებისთვის, ხომლებიც მახთავენ ნაგუხა 2000-ის ჰაბიტატებსა და სახეობებს**

**ავსტრია და გერმანიის რაინლანდ-ჰფალცი შტატი** პიონერებია კონსერვაციისა და აგრონომიის სფეროს მეურნეობისთვის კომპლექსური საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებაში, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობაში არსებული სახეობებისა და ჰაბიტატების უკეთეს დაცვას, განსაკუთრებით აგრო-გარემოსდაცვითი სქემებისა და ინოვაციური ნებაყოფლობითი ინიციატივების მორგებას მეურნეობის სპეციფიკურ პირობებზე.

რუმინეთის ტარნავა მარეს რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციამ Fundația AD-EPT Transilvania ჩამოაყალიბა ფერმერთა საკონსულტაციო სამსახური, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვის ვალდებულებებს და სოფლად შემოსავლების მხარდაჭერას ადგილობრივ თემებთან და რუმინეთის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტროსთან (MARD) და გარემოს დაცვისა და სატყეო მეურნეობის (MEF) სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი ხედვაა ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ლანდშაფტის დონეზე მცირე ფერმერთან მუშაობით, მათი წახალისებით მათ მიერვე შექმნილი ნახევრად ბუნებრივი ლანდშაფტების დასაცავად. საკონსულტაციო სამსახური დაეხმარა მცირე ფერმერებს ესსპ-ის პირდაპირი გადახდების მიღების უფლების მოპოვებაში, მიზნობრივი აგრო-გარემოსდაცვითი სქემების შემუშავებასა და განხორციელების ხელშეწყობაში, გახსნა მარკეტინგული შესაძლებლობები ფერმერებისათვის.

**შოტლანდიაში (დიდი ბრიტანეთი)** „სტრატესკეს ქარბტენიანი ტერიტორიების წყლის ფრინველების ინიციატივამ“ მუშაობა დაიწყო წყლის ფრინველების პოპულაციების დრამატული შემცირების პრობლემის მოსაგვარებლად, როგორცაა (დიდი კრონსნეპი- Numenius arquata, წითელფეხა მენაპირე- Tringa tetanus), მდინარე სპეის ნახევრად ბუნებრივ ქალში, სადაც 2000-დან 2010 წლამდე ფრინველების რაოდენობა 42%-ით შემცირდა. მისი მიზანი იყო კონსერვაციონისტებს, აგრონომებსა და მინათმფლობელებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ლანდშაფტის დონეზე ჰაბიტატის ხარისხიანი მართვის გეგმების შესამუშავებლად და აგროეკოლოგიური გადახდების გამოყენების ხელშესაწყობად. მინის მესაკუთრეები და მოიჭარე ფერმერები ადგილზე იღებენკონკრეტულ რჩევებს ფრინველის გამრავლების ჰაბიტატთან დაკავშირებით, როგორცაა მათი საკვები ბალახის სიმალლე, იმ საძოვრების თანაფარდობა, სადაც იზრდება ჭილი (Juncus) და წყალმარჩხი ტბორების საჭირო რაოდენობა. ასევე გათვალისწინებულია კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმები, როგორცაა ტრენინგი, კვლევა და ქსელური მუშაობა. ტექნიკურ ხასიათის რჩევებს უზრუნველყოფს აქტორთა კომბინაცია, მათ შორის შოტლანდიის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი, კეირნგორმის ეროვნული პარკის ხელმძღვანელობა, დამოუკიდებელი აგრონომები და ფრინველთა დაცვის სამეფო საზოგადოება (RSPB), გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია. 2012 წლის თებერვლის მდგომარეობით, ინიციატივის ფარგლებში რეგისტრირებულია 2,250 ჰექტარი ტერიტორია და დროთა განმავლობაში ეს პოზიტიური ჩართულობა და ქარბტენიანი ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქაობის ფრინველთა პოპულაციის რიცხოვნობის ზრდას.

## ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა (მე-2 კომპონენტი)

რჩევის გარდა, ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ მე-2 კომპონენტის ეს ზომა პროფესიული და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, სემინარების და ქოუჩინგის, სადემონსტრაციო ღონისძიებების, მეურნეობაში ვიზიტების და მეურნეობის მართვის გამოცდილების გაზიარებისთვის მოკლევადიანი გაცვლების დასაფინანსებლად<sup>65</sup>. დაფინანსება შეიძლება გამოიყოს მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის გადამზადებისა და ფერმერების ამ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯების დასაფარად (მგზავრობა, დაბინავება, დღიური ხარჯები და ფერმერის არყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლის ხარჯები). ტრენინგები და ინფორმაციის გაცვლა შეიძლება ადაპტირებული იყოს ღონისძიებათა ნებისმიერი კომბინაციის მხარდასაჭერად, დეტალიზაციის ნებისმიერ დონეზე, საერთო მიზნით - გაუმჯობესდეს მინათმფლობელთა შესაძლებლობები ნატურა 2000-ის მიზნების მისაღწევად.

სემინარები და სადემონსტრაციო ღონისძიებები ხელს შეუწყობს მინათმომწოდებებს მონაწილეობა მიიღონ სარგებლის მიღების ძალისხმევაში. ეს ძნელად მისაღწევია მეურნეობის დონეზე და საჭიროებს ლანდშაფტის დონეზე ისეთ ინტერვენციას, როგორცაა ჰაბიტატების ქსელების შექმნა ან ძირითადი ჰაბიტატის ექსტენსიური ფართობის მართვა. მეურნეობაში ვიზიტები და ფერმერთა გაცვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფერმერების წახალისებაში, შეუერთდნენ აგრო-გარემოსდაცვით სქემებს, ამაღლებს მათ მოტივაციას და კრეატიულობას და ასტიმულირების ინოვაციურობას კონსერვაციული მართვის მიმართულებით (იხ. მაგალითები ირლანდიიდან, გერმანიიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, ავსტრიიდან, ნიდერლანდებიდან და სხვ, სადაც ჩამოყალიბდა ეფექტური სამრჩევლო სისტემები და ადგილი აქვს რეგულარულ კომუნიკაციას ფერმერებთან).

აღნიშნულ ზომას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, როდესაც გამოიყენება მინის მართვის ღონისძიებებთან ერთად, სადაც ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა მორგებულია კონკრეტული სქემის ან პროექტის საჭიროებებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს სოფლის განვითარების პროგრამის (RDP) დაფინანსების გამოყენებას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ორგანიზაციების, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფერმერების მხარდასაჭერად, რომლებიც შესაძლოა უკვე მოხალისეობრივად იძლევიან რჩევებს. მაღალი ბუნებრივი ღირებულების ტერიტორიებისთვის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების აქტივობების დაფინანსება ასევე ხელმისაწვდომია საბაზისო სერვისებისა და სოფლების განახლების ღონისძიების ფარგლებში<sup>66</sup>.

65 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 14

66 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 20 (1)f

## ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში (მე-2 კომპონენტი)

ახალი კანონმდებლობა ერთ ღონისძიებად<sup>67</sup> აერთიანებს ინვესტიციებით მხარდაჭერის ფართო სპექტრს, მათ შორის მეურნეობის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, გადამუშავებას, მარკეტინგს და პროდუქტის განვითარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და გარემოსდაცვით ინვესტიციებს (ეს უკანასკნელი განხილულია ქვემოთ, ცალკე, 5.10 განყოფილებაში). ინვესტიციის განაკვეთები შეიძლება გაიზარდოს ახალგაზრდა ფერმერებისთვის, ჯგუფური ინვესტიციებისთვის, ინტეგრირებული პროექტებისთვის, ბუნებრივი ბარიერების მქონე (ANC) ზოგიერთი ტერიტორიისთვის, აგრეთვე აგროეკოლოგიასა და კლიმატთან დაკავშირებული და ნატურა 2000-ის გადახდებთან დაკავშირებულ ინვესტიციების შემთხვევაში.

მრავალ ასეთ ინვესტიციას შეუძლია გააუმჯობესოს ექსტენსიურად მართული ნატურა 2000-ის სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. მაგალითად, რძის წარმოება შეიძლება შენარჩუნდეს ადგილზე ან მიმდებარედ არსებული რძის გადამამუშავებელი საწარმოო ერთეულების დაფინანსებით, რომლებიც შექმნიან დამატებით შემოსავალს (დამატებით ღირებულებას) ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. ფერმაში ნაკელის შენახვისა და წყლის რესურსების ეფექტური გამოყენების გასაუმჯობესებლად გაცემულ ინვესტიციებს გააჩნია პოტენციალი, რომ შეამციროს ხარჯები და უზრუნველყოს არაპირდაპირი სარგებელი ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატებისთვის, წყლის ხარისხის ან წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, აზოტით დაბინძურების და სათბურის აირების ემისიის შემცირებით (Boccaccio et al, 2009; European Commission, 2010c). კვიპროსში სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინვესტიციები „მეცხოველეობისათვის საჭირო ტერიტორიების განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავდა საძოვრების დაგეგმვას, ლაღშაფტისა და ინფრასტრუქტურის მოწყობას (წყალი, ელექტროენერჯია) საძოვარი ტერიტორიებისთვის. საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და ჩეხეთში საინვესტიციო მხარდაჭერა აშკარად იყო დაკავშირებული მთიან ტერიტორიებთან და აგრარულ საქმიანობასთან მთაში. თუმცა, EAFRD-ის ფინანსური რესურსები ასევე დაიხარჯა გარემოსდაცვითი რისკების პრევენციისათვის საჭირო ინვესტიციებზეც (Boccaccio et al, 2009).

ფიზიკურ აქტივებში ინვესტიციას შეუძლია ნატურა 2000-ის დაბალინტენსიური მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სისტემების შენარჩუნებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის დივერსიფიკაციისა და ბიზნესის განვითარების მიზანმიმართულ ღონისძიებებთან კომბინაციაში გამოიყენება. მაგალითად, ბაზარზე წვდომის გასაუმჯობესებლად. თუმცა, მცირე და ნაწილობრივ თვითგამოკვებაზე ორიენტირებული მეურნეობა შეიძლება არ იყოს პრიორიტეტი საინვესტიციო მხარდაჭერისთვის, რადგან მოითხოვს მნიშვნელოვანი გამოწვევების დაძლევას, მათ შორის: მცირე მწარმოებლების ინდივიდუალური ტარგეტირების სირთულე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძალიან მცირე მეურნეობების დიდ რაოდენობასთან, თანამშრომლობის სურვილის

67 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 1

არქონა ფერმერების მხრიდან, თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული მრავალი ფერმერის მაღალი ასაკი და განათლების დაბალი დონე (Redman, 2010).

ფერმერებისთვის ამ პუნქტის ფარგლებში განული საინვესტიციო მხარდაჭერა არ იწვევდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით უარყოფითი ზემოქმედებას გარემოზე.

### **მეურნეობისა და ბიზნესის განვითარება (მე-2 კომპონენტი)**

მეურნეობისა და ბიზნესის განვითარება მცირე და ნაწილობრივ თვითგამოკვებაზე ორიენტირებული მეურნეობებისთვის. მხარდაჭერის ეს ზომა კი უზრუნველყოფს ბიზნესის წამოწყებისთვის (სტარტაპისთვის) საჭირო დახმარებას ახალგაზრდა ფერმერებისთვის, მცირე მეურნეობებისთვის და საქმიანობათა გამრავალფეროვნებას არასასოფლო-სამეურნეო აქტივობებით, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ოჯახების შემოსავლების გაზრდას. მხარდაჭერის ეს საშუალება<sup>68</sup> ასევე შეიძლება შევთავაზოთ მცირე ფერმერთა გადახდების სქემაში ჩართულ პირებს (იხ. განყოფილება 5.7). ისინი მიიღებენ დამატებით წლიურ გადახდებს 2020 წლამდე, თუ მთელ თავის საკუთრებას და მასთან დაკავშირებულ გადახდების მიღების უფლებას სხვა ფერმერს გადასცემენ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა კონკრეტულად არ ასახელებს გარემოსდაცვით პრიორიტეტებს, ეს მხარდაჭერა შეიძლება (თუ გულდასმით იქნება ტარგეტირებული, როგორც ღონისძიებათა პაკეტის ნაწილი) ნატურა 2000-ის მეურნეობებსა და მოწყვლად ტერიტორიებზე მცხოვრებ თემებს ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში დაეხმაროს.

### **გადახდები ახალგაზრდა ფეხმეხებისთვის (1-ლი და მე-2 კომპონენტი)**

ნატურა 2000-ის მეურნეობებისა და მაღალი ბუნებრივი ღირებულების სხვა მეურნეობების გრძელვადიანი მართვის ერთ-ერთი გამონწვევა არის ის, რომ ბევრი ფერმერი უახლოვდება საპენსიო ასაკს და არ ჰყავს მემკვიდრეები. მრავალი მეურნეობისთვის, შესაძლებლობის გაზრდის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდებისთვის მომავალი სამუშაო ადგილების შექმნას, როგორც ფერმერულ სისტემებში, ისე მასთან დაკავშირებულ გადამამუშავებელ სექტორში. ახალგაზრდა ფერმერებს შეუძლიათ ისარგებლონ კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე ღონისძიებით.

პირველი კომპონენტის პირდაპირი გადახდების ახალი სტრუქტურის მიხედვით, წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ახალგაზრდა ფერმერები უზრუნველყონ დამატებითი წლიური გადახდებით, ხუთ წლამდე ვადით BPS ან SAPS გადახდების პარალელურად<sup>69</sup>. გადახდის მოცულობა იქნება BPS გადახდის დაახლოებით 25 პროცენტი და ხელმისაწვდომი იქნება 40 წლამდე ახალგაზრდა ფერმერებისთვის, რომლებიც პირველად იწყებენ ფერმერულ საქმიანობას (ან უკვე დაწყებული აქვთ ხუთი წლის

68 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 19

69 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1307/2013 მუხლი 50

განმავლობაში BPS გადახდების პირველ მოთხოვნამდე). წევრ ქვეყნებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება ახალგაზრდა ფერმერებისკენაც მიმართონ, მათ შორის საინვესტიციო მხარდაჭერა და დახმარება კონკრეტული ბიზნესის წამოწყებისას (სტარტაპისთვის). ახალგაზრდა ფერმერებს შეუძლიათ უფრო ადვილად მიიღონ დამატებითი მიწა, თუ წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ მცირე ფერმერებს შესთავაზონ წამახალისებელი გადახდა მათი მიწის და უფლებების გადაცემის სანაცვლოდ, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

### **5.9 ესსპ-ის მხარდაჭერა და სხვა ღონისძიებები, ნატურა 2000-ის მეურნეობების პროდუქციაზე ფერმერების მიერ დამატებითი ღირებულების მისაღებად**

ნატურა 2000-ის და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სავარგულებში მომუშავე მრავალი ფერმერი აწყდება პრობლემებს საკუთარი პროდუქციის გაყიდვისას, რადგან ისინი ხშირად მცირე მწარმოებლები არიან შორეული რეგიონებიდან, სადაც მხოლოდ მცირე რაოდენობის მომხმარებელია მზად, რომ პროდუქციაში ნომინალურზე მაღალი ფასი გადაიხადოს. მეორე მხრივ, ზოგიერთს აქვს კარგი პოზიციონირება პირდაპირი მარკეტინგისათვის ეკოტურისტებთან და ტურისტული მომსახურების შესათავაზებლად (სასტუმროები და რესტორნები). ზოგიერთ რეგიონში ნატურა 2000-ის ფერმერებმა წარმატებით დაამყარეს პირდაპირი კავშირი სუპერმარკეტებთან.

მხარდაჭერის სპექტრი ფერმერებისთვის, რომლებიც ცდილობენ დამატებითი ღირებულების მიღებას საკუთარი პროდუქციის გაყიდვებიდან, მოიცავს შედეგს:

- მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა (მე-2 კომპონენტი)
- ხარისხის სქემები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის (მე-2 კომპონენტი)
- ნიშანდობა და დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნები

### **მწახმოებელთა ჯგუფების შექმნა (მე-2 კომპონენტი)**

ამ ღონისძიების მხარდაჭერის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის (ან ტყის) პროდუქტების მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა შეიძლება დაეხმაროს ნატურა 2000-ის ფერმერებს, ეკოლოგიური და მდგრადი პროდუქტების გაყიდვისას, სარგებელი მიიღონ მასშტაბის ეფექტის გამო. ამ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსების კონკრეტული სამიზნეებია მცირე და საშუალო საწარმოები<sup>70</sup> და ის ითვალისწინებს დაფინანსებას ხუთ წლამდე ვადით მწარმოებელთა ჯგუფების შესაქმნელად, წარმოების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების, ერთობლივი მარკეტინგის, პროდუქტის პოპულარიზაციის წესების დადგენის, ბიზნესუნარებისა და ინოვაციების განვითარების მიზნით.

70 COM(2011) 627 final/3 მუხლი 28

## **ბაჩისხის სქემები სოფლის მეურნეობის პიოლექციებისთვის (მე-2 კომპონენტი)**

ნატურა 2000-ის უბნებში წარმოებული ხარისხიანი ბუნებრივი პროდუქტების ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების შექმნამ შეიძლება გაზარდოს ფერმერების შემოსავალი და ხელი შეუწყოს ტრადიციული ექსტენსიური სამეურნეო სისტემების შენარჩუნებას. მაგალითად, ასეთ სისტემებს შეუძლიათ დამატებითი ღირებულების პროდუქტების შეთავაზება, როგორცაა „მწვანე“ (ბიო) ხორცი, ყველი, ღვინო, ხილი და თაფლი, საფრთხის წინაშე მყოფი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების ან კულტურულ მცენარეთა ჯიშების პროდუქტები, ასევე ველურად მზარდი ხილი, სოკო და სამკურნალო მცენარეები. ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქტები ასტიმულირებს ტურიზმის განვითარებასაც, რაც ზრდის ადგილობრივი თემების შემოსავალს. ეს ღონისძიება<sup>71</sup> ითვალისწინებს ფერმერების ხარისხიანი პროდუქციის სერტიფიცირების სქემებში მონაწილეობისთვის განულები ხარჯების ანაზღაურებას, მათ შორის იმ სქემებში, რომლებიც მეურნეობის ან წარმოების სპეციფიკური მეთოდების გარანტიას უზრუნველყოფს. მხარდაჭერა გათვალისწინებულია ხუთ წლამდე ვადით.

## **ნიშანდება და დაცული ადგილწახმოშობის აღნიშვნები**

ნიშანდება წარმატებით იყო გამოყენებული პირდაპირ მარკეტინგთან კომბინაციაში, ნატურა 2000-ის ექსტენსიური მეთოდებით მართვის მხარდასაჭერად პირუტყვის ტრადიციული ჯიშების გამოყენებით ისე, როგორც ნაჩვენებია 5.3 ჩანართში წარმოდგენილ მაგალითებში. ექსტენსიური აგროწარმოების პრაქტიკისა და რეგიონული იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ღირებულების შესანარჩუნებლად ხშირად საჭიროა მიზნობრივი ბაზრების ორგანიზება ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე. მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ნდობისა და პირდაპირი ურთიერთობების დამყარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნიშანდების სქემების წარმატებისთვის. არსებობს ნიშანდების მრავალი ადგილობრივი სქემა, მათ შორის ისეთიც, რომელიც კონკრეტულად ნატურა 2000-ის ტერიტორიებთანაა დაკავშირებული.

ორგანულ სერტიფიცირებას ასევე შეუძლია გააუმჯობესოს ექსტენსიური მეცხოველეობის სისტემებიდან მიღებული აგროპროდუქტების მომგებიანობა. ორგანული ნიშანდება მოიცავს ევროკავშირის ნიშანდებას ფოთლის ფორმის გამოსახულებით, IFOAM-თან ასოცირებული სხვადასხვა ეროვნული ან დამოუკიდებელი აკრედიტაციის სქემებსა და ნიშანდებებს<sup>72</sup>. ამჟამად შეუძლებელია ორგანული წარმოების მოცულობის დადგენა ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, მაგრამ ორგანული სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ცხვრისა და თხის ექსტენსიური ძოვების ხელშეწყობაში, მათ შორის რეგიონულ წარმოებაში, როგორცაა ფეტა, კაპრინო, კაზუ მარზუ ან ჰალომი. ეს სპის

71 COM(2011) 627 final/3 მუხლი 17

72 ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია <http://www.ifoam.org/>; <http://www.organicbio.com/en/labels/>

სხვა მხარდაჭერა ორგანული სოფლის მეურნეობისთვის აღწერილია ზემოთ, 5.7 განყოფილებაში.

ევროკავშირის ნიშანდების სქემა დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისთვის (PDO) იცავს გარკვეული რეგიონების სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელწოდებებს (ასევე არსებობს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების (PGI) და ტრადიციული სპეციალობის გარანტირებული (TSG) ნიშანდებების<sup>73</sup> ნაკლებად მკაცრი სქემები). დაცული ადგილწარმოშობის დასახელების (PDO) ნიშანდების მისაღებად პროდუქტს უნდა ჰქონდეს ის თვისებები და მახასიათებლები, რომლებიც პირველ რიგში ასოცირდება მისი წარმოშობის რეგიონთან და უნდა იყოს წარმოებული, დამუშავებული და მომზადებული ექსკლუზიურად ამ რეგიონში. მისი მაგალითებია Prosciutto Toscano (ლორი ტოსკანადან, იტალია) და Bryndza Podhalańska (პოლონური ცხვრის რძის ყველი).

ნატურა 2000-ის ჰაბიტატებში წარმოებული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ნიშანდების გამოყენების რამდენიმე მაგალითი წარმოდგენილია 5.4 ჩანართში. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ნიშანდება არ იძლევა გარანტიას, რომ პროდუქტმა რაიმე სარგებლობა მოუტანა ბიომრავალფეროვნებას სადმე, რომ არაფერი ვთქვათ ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, რადგან ამ ნიშანდების კრიტერიუმები, როგორც წესი, არ მოიცავს ჰაბიტატის მართვის ღონისძიებებს. „ნატურა 2000“ ნიშანდების ადგილობრივ სქემებს უფრო შეუძლიათ პირდაპირი წვლილის შეტანა ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების მართვაში.

---

73 [დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის (PGI) ნიშანდება მოითხოვს მხოლოდ კონკრეტული რეგიონის პროდუქტის კარგ რეპუტაციას (და არა ობიექტურად განმასხვავებელ მახასიათებლებს), იმ პირობით, რომ წარმოების, გადამუშავების და მომზადების ნებისმიერ ეტაპს ადგილი აქვს ამ რეგიონში. PGI-ის მაგალითებია შოტლანდიური საქონლის ხორცი და ცხვრის ხორცი შოტლანდიიდან, სტილტონის ყველი ინგლისის სამი საგრაფოდან, Oscypek (შებოლილი ცხვრის რძის ყველი) ტატრას მთებიდან პოლონეთში (ან იქ, საიდანაც ემიგრაციაში წავიდნენ ადგილობრივი ტატრანები). ტრადიციული სპეციალობის გარანტირებული ნიშანდება (TSG) შეიძლება გამოყენებულ იყოს იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც დამზადებულია ტრადიციული ინგრედიენტებით ან აქვთ ტრადიციული ტიპის წარმოება- გადამუშავებისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგრამ არ მოითხოვება, რომ პროდუქტი წარმოებული იყოს კონკრეტულ ადგილას. ეს სისტემა მუშაობს ცალკეულ წევრ ქვეყნებში გამოყენებული სისტემების პარალელურად, როგორცაა Appellation d'origine Controlada (AOC), რომელიც გამოიყენება საფრანგეთში, Denominazione di origine controllata (DOC) გამოიყენება იტალიაში, Denominação de Origem Controlada (DOC) გამოიყენება პორტუგალიაში და Denominación de Origen (DO) სისტემა, რომელიც გამოიყენება ესპანეთში. ზოგიერთ პროდუქტზე, ევროკავშირის ნიშანდების ნაცვლად გამოსახულია ეროვნული ნიშანდება, მაგალითად, ფრანგულ ღვინოსა და ყველზე.]

**ჩანაჩი 5.3. ადგილობრივი ნიშანების სქემების წახმაგებული მაგალითები, ჩომლებიც ხელს უწყობენ ნაცუხა 2000-ის აგუაჩული გეჩიგოჩიების მაჩთვას**

(იხ. აგრეთვე ლუქსემბურგის, ესტონეთის და ესპანეთის მაგალითები E დანართში)

**ესტონეთი - ხორცი ზღვისპირა მდელოებიდან.** ბორეალური სანაპირო მდელოების მართვის აღდგენის პროექტებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი, ხარისხიანი ორგანული ხორცის მზარდ ბაზარს. ახალჩამოყალიბებული მესაქონლეთა საზოგადოება აწყობს სასწავლო ტურებს თავისთვის და მეზობელი ტერიტორიების ფერმერებისთვის. ადგილობრივი ნედლეულით ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების დამზადების აღორძინებამ დაამკვიდრა ადგილობრივი პროდუქციის ბაზრობების ტრადიცია კუნძულ ჰიუმააზე. ადგილობრივი ტურისტული ბიზნესი იზრდება.

**გერმანია – Rhönschaf.** რონის (Rhön) ბიოსფერულმა ნაკრძალმა გამოიყენა LIFE-ის სახსრები ნატურა 2000-ის ბალახოვანი ეკოსისტემის ცხვრის ხორცის, როგორც ორგანული პროდუქტის პოპულარიზაციისთვის, კოოპერატივის „Natur- und Lebensraum Rhön e.V“-ის მეშვეობით. მწყემსი ერთ-ერთ აღდგენილ ტერიტორიაზე, 2002 წელს, ბატკნის წლიური ჭარბი პროდუქციის 70%-ს პირდაპირ ადგილობრივ რესტორნებსა და სასტუმროებში კარგ ფასებში ყიდდა. ადგილობრივმა სასტუმროებმა და ქსელურმა რესტორნებმა აიღეს ვალდებულება, რომ მხოლოდ Rhön-ის ცხვრის პროდუქტები გამოიყენონ თავიანთ მენიუში და აცნობონ სტუმრებს, თუ როგორ ეხმარება ამ კერძების მოხმარება ლანდშაფტის შენარჩუნებას, სადაც დასასვენებლად მოდიან.

**გერმანია – Altmuehltales Lamm.** ალტმულტალის რეგიონისთვის (ბავარია) დამახასიათებელია ღვის ბურქები კირიანი ბალახოვანი ეკოსისტემის საძოვრებზე (დანართი I, ჰაბიტატის ტიპი 5130). ცხვრის ფარას ჰყავს მწყემსი. ცხვარი იძლევა ხარისხიან ცხვრის ხორცს და მატყლს. მწყემსები და მიწათმფლობელები რეგიონულ კოოპერატივში თანხმდებიან, რომ ცხვრის ნახევარი მაინც აძოვონ ალტმულტალის ნაკრძალში, კვებონ მხოლოდ ადგილობრივად წარმოებული დამატებითი საკვებით და დაიცვან ცხოველთა კეთილდღეობის, ძოვების სიმჭიდროვის, პესტიციდებისა და სასუქების აკრძალვის წესები. მწყემსებს გარანტირებული აქვთ სამართლიანი ფასი, ცხვრის ხორცი კი ადგილობრივ სასტუმროებსა და სასაკლაოებზე იყიდება.

**ესპანეთი - Riet Vell.** SEO/BirdLife-მა შექმნა კომპანია, რომელიც მუშაობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული ორგანული პროდუქტების წარმოებასა და მარკეტინგზე (Riet Vell). კომპანია წარმატებით ყიდის ებროს დელტაში წარმოებულ ბრინჯს (SPA) და ორგანულ მაგარ ხორბალს ბელჩიტისა და მონე გროს სტეპებიდან (ძირითადად ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე ინარმოება), ასევე ამ ხორბლისგან აწარმოებს მაღალი ხარისხის მაკარონსა და სპაგეტის. 2003 წლიდან Riet Vell-მა გაყიდა დაახლოებით 180,000 კგ პროდუქტი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ესპანეთის კვლევა).

წყარო: <http://www.altmuehltales-lamm.de/>  
<http://ec.europa.eu/ourcoast/index.cfm?menuID=7&articleID=29>,  
[140](http://www.unesco.de/fileadmin/medien/Dokumente/unesco-</a></p></div><div data-bbox=)

**ჩანახტი 5.4 ევხოკავშირის დაცული ადგილწარმოშობის დასახელებით (PDO) ჰევისგვიხეული პხოდექების მაგალითები, ხომლებსაც სახგებელი მოაქვთ ნაგუხა 2000 -ის ჰაბიტატებისთვის**

**გერმანია:** ჭაობის ცხვრის ხორცის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სქემამ (Diepholzer Moorschnucke) ხელი შეუწყო **ნახევრად ბუნებრივი ჭაობებისა და რამსარის ჭარბტენიანი ტერიტორიების** მომგებიან მართვას დიეფოლცში, გერმანიაში. სხვა შემთხვევაში ეს ტერიტორიები დეგრადირდებოდა. სქემაში გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის ცხვარი, რომელიც ტრადიციულად ძოვდა ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების საძოვარზე. მართვამ ხელი შეუწყო 5000 ჰექტარზე მეტი ჭაობის აღდგენას. რამდენიმე საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა აღდგენილია ამ მხარეში, მათ შორის დროზერა და ტყის ტოროლა, ხოლო ტრადიციული ცხვრის ჯიშების კონსერვაცია ხელს უწყობს აგრობიომრავალფეროვნების ზრდას.

**საფრანგეთი:** დაცული ადგილწარმოშობის დასახელებები - პეის დაუგეს სიდრი და კალვადოსი ვაშლის ტრადიციული ბალებიდან, მნიშვნელოვან ჰაბიტატებს წარმოადგენს ფულუროში მობუდარი ფრინველებისა და ღამურებისთვის.

**ესპანეთი:** დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - ცხვრის რძის ყველის („იდიაბაბალი“) წარმატებული სქემა ესპანეთის ბასკეთისა და ნავარესის რეგიონების ექსტენსიური **მთიანი ჰაბიტატებიდან**, მოიცავს დაბალინტენსიურ ძოვებაზე დაფუძნებული წარმოების მეთოდებს, ცხვრის ტრადიციული Laxta და Carranzana ჯიშებით. ამ პროდუქტის ბაზარი ხელს უწყობს მთაბარობის (საქონლის გადარეკვის) და პასტორალიზმის შენარჩუნებას, რაც ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების საყრდენი იყო.

**ესპანეთი:** ბრინჯის ტრადიციული ჯიშები, რომლებიც წარმოებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების „Arroz de Valencia“ სქემით, მოჰყავთ ალბუფერას ეროვნული პარკის დაცულ **ჭარბტენიან ტერიტორიებზე**, ვალენსიის რეგიონში, რომელიც მნიშვნელოვანი ჰაბიტატია გადამფრენი და წყლის ფრინველებისთვის, აგრეთვე ამფიბიებისთვის, თევზებისა და მრავალი სხვა სახეობისთვის. წარმოების მეთოდები ადაპტირებულია ჰაბიტატთან და ეყრდნობა დატბორვის სხვადასხვა დონეს, რომელიც ნიადაგს ტენს უნარჩუნებს და მინიმუმამდე ამცირებს აგროქიმიკატების გამოყენებას.

**ესპანეთი:** ტრადიციულ დეჰესაში (ესპ. dehesas) (აგროტყეებიანი საძოვრები), ღორები შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შეექცევიან რკოს, გაზაფხულზე კი - ძოვენ, ხშირად ცხვრის ან საქონლის გვერდით. დაცული ადგილწარმოშობის დასახელებას - იბერიული ღორი, რომელიც დამზადებულია დეჰესას ტყიანი საძოვრების ღორებისგან, შეიძლება ნიშანდებაზე მიეთითოს, „რკოთი ნაკვები“ (de bellota), თუ ღორები დაკვლამდე სულ მცირე 60 დღით ადრე მხოლოდ რკოთი იკვებებოდნენ და იმ პირობით, რომ ინსპექტორების შემოწმება ადასტურებს, რომ ძოვების სიმჭიდროვე მოქცეული იყო დეჰესას გამტარუნარიანობის ფარგლებში (რკოს პროდუქციის თვალსაზრისით). აქედან გამომდინარე, დეჰესაში ღორები უნდა ძოვდნენ წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც, დაცული

ადგილწარმოშობის დასახელების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რითაც ხელს შეუწყობენ ამ ჰაბიტატის მდგრად გამოყენებას.  
წყარო: (Ecologic, 2006b; Oppermann and Spaar, 2003; Verhulst et al, 2007)

### **5.10 ესსპ-ის მხარდაჭერა ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის**

ამ თავის წინა განყოფილებებში (ქვეთავებში) აღწერილი ესსპ-ის მხარდაჭერის პოტენციური წყაროები, ნატურა 2000-ის დაბალინტენსიური სამეურნეო სისტემების ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ამ მეურნეობების პოტენციალის გაუმჯობესებისა და შემოსავლების ზრდისთვის. წინამდებარე განყოფილება აღწერს ჰაბიტატებისა და სახეობების მართვისთვის საჭირო გადახდებს ესსპ-ის ფარგლებში, ნატურა 2000-ის ტერიტორიების კონსერვაციის მიზნით დაწყებული ნატურა 2000-ის მართვის გეგმების მოსამზადებლად საჭირო დაფინანსების წყაროებით, რადგან ეს გეგმები (ან მსგავსი ინიციატივები) საფუძვლად უდევს მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას. აგროეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული გადახდებისა და არასაწარმოო ინვესტიციების ჩათვლით. მხარდაჭერის ეს სპექტრი მოიცავს შემდეგს:

- მემკვიდრეობა სოფლად და ნატურა 2000-ის მართვის გეგმები (მე-2 კომპონენტი)
- გადახდები აგრო-ეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის (მე-2 კომპონენტი)
- აგრო-ეკოლოგიასა და ნატურა 2000-თან დაკავშირებული არასაწარმოო ინვესტიციები (მე-2 კომპონენტი)
- ნატურა 2000-ის საკომპენსაციო გადახდები (მე-2 კომპონენტი)
- გადახდები ცხოველთა კეთილდღეობისთვის (მე-2 კომპონენტი)
- ტყეების ტყის ხანძრებისგან დაზიანების პრევენცია და აგროწარმოების პოტენციალის აღდგენა (მე-2 კომპონენტი)

### **მემკვიდრეობა სოფლად და ნატურა 2000-ის მართვის გეგმები (მე-2 კომპონენტი)**

ღონისძიება<sup>74</sup> „სოფლად ახსებული ძირითადი სეზონები და სოფლის განახლება“ მოიცავს „ნატურა 2000-ის გეხიგოხიებთან და მაღალი ბუნებრივი ღირებულების სხვა გეხიგოხიებთან დაკავშირებული დაცვისა და მართვის გეგმების“ შემუშავებისა და განახლების დაფინანსების შესაძლებლობას. ფინანსური სახსრები ასევე ხელმისაწვდომია მცირე ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, აგრეთვე კვლევისა და ინვესტიციებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია „სოფლების, სოფლის დანდშაფტებისა და მაღალი ბუნებრივი ღირებულების გეხიგოხიების კვლევითი და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენახუნებასთან, აღდგენასა და განახლებასთან, და ამასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებთან, აგრეთვე გახელოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების აქტივობებთან“. ევროკავშირის სუბსიდიების უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს აქ შემოთავაზებული დაფინანსების ტიპს, მართვის გეგმების

74 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 20

შემუშავების თანამონაწილეობით შემუშავების პროცესების გასაუმჯობესებლად ან მხარდასაჭერად. ეს ღონისძიება შეიძლება უფრო მეტად გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის უბნების მძლავრი მართვის გეგმების შემუშავების მხარდასაჭერად მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებით, რათა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა მენეჯმენტის მიზნების მისაღწევად (Boccaccio et al, 2009) და დაეხმაროს კონფლიქტების რისკის თავიდან აცილებაში, რასაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა წევრ ქვეყანაში (Apostolopoulou and Pantis, 2009; Grodzinska-Jurczak and Cent, 2011; Keulartz, 2009; Rauschmayer et al, 2009).

რამდენიმე სხვა წევრმა ქვეყანამ გამოიყენა ეკვივალენტური ღონისძიება 2007-2013 წლების სოფლის განვითარების პროგრამაში. ეს ღონისძიება ფართოდ იყო გამოყენებული გერმანიაში ნატურა 2000-ის დაგეგმვის, ჰაბიტატების შენარჩუნების/ აღდგენის და სახეობების კონსერვაციის პროგრამების, წყლის ჩარჩო დირექტივის პროექტებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკონსულტაციო სერვისების შესამუშავებლად. საფრანგეთში ეს ღონისძიება გამოიყენებოდა ნატურა 2000-ის მართვის გეგმების და ნატურა 2000-ის კონტრაქტების დასაფინანსებლად პირებთან, რომლებს არ არიან სამეურნეო ან სატყეო ფართობების მფლობელები, აგრეთვე ცნობიერების ამაღლების აქტივობების დასაფინანსებლად; ამ ღონისძიების მეშვეობით საფრანგეთში განხორციელდა ღონისძიებები მსხვილ მტაცებლებთან კონფლიქტის შესამცირებლად. ფინეთის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს ახლა შეუძლიათ მოიძიონ დაფინანსება ამ ღონისძიების ფარგლებში ნატურა 2000-ის კერძო ტყეების მართვის გეგმების მოსამზადებლად და, მაგალითად, მათი, როგორც ეკოტურიზმისთვის შესაფერისი ადგილების პოპულარიზაციისთვის (Figeczky et al, 2010). უელსში ეს ღონისძიება გამოიყენებოდა ინიშირის ნაკრძალში ჭალების ჭაობიანი საძოვრებისა და დამლაშებული ჭაობების აღდგენის მხარდასაჭერად, ადგილზე ვიზიტორთა წვდომისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, საიტისა და მისი მიზნების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ტურიზმის სექტორში ეფექტური პარტნიორობის წახალისებისთვის (Allen et al. 2012b).

## **გადახდები აგრო-ეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის (მე-2 კომპონენტი)**

ამ ღონისძიების ფარგლები გაფართოვდა, როგორც მისი ახალი სახელწოდება მიუთითებს. ის რჩება ერთადერთ სავალდებულო ღონისძიებად, რომელიც წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ სოფლის განვითარების მათი პროგრამის ფარგლებში (გარდა Leader-ისა)<sup>75</sup>. კორექტირებული სახით ამ გადახდების მიზანი ასე გამოიყურება: „შეინახონ და ხელი შეუწყოს სასოფრო-სამეურნეო პრაქტიკაში აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას, რომლებიც დადებითად აისახება გახემოსა და კლიმატზე“.

აგრო-გარემოსდაცვით ღონისძიებაში კლიმატის დამატება მიანიშნებს ვალდებულებას სოფლის მეურნეობის მართვის ისეთი მეთოდების მხარდასაჭერად,

75 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 28

რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების ადაპტაციას და შერბილებას, რაც შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, თუ ევროკავშირი მიწათსარგებლობისა ანდა სატყეო მეურნეობით განპირობებული სათბურის აირების ემისიების აღრიცხვის წესებში შეიტანს ცვლილებებს. სხვა ცვლილებები მოიცავს ახალ აქცენტებს ფერმერებისა და მიწის სხვა მესაკუთრეების ჯგუფურ განაცხადებზე, ტრანზაქციების უფრო უხვი ხარჯებით, რაც ხელს შეუწყობს ნატურა 2000-ის უფრო დიდი მასშტაბის ჰაბიტატებისა და სახეობების მართვას, თუ წევრი სახელმწიფოები გადაწყვიტენ ამ ზომების გამოყენებას. აგროგარემოს სქემებში კოოპერატიული მიდგომებისა და ჯგუფური განაცხადების ეფექტური გამოყენება უკვე შესამჩნევია ნიდერლანდებში (Franks and McGloin 2006).

ლონისძიება ფერმერებსა და მიწის სხვა მესაკუთრეებს სთავაზობს ყოველწლიურ გადახდებს, მრავალწლიანი ვალდებულებების ფარგლებში გარემოსდაცვითი მართვის მომსახურების განვითარების სანაცვლოდ, მკაფიოდ განსაზღვრული მართვის მეთოდებით. ეს მეთოდები მოგვცემს კონკრეტულ გარემოსდაცვით სარგებელს, რომელიც აღემატება გარემოსდაცვითი რეგულაციების და ურთიერთშესაბამისობის საფუძველზე გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებების საკონტროლო დონეს (იხ. ნაწილი 5.3 საკონტროლო დონის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის). მონაწილეობა ნებაყოფლობითია და ანაზღაურების (გადახდების) მისაღებად ფერმერებმა უნდა დადონ მართვის ხელშეკრულება ხელმძღვანელ ორგანოსთან, როგორც წესი, ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით. კონტრაქტი განსაზღვრავს მართვის მოთხოვნებს მეურნეობის დონეზე, ხშირად საკმაოდ დეტალურად და შეიძლება მოითხოვდეს დაგეგმვას და ჩანაწერების წარმოებას (მაგალითად, სასუქის შეტანის და საძოვარზე პირუტყვის გადაადგილების შესახებ)<sup>76</sup>.

აგროეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული მიზანმიმართული ღონისძიებები შეიძლება შემუშავდეს და განხორციელდეს ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი მხარდაჭერის ღონისძიება ესსპ-ის ფარგლებში, რომელიც ექვემდებარება კანონით დადგენილ წესებს და წევრ ქვეყნებს აძლევს თავისუფლებას, აირჩიონ ის გარემოსდაცვითი პრიორიტეტები, რომლებიც ასახავენ ადგილობრივ ბიოფიზიკურ, კლიმატურ, ეკოლოგიურ და აგრონომიულ პირობებს სხვადასხვა მეურნეობაში ევროპის სხვადასხვა რეგიონში. წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს სხვადასხვა აგრო-ეკოლოგიური სქემები, არა მხოლოდ სხვადასხვა გარემოსდაცვითი პრიორიტეტებისა და ზენოლის პასუხად, არამედ საზოგადოების პრეფერენციების, ინსტიტუციური მოწყობისა და ფინანსური და პოლიტიკური ზენოლის პასუხადაც (IEEP, 2011).

ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ სპეციალურად მოახდინა აგროეკოლოგიური სქემების ადაპტირება ნატურა 2000-ის უბნების ან სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის საჭიროებებზე, ნატურა 2000-ის ჰაბიტატებითა და სახეობებით (იხ. ჩანართები 5.5

---

76 აგროეკოლოგიური გადახდების მიმღებებმა ასევე უნდა შეასრულონ მოთხოვნები სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელთა დადგენა წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა (1698/2005 რეგულაციის 39(3) მუხლის შესაბამისად).

და 5.6). მაგალითად, ესპანეთმა აგროეკოლოგიური სქემის მეშვეობით შეინარჩუნა თავისი ტრადიციული ექსტენსიური მეცხვარეობის სისტემა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე (Caballero and FernándezSantos, 2009). თუმცა, ზოგიერთმა სახელმწიფომ (როგორცაა საბერძნეთი, საფრანგეთი და ესპანეთის დიდი ნაწილი), EAFRD ბიუჯეტის მცირე ნაწილი დახარჯა აგროეკოლოგიაზე (Boccaccio et al, 2009). ზოგადად, ნევრი ქვეყნების აგრო-გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული სქემები უნდა იყოს დაბალანსებული, რათა დააკმაყოფილოს როგორც მთლიანი აგრარული ლანდშაფტის ბიომრავალფეროვნების, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის უფრო იშვიათი ჰაბიტატებისა და სახეობების ინტერესები.

მინათმომწყობები, რომლებიც ძირითადად ფერმერები არ არიან (როგორცაა კონსერვაციის კერძო ორგანიზაციები), ფლობენ ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დიდ ფართობებს. აგროეკოლოგიასა და კლიმატთან დაკავშირებული აქტივობების მხარდასაჭერი გადახდების განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ ფერმერებისთვის, არამედ სხვა მინათმომწყობებისთვისაც, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. სოფლის განვითარების პროგრამების (RDPs) შემუშავებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მხარდაჭერის მიღების ხელმისაწვდომობა მათთვის, ვისაც საუკეთესო პოზიციონირება აქვს გარემოსდაცვითი მართვის უზრუნველყოფისთვის, გარემოსდაცვითი პრიორიტეტების შესაბამისად. როგორც წესი, გადახდები ხორციელდება ყოველწლიურად 5-დან 7 წლამდე პერიოდის განმავლობაში (უფრო ხანგრძლივადაც, თუ ეს საჭიროა ეკოლოგიური სარგებლის მისაღებად ან შესანარჩუნებლად). გადახდა შეიძლება განხორციელდეს ფიქსირებული განაკვეთებით ან ერთიანი გადახდის სახით „ტერიტორიების კომერციული მიზნით გამოყენებაზე უარის თქმისთვის“. გადახდის თანხის მოცულობის გაანგარიშებისას ემატება ტრანზაქციის ხარჯები 20%-ის ოდენობით (30 % - ჯგუფებისთვის).

მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ადგილობრივი ჯიშების საქონელი, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ცხვარი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახევრად ბუნებრივი საძოვრების მართვაში და ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს ამ ტერიტორიების კონსერვაციას და გამოყენებას, სასარგებლო დამატებითი რესურსია ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვისთვის. გენეტიკური რესურსების კონსერვაციის აგროეკოლოგიური სქემები ადრე ჩართული იყო სოფლის განვითარების პროგრამებში, მაგალითად, იტალიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში და ავსტრიაში - პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების დიდი ნაწილის მხარდასაჭერად (Nitsch, 2006), როგორცაა უნგრული რუხი და ქრელი ძროხის ჯიშები, მანგალიცას ღორები და რაკას ჯიშის ცხვარი, რომელიც ძოვს პანონიკურ მლაშე სტეპებსა და ჭაობიან ადგილებში; ესტონური ადგილობრივი ცხენები და ესტონური ძროხები სანაპირო მდელოებზე; და სლოვენიაში სქემები 14 ჯიშის ცხოველისთვის, მათ შორისა ციკას ძროხები, კარნიოლას ფუტკრები და იეზერსკო-სოლჩავას ცხვარი, რომელიც ალპურ მდელოებზე ძოვს. ბულგარეთში, ყარააჩანის მეცხვარე ძაღლების დაფინანსება მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო I დანართის ექსტენსიური საძოვრების ჰაბიტატებისთვის.

აგრო-გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული სქემების წარმატებამრავალ

ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მთავარია ფერმერებისთვის სავარგულების გარემოსდაცვითი მართვის შესახებ კონსულტაციების განწევა და ტრენინგიაგრეთვე საკმარისი ტექნიკური და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების არსებობა სქემების შემუშავებისა და მათი შედეგების მონიტორინგისთვის. ეს სქემები უფრო წარმატებული იქნება, თუ მათ შემუშავებაში ფერმერებიც მიიღებენ მონაწილეობას და სქემის სტრუქტურაში ფერმერების ცოდნაც იქნება გამოყენებული (იხ. E დანართში მაგალითები გერმანიიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან და ესტონეთიდან).

აგროეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული კონტრაქტები არასავალდებულოა (არჩევითია) ფერმერებისთვის და თანხების წარმატებული ათვისება დამოკიდებულია გადახდის განაკვეთზე, რომელიც უნდა ასახავდეს ფერმერის რეალურ ხარჯებს და უზრუნველყოფდეს საკმარის მხარდაჭერას ეკონომიკურად არაეფექტური ფერმერული სისტემების შესანარჩუნებლად. აგროეკოლოგიური გადახდები გამოითვლება, როგორც დამატებითი ხარჯები და მართვის მოთხოვნების გამო დაკარგული შემოსავლები. ეს ფორმულა არ გამოიყენება იმ ფერმებისთვის, რომელთა მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ძალიან დაბალია, განსაკუთრებით მთავორიანი, მაღალი ბუნებრივი ღირებულების მეცხოველეობის მეურნეობებისათვის, სადაც გარემოსდაცვითი მართვის დონე ისედაც მაღალია და მართვის მოთხოვნების შესრულება შემოსავლის დაკარგვას არ გამოიწვევს. აქ არ არის საჭირო ფერმერული სისტემის შეცვლა და ამით დამატებითი ხარჯების განწევა. აგროეკოლოგიური გადახდების განაკვეთების გარეშე გამოთვლის შემთხვევაში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაო ძალის ხარჯებიც და აგრარული სისტემის ფიქსირებული ხარჯებიც, ფერმერული საქმიანობის მიტოვება ამ ფერმერებისთვის ეკონომიკურად მომგებიანი არჩევანი იქნებოდა. კარგი იქნება, თუ წევრი ქვეყნები გამოიჩინენ მეტ მოქნილობას იმ სავაჭრო წესების გამოყენებაში, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ფორმულას, და მასში ასახავდნენ მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გასაგრძელებლად საჭირო სრულ ხარჯებს (ღირებულებას), სადაც მეურნეობის მიტოვების ან ინტენსიფიკაციის დადასტურებული რისკი არსებობს (Barnes et al, 2011; RSPB & Birdlife International, 2011). გადახდის განაკვეთის გაანგარიშებისას მთავარი ელემენტი, რომელსაც წევრი ქვეყნები ხშირად უგულებელყოფენ, არის დამატებითი გადახდა ფერმერის ტრანზაქციის ხარჯების (კონტრაქტის შედგენასა და ადმინისტრირებაზე დახარჯული დრო და ძალისხმევა) ასანაზღაურებლად. ამან შეიძლება კიდევ 20 პროცენტი დაამატოს გადახდის თანხის მოცულობას (30 პროცენტი - ჯგუფური კონტრაქტების შემთხვევაში), რაც მნიშვნელოვანი განსხვავება შეიძლება იყოს ფერმერების თვალსაზრისით, მაგრამ მრავალი მმართველი ორგანო ამჟამად არ ამატებს ტრანზაქციის ხარჯებს აგროეკოლოგიური გადახდის თანხის გაანგარიშებისას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მტკიცებულება, რომ ამას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს თანხების ათვისებაზე (Keenleyside et al, 2012).

### **ჩანახტი 5.5. ნაგუხა 2000-ის ჰაბიტატებისთვის შემუშავებული აგროეკოლოგიური სქემები 2007-2013 წლებში**

**რუმინეთი – HNV მდელი მართვა.** ეს სქემა მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს: ტრადიციული სასუქის გამოყენება, ქიმიური სასუქების გამოყენების აკრძალვა, მოთიბვის შემდეგ ნამჯის შეგროვება 2 კვირის განმავლობაში, დატბორილ საძოვრებზე ძოვების შეზღუდვა; დამატებითი გადახდების ხელმისაწვდომობა „ტრადიციული პრაქტიკის შესანარჩუნებლად“ (მხოლოდ ხელით სათიბზე) (ENRD, 2010; Güthler and Oppermann, 2005; Ricceri, 2006). სქემა ტრადიციული ლანდშაფტის შენარჩუნების საშუალებას იძლევა სათიბი მდელი მართვის მოზაიკური მართვის და თიბვის სხვადასხვა ვადების გამოყენებით, რაც იდეალურია ცხოველთა და მცენარეთა სხვადასხვა თანასაზოგადოებისთვის.

**სლოვაკეთი-ნახევრად ბუნებრივი საძოვრების დამდელი მართვა.** ნახევრად ბუნებრივი და ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემების დაცვის აგროეკოლოგიური სქემები ადაპტირებულია შვიდი ტიპის ბალახოვან-ეკოსისტემებზე (მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემები, ზომიერი ბალახოვანი ეკოსისტემები, მთის სათიბები, ტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები დაბალ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან, კნიდიონის ალუვიური ბალახოვანი ეკოსისტემები, ტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები დიდ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან, დაბლობის ჭაობები და ე.წ მოლინას მდელი მართვა), ბალახოვანი ეკოსისტემების ეროვნულ რეესტრში ნახევრად ბუნებრივ ტერიტორიებად არის რეგისტრირებული (დიაგნოსტიკურ სახეობებზე დაყრდნობით). მართვის რეგულაციები მოიცავს თიბვას მითითებულ თარიღებს შორის, მწყემსის მიერ მართულ ძოვებას ცოცხალი ღობეების გამოყენების გარეშე, დრენაჟის და მულჩირების აკრძალვას. დაბლობის ჭაობებსა და მოლინას მდელი მართვა ძოვება აკრძალულია. დაბლობის ალუვიურ მდელი მართვა და მთიან სათიბებზე ძოვება დასაშვებია პირველი მოთიბვის შემდეგ. 102,000 ჰექტარზე მეტი ფართობის ნახევრად ბუნებრივი ბალახოვანი ეკოსისტემები ამჟამად ფინანსდება აგროეკოლოგიური ღონისძიებებით (17 მილიონი ევრო წელიწადში).

**ესპანეთი - „დეესას“ შენარჩუნება.** ექსტრემადურაში, კასტილა-ლა მანჩასა და ანდალუზიაში განხორციელებული აგროეკოლოგიური სქემების მოთხოვნებია: (და ასევე კასტილა-ი ლეონში, როგორც „ტყიანი გარემოს“ ნაწილის) მარცვლეულის/პარკოსნების/საფურაჟე კულტურების შეზღუდული კულტივირება ან საერთოდ აკრძალვა (ჩვეულებრივ, უფრო ინტენსიურად მართვადი ნაკვეთებისთვის), პირუტყვის სიმჭიდროვე 0.1-1.0 ცხრის პირობითი ერთეული /ჰექტარზე (LU/ha) და სხვა შეზღუდვები გადაძოვების თავიდან ასაცილებლად, ლანდშაფტის მახასიათებლების (მაგალითად, ქვის კედლების) შენარჩუნება, ხეების სიმჭიდროვის შენარჩუნება ან გაზრდა (Quercus, Olea), მათი გასხვლა და აღდგენა, აგრეთვე ბუჩქების მართვა და ზოგიერთი ნებაყოფლობითი ვალდებულება, როგორცაა გარკვეული ზონების გამორიცხვა საძოვრებად გამოსაყენებლად, ან ორგანული მინათმოქმედება. ღონისძიება შეიძლება გაერთიანდეს სხვა აგროეკოლოგიურ სქემასთან - ღორების, პირუტყვის, ცხვრის და სხვ. ადგილობრივი ჯიშების დასაცავად, რომლებსაც ტრადიციულად აშენებენ ამ ჰაბიტატებში ორგანული მეთოდებით (Ecologic, 2006a; Rauschmayer et al, 2009; SEO and Birdlife In-

ternational, 2011).

**შვედეთი - ნატურა 2000**-ის ბალახოვანი ეკოსისტემების მართვისთვის შვედეთი გთავაზობთ ზომებს სპეციალური ღირებულების მქონე საძოვრებისთვის, როგორცაა კირქვიანი საძოვრები, მთის საძოვრები, სათიბი მდელოები და ქარბტენიანი ტერიტორიები, რომლებიც შეესაბამება ნატურა 2000-ის ჰაბიტატის რამდენიმე ტიპს. ეს სქემები ხელს უწყობს ამ ჰაბიტატების დაბალინტენსიური მეთოდებით მართვის გაგრძელებას, ისეთი მოთხოვნებით, როგორცაა ძოვებისა და მოსავლის აღების მართვა, პესტიციდების გამოყენების აკრძალვა და როტაციული ხვნის შეზღუდვა.

**გაერთიანებული სამეფო** - საერთო მიწებზე ძოვება ტენიან დაბალი ბუჩქნარში. საერთო მიწების შეყვანა აგროეკოლოგიურ სქემაში ხშირად რთულია, მაგრამ უელსში 16 გაერთიანებულ ფერმერს, რომლებიც აძოვებენ ცხვარს ნატურა 2000-ის 800 ჰექტარ დაბალი ბუჩქნარში, დადებული აქვს ხუთწლიანი აგროეკოლოგიური კონტრაქტი გაზაფხულსა და ზაფხულში პირუტყვის ძოვების დონის გაზრდის მიზნით, რომლის მიზანია უხეში მცენარეული საფარის დათრგუნვა და ძოვება, რომელიც ნელ-ნელა დომინანტური გახდა ტენიან დაბალ ბუჩქნარში. ცხვრის რაოდენობა შეზღუდულია ზამთარში, გადაძოვების თავიდან ასაცილებლად და გამოიყენება არასანარმოო ინვესტიციები უხეში მცენარეულობისა და ბუჩქებისაგან გასანმენდად ჰაბიტატების აღდგენის მიზნით.

წყარო: (IEEP & Alterra, 2010; Poláková et al, 2011; RSPB and Birdlife International, 2011) და ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვის კვლევები (იხ. დანართი E).

**ჩანახტი 5.6. წახმაგებები ნაცუხა 2000-ის სახეობებთან აგროეკოლოგიური ღონისძიებების მოხვედრაში**

**საფრანგეთი - საკვები კულტურები სარსაკარისთვის (Tetrax tetrax).** მას შემდეგ, რაც 2004 წელს პუატუ-შარენტის რეგიონში მიზანმიმართული აგროგარემოსდაცვითი სქემის ამოქმედება დაიწყო, სარსაკარის პოპულაციამ აღდგენა დაიწყო. სქემა მიზნად ისახავს აღმოფხვრას ამ ფრინველის რიცხოვნობის შემცირების ორი ძირითადი მიზეზი: ბუდეების განადგურება და შიმშილი. ვარიანტები მოიცავს ერთწლიანი კულტურებიდან თესვიდან საფურაჟე კულტურებსა და ბალახოვან ეკოსისტემებზე გადასვლას, იონჯის ნათესების თიბვაზე შეზღუდვების დანერგვას და ინსექტიციდების და ჰერბიციდების გამოყენების აკრძალვას.

**პორტუგალია - ექსტენსიური ფსევდო-სტეპიმარცვლელი კულტურებით სავათისა (Otis tarda) და სტეპის სხვა ფრინველებისთვის.** კასტრო ვერდეს ზონალური პროგრამის აგროეკოლოგიური სქემა ეხმარება ფერმერებს მარცვლელი კულტურების ტრადიციული თესლობრუნვის პრაქტიკის შენარჩუნებაში და ხელს უწყობს ინსექტიციდების და ჰერბიციდების შემცირებულ გამოყენებას, აგრეთვე ძოვების დაბალ დონეს. შედეგად, ამ ტერიტორიაზე გაორმაგდა სავათის (Otis tarda) რაოდენობა. ასევე გაუმჯობესდა კირკიტას (Falco naumanni) და სარსაკარის (Tetrax tetrax) პოპულაციები. ეს იმის მიუხედავად, რომ გადახდების განაკვეთები არასაკმარისია ფერმერების მიერ მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებული წინააღმდეგობების კომპენსაციისთვის.

**სლოვენია - მდელოს ბაღებისა და მასთან დაკავშირებული ფრინველების კონსერვაცია.** აღნიშნული სქემა მოიცავს ხეების გასხვლას და ხელახლა დარგვას (მინ. 50, მაქს. 200 ხე/ჰექტარზე); ხეების გასხვლის ვადებზე შეზღუდვების დანერგვას; ძოვებას ხეების ქვეშ - სახეობებით მდიდარ ადგილებზე, პირუტყვის შეზღუდული სიმჭიდროვით; და მცენარეთა დაცვის საშუალებების და სასუქების გამოყენების შეზღუდვებს. I დანართის სახეობები, რომლებიც სარგებელს იღებენ ტრადიციული ბაღებიდან, არის ჭოტი (Athene noctua), ოფოფი (Upupa epops) და ჩვეულებრივი მაქცია (Jynx torquilla).

**გაერთიანებული სამეფო (ინგლისი) - ბალახოვანი ეკოსისტემის მართვა Marsh Fritillary butterfly (Euphydryas aurinia) - თვის.** ამ პეპლის პოპულაციების რიცხოვნობა, რომელიც თითქმის გაქრა ევროპის დიდი ტერიტორიებიდან ნოტიო და ცარციანი ბალახოვანი ეკოსისტემების დაკარგვის გამო, დასტაბილურდა ან გაიზარდა მიზნობრივი აგროეკოლოგიის სქემის განხორციელების შედეგად. სქემა აფინანსებს მართვის ვარიანტებს, რომლებიც ქმნიან მოკლე და გრძელი ვეგეტაციის არაერთგვაროვან ჰეტეროგენულ ნაზავს ნოტიო ცარციან მდელოებზე, პირუტყვის ან ცხენის ტრადიციული ჯიშების ექსტენსიური ძოვების გამოყენებით, შერჩევითი თიბვითა და ბუჩქების მოცილებით.

წყარო: (Poláková et al, 2011; RSPB & Birdlife International, 2011), Liga para a protecção da natureza (LPN) personal communication; ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვის კვლევები (იხ. დანართი E).

რამდენიმე აგრო-ეკოლოგიური სქემა, რომელიც მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ჰაბიტატების ან კონკრეტული სახეობების შენარჩუნებას, დაფუძნებულია „გადახდა შედეგების მიხედვით“ პრინციპზე, რაც ფერმერებს ანიჭებს მოქნილობას მართვის ტიპის არჩევისას (იხ. ირლანდიის მაგალითი E დანართში). ამან შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ჰაბიტატის ტიპებსა და სახეობებზე, სადაც ადვილად შემოწმებადი შედეგი პირდაპირ კავშირშია ჰაბიტატის ზოგად მდგომარეობასთან, მაგრამ შეიძლება უფრო მაღალ რისკს წარმოადგენდეს ფერმერებისთვის, რადგან ეკოლოგიურ შედეგებზე შეიძლება გავლენა იქონიოს მათ კონტროლს მიღმა არსებულმა გარე ფაქტორებმა (მაგ., ამინდი და მიგრაცია). ეს ქვეყნის ხელმძღვანელობასაც სირთულეებს უქმნის შესაბამისობის გადამოწმებაში და შეიძლება გამოიწვიოს შეცდომის სიხშირის გაზრდა და გადახდების შემცირება. იმისათვის, რომ ეს სქემები იყოს წარმატებული, ისინი სათანადოდ უნდა იყოს შემუშავებული და არ აყენებდეს ფერმერს მაღალი რისკის წინაშე.

### **აგროეკოლოგიასა და ნატურა 2000-თან დაკავშირებული ახასაწაჩმომო ინვესტიციები (მე-2 კომპონენტი)**

ეს ღონისძიება წარმოადგენს აგროეკოლოგიის, კლიმატის და ნატურა 2000-ის ღონისძიებების მნიშვნელოვან დამატებას, რომელიც უზრუნველყოფს წლიურ გადახდებს მიწების სპეციფიკური მართვისთვის, მაგრამ არ გვთავაზობს ინვესტიციებით მხარდაჭერას. არასაწარმოო გარემოსდაცვითი ინვესტიციები, რომლებიც ხშირად საჭიროა „წინასწარ“, ხუთწლიანი კონტრაქტის დაწყებისას, შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს მიწის მართვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით იმ სქემებში, რომელთა სამიზნეს HNV სავარგულები და ნატურა 2000-ის ჰაბიტატები და სახეობები წარმოადგენს.

ამჟამად ის წარმოდგენილია, როგორც მასშტაბური საინვესტიციო ღონისძიებების<sup>77</sup> ნაწილი. EAFRD წინა ღონისძიების ფარგლები გაიზარდა და ახლა მოიცავს ინვესტიციებს, რომლებიც დაკავშირებულია „სახეობათა და ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან“, ასევე უფროცნობილი „აგროეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევასთან“ და „ნატურა 2000-ის ან მაღალი ბუნებრივი ღირებულების სხვა სისტემების სოციალური ღირებულების გაუმჯობესებასთან“.

ეს ღონისძიება ასევე შეიძლება გამოყენებულ იყოს ნატურა 2000-ის ჰაბიტატების მართვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად, როგორცაა ქაობების განმეხდა, წყლის სისტემების აღდგენა ქარბტენიანი ტერიტორიების ჰიდროლოგიის აღსადგენად, აგრეთვე, მისასვლელი გზები, ღობეები და ტექნიკა. ეს შეიძლება მოიცავდეს გარემოსდაცვითი ინვესტიციების ღირებულების 100%-საც კი და გამოყენებული იყოს ცოცხალი ღობეების, ჩვეულებრივი ღობეების, კედლების და სხვა სტრუქტურების აღდგენის ან მოწყობისათვის. ეს ელემენტები სარგებლის მომტანია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მაგრამ დანიშნულება მცირედ ან

77 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 17

საერთოდ არ არის დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან. შესაბამისად, არ არის ეკონომიკურად მიმზიდველი ფერმერებისთვის. ამ ღონისძიებას ფართოდ იყენებდნენ აგროეკოლოგიურ ღონისძიებასთან ერთად. 2007-2013 წლების აგროეკოლოგიური სქემის მრავალი აქტივობა ორივე ღონისძიებით იყო დაფინანსებული.

ღონისძიება ითვალისწინებს მნიშვნელოვან დაფინანსებას ნატურა 2000-ის მიწებზე ჰაბიტატის აღდგენისთვის. ინვესტიციები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ბუჩქების მართვას და გატანას; ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების აღდგენას, როგორცაა ტერასები, ქვის კედლები და ფარეხი; ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენას, როგორცაა ტბორები, ლერწამი, ჭაობები და თხრილები; ტრადიციული ბაღების, ზეთისხილის კორომებისა და ტყის საძოვრების აღდგენა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნატურა 2000-ის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, ღობეების დამონტაჟებამ, წყალმომარაგებისა და პირუტყვისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფამ, შეიძლება ეკოლოგიური ძოვების რეჟიმებისთვის განკუთვნილი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წაიღოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ყველაფერი ეს თავიდან კეთდება. ინვესტიცია ასევე შეიძლება მიმართული იყოს საფეხმავლო ბილიკების, ფრინველებზე დაკვირვების ადგილების შექმნისა და ვიზიტორების ნატურა 2000 უბნების, სხვა დაცული ტერიტორიებისა და მაღალი ბუნებრივი ღირებულების ტერიტორიების შესახებ (HNV) ინფორმაციული უზრუნველყოფისკენ.

### **ნაკუხა 2000-ის საკომპენსაციო გადახდები (მე-2 კომპონენტი)**

მე-2 სვეტის ახალი რეგულაცია მოიცავს გარკვეულ ცვლილებებს ამ ღონისძიებაში<sup>78</sup>, მისი გამარტივებისა და იოლად გამოყენების მიმართულებით. მიწის მესაკუთრეებს (მიწათმომწყოებს), რომლებიც არ არიან ფერმერები, უფლება ექნებათ მიიღონ გადახდები დასაბუთების შემთხვევაში. გადახდები ასევე შესაძლებელი იქნება „სხვა შეზღუდულ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც მუშაობს გარემოსდაცვითი შეზღუდვები სოფლის მეურნეობის ან ტყეების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობენ ჰაბიტატების დირექტივის მე-10 მუხლის განხორციელებას“. ასეთი ტერიტორიები მოცემული პროგრამის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს ნატურა 2000-ის ტერიტორიების 5%-ს.

ეს ღონისძიება საკმაოდ განსხვავდება სოფლის განვითარების პროგრამის სხვა ღონისძიებებისგან იმით, რომ ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მიწისა და ტყეების მართვის სფეროში მოქმედი ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივების (და წყლის დირექტივის) დანერგვასთან დაკავშირებულ ეროვნული კანონმდებლობით დაწესებულ კომპენსაციის გადახდას. ფერმერებისთვის,

---

78 European Network for Rural Development (2011) Rural Development Programmes 2007-2013 Output Indicators realised 2007-2009. Measure 213: Natura 2000 payments and payments linked to Directive 2000/60/EC (WFD) (updated June 2011). [http://enrd.ec.europa.eu/policy-in-action/rural-development-policy-in-figures/rdp-monitoring-indicator-tables/output-indicators/en/output-indicators\\_en.cfm](http://enrd.ec.europa.eu/policy-in-action/rural-development-policy-in-figures/rdp-monitoring-indicator-tables/output-indicators/en/output-indicators_en.cfm)

მეტყველების ან სხვა მიწის მესაკუთრეებისთვის ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე გადახდები დამოკიდებულია ტერიტორიის ოფიციალურ აღნიშვნაზე ნატურა 2000-ის ტერიტორიად და მართვის გეგმის ან ექვივალენტური კანონმდებლობის არსებობაზე, რომელიც განსაზღვრავს მართვისთვის საჭირო აქტივობებს, რომლებიც მიწის მესაკუთრეებმა უნდა განახორციელონ ტერიტორიის სახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის.

გადახდები არის სტანდარტული განაკვეთის ჰექტრების რაოდენობის მიხედვით, ეფუძნება დაკარგული შემოსავლის მოცულობას და/ან ხარჯებს ნატურა 2000-ის კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გამო და, რომელიც სცილდება GAEC-ის ურთიერთშესაბამისობის მოთხოვნებისა და I სვეტით დადგენილ მინიმალურ აქტივობების ფარგლებს. მაგალითად, ეს შეიძლება მოიცავდეს შეზღუდვებს პირუტყვის სიმჭიდროვესთან, ძოვებისა და თიბვის ვადებთან ან დრენაჟის და გატყინების მიტოვებასთან დაკავშირებით.

ეს ღონისძიება შეიძლება იყოს სოფლის განვითარების პროგრამის ღონისძიებათა პაკეტის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების კონსერვაციის სტატუსის გაუმჯობესებას. ის შეიძლება სტანდარტიზებული ტარიფებით გადაუხადონ კვალიფიციურ ფერმერებსა და მეტყვეებს. მას აქვს შედარებით დაბალი ტრანზაქციის ხარჯები და იძლევა საფუძველს უფრო მიზნობრივი გადახდებისთვის აგროგარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ინტერვენციებისთვის და არასაწარმოო ინვესტიციებისთვის, მაგალითად, როდესაც საჭიროა ჰაბიტატის აღდგენა ან სპეციალისტის მონაწილეობა დანართი 1-ის სახეობებისთვის. გადახდების მიღების უფლებამოსილების გაფართოება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სხვა ტერიტორიებზე გავრცელება, შეიძლება დადებითად წაადგეს ჰაბიტატების დაკავშირების გაუმჯობესებას და ბიომრავალფეროვნების ადაპტაციას კლიმატის ცვლილებასთან, მაგრამ შეიძლება შემოიფარგლოს მოთხოვნით „ეკოლოგიური შეზღუდვების“ შესახებ.

შედარებითი სიმარტივის მიუხედავად, ნატურა 2000-ის ღონისძიების გამოყენება 2007-2020 წლებში მეტად შეზღუდული იყო მრავალ წევრ ქვეყანაში და ევროკავშირის სოფლის განვითარების პროგრამისთვის გათვალისწინებული მთლიანი ხარჯების მხოლოდ 0.5%-ს მოიცავდა. მხოლოდ რამდენიმე წევრმა ქვეყანამ გამოყო მნიშვნელოვანი დაფინანსება ამ ღონისძიებისთვის 2007-2013 წლების სოფლის განვითარების პროგრამების ბიუჯეტებში, ხოლო 2009 წლისთვის მხოლოდ გერმანიამ, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ესტონეთმა, ლიტვამ და ლატვიამ მიაღწიეს მიზნებს. ირლანდიამ ასევე გამოყო თანხები, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ნატურა 2000-ს ბევრი უბნისთვის ჯერ არ აქვს განსაზღვრული მართვის მოთხოვნები, რაც იმას ნიშნავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ამ ღონისძიების ფარგლებში თანხების გამოყოფა (ევროპის კომისია, 2010c). მაგალითად, პოლონეთის სოფლის განვითარების პროგრამა 2007-2013 წლებისთვის, მოიცავდა ნატურა 2000-ის პირდაპირი გადახდების შესაძლებლობას, მაგრამ მისი განხორციელება გადაიდო მანამ, სანამ არ მომზადდებოდა მართვის გეგმები და არ გამოითვლებოდა რეალური ეკონომიკური ხარჯი და განისაზღვრებოდა მართვის შეზღუდვები (CEEweb, 2011) (და შეთავაზებულ

იქნა ნატურა 2000-ის ტერიტორიების მხარდაჭერა, როგორც ნებაყოფლობითი აგროეკოლოგიური ღონისძიება).

ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ აირჩია ნებაყოფლობითი აგროეკოლოგიური ღონისძიების გამოყენება ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვის დასაფინანსებლად, რადგან ეს სქემები უკვე შექმნილი იყო, არ იყო დამოკიდებული ტერიტორიის მართვის გეგმაზე და ითვალისწინებდა უფრო მოქნილ დაფინანსებას.

### **გადახდები ცხოველთა კეთილდღეობისთვის (მე-2 კომპონენტი)**

ზომები ცხოველთა კეთილდღეობისთვის<sup>79</sup>, შეიძლება გამოყენებულ იყოს სამეურნეო ოპერაციების მხარდასაჭერად, რომლებიც აუმჯობესებენ ცხოველთა კეთილდღეობას, სავალდებულო მოთხოვნების შესრულებით, როგორცაა წყალი და ცხოველის საკვები, რომელიც შეესაბამება ცხოველის ბუნებრივ მოთხოვნილებებს; გაუმჯობესებული საბინადრო პირობები, როგორცაა საკმარისი ფართობი, საგებელი, ბუნებრივი განათება; ღია სივრცესთან წვდომა და სხვ.

ეს ღონისძიება გამოიყენა ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ პირუტყვის თავისუფალი ძოვების სისტემების მხარდასაჭერად, მათ შორის ნატურა 2000-ის უბნებში ძოვების. მაგალითად, გერმანიამ მხარი დაუჭირა საქონლის ძოვებას ზაფხულის საძოვრებზე, მათ შორის ალპურ მდელოებზე და მსხვილფეხა საქონლისა და ღორების თავისუფალ ძოვებას სტანდარტულ სადგომებზე, თავისუფალი სასიარულო სივრცით. იტალიის Emilia-Romagna რეგიონი მხარს უჭერდა Parmigiano-Reggiano ყველის მწარმოებლებს, რომლებიც აძოვებდნენ პირუტყვს მთიან რაიონებში, ხოლო კატალონია (ესპანეთი) დამატებით დახმარებას უწევდა ორგანულ ფერმერებს (Zemekis et al, 2007). ცხოველთა კეთილდღეობის ღონისძიებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვას, პოტენციურად შექმნას ბაზარი ნატურა 2000-ის მდელოების მოთიბული ბალახისთვის.

### **ცყის ხანძებისგან დაზიანების პრევენცია და აგროწახმოების პოტენციალის აღდგენა (მე-2 კომპონენტი)**

როდესაც ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწები ტყეებთან (ან ტყედ რეგისტრირებულ მიწებთან) მიმდებარეა, არსებობს ორი ღონისძიება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საძოვრების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ბარიერები ტყეებს შორის ხანძრის გავრცელების სანინააღმდეგოდ.

ეს ღონისძიება<sup>80</sup> უზრუნველყოფს მიწის მართვის ოპერაციების ხელშეწყობას დამცავი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისთვის, როგორცაა ხანძარსანინააღმდეგო გაკაფული ზოლები. ღონისძიება, რომელიც მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის აღდგენას სტიქიური უბედურებების ან კატასტროფული მოვლენების შემდეგ,

79 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No 1305/2013 მუხლი 33

80 მუხლი 24 RD

შესაძლოა გამოყენებული იყოს ხანძრის შემდგომ ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებების დასაფინანსებლად, როგორცაა ტყის ხანძრისკენ მიდრეკილ მინებზე ძოვების აღდგენა.

### **5.11 ესსპ-ის გადახდები ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის პროექტებისა და ადგილობრივი პარტნიორობისთვის**

ადგილობრივი პარტნიორობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ნატურა 2000-ის კონსერვაციული მართვის განხორციელებაში ადგილზე. EAFRD (სოფლის განვითარების ევროპული ფონდი) მოიცავს დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობებს ფერმერთა სამოქმედო ჯგუფებისთვის ან ფერმერთა ჯგუფებსა და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებს (მაგალითად, ადგილობრივ ხელისუფლებას ან არასამთავრობო ორგანიზაციებს) შორის, ასევე ლიდერული მიდგომის, მწარმოებელთა ჯგუფებისა და თანამშრომლობის პროექტებისთვის. მხარდაჭერის სპეციფიკური მოიცავს შემდეგს:

- თანამშრომლობა (მე-2 კომპონენტი)
- ადგილობრივი პარტნიორობა - Leader მიდგომა (მე-2 კომპონენტი)

#### **თანამშრომლობა (მე-2 კომპონენტი)**

ესსპ-ის რეფორმა სთავაზობს ნევრ ქვეყნებს გაფართოებულ და უფრო მოქნილ ზომას თანამშრომლობის პროექტებისთვის, მოკლე მიწოდების ჯაჭვების და ადგილობრივი ბაზრების ხელშეწყობის მიზნით და ხელს უწყობს კოლექტიური მიდგომების მექონე გარემოსდაცვით პროექტებსა და გარემოსდაცვით პრაქტიკას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეს დაფინანსება შეიძლება გაერთიანდეს ევროკავშირის სხვა წყაროების დაფინანსებასთან. მხარდაჭერა მოიცავს წინასწარ კვლევებს, მართვის გეგმების მომზადებას, პროექტების ხელშეწყობას და განხორციელებას, ხოლო საწყისი პერიოდის შვიდი წელი შეიძლება გაგრძელდეს კოლექტიური გარემოსდაცვითი პროექტების შემთხვევაში.

მრავალი გარემოსდაცვითი პრიორიტეტი მოითხოვს მხარდაჭერას და მართვას უფრო ფართო ლანდშაფტის დონეზე, ცალკეული მეურნეობების მიღმა. ნატურა 2000-ის ტერიტორიების და სხვა დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა მოითხოვს სხვადასხვა ტიპის მიწის მესაკუთრეთა ერთობლივ ქმედებას (ფერმერები, ტყის მფლობელები, სახელმწიფო უწყებები, რომლებიც მართავენ საჯარო მიწას) და ეს ღონისძიება შეიძლება იყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მექონე, ეკოლოგიური თვალსაზრისით ღირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც ეკონომიკური ვარდნის საფრთხის წინაშე დგანან და საჭიროებენ გარემოსდაცვით მართვასა და ეკონომიკურ აღორძინებას.

ლანდშაფტის დონეზე აგროეკოლოგიის სქემების განხორციელებას შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი რეგიონული ასოციაციებისა და არასასოფლო-სამეურნეო ჯგუფების ჩართულობამ, როგორც ეს გვიჩვენებს ჰოლანდიის გარემოსდაცვითმა კოოპერატივებმა (Franks and McGloin, 2007) და გერმანიის მიწების

დაცვის ასოციაციებმა. ეს კოოპერატიული ასოციაციები აკავშირებენ კონსერვაციის ჯგუფებს ადგილობრივ ფერმერებთან და ადგილობრივ თემებთან მთელ რეგიონში და ხშირად შეუძლიათ გააერთიანონ დაპირისპირებული ინტერესების მქონე ჯგუფები, რათა ერთობლივად იზრუნონ ნატურა 2000-ის უბნებზე. ინტერესებისა და ადგილობრივი ძალების გაერთიანებით, მიწების დაცვის ასოციაციები ბავარიის ნერგავენ მიწების მართვის ინტეგრირებულ და მდგრად მეთოდებს, ფლორისა და ფაუნის დასაცავად და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად. ადგილობრივი კოორდინატორები ამუშავებენ პროექტებს ლანდშაფტის კონკრეტული ტიპებისთვის, მათ შორის სამეცნიერო ღონისძიებებს, ფინანსურ გამოთვლებს და ნერგავენ აგროეკოლოგიურ სქემებს. ისინი იყენებენ სახელმწიფო დონეზე ხელმისაწვდომ სახსრებს და ზედამხედველობენ იმ აქტივობებს, რომლებსაც ძირითადად ადგილობრივი ფერმერები ახორციელებენ, ასევე მონიტორინგს უწევენ პროექტის შედეგებს. წარმატებული პროექტების საფუძველია ფერმერებთან, ადგილობრივ თემებთან, კონსერვაციის ჯგუფებთან და სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა. 5.7 ჩანართში წარმოდგენილია ნატურა 2000-ის თანამშრომლობის ინიციატივების მაგალითები.

**ჩანართი 5.7 წახმაგებული თანამშრომლობის ინიციატივები ნაცუხა 2000-ის პილდუქებისა და აგროეკოლოგიის პოპულარიზაციისთვის Leader -ის დაფინანსებისა და ესსპ-ის ინტეგრირებული დაფინანსების გამოყენებით**

**ავსტრიული „Almo Genusregion“ – Almenland-ის რესტორნები და საქონლის ხორცის მარკეტინგი**

Leader + რეგიონული “Almenland Teichalm - Sommeralm” შტირიაში აწარმოებს შესანიშნავი ხარისხის საქონლის ხორცს 3600 ჰექტარ ალპურ საძოვრებზე. ალმო, ამ ალპურ საძოვრებზე გაზრდილი ხარი, ახლა რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანია და პროდუქტი სერტიფიცირების პროცესშია. LAG (ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი) პოპულარიზაციას უწევს ალმოს რეგიონს, როგორც „სიამოვნების რეგიონს“ (‘Genusregion’) ტურისტებისთვის. ხარისხიანი რესტორნები და მაღაზიები სთავაზობენ მათ ადგილობრივი Almo-ს ხორცს. მთელი პროცესის განმავლობაში ღია კომუნიკაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან და მჭიდრო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს, ფერმერებს, ტურისტულ სამსახურებს, რეგიონულ სასაკლავოსა და მწარმოებელ კომპანიას შორის იყო წარმატების გასაღები. ძროხის ხორცი ასევე იყიდება სავაჭრო გამოფენებზე სუპერმარკეტების ეროვნული ქსელის 250-მდე მაღაზიაში.

**იტალიის გროსეტოს პროვინცია - ინტეგრირებული სოფლის განვითარება**

ტოსკანას ქალაქგარე გროსეტოს პროვინციამ გამოიყენა მძლავრი ინტეგრირებული მიდგომა სოფლის განვითარების დასაფინანსებლად. გროსეტოს პროვინციაში აგროტურისტული ვიზიტების რაოდენობა გაორმაგდა 2000-დან 2007 წლამდე. სოფლის ტურიზმი განიხილება, როგორც ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ასევე ბუნებრივი და ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საშუალება. სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულება წელიწადში დაახლოებით 2%-ით გაიზარდა. ამავდროულად, რეგიონული დაცული ტერიტორიების ფართობი გაიზარდა რეგიონის ტერიტორიის დაახლოებით 10%-

მდე, მათ შორის 3 რეგიონალური პარკი და 35 ეროვნული ნაკრძალია. ტერიტორია ასევე მდიდარია ფლორის მრავალფეროვნებით.

წყარო: (Beaufoy et al, 2011b; European Commission, 2009; Keenleyside et al, 2012; Poláková et al, 2011); and  
[http://www.rudi-europe.net/uploads/media/Case-study\\_Italy\\_1.pdf](http://www.rudi-europe.net/uploads/media/Case-study_Italy_1.pdf),  
<http://www.herbmedit.org/flora/20-047.pdf>

ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის მაგალითია ნიდერლანდები, სადაც აგროგარემოს სქემებში მონაწილეთათვის შემოღებულ იქნა კოლექტიური ხელშეკრულებები. ამ კოლექტიური ხელშეკრულებების მიზანი იყო ფერმერებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, რათა გაეძლიერებინათ გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების პოტენციური სანიმუშო პრაქტიკის გაცვლის გზით. ეს მიდგომა ასევე განიხილებოდა, როგორც აგროგარემოს პოლიტიკის მიზნების მიღწევის უფრო ეფექტური საშუალება. ამ კოლექტიურმა კონტრაქტებმა მრავალი სარგებელი მოიტანა ბიომრავალფეროვნებისთვის, განსაკუთრებით ადგილობრივი სახეობებისთვის, როგორცაა ზაზუნები და მდელოს ფრინველები, აგრეთვე ლანდშაფტის მახასიათებლებისთვის (Allen et al, 2012b).

### **ადგილობრივი პაიგნიოჰობა - Leader მიდგომა (მე-2 კომპონენტი)**

Leader-ის მიდგომას აქვს ძლიერი პოტენციური, გამოიყენოს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები ფერმერების ტრენინგის ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად, ლანდშაფტის მასშტაბით მიწის სასარგებლო მართვის განსახორციელებლად, Natura 2000-ის მართვის გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისთვის და საერთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ტრანსსასაზღვრო დაცული ჰაბიტატების შესწავლას (Cooper et al, 2006). Leader ავსებს აგროეკოლოგიურ სქემებს და კონსერვაციის სხვა დაფინანსებას ადგილობრივ რაიონებში ღრმად ფესვგადგმულ აქტივობებზე ფოკუსირებით, ადგილობრივი აქტორების ჩართვით, პარტნიორობით და სწავლისა და ინოვაციების დაფინანსებით.

Leader არ გამოიყენებოდა წევრი სახელმწიფოების მიერ, როგორც Natura 2000-ის მართვის ღონისძიებების მნიშვნელოვანი დაფინანსების წყარო, მაგრამ მას შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს ადგილობრივ აქტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით და ინტეგრირებული პროექტების შემუშავებით, რომლებიც აერთიანებს ბუნების დაცვას და მიწის მდგრად გამოყენებას. მაგალითად, ფინეთმა შესთავაზა Leader-ის დაფინანსება არასამთავრობო ორგანიზაციებს ნატურა 2000-ის მდელოებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების მართვისთვის, რომლებსაც პროფესიონალი ფერმერები არ ფლობენ (Figeczky et al, 2010). Leader-ის ზოგიერთმა პროექტმა გაზარდა ნატურა 2000-ის უბნის ღირებულება ეკოტურიზმის განვითარების სქემების მეშვეობით, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და მარკეტინგის ხელშეწყობის

პროგრამებით(როგორცაა საქონლის ხორცი), ტრადიციული მეურნეობის სისტემების და მათთან დაკავშირებული ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების მხარდაჭერით. თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს ბევრი მტკიცებულება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით რეალური მიღწევების შესახებ (Beaufoy & Marsden, 2010; Cooper et al, 2006; Redman, 2010). აღნიშნული სქემები გააკრიტიკეს პროცედურებისა და განხორციელების შესახებ გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო (აუდიტორების ევროპული სასამართლო, 2010) და აგრეთვე და იმის გამო, რომ არ გაკეთდა საკმარისი გარემოსდაცვითი შეფასებები ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებში (Birdlife International, 2009a; Boccaccio et al, 2009).

Leader-ის მიდგომა აერთიანებს ადგილობრივ საჯარო-კერძო პარტნიორობას, შესაძლებლობების განვითარებას, მიზნობრივ მართვას და გააჩნია განსაკუთრებული პოტენციალი ბიომრავალფეროვნებისთვის სარგებლის მინიჭებისთვის. ღონისძიება საშუალებას აძლევს ლიდერთა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს (LAGs) განახორციელონ მმართველი ორგანოს მიერ მათთვის დელეგირებული ამოცანები, რაც ხსნის მიზნობრივი გარემოსდაცვითი ღონისძიებების ადგილობრივი განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს თემატურ ქვეპროექტებთან. მიმდინარე პროგრამის პერიოდში აღიარებულია, რომ შესაძლებლობების განვითარება გადამწყვეტია Leader-ის მიდგომისთვის. ამჟამად ეს ღონისძიება ანაზღაურებს (ფარავს) Leader-ის სტარტაპის, კვალიფიკაციის ამაღლების, ტრენინგების და ქსელური მუშაობის ხარჯებს.

Leader-ის მიდგომა უზრუნველყოფს უფრო მეტ ადგილობრივ ავტონომიას და მოქნილობას როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად, ვიდრე ტრადიციული ზევიდან ქვევით მიდგომა. Leader-ის ინსტრუმენტები შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ. სამომავლოდ, Leader-ის პროექტები შეიძლება იყოს უფრო ორიენტირებული ნატურა 2000 ტერიტორიების მიზნების შესრულებისკენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც Leader გამოიყენება მიწის მართვის სხვა ღონისძიებებთან ერთად გარემოსდაცვითი პრიორიტეტების მისაღწევად. ERDF-ის ახალი თემატური სტრუქტურა უფრო დიდ ნახალისებას აძლევს ლიდერ ჯგუფებს მიწის მართვის საქმიანობებში ჩართვისთვის, წინა პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც Leader-ის აქტივობები ზოგჯერ შემოიფარგლებოდა Axis 3-ით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებით. ეს ზომები შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის მხარდასაჭერად და გასაუმჯობესებლად, მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილობრივი მარკეტინგის, აგროეკოტურიზმის ან სხვა ინიციატივების განხორციელების გზით, როგორცაა საგანმანათლებლო ან კულტურული სერვისები. სენსიტიური ტურიზმი ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე შეიძლება იყოს ადგილობრივი ეკონომიკის სასიცოცხლო მამოძრავებელი ძალა და კატალიზატორი ნატურა 2000-ის ხარისხიანი აგროპროდუქტების ადგილობრივი ბაზრების განვითარებისათვის და სხვა სოციალური და კულტურული ინიციატივების აღორძინებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ნატურა 2000-ის ტერიტორიების მართვის დაგეგმვის პროცესი, რომელიც აერთიანებს მომხმარებელთა ჯგუფების მოთხოვნებს, მათ შორის რეკრეაციის, ტურიზმისა და ადგილობრივი ბიზნესის მოთხოვნებს, სახეობებისა და ჰაბიტატის დაცვის შესაბამისი ზომებით.

ორი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ ლიდერებსა და ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს (LAGs) მხარი დაუჭირონ აქ განხილული ურთიერთგადაფარვადი გარემოსდაცვით პრიორიტეტებს, შეგიძლიათ ნახოთ პოლონეთში 2007-2013 წლებში. Kraina Łęgow Odrzańskich-მა მხარი დაუჭირა მცირე ადგილობრივ პროექტებს, რომელთა მიზანი იყო დაცულ ტერიტორიებზე არსებული ჭაობიანი და ჭარბტენიანი ტერიტორიების შენარჩუნება და კონსერვაცია, კერძოდ, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე. დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობენ ადგილობრივი მოქალაქეები. Wrzosova Kraina-მ შეინარჩუნა და დაიცვა ეკოლოგიური მნიშვნელობის ადგილობრივი უბანი, სადაც ჯაგნარებია განვითარებული.

LAG ატარებს ტრენინგებს, გაკვეთილებს სკოლებში და აწყობს საკომუნიკაციო ღონისძიებებს ტერიტორიის კონსერვაციისთვის. ადგილობრივი ტურიზმის მხარდაჭერა ასევე ხდება საფეხმავლო ბილიკების შექმნით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ ადგილობრივ ინიციატივას მრავალი გარემოსდაცვითი სარგებელი მოაქვს, პოლონეთში LAG-ების უმეტესობა არ ამახვილებს ყურადღებას კონსერვაციაზე. პოლონეთში პროგრამის ამ პერიოდიდან მიღებული გაკვეთილი არის ის, რომ Leader უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული ბუნების დაცვის მიზნით.

## 5.12 ევროკავშირის სხვა ფონდები ნატურა 2000-ისთვის

### LIFE –ის პირობა

LIFE არის ევროკავშირის დაფინანსების ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას და მას მართავს ევროპის კომისია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიუჯეტი მცირეა, ის კატალიზატორის როლს თამაშობს საუკეთესო პრაქტიკების ან სადემონსტრაციო პროექტების დაფინანსებაში, რომლებმაც შემდეგ უნდა მოიძიონ გრძელვადიანი დაფინანსება სხვა წყაროებიდან. LIFE-ის 2014-2020 წლების პროგრამა დაყოფილია ორ ქვეპროექტად: გარემოს დაცვის და კლიმატის ზემოქმედება<sup>81</sup>. გარემოსდაცვითი პროგრამა შემდგომში იყოფა სამ პრიორიტეტულ მიმართულებად: რესურსების ეფექტურობა და გარემოს დაცვა; ბუნება და ბიომრავალფეროვნება; გარემოსდაცვითი მართვა და ინფორმაცია. LIFE უპირველეს ყოვლისა აფინანსებს სამოქმედო საგრანტო პროექტებს ყოველწლიური კონკურსების საშუალებით, მაგრამ ასევე შეუძლია საოპერაციო გრანტების გაცემა არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის ან კლიმატის ზემოქმედების სფეროებში.

LIFE პროგრამამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნატურა 2000-ის ქსელის შექმნისა და მართვის წამოწყების დაფინანსებაში (COWI, 2009). LIFE-ს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ნატურა 2000-თვის, რადგან ის აფინანსებს კონსერვაციის მეტად სპეციფიკურ, მიზანმიმართულ ღონისძიებებს, რომელთა დაფინანსება უფრო

81 ევროპარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1293/2013 გარემოს დაცვისა და კლიმატის სფეროში სამოქმედო პროგრამის შემუშავებისა (LIFE) და (EC) No 614/2007 რეგულაციის გაუქმების შესახებ.

რთულია ევროკავშირის სხვა წყაროებიდან. ასეთი ღონისძიებებია ნატურა 2000-ის ფართობებზე მონიტორინგისა და კვლევის განხორციელება, მართვის მეთოდების განსაზღვრა და შემუშავება, და რისკების მართვა (Gantioler et al, 2010; Kettunen et al, 2011). LIFE-ის დაფინანსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადგილებისთვის, სადაც აგრარული მართვის ღონისძიებები მიატოვეს და ნატურა 2000-ის მართვის დაგეგმვის პროცესი საკმარისად წინ არ წასულა იმისათვის, რომ დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოეძიებინათ (Kettunen et al, 2011).

LIFE-ის პროგრამის უპირველესი მიზანია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ჩვენება, ამიტომ მართვის მიმდინარე აქტივობები, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღიარებული იყოს „საუკეთესო პრაქტიკებად“, შეიძლება არ დაფინანსდეს. შესაბამისად, პროექტის დადებითი გავლენა დაიკარგება, თუ პროექტის დასრულების შემდეგ არ მოხდება სათანადო მართვის მხარდაჭერა სხვა წყაროებიდან, განსაკუთრებით აგროგარემოსდაცვითი სქემებიდან (COWI, 2009). ნატურა 2000-ის მართვისთვის საჭირო აგროგარემოსდაცვითი სქემების შემუშავება LIFE-ის დაფინანსების პრიორიტეტია (ევროპის კომისია, 2003). ნატურა 2000-ის მრავალი აღდგენითი პროექტისათვის, წარმატებით იყო კომბინირებული LIFE-ის დაფინანსება აგროგარემოსდაცვით დაფინანსებასთან, გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით (WWF & IEEP, 2009).

LIFE-ის დაფინანსების მოდელი მოითხოვს 60%-ის თანადაფინანსებას, მაგრამ ნატურა 2000-ის პრიორიტეტული ჰაბიტატებისა და სახეობების პროექტებისთვის 75%-ია ხელმისაწვდომი, ამიტომ დაფინანსება უნდა მოიძებნოს სხვა წყაროებიდანაც. LIFE-ის ახალი რეგულაცია აქცენტს აკეთებს სხვა პოლიტიკებთან და ფონდებთან სინერჯის, აგრეთვე ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ფინანსურ წვლილს ერთობლივად დაფინანსებულ ინტეგრირებულ პროექტებში, რომლებიც მუშაობენ დიდ ტერიტორიებზე. ეს პროექტები მიზნად ისახავს გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის დანერგვას და ამ მიზნების უკეთ ინტეგრირებას პოლიტიკის სხვა სფეროებში. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება LIFE პროექტების მიერ მოტანილი დამატებითი სარგებლის დემონსტრირება: 2017 წლის ივნისში ევროკომისია განახორციელებს LIFE-ის გარე და დამოუკიდებელ შუალედურ შეფასებას, ხოლო 2018 წლიდან ქვეყნების მიხედვით განაწილება გაუქმდება და პროექტები დამსახურების მიხედვით შეირჩევა ევროკავშირის მასშტაბით.

### **ევროპის სტრუქტურული ფონდები: ჰეგიონული განვითარების ფონდი, კოჰეზიური ფონდი და სოციალური ფონდი**

ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF) და ევროპის კოჰეზიური ფონდი ევროკავშირის ცენტრალური ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენს. ფონდების საერთო მიზანია ხელი შეუწყოს დაუცველი რეგიონების, სექტორების და სოციალური ჯგუფების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას ევროკავშირის ფარგლებში, რეგიონული დისბალანსების შემცირებით და რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურული განვითარებისა და კორექტირების მხარდაჭერით (ფერმერი, 2011). 2014-2020 წლებისთვის, მისი ფინანსური სახსრები ფოკუსირებულია ევროპის 2020 წლის სტრატეგიის, კავშირის

მე-7 გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის მიზნებზე და ევროკავშირის სხვა შესაბამის გარემოსდაცვითი და კლიმატის სტრატეგიებსა და გეგმებზე, როგორც ეს განსაზღვრულია დებულებების საერთო რეგლამენტის (Common Provisions Regulation) 11 თემატურ მიზანში (იხ. განყოფილება 5.1).

ეს აუცილებლობას ხდის ნატურა 2000-ის დაფინანსებაში ინვესტიციების მნიშვნელობის წარმოჩენას, ბიომრავალფეროვნების დაცვის აქტივობების სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირების (განსაკუთრებით მცირე ბიზნესისთვის), სხვა სოციალური სარგებლის, ნახშირბადის ემისიის შემცირების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ან რესურსების ეფექტური გამოყენების (ეკოსისტემის სერვისების და მწვანე ინფრასტრუქტურის მეშვეობით) თვალსაზრისით. მაგალითად, ევროპის სოციალური ფონდის პრიორიტეტები მენარმეობისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ისევე როგორც ინსტიტუციური პოტენციალის გაზრდა და ეფექტური საჯარო მმართველობა, აქტუალურია ნატურა 2000-ის აგრარული ფართობებისთვის. არსებობს უამრავი მტკიცებულება და რეკომენდაცია, რომელიც ადასტურებს ამ სარგებელს ნატურა 2000-თვის (იხ. დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ).

**ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF)** საშუალებას იძლევა გამოიყოს თანხები ბიომრავალფეროვნებისთვის, კერძოდ გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის და რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის, მათ შორის ბუნებრივი მემკვიდრეობის, ნატურა 2000-ისა და მწვანე ინფრასტრუქტურის<sup>82</sup> მეშვეობით. ევროპის სოციალურ ფონდს (ESF) შეუძლია მხარი დაუჭიროს შესაძლებლობების გაძლიერებას Natura 2000-თან და მცირე ბიზნესთან დაკავშირებული ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

ფონდები ასევე იძლევა ტრანსნაციონალური, ტრანსსასაზღვრო და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის დაფინანსების შესაძლებლობას, რაც შეიძლება სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს ნატურა 2000-ის ტერიტორიებისა და სახეობებისათვის. ასეთია, მაგალითად, ეკოტურიზმის განვითარების პროექტები, აგრეთვე მდინარის აუზების, სანაპირო ზონების, საზღვაო რესურსების და ქარბტენიანი ტერიტორიების კონსერვაციის, აღდგენისა და მართვის პროექტები. ევროპის სტრუქტურულ ფონდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დაფინანსება გამოიყონ ნატურა 2000-ის აღდგენის, დაცვის, მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებებისთვის (ევროპის კომისია, 2011). (იხ. ჩანართი 5.8). თანხები ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ეკოტურიზმის, ცნობიერების ამაღლების და კომუნიკაციის, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდასაჭერად, ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დონეზე განსაზღვრული შესაძლებლობები (ანუ შესაძლებლობები სხვადასხვა რეგულაციებისა და მუხლების მიხედვით) მხოლოდ საორიენტაციოა. თითოეული სტრუქტურული

---

82 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 17 დეკემბრის რეგულაციის (EU) No1301/2013 მე-5 მუხლი, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის და ინვესტიციების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის და (EC) No1080/2006 გაუქმების შესახებ. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი L347/289-302

ფონდის დაფინანსების პრიორიტეტები განისაზღვრება საოპერაციო პროგრამებში ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე და აუცილებელია, რომ ნატურა 2000-ის დაფინანსების პრიორიტეტები სწორად იყოს განსაზღვრული ამ პროგრამებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახსრების ხელმისაწვდომობა. თითოეული საოპერაციო პროგრამა უნდა ეხებოდეს ამ წევრი სახელმწიფოს ნატურა 2000-ის პრიორიტეტულ სამოქმედო ჩარჩოს. არსებობს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ ნატურა 2000-ის პრიორიტეტების სწორად ჩართვა საოპერაციო პროგრამებში (იხილეთ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ).

2007–2020 წლებში, რეგიონებისა და წევრი ქვეყნების უმეტესობამ, თავის საოპერაციო პროგრამებში, ბიომრავალფეროვნება პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა და უმეტესობამ გამოყო გარკვეული თანხები ERDF-დან ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ნატურა 2000-ისთვის (INTERREG IVC SURF Nature project, 2011). თუმცა, 2007-2013 წლების დაფინანსების პერიოდის ანალიზი აჩვენებს, რომ სტრუქტურული ფონდების მიერ ბიომრავალფეროვნების დაფინანსების შესაძლებლობები სრულად არ იყო გამოყენებული (Kettunen et al, 2011). ზოგადად, ძნელია იმის დადგენა, თუ რა თანხა დაიხარჯა ნატურა 2000-ისთვის და რა გავლენა იქონია ამან ბიომრავალფეროვნებაზე (Kettunen et al, 2011).

ევროკავშირის სტრუქტურული და რეგიონული ფონდების გამოყენებას ნატურა 2000-ის მართვისთვის, აფერხებს თანხების მოთხოვნისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ინვესტიციები და ხანგრძლივი ლოდინი თანხების მიღებამდე. ზოგადად, ფინანსური სახსრები ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილი პროექტებისთვის.

**ჩანახტი 5.8 - ERDF-ის თანხების გამოყენება ნატურა 2000-ის სანაპირო ჰაბიტატებისთვის 2007-2013 წლებში**

ნატურა 2000-ის მართვისთვის ERDF-ის სახსრების ინოვაციური გამოყენების მაგალითია პროექტი მდინარე ვებერის ინტეგრირებული მართვის გეგმის განხორციელების შესახებ, რომელიც მოიცავს 3 SCI და 3 SPA-ს და ესტუარულ ქალაქებს ბრემენსა და ბრემერჰავენს. პროექტის (2010-2013) ფარგლებში შემუშავდა ინტეგრირებული მართვის გეგმა, საზოგადოების დიდი მხარდაჭერით და განხორციელდა მთელი რიგი ესტუარული ჰაბიტატებისა და სახეობების აღდგენა. ERDF-ის სახსრები გამოიყო მე-2 პრიორიტეტის ფარგლებში: „ურბანული ეკონომიკის გააქტიურება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“ მდინარის ნაპირების რენატურალიზაციისა და რეკრეაციული შესაძლებლობების გაუმჯობესების, ასევე მდინარის აუზის აღდგენისა და მართვის ღონისძიებების განსახორციელებლად.

Natureship პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ERDF Interreg-ის (ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი და ლატვია) 2009 წლიდან 2013 წლამდე, ეყრდნობოდა ახალ მიდგომას, ბალტიის სანაპიროზე ტრადიციული სოფლის ლანდშაფტების დაგეგმვისა და მართვისათვის. პროექტის მიზანი იყო ისეთი გადაწყვეტილებების ძიება, რომლებიც სარგებელს მოუტანდა ბუნებას, წყლის რესურსების დაცვას, ადგილობრივ ფერმერებს, მწარმოებლებს და მოსახლეობას, ინტეგრირებული მდგრადი სანაპირო დაგეგმარების გზით და ნატურა 2000 ტერიტორიებზე

განსაკუთრებული აქცენტით.

პროექტი TIDE (Tidal River Development) (2010-2013) იყო ERDF-ის Interreg IV B პროექტი ჩრდილოეთის ზღვის პროგრამის ფარგლებში, მდინარეების - ელბას (გერმანია), ჰამბერის (ინგლისი), შელდტის (ბელგია და ნიდერლანდები) და ვეზერის შესართავებისთვის (გერმანია). TIDE პროექტი მიზნად ისახავდა ინსტრუმენტების შექმნას ადგილობრივ პოლიტიკაში დაგეგმვის ინტეგრირებისთვის, ნატურა 2000-თან და წყლის დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მართვისა და აღდგენითი ღონისძიებების მთელი რიგი აქტივობები ესტუარულ ჰაბიტატებზე, მათ შორის სანაპიროს დაჭაობებულ საძოვრებზე.

წყარო: Hjerp et al, 2011,  
<http://www.umwelt.bremen.de/de/detail.php?gsid=bremen179.c.8044.de>,  
<http://www.tide-project.eu/>, <http://www.ymparisto.fi/natureship>,

### 5.13 ბაზარზე დაფუძნებული და ინოვაციური ინსტრუმენტები

ამ განყოფილებაში განხილულია ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურა 2000-ის მართვისათვის კერძო დაფინანსების მოსაზიდად და/ან ნატურა 2000-ის მართვის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გასაუმჯობესებლად. ეს ინიციატივები ხშირად ფინანსდება ევროკავშირის ფონდებიდან, ერთი ან რამდენიმე ადრე აღწერილი ღონისძიების ფარგლებში, სქემის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით. არსებობს სხვა პოტენციური გზები, რომელთა მეშვეობითაც საჯარო დაფინანსებამ და/ან პოლიტიკურმა აქტივობებმა შეიძლება ხელი შეუწყონ ბიომრავალფეროვნებისთვის კერძო სექტორის დაფინანსების გაზრდას, ხშირად სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად. მაგალითად, დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს არაკომერციული ორგანიზაციები (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები), კორპორატიული ფილანტროპული შემოწირულობები ან სოფლის თემები. (Kettunen et al, 2011). ასევე არსებობს მიკროდაფინანსების დიდი პოტენციური ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიზნესისა და კოოპერატივებისთვის, როგორცაა პირდაპირი მარკეტინგული ინიციატივები. ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, ვიზიტორებისა და ტურისტებისაგან მიღებული დამატებითი ღირებულების უფრო ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია ადგილობრივი განვითარებისა და კონსერვაციის ინტეგრირებული პროექტების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ ეს ღონისძიებები არსებითად უნდა ეფუძნებოდეს წინა თავებში აღწერილი პოლიტიკის ძირითად ჩარჩო-პირობებსა და საჯარო დაფინანსების ძირითად ზომებს, რომლებიც აღწერილია წინა თავებში და არ უნდა იყოს განხილული, როგორც დაფინანსების ალტერნატივა.

### გადახდები ეკოსისტემის სეზონების სქემებისთვის

ეკოსისტემური სერვისებისთვის გადახდების (PES) სქემები არის შეთანხმებები, რომლის მიხედვითაც ეკოსისტემის სერვისების მიმღებები უხდიან ამ სერვისების მიმწოდებლებს მათი შენარჩუნებისთვის (ten Brink, 2011). ეს გადახდები შეიძლება

იყოს ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვისა და აღდგენის სტიმული, რაც უზრუნველყოფს (ან პოტენციურად ზრდის) ეკოსისტემის სერვისების მიწოდებას. ამ სქემებით მხარდაჭერილი ტიპური ეკოსისტემური სერვისები მოიცავს მიწისქვეშა წყლების ხარისხს, მდინარის წყლის ხარისხს (ნუტრიენტების ჩადინებისა და ნიადაგის ეროზიის შემცირება) და ნახშირბადის სეკვესტრს. ეს სქემები შეიძლება მოახდინოს მიწის მესაკუთრეებს ან ფერმერებს და სამთავრობო ორგანიზაციებს (როგორცაა მუნიციპალური წყალმომარაგების კომპანიები) შორის ან კერძო კომპანიებს (როგორცაა ლუდსახარშები) შორის და შეუძლიათ ფუნქციონირება ადგილობრივ, რეგიონულ, წყალშემკრები ადგილების ან ეროვნულ დონეზე. ამ სქემებთან დაკავშირებული დაფინანსების და გადახდების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს, მათ შორის საგადასახადო შეღავათები, მოხალისეობრივი ბაზრები და ფართო საჯარო ღონისძიებები, როგორცაა აგროგარემოსდაცვითი მართვის სქემები, მაგრამ ამ განყოფილებაში განვიხილავთ მხოლოდ იმ სისტემებს, რომლებიც დაფუძნებულია ბენეფიციარებსა და პროვაიდერებს შორის პირდაპირ გადახდებზე.

PES სქემებს ზოგჯერ აკრიტიკებენ, როგორც ფარულ სუბსიდიებს არსებული სტანდარტებისა და კანონების დაცვის სტიმულირებისთვის, რომლებიც მიწის მესაკუთრეებმა და ფერმერებმა უნდა შეასრულონ დამატებითი გადახდების გარეშე, როგორცაა მართვის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავენ ნიტრატების ემისიას. ევროპაში PES სქემების წარმატებისთვის გადამწყვეტი ფაქტორებია შემდეგი:

- The scheme design is based on robust information on the baseline status of land use and ecosystem services, in order to avoid overestimating the environmental threat;
- სქემის დიზაინი ეფუძნება სანდო ინფორმაციას მიწის გამოყენების საბაზისო მდგომარეობისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ, რათა თავიდან იყოს აცილებული გარემოსდაცვითი საფრთხის გადაჭარბებული შეფასება;
- ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე ჩართულია სქემაში;
- გადახდები ხორციელდება ინდიკატორების რეგულარული და გამჭვირვალე მონიტორინგის საფუძველზე, რომლებიც ადეკვატურად ზომავს ეკოსისტემური სერვისების გაუმჯობესებას;
- სქემა არ გამოიყენება მართვის იმ მეთოდების გათვალისწინებული გადახდებისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად;
- სქემის კორექტირება ხდება არსებული რეგულაციებისა და ნორმების გამკაცრებისას;
- სქემა არ ინგრევა წინააღმდეგობრივი პოლიტიკითა და რეგულაციებით, რომლებიც ხელს უწყობენ ეკოსისტემური სერვისების დეგრადაციას.

წარმატებული სქემები მოითხოვს გამჭვირვალობას, საიმედოობას (მაგ. გადახდები), გარემოსდაცვითი მართვის ფასეულობათა გათავისებას, ნდობას და ვალდებულების შესრულებას ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის მიერ. პრაქტიკაში, PES სქემები შეაჩერებს ეკოსისტემის სერვისების და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას ან დაკარგვას, თუ ისინი ინტეგრირდება პოლიტიკის უფრო ფართო ინსტრუმენტებში, რომლებიც მოიცავს ეკოსისტემის სერვისების სრულ სპექტრს მოცემულ ტერიტორიაზე (ten Brink, 2011).

გადახდების სქემები ეკოსისტემური სერვისების, ფართო საჯარო დაფინანსების სქემების გარდა, ჯერ კიდევ შედარებით იშვიათია, მაგრამ ზოგიერთი სქემის წარმატებული მაგალითი აჩვენებს მათ პოტენციალს ნატურა 2000-ის აგრარული ფართობების მართვის მხარდაჭერისა და გაუმჯობესების კუთხით, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს წყალმომარაგების კომპანიის მიერ RSPB-თან თანამშრომლობით შემუშავებული მდგრადი აუზის მართვის პროგრამა - Sustainable Management Catchment Programme (წყალშემკრებთა მართვის მდგრადი მართვის პროგრამა (SCaMP)<sup>83</sup>, იყენებს გადახდების სქემას ეკოსისტემური სერვისებისთვის, მაღალმთიან ჯაგნარიან მიწებზე ძოვების მხარდასაჭერად. წყალმომარაგების კომპანიის სარგებელი გამოიხატება წყლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ტორფიანი ნიადაგების ეროზიის შემცირების გამო, რასაც წვა და გადაძოვება იწვევს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი E).

### **ნახშირბადის ემისიების კომპენსაცია და ნახშირბადით მდიდარი ჰაბიტატების დაცვა**

ევროპას გააჩნია ნახშირბადით ვაჭრობის როგორც ნებაყოფლობითი, ასევე რეგულირებადი სქემები, რაც იმას ნიშნავს, რომ შენახულ ნახშირბადს, შემოწმების შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური და სავაჭრო ღირებულება (Worrall et al, 2009). ეს ხსნის შემოსავლის ახალ წყაროებს მიწის მართვისთვის. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ნახშირბადის ეროვნულ ბიუჯეტში ახლა უნდა გაითვალისწინონ ნახშირბადის ემისიები მიწათსარგებლობიდან, მიწათსარგებლობის ცვლილებასა და სატყეო მეურნეობიდან (LULUCF), რაც შეიძლება გახდეს სტიმული ნახშირბადით მდიდარი ჰაბიტატების დაცვის გასაძლიერებლად. ამავდროულად, ეს ჰაბიტატები მეტად მგრძობიარეა მიწის გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ (Holden et al, 2007; Reed et al, 2009).

ხელუხლებელ ტორფიან ნიადაგებზე არსებულმა ტორფნარებმა და ჯაგნარებმა შეიძლება სარგებელი მიიღონ ნახშირბადის ოფსეტური დაფინანსებით. გაერთიანებული სამეფოს კვლევამ მოახდინა მიზანმიმართული მართვის ინტერვენციებით მიღებული სარგებლის მოდელირება მთავორიან ტორფიან მიწებზე და დაადგინა, რომ ტორფნარის აღდგენისთვის საჭირო დღევანდელი ხარჯებით და ნახშირბადის ფასებზე დადგენილი კვოტებით, ამ მაღალმთიანი ტერიტორიების დაახლოებით 51%, ნახშირბადის ოფსეტური დაფინანსებით მოგებას მოიტანდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. (Worrall et al, 2009). თუმცა, ეს პროცენტული მაჩვენებელი დიდად არის დამოკიდებული ნახშირბადის ფასზე.

83 <http://www.unitedutilities.com/scamp.aspx>

## დამატებითი ინფორმაცია

- Financing Natura 2000 Guidance Handbook 2007-2013 (რეკომენდაციები ნატურა 2000-ის დაფინანსებასთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო ( 2014-2020 წლების ვერსია მალე იქნება ხელმისაწვდომი), მისამართზე: [http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/financing/index\\_en.htm#guidancehandbook](http://ec.europa.eu/environment/nature/natura2000/financing/index_en.htm#guidancehandbook)
- დამატებითი ინფორმაცია: [http://ec.europa.eu/environment/funding/intro\\_en.htm](http://ec.europa.eu/environment/funding/intro_en.htm)
- SURF Nature (2012), სახელმძღვანელო ბიომრავალფეროვნების დაფინანსების შესახებ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (EFRD) კონტექსტში. [http://www.surfnature.eu/fileadmin/SURFNATURE/Publications/FINAL\\_SURF\\_Handbook\\_V4\\_Sept\\_2012.pdf](http://www.surfnature.eu/fileadmin/SURFNATURE/Publications/FINAL_SURF_Handbook_V4_Sept_2012.pdf)
- სოფლის განვითარების ევროპული ქსელი, სოფლის განვითარების პროგრამებისა და ღონისძიებების „საუკეთესო პრაქტიკის“ მონაცემთა ბაზა: [http://enrd.ec.europa.eu/themes/environment/environmentalservices/en/environmental-services\\_en.cfm](http://enrd.ec.europa.eu/themes/environment/environmentalservices/en/environmental-services_en.cfm)
- Kettunen & ten Brink (eds) (2013) დაცული ტერიტორიების სოციალური და ეკონომიკური სარგებელი: გზამკვლევი შეფასებისთვის. Routledge.
- ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვა ერთიანი საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა (ესსპ) და ბიომრავალფეროვნების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებების მეშვეობით. ანგარიში მომზადებულია ევროკომისიის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენერალური დირექტორისთვის. ევროპული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტიტუტი (IEEP), ლონდონი, 2011:
- [http://ec.europa.eu/agriculture/analysis/external/biodiversityprotection/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/agriculture/analysis/external/biodiversityprotection/index_en.htm)

## 6. ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება

### ჩას ეხება ეს თავი?

წინამდებარე თავი წარმოადგენს გზამკვლევს სასოფლო-სამეურნეო სისტემებისა და თემების მხარდასაჭერად, დაგეგმვის, დაფინანსებისა და საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომლებზეც დამოკიდებულია ნატურა 2000-ის ძირითადი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია. ყურადღება გამახვილებულია ესსპ-ის 1 და 2 კომპონენტებით გათვალისწინებულ დაფინანსების ძირითად წყაროზე და წარმოდგენილია რეკომენდაციები პროცესის თითოეული ეტაპისთვის.

### 6.1 კონსერვაციის მიზნებისა და დაფინანსების სტრატეგიული გეგმების შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა

#### იტეტების განსაზღვრა

- ნატურა 2000-ის სტრატეგიული დაგეგმვისას, უნდა უზრუნველყოთ თანამშრომლობა კონსერვაციისა და სოფლის მეურნეობის ორგანოებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის.
- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები ნატურა 2000-ის აგრარულ ფართობებზე დამოკიდებული ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციისთვის.
- გამოიყენეთ პრიორიტეტიზებული სამოქმედო გეგმა (PAF), როგორც საფუძველი ნატურა 2000-ის დაფინანსების პრიორიტეტების EAFRD-სა და სხვა დაფინანსების პროგრამებში ინტეგრირებისთვის.
- დროულად იმოქმედეთ, რათა უზრუნველყოთ ნატურა 2000-ის 2014-2020 წლების მიზნებისა და დაფინანსების მოთხოვნების ინტეგრირება წევრი ქვეყნების მიერ ევროკომისიისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პარტნიორობის შეთანხმებაში.

#### ინტეგრირებული სტრატეგიული დაგეგმვის უზრუნველყოფა ნატურა 2000-ისთვის

სტრატეგიული დაგეგმვა მნიშვნელოვანია ნატურა 2000-ის აგრარული მიწების კონსერვაციის პრიორიტეტებისა და დაფინანსების საჭიროებების დასადგენად 2014-2020 საპროგრამო პერიოდის დაწყებამდე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან დაფინანსების რესურსები შეზღუდულია, ბიომრავალფეროვნების დაცვამ კონკურენცია უნდა გაუწიოს მრავალ სხვა მიზანს, ხოლო ეროვნული და ევროკავშირის დაფინანსების პრიორიტეტების დაგეგმვა ხდება პროგრამის შედგენის პროცესის დასაწყისში. ნატურა 2000-ის აგრარული ტერიტორიების სტრატეგიული დაგეგმვა უნდა იყოს თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იქნებიან გარემოსდაცვითი და

სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიული დაგეგმვისა და პროგრამირების ძირითადი ეტაპები, ასევე დაფინანსების უზრუნველყოფა, აღწერილია ქვემოთ:

### **კონსერვაციის მიზნების გახკვევით ჩამოყალიბება ნატურა 2000 -ის აგიახული ფაქტობებისთვის**

სტრატეგიული დაგეგმვისთვის საჭიროა კონსერვაციის მიზნებისა და პრიორიტეტების მკაფიოდ განსაზღვრა ეროვნულ და/ან რეგიონულ დონეზე, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის სტატუსის, ქვეყანაში ან რეგიონში მათი მნიშვნელობისა და სხვა შესაბამისი ასპექტების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია იმ არსებული სასოფლო-სამეურნეო სისტემების მხარდაჭერა, რომელშიც შენარჩუნებულია ჰაბიტატის ხარისხი, არა მხოლოდ ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე, რომლებიც დაუყოვნებლივი საფრთხის წინაშე იმყოფებიან ინტენსიფიკაციის ან მიტოვების გამო. ეს შეიძლება განხორციელდეს მე-17 მუხლის ანგარიშის მიხედვით, ჰაბიტატებისა და სახეობათა დაცვის სტატუსის შეფასების საფუძველზე, ასევე ზეწოლის ისეთი ინდიკატორების გათვალისწინებით, როგორცაა მიტოვების რისკი.

კონსერვაციის მიზნები შეიძლება განისაზღვროს რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე და შემდეგ გადაითარგმნოს მოცემული უბნის სპეციფიკურ კონტექსტში, ე.ი. ნატურა 2000-ის იმ უბნებისთვის, სადაც სამიზნე ჰაბიტატები და სახეობებია წარმოდგენილი (იხ. აგრეთვე ნაწილი 3.1 კონსერვაციის მიზნების დასახვის შესახებ). სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სისტემა და კონსერვაციის სტატუსი მოითხოვს მართვის განსხვავებულ მიდგომებს, არსებული აგრარული სისტემებისა და მეთოდების შენარჩუნებიდან, ჰაბიტატის აღდგენამდე და მიტოვებულ მიწებზე მართვის პროცესების აღდგენამდე.

ყველა უბანს არ დასჭირდება ტერიტორიის მართვის გეგმა (ნატურა 2000-ის უბნების მართვის დაგეგმვის მიდგომები განსხვავდება წევრ სახელმწიფოებს შორის), მაგრამ ყოველთვის აუცილებელია ყველა კონსერვაციული მნიშვნელობის სპეციალური ტერიტორიისთვის საჭირო კონსერვაციის ზომების დაწესება ჰაბიტატების დირექტივის 6.1 მუხლის შესაბამისად. იხ. განყოფილება 3.2). მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისა და სახეობების სტატუსის დადგენა, კონსერვაციის მიზნების განსაზღვრა და მართვის შესაბამის ვარიანტებზე რეკომენდაციების მიწოდება. ნატურა 2000-ის მართვის გეგმების მომზადებისა და განახლების მხარდაჭერა შესაძლებელია სოფლის განვითარების პროგრამის (RDP) დაფინანსებით (იხ. განყოფილება 5.8).

იმისათვის, რომ სახეობისთვის შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს საკმარისი კოჰერენტული ჰაბიტატი, რათა შეინარჩუნოს ან კიდევ წარმოქმნას სიცოცხლისუნარიანი პოპულაციები, ინტერვენციები უნდა იყოს მიმართული სწორად განსაზღვრულ ადგილებში და მოიცავდეს საკმარის ტერიტორიას (Whittingham, 2007). აქედან გამომდინარე, კონსერვაციის გრძელვადიანი წარმატებისთვის, შეიძლება საკმარისი არ იყოს მხოლოდ იმ ადგილებზე ტარგეტირება, სადაც ამჟამად


ბინადრობენ პოპულაციები (RSPB & Birdlife International, 2011).

**ნატურა 2000 -ის მიწების კონსერვაციის მიზნების ინტეგრირება შესაბამის სტრატეგიულ პოლიტიკასა და პირობებში და ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფა**

ძალზე მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების იდენტიფიცირება ნატურა 2000 მიწების მართვის მხარდასაჭერად და იმ აგრარული სისტემების გრძელვადიანი ეკონომიკური გადარჩენის უზრუნველსაყოფად, რომლებზეც ისინი არიან დამოკიდებული. კონსერვაციის აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა მართვის გეგმებში და მართვის სხვა ინსტრუმენტებში, პროცესის მხოლოდ დასაწყისია.

წევრი ქვეყნების ნატურა 2000-ის დაფინანსების პრიორიტეტულ საქმიანობათა ჩარჩოს ფარგლებში უნდა დადგინდეს სტრატეგიული პრიორიტეტები, 2014–2020 წლების პროგრამულ პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები და დაფინანსების ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ამ ღონისძიებების განსახორციელებლად (იხ. განყოფილება 3.3). 2014-2020 წლებში ევროკავშირისგან თანადაფინანსების მისაღებად საჭიროა დროული მოქმედება, შესაბამისი საოპერაციო პროგრამების მომზადებამდე. სოფლის განვითარების 2014-2020 წლების პროგრამების ციკლი წარმოდგენილია 6.1 დიაგრამაზე. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე შეიმუშავა საინტერესო მიდგომები ნატურა 2000-ის დაფინანსების საჭიროებათა ევროკავშირის შესაბამის პროგრამებში ინტეგრირებისთვის, მათ შორის სოფლის განვითარების პროგრამაში (იხ. ჩანართი 6.1).

**დიაგრამა 6.2. სოფლის განვითარების პირობების შედგენის ციკლი**




### **ჩანახტი 6.1 ნატურა 2000-ის ინტეგრაცია ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებში**

სლოვენიის ნატურა 2000-ის უბნების მართვის 2007-2013 პროგრამა წარმოადგენს ნატურა 2000-ის კონსერვაციის დაგეგმვის ინტეგრირებული ეროვნული მიდგომის გამორჩეულ მაგალითს. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა კონსერვაციის დეტალური მიზნები, ზომები ამ მიზნების მისაღწევად, მონიტორინგისა და კვლევის წინადადებები სლოვენიის ყველა Natura 2000-ის ჰაბიტატისთვის, სახეობისა და ადგილისთვის. ის მომზადდა შესაბამის საჯარო სამსახურებთან, სამინისტროებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საკანონმდებლო ბაზისა და მინათსარგებლობის რეესტრის გათვალისწინებით, საექსპერტო სამუშაოებსა და სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით. ამავდროულად, ღონისძიებები ჩართული იყო სოფლის განვითარების 2007-2013 წლების გეგმაში და სლოვენიის რეგიონული განვითარების პროგრამაში. პროგრამაში გაანალიზებული იყო ნატურა 2000-ის მართვის ფინანსური საჭიროებები და დეტალურად იყო აღწერილი ევროკავშირის და ეროვნული ფონდების გამოყენება.

წყარო: (სლოვენიის რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და სივრცითი დაგეგმარების სამინისტრო, 2007).

მნიშვნელოვანია ნატურა 2000-ის პოლიტიკის მიზნების ინტეგრირება რეგიონული მდგრადი განვითარების სტრატეგიებში. ნატურა 2000-ის რაიონებში აგრარულ თემებს შეუძლიათ ისარგებლონ ისეთი ინიციატივებითაც, როგორცაა ეკოტურიზმი, ნატურა 2000-ის აგრარული პროდუქტების დამატებითი ღირებულება, ხარისხის ნიშანდებები და პირდაპირი მარკეტინგის სტრუქტურების მხარდაჭერა. ზოგიერთ შემთხვევაში, საბაზროსექტებმა, რომლებიც ახორციელებენ გადახდებს ეკოსისტემის სერვისებისთვის, აჩვენა კონსერვაციული მართვის მხარდასაჭერის პოტენციალი. ნატურა 2000-ის ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი დაცვა შეიძლება ასევე მოითხოვდეს კულტურული და სოციალური კაპიტალის აღდგენას, გარემოს დაცვითი ღირებულებების, ცოდნის, უნარებისა და ინოვაციის შესაძლებლობების გამოყენებას, რომელიც არსებობს სოფლის თემებში. ეს შეიძლება მოიცავდეს მინათმომწყობთა ეკოლოგიური ექსპერტიზის აღიარების გზებს დაჯილდოებისა და გასაჯაროების გზით და ფერმერთა კოოპერატივებისა და ასოციაციების წახალისებას, ნატურა 2000-ის მართვაში წვლილის შესატანად და დამატებითი სარგებლის მისაღებად. 6.1 დიაგრამაზე ასახულია ის ფართო სარგებელი, რომელიც შეიძლება მოიტანოს ნატურა 2000-ის კონსერვაციისთვის თემზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებამ.

**დიაგრამა 6.1 პოზიციური სინეჯები და სახეებელი, ხომელიც შეიძლება მიღებული იყოს ნატურა 2000-ის აგიახუდი ფაქტობების კონსეხვაციით (Mantino, 2011).**



**6.2 ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ფერმერული სისტემების იდენტიფიცირება და ფერმერების ჩართვა.**

**რეკომენდაციები:**

- დაადგინეთ ნატურა 2000-ის აგრარული მიწების ფართობი და ადგილმდებარეობა, ფერმერების მიერ გამოყენებული მიწების ჩათვლით, რომელიც არ არის საკუთრებაში მოთხოვნილი და არ არის დაფიქსირებული LPIS-ში (რეესტრში) გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის სტატუსით აგრარული ხელმძღვანელი ორგანოების მიერ; ახლახან მიტოვებული მიწები; მიწები ნატურა 2000-ის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რომლებიც ნატურა 2000-ის აგრარული სისტემის განუყოფელი ნაწილია და განაპირობებს ნატურა 2000-ის მიწების შენარჩუნებას.
- შეაფასეთ ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო მიწების ამჟამინდელი მდგომარეობა, ნატურა 2000-ის აგრარული სისტემების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და მიწის მართვისა თუ მიწათსარგებლობის ცვლილების ძირითადი ზეწოლა და მამოძრავებელი ფაქტორი.
- ჩართეთ ფერმერები და ადგილობრივი თემები ინფორმაციის შეგროვების პროცესში და შეიმუშავეთ პარტნიორული მიდგომა, რომელიც მათ სრულად ჩართავს მათი აგრარული სისტემებისა და სოფლის ეკონომიკის დამხმარე ღონისძიებების შემუშავებაში, განხორციელებაში და მონიტორინგში.

## **ნაგუხა 2000 სასოფლო-სამეურნეო მიწების ფაქტობისა და მდებარეობის განსაზღვრა**

უმეტეს წევრ ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მონაცემთა ბაზები (როგორცაა IACS და LPIS), რომლებშიც აღრიცხება ესსპ-ის მხარდაჭერის მიღების უფლება, ალბათ არასრულია ნატურა 2000-ის აგრარული მიწების აღრიცხვის თვალსაზრისით. ამიტომ აუცილებელია ადგილობრივ ექსპერტებთან, ფერმერებთან და გარემოსდაცვით და სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელორგანოებთან მუშაობა, რათა დადგინდეს ნატურა 2000 მიწების რეალური მასშტაბი და ადგილმდებარეობა. რესურსები, როგორცაა ჰაბიტატებისა და სახეობების შესახებ ჩანაწერები და მიწის საფარის სურათები, შეიძლება დაგვეხმაროს, მაგრამ ადგილობრივი ცოდნა აუცილებელია.

ნატურა 2000-ის აგრარული ფართობები, სავარაუდოდ, მოიცავს მიწას, რომელსაც ფერმერები იყენებენ, მაგრამ ამჟამად არ არის რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის სტატუსით (სხვადასხვა მიზეზის გამო); ახლახან მიტოვებული მიწებს; მიწებს ნატურა 2000-ის ტერიტორიის გარეთ, რომელიც წარმოადგენს ნატურა 2000-ის აგრარული სისტემის განუყოფელი ნაწილს და განაპირობებს ნატურა 2000-ის მიწების შენარჩუნებას (მაგალითად, დაბლობის სათიბები ან საძოვრები, რომლებიც გვაძლევენ ზამთრის საკვებს იმ პირუტყვისათვის, რომელიც ზაფხულობით ნატურა 2000-ის საძოვრებზეა გასული.

ასევე მნიშვნელოვანია ფერმერების მიერ გამოყენებული, მაგრამ სხვების საკუთრებაში არსებული მიწების იდენტიფიცირება, როგორცაა საერთო სარგებლობის მიწა და სახნავ-სათესი მიწები ან საძოვრები, რომელსაც წლის გარკვეულ პერიოდში უმინაწყო მესაქონლეები იყენებენ. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში მიწათსარგებლობის საკადასტრო ჩანაწერები შეიძლება მოძველებული იყოს ან სასოფლო-სამეურნეო მიწა შეიძლება რეგისტრირებული იყოს სატყეო სავარგულის სტატუსით. ნატურა 2000-თან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობისა და ადგილმდებარეობის აღრიცხვა გადამწყვეტი პირველი ნაბიჯია მხარდაჭერის მისაღებად. ინფორმაცია უნდა შეგროვდეს GIS ფორმატში, რომელიც ადვილად განახლდება და თავსებადია სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ გამოყენებულ LPIS სისტემასთან (იხ. ჩანართი 6.2). მნიშვნელოვანი საკითხი ნატურა 2000-ის აგრარული მიწების ესსპ-ის გადახედებში ჩართვის წესების და შესაძლებლობის შესახებ, განხილულია ქვემოთ, 6.4 განყოფილებაში.

### **ჩანაწი 6.2 - ნაგუხა 2000 აგაჩუდი ჰაბიტატების ინვენტარიზაცია ესსპ-ის ადმინისტრაციულ სისტემებში**

ნახევრად ბუნებრივი მდელოების ეროვნული ინვენტარიზაცია სლოვაკეთში: სლოვაკეთმა მოახდინა თავისი ნახევრად ბუნებრივი სათიბების ტიპების კარტოგრაფირება (ინვენტარიზაცია) ეროვნულ დონეზე და მიღებული რუკა შეიყვანა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მართვის სისტემაში. სლოვაკეთის ბალახოვანი ეკოსისტემების რუკა არა მხოლოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, არამედ საუკეთესოაა ინტეგრირებული აგროეკოლოგიური საქმიანობის მხარდასაჭერ სისტემაში, თუმცა საჭიროებს

განახლებას. კარტოგრაფირება

გამოიყენება ეროვნული აგროგარემოსდაცვითი პროგრამის ექსტენსიური მეურნეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებისთვის, ქვეყნის მასშტაბით არსებულ ნახევრად ბუნებრივ ბალახოვან ეკოსისტემებში იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც მაღალი ბუნებრივი ღირებულება გააჩნიათ, მათ შორის, ნატურა 2000-ის უბნებში. პროგრამა განსაზღვრავს სპეციფიკურ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებს გარკვეული ტიპის ჰაბიტატისთვის, რომლებიც ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით, დაჯგუფებულია შვიდ კატეგორიად (მშრალი ბალახოვანი ეკოსისტემები, ზომიერი ბალახოვანი ეკოსისტემები, მთის სათიბი მდელოები, წარბტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები ზღვის დონიდან დაბალ სიმაღლეებზე, კნიდიონის ალუვიური ბალახოვანი ეკოსისტემები, წარბტენიანი ბალახოვანი ეკოსისტემები დიდ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან, ტორფიანი და მოლინას მდელოები და მაღალმთიანი ბალახოვანი ეკოსისტემები).

წყარო: Seffer et al 2002, Slovakia case study in Annex E

### **ნატურა 2000 -ის სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობისა და მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შეფასება და ცვლილებების ძიებითადი მამოძრავებელი ფაქტორების იდენტიფიცირება**

შესაბამისი მიზნების განსაზღვრისათვის, პრიორიტეტული აქტივობების დადგენისა და პროგრამების შემუშავებისთვის, რომლებიც გააუმჯობესებენ ძირითადი აგრარული ჰაბიტატებისა და სახეობის კონსერვაციულ სტატუსს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ ნატურა 2000-ის სასოფლო-სამეურნეო სისტემების ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზი ეროვნულ და/ან რეგიონულ დონეზე. ის უნდა ითვალისწინებდეს ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას და იმ მამოძრავებელ ფაქტორებსა და ბუნებრივ ფაქტორებს, რომელსაც ისინი განიცდიან ახლა და შეიძლება მომავალშიც განიცადონ. არაეკონომიური მეურნეობები განსაკუთრებით დაუცველი არიან მათი პირობების საკმაოდ მცირე ცვლილებების წინაშე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მინის გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ანალიზმა უნდა გამოავლინოს ის ტერიტორიები, რომლებიც რისკის წინაშე დგანან მეურნეობის ინტენსიფიკაციის ან მიტოვების გამო, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია იმ არსებული სასოფლო-სამეურნეო სისტემების იდენტიფიცირება, რომლებიც იცავენ სახეობებსა და ჰაბიტატებს, როგორცაა მაღალი ბუნების ღირებულების ტერიტორიები (იხ. განყოფილებები 2.4 და 2.5).

### **ფეხმეხებისა და ადგილობრივი თემების მონაწილეობა და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების პაჩგნოიხული მიდგომის შემუშავება**

ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ინტეგრირებული მართვა მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვით ხელმძღვანელ ორგანოებს შორის, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, სტრატეგიული პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა

და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების მიზნით, ასევე ადგილობრივ თანამშრომლობას ამ ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დროს. შესაბამისი ინსტრუმენტებისა და ზომების განსაზღვრისას, ფერმერები და მინათმომწყოები მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ სქემების შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მხარდაჭერის მექანიზმები შეესაბამებოდეს მიზნებს ადგილობრივ დონეზე და სრულად იყოს ათვისებული და გამოყენებული ადგილობრივი თემების მიერ. არსებობს მზარდი მტკიცებულება, რომ ფერმერებს სურთ ჩაერთონ დამხმარე ღონისძიებების შემუშავებაში და რომ ამას წარმატებული შედეგები მოჰყვება (Poláková et al, 2011).

ადამიანთა გაერთიანების გზები ხშირად შეუმჩნეველი რჩება პოლიტიკასა და დაფინანსების ინსტრუმენტებში და, შესაბამისად, რჩება დაუფასებელი და დაუფინანსებელი. შედეგად, ზოგიერთ თემს კვლავ ძლიერი უნდობლობა გააჩნია ნატურა 2000-ის მიმართ. ამის დაძლევა შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე დიალოგისა და თანამშრომლობის უფრო სისტემატური მიდგომის გამოყენებით და ადგილობრივი ორგანიზაციების ან პარტნიორობის შექმნით ან უკვე არსებულის გამოყენებით, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა მხარეს, პრაქტიკულ დონეზე ყველა მხარის ინტერესების კონსოლიდაციის განსახილველად (როგორც ეს სისტემატურად კეთდება საფრანგეთში ადგილობრივი კომიტეტების მეშვეობით). ამ პროცესის მხარდასაჭერად შესაძლებელია სოფლის განვითარების პროგრამის გამოყენება (იხ. განყოფილება 5.9).

პარტნიორობის პრინციპი უკვე ინტეგრირებულია სოფლის განვითარების პოლიტიკაში (ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა შესაბამის ფონდებში), ნევრი სახელმწიფოებისა და რეგიონების მიმართ წაყენებული მოთხოვნით - ჩართონ შესაბამისი სოციალური, ეკონომიკური და სხვა ორგანოები (მათ შორის გარემოსდაცვითი ორგანიზაციები) სოფლის განვითარების პროგრამების მომზადების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ასპექტში. 2014-2020 წლების კანონმდებლობა მოითხოვს, რომ „პარტნიორები“ ჩაერთონ პროგრამის ციკლის ყველა ეტაპზე და იყვნენ მონიტორინგის კომიტეტის წევრები.

ნატურა 2000-ის მიზნების ადგილზე განხორციელებისას, ადგილობრივმა პარტნიორობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის მიღწევაზე, ისე ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი სოფლის მეურნეობის წარმატებაზე. სასოფლო-სამეურნეო და ბუნების კონსერვაციის სახელმწიფო ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფერმერები და სხვა დაინტერესებული მხარეები სულ უფრო ხშირად მუშაობენ პარტნიორობის საფუძველზე ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე მიწის მართვის სქემების შემუშავებისას. კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა და ადგილზე საკუთრების გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტერიტორიის მართვაში წარმატების მისაღწევად (იხ. ჩანართი 6.3).

ნატურა 2000-ის ტერიტორიის აღნიშვნა ხშირად იწვევს შიშებსა და გაუგებრობას, მაგრამ არის კარგი მაგალითებიც, როდესაც კონფლიქტები წარმატებით მოგვარდა ადგილზე პარტნიორობის მიდგომით და სხვადასხვა ღონისძიებები წარმატებით

გაერთიანდა და შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ნატურა 2000-ის უბნებზე მეურნეობა სოციალურად და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია.

**ჩანახტი 6.3 - ღონისძიებების მოხება ადგილობრივ პირობებზე, ფეხმეხებისა და მიწათმომწყოების მონაწილეობით**

**საკონსერვაციო მეურნეობა ბუხენში (იხლანდია)**

სასოფლო-სამეურნეო ინტერვენციების თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც საგულდაგულოდ არის მორგებული კონკრეტული ჰაბიტატების კონსერვაციაზე, არის ნატურა 2000-ის უბნები ბურენის ტერიტორიებზე, სადაც პირუტყვის ზამთრის პერიოდში ძოვების ტრადიციული პრაქტიკა დიდი ხანია ხელს უწყობს სახეობებისა და ჰაბიტატების მდიდარ მრავალფეროვნებას ამ ტერიტორიაზე. Burren Farming for Conservation Program (BFCP) რჩევებს აძლევს ფერმერებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მათი მიწის გარემოსდაცვითი სარგებელი მაქსიმალურად (ადგილზე ვიზიტების, მეურნეობის გეგმების შემუშავებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ რჩევების საშუალებით). ფერმერები იღებენ ოპტიმალური, სახეობებით მდიდარი ბალახოვანი ეკოსისტემების შექმნის ინიციატივას და განსაზღვრავენ აქტივობებსა და პრიორიტეტებს. მხარდაჭერილი აქტივობები რუკაზე დაიტანება და მათი ღირებულება ფასდება BFCP გუნდის (დაფინანსებული ეროვნული პარკებისა და ველური ბუნების სამსახურის მიერ) კვალიფიციური კონსულტანტის მიერ. შემუშავებული ინოვაციების კომპენსაციის სქემები ითვლება საკვანძოდ სასურველი შედეგების მისაღწევად. მეურნეობის გეგმები ახლა საკმაოდ მარტივი და გასაგებია, მხოლოდ ორი გვერდისგან შედგება; ერთი გვერდი შეიცავს მეურნეობის რუკას, სადაც იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვანი ჰაბიტატები, კულტურული მახასიათებლები და შემოთავაზებული აქტივობები, ხოლო მეორე გვერდი შეიცავს აქტივობების ნუსხას შესაბამისი ხარჯებით.

წყარო: Ireland case study in Annex E and Irish Rural Development Programme proposal (see [http://www.agriculture.gov.ie/media/migration/press/pressreleases/2014/Draft-Consultation%20Do cRDP14%20Jan.pdf](http://www.agriculture.gov.ie/media/migration/press/pressreleases/2014/Draft-Consultation%20Do%20cRDP14%20Jan.pdf))

**ბაღახოვანი ეკოსისტემების მართვა კონსერვაციის ეროვნულ პარკში (ჩეხეთი)**

2010 წლიდან კონსერვაციის ეროვნული პარკისა და სპეციალური ინტერესის დაცული ზონები (SCI) ბაღახოვანი ეკოსისტემების მართვა ხორციელდება მართვის ათწლიანი გეგმით განსაზღვრული კონსერვაციული პრიორიტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესაბამისად. პარკმა შეიმუშავა მეურნეობის დონეზე „ეკომეგობრული მართვის“ საპილოტე მოდელი, ჰაბიტატების სტატუსის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და ადგილობრივ პირობებთან კარგად ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გზით. მიზანი ასევე არის სხვადასხვა სახეობისა და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებების ჰარმონიზაცია მეურნეობის დონეზე და ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის თავიდან აცილება, რაც არასათანადო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკით არის გამოწვეული (მაგალითად, ბუჩქების მოცილება შეიძლება საზიანო იყოს ზოგიერთი პეპლისთვის). ღონისძიებები

განსაზღვრულია მეურნეობის გეგმებში და ფოკუსირებულია სახეობებით მდიდარ ბალახოვან ეკოსისტემებსა და ეროვნული თუ ევროპული მნიშვნელობის შერჩეულ სახეობებზე (მაგ. *Crex crex*). მეურნეობის გეგმა აღწერს მეურნეობაში არსებულ ბუნებრივ ფასეულობებს და განსაზღვრავს მართვის დეტალურ რეკომენდაციებს თითოეული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთისათვის. მასში ჩამოთვლილია ღონისძიებები, რომლებიც ეფუძნება არსებულ აგრო-გარემოსდაცვითი მხარდაჭერის სქემებს და სპეციფიკურ ზომებს, როგორცაა უფრო მოქნილი გვიანი თიბვა, ძოვების სხვადასხვა რეჟიმი, ნაწილობრივი (ზოლოვანი, მოზაიკური) თიბვა და პირუტყვის რაოდენობის შემცირება ჰექტარზე. გეგმა ასევე შეიძლება შეიცავდეს გამონაკლისებს ზოგადი წესებიდან, კონსერვაციის ორგანოების ნებართვით და სპეციალურ მოთხოვნებს მწერების გარკვეული სახეობების (მაგალითად, მართვის გარეშე დატოვებული ნაკვეთები) დასაცავად, მდელოებში ფრინველების დასაცავად (მაგალითად, თიბვა ცენტრიდან), ან სახნავ-სათეს მიწებზე (მაგალითად, სასუქების გამოყენების შემცირება). ეფექტური სამრჩევლო სისტემა და ფერმერებთან რეგულარული კომუნიკაცია გადამწყვეტია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისთვის.

წყარო: Czech Republic case study in Annex E

### 6.3 ესსპ-ის მხარდაჭერის უფლების მიღება და საკონტროლო დონის განსაზღვრა

#### რეკომენდაციები:

გარემოსდაცვით და სოფლის მეურნეობის ორგანოებს შორის გუნდური მუშაობისა და მჭიდრო თანამშრომლობის გზით:

- დარწმუნდით, რომ ყველა შესაძლებლობა არის განხილული იმისთვის, ნატურა 2000-ის აგრარული მიწები იდენტიფიცირებულია როგორც „სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის“ ნაწილი, როგორც განსაზღვრული ახალი რეგულაციებით, მათ შორის ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია, რომელიც ბუნებრივად არის შენარჩუნებული საძოვრად ან კულტივაციისთვის შესაფერის მდგომარეობაში; და რომ მიწა რეგისტრირებულია LPIS/IACS სისტემებში.
- გამოიყენეთ მოქნილობა, რომელიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოებისთვის ესსპ-ის რეგულაციებით, რათა დარწმუნდეთ, რომ ნატურა 2000-ის ფერმერებს, რომლებიც იყენებენ ამ მიწებს, შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა როგორც ესსპ-ის 1-ლი, ასევე მე-2 კომპონენტის ფარგლებში (რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ დაშვების განსხვავებული წესები).
- საკანონმდებლო საზღვრებში განსაზღვრეთ ესსპ-ის დაშვების სხვა წესები ისე, რომ შეესაბამებოდეს მაღალი ბუნებრივი ღირებულების და/ან ნატურა 2000-ის მახასიათებლებს.
- წარმოადგინეთ მკაფიო განსხვავება ფერმერებისთვის ადვილად გასაგები ა) ფერმერებს შორის ეროვნული ან რეგიონული კანონმდებლობით დაკისრებულ საკანონმდებლო ვალდებულებებს შორის ნატურა 2000-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შეადგენდეს ნორმატიულ მენეჯმენტის მოთხოვნებს (SMRs) ჯვარედინი შესაბამისობის მიხედვით, რომელიც ეხება

ორივე ფრინველების დირექტივას და ჰაბიტატების დირექტივას; ბ) სხვა ეროვნული ან რეგიონული კანონმდებლობა; და გ) საჭიროების შემთხვევაში, (EC) No1307/2009 რეგულაციის 4(1)(c) მუხლის (ii) და (iii) პუნქტების მოთხოვნები.

- უზრუნველყავით, რომ მკაფიოდ და ფერმერებისთვის გასაგებ ენაზე იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა განსხვავებაა: ა) ნატურა 2000-ის კონტექსტში, ეროვნული ან რეგიონული კანონმდებლობით ფერმერებისთვის დაკისრებულ სამართლებრივ ვალდებულებებს (რომლებიც ფრინველების ან ჰაბიტატების დირექტივებთან დაკავშირებული ურთიერთგადაფარვადი შესაბამისობისთვის დადგენილი მართვის მოთხოვნებია (SMR)), და ბ) სხვა ეროვნულ ან რეგიონულ კანონმდებლობას შორის; გ) საჭიროების შემთხვევაში, (EC) No1307/2009 რეგულაციის 4(1)(c) მუხლის (ii) და (iii) პუნქტების მოთხოვნები.

### **ესსპ-ის მხარდაჭეხის უფლების მოპოვება ესსპ-ის ხეგუდაციების მოქნილობის გამოყენებით**

მნიშვნელოვანია, რომ ნატურა 2000-ის მიწები კლასიფიცირებული იყოს როგორც „სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია“, არა მხოლოდ ესსპ-ის გადახდების დასაშვებად, კერძოდ, შემოსავლების მხარდასაჭერად 1-ლი კომპონენტის ფარგლებში, არამედ იმიტომაც, რომ ინდიკატორები, რომლებიც განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ EAFRD-ის სახსრების გამოყენების გავლენის შესაფასებლად, სავარაუდოდ, გაიზომება აგრარულ ზონაში. მიწა, რომელიც არ არის განსაზღვრული როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე, გამოირიცხება EAFRD-ის დაფინანსების ეფექტურობის შეფასებიდან, რაც ართულებს დაფინანსების გამართლებას მომდევნო პროგრამულ პერიოდში.

სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ესსპ-ისა და EAFRD-ის დაფინანსებას წევრი სახელმწიფოსა თუ რეგიონულ დონეზე, პასუხისმგებელი არიან მიწისა და ბენეფიციარების დაშვების წესების განსაზღვრასა და გამოყენებაზე ესსპ-ის გადახდებისთვის, ჩანაწერების წარმოებასა და ხარჯების მონიტორინგზე. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მჭიდრო და დროული თანამშრომლობა ნატურა 2000-ის ორგანოებსა და სოფლის მეურნეობის ორგანოებს შორის, რათა დაშვების საკითხი დადებითად გადაწყდეს მომდევნო პროგრამული პერიოდის დასრულებამდე, სანამ განაცხადები კომისიას წარედგინება დასამტკიცებლად. ესსპ-ის რეგულაციები საკმაოდ მოქნილია ნატურა 2000-ის ფერმერების სპეციფიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ხელისუფლებას არ აქვს მისი ამ მიზნით გამოყენების ვალდებულება (ხშირად ხდება ზენოლა სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების მხრიდან, რათა დაადგინონ წესები, რომლებიც შესაფერისი იქნება უფრო მსხვილი და ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემებისთვის).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფერმერების მდგომარეობას, რომლებიც სხვა ფერმერების მიწებით არაფორმალურად ან წლის მხოლოდ გარკვეულ პერიოდში სარგებლობენ; აგრარულ ფართობებს მიწის უფლებების რთული სისტემებით, როგორცაა კოლექტიური გამოყენება; და ნატურა 2000-ის მრავალ საძოვარ ჰაბიტატს, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობის ხეები და ბუჩქებია, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებენ მათ ღირებულებას

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაგრამ რომლებიც ადრე იყო ამორიცხული გადახდებიდან, ხშირად იმის გამო, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ წევრი ქვეყნები ხეების არსებობასთან დადგენილ წესებს.

**ჩანართი 6.4 ნატურა 2000-ის მცირე ფერმერების დახმარება ესსპ-ის გადახდების მიღებაში**

**სამხრევლო მომსახურება გხანსიღვანიაში (რუმინეთი)**

არასამთავრობო ორგანიზაციამ Fundația ADEPT Transilvania რუმინეთის ტარნავა მარეს რეგიონში შექმნა ფერმერთა საკონსულტაციო სამსახური, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვის ვალდებულებებს და სოფლად შემოსავლის მხარდაჭერას, ადგილობრივ თემებთან და სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტროსთან (MARD) და რუმინეთის გარემოს დაცვისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან (MEF) თანამშრომლობით. მისი ხედვაა ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ლანდშაფტის დონეზე, მცირე ფერმერებთან მუშაობით, რათა შეიქმნას სტიმული მათ მიერ შექმნილი ნახევრად ბუნებრივი ლანდშაფტების დასაცავად. მისი ხედვაა ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ლანდშაფტის დონეზე, მცირე ფერმერებთან მუშაობით, მათი წახალისებით მათ მიერვე შექმნილი ნახევრად ბუნებრივი ლანდშაფტების დასაცავად. საკონსულტაციო სამსახური დაეხმარა მცირე ფერმერებს ესსპ-ის პირდაპირი გადახდების მიღების უფლების მოპოვებაში. ამ ტერიტორიაზე მეურნეობების დაახლოებით 60%-ის ფართობი მინიმალურზე ნაკლებია (სულ 1 ჰა, რომელიც შედგება მინიმუმ 0.3 ჰა მიწის ნაკვეთისგან), რომელიც საჭიროა რუმინეთში ესსპ-ის 1-ლი კომპონენტის ფარგლებში პირდაპირი გადახდების მისაღებად. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიმუშავა ღონისძიებები, რომლითაც აქტიური ფერმერები იქირავებენ მიწას მეზობლებისგან და იღებენ გადახდის თანხას მათ მიერ დამუშავებული მიწის ფართობის მიხედვით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტები, რომლებიც ფლობენ საერთო სარგებლობის საძოვრებს და არ აქვთ გადახდის მიღების უფლება, საძოვრების ასოციაციებთან შეთანხმდნენ გრძელვადიანი იჯარის აღებაზე, რათა შეეძლოთ აგროეკოლოგიური კონტრაქტების დადება. ამან განაპირობა ის, რომ მიწის დიდი ფართობები შედის ესსპ-ის მიერ დაფინანსებულ მართვის სქემებში და ამცირებს მიტოვების რისკს.

წყარო: Romania case study in Annex E

**გადახდების საკონტროლო ონის განსაზღვრა**

ესსპ-ის შემოსავლების მხარდაჭერის, აგრო-გარემოსდაცვით-კლიმატის მხარდაჭერისა და ფართობზე დამოკიდებული გადასახდელების საკონტროლო დონე შეიცვალა 2014-2020 დაგეგმვის პერიოდში, მწვანე გადახდების დანერგვითა და GAEC და SMR სტანდარტების რევიზიით ურთიერთშესაბამისობის (და შესაბამისი ეროვნული ან რეგიონული სტანდარტების) ჩარჩოებში.

ისევე როგორც ესსპ-ის გადახდების დაშვების შემთხვევაში, არსებობს მოქნილობა,

თუ როგორ შეიძლება განისაზღვროს GAEC და „მრავალწლიანი საძოვრების“ სტანდარტები. ნევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაითვალისწინონ ადგილობრივი პირობები და დადგენილი ადგილობრივი პრაქტიკა. ეს კვლავ მოითხოვს მჭიდრო და დროულ თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვით ორგანოებს შორის, როგორც მუდმივი სათიბების განსაზღვრაზე, ასევე ურთიერთშესაბამისობის ახალ სტანდარტებზე. ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ ნევრი სახელმწიფოებისთვის ხელმისაწვდომი ვარიანტები სხვადასხვა სქემებისთვის ბიუჯეტის ლიმიტების და ამ სქემებისთვის ჰექტარზე გადახდის განაკვეთების დადგენისას. ფერმერებისთვის ნატურა 2000 მიწების მართვის სამართლებრივი ვალდებულებების დადგენისას მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ეს ვალდებულებები ასევე არის აგროეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული მხარდაჭერის გაანგარიშების გარკვეული საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერებს შეუძლიათ კომპენსაცია მიიღონ სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებისთვის, ნატურა 2000-ის კომპენსაციები იმავე მოცულობით ვერაანაზღაურებს თანხებს, როგორც აგროეკოლოგიასა და კლიმატის კომპენსაციები არ შეიძლება იყოს მორგებული ცალკეული მეურნეობების ან ჰაბიტატების საჭიროებებზე. ასევე არ ითვალისწინებს ფერმერებისთვის ტრანზაქციის ხარჯების ანაზღაურებას. ჰაბიტატებისა და ფრინველების დირექტივებით გათვალისწინებული სამართლებრივი მოთხოვნები და სოფლის განვითარების პროგრამის ეს ორი ღონისძიება უნდა შემუშავდეს, როგორც ნატურა 2000-ის მხარდაჭერის ინტეგრირებული პაკეტი, რომელიც ეფექტურად აუნაზღაურებს ფერმერებს ბუნების დაცვისა და პოზიტიური მართვის ხარჯებს.

#### **6.4 ესსპ-ის მხარდაჭერის თანმიმდევრული პაკეტის შემუშავება ნატურა 2000-ის მეურნეობებზე ფოკუსირებით**

##### **რეკომენდაციები:**

- გამოიყენეთ ინკლუზიური პარტნიორობის მიდგომა ნატურა 2000-ის მხარდაჭერის ღონისძიებების შესამუშავებლად, სამიზნე ფერმერების სრული ჩართულობით და მეურნეობისა და ჰაბიტატის მართვის სფეროში მათი ექსპერტული ცოდნის გამოყენებით.
- შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი, ინტეგრირებული მხარდაჭერის პაკეტი ესსპ-ის ორივე კომპონენტზე დაყრდნობით, ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემების და აგრარულ მართვაზე დამოკიდებული ძირითადი ჰაბიტატებისა და სახეობების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს პაკეტი უნდა აკმაყოფილებდეს მხარდაჭერის ადგილობრივ საჭიროებებს:
  - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაგრძელება
  - ექსტენსიური სამეურნეო სისტემები
  - პოტენციალის ამაღლება და დამატებითი ღირებულება ფერმის პროდუქციაზე
  - ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების აგრარული მართვა
- გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ მცირე ფერმერებს მარტივი წვდომა ჰქონდეთ ესსპ-ის ორივე კომპონენტით განსაზღვრულ მხარდაჭერაზე.
- გამოიყენეთ სოფლის განვითარების პროგრამის (RDP) მთიანი რეგიონების მეურნეობებისა და მცირე მეურნეობებისთვის განკუთვნილი ახალი

ქვეპროგრამების თემატიკა ნატურა 2000-ის სპეციფიკური ვარიანტების შემუშავებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის უფრო მაღალი განაკვეთებით.

- უზრუნველყავით, რომ ბუნებრივი შეზღუდვების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC) გათვალისწინებულ გადახდის განაკვეთებში, ნატურა 2000-ის და აგროეკოლოგიურ-კლიმატურ ღონისძიებებში ასახული იყოს მართვისთვის საჭირო სრული ხარჯები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპენსაციისთვის არ არსებობს ან ძალიან მცირეა შემოსავალი, და ასევე, გამოყენებული იყოს კალკულაციაში ტრანზაქციის ხარჯების დამატების შესაძლებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- რაციონალურად გამოიყენეთ ხელმისაწვდომი დაფინანსება, მხარდაჭერის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ტარგეტირებით მეურნეობისა და ჰაბიტატის მოთხოვნებზე, შესაბამის სივრცულ დონეზე.
- გამოიყენეთ ჯგუფური და თანამშრომლობითი მიდგომები, განსაკუთრებით იქ, სადაც რამდენიმე მცირე მეურნეობაა ჩართული. ნაახალისეთ „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომის გამოყენება Leader-ის მეშვეობით.

### **თანმიმდევრული ინტეგრირებული პაკეტების შემუშავება**

მას შემდეგ რაც განისაზღვრება კონსერვაციის მიზნები და საჭიროებები შესაბამის დონეზე, უნდა შემუშავდეს და შეირჩეს მართვის შესაბამისი ინსტრუმენტები და ზომები ამ მიზნების მისაღწევად. მიზნების სიცხადე გადამწყვეტია იმ პოლიტიკის გადამწყვეტილებების შემუშავებისთვის, რომლებიც როგორც აგვარებს, პრობლემებს ასევე უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას სხვადასხვა ღონისძიებებს შორის, განსაკუთრებით მათი დაშვების კრიტერიუმებთან და მართვის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემები და მათზე დამოკიდებული ძირითადი ჰაბიტატები და სახეობები, საჭიროებენ ყოვლისმომცველ, ინტეგრირებულ მხარდაჭერას ესსპ-ის ორივე კომპონენტიდან. 1-ლ კომპონენტში ხელმისაწვდომია შემოსავლის მხარდაჭერის სხვადასხვა სახეობა. EAFRD-ის ახალი სტრუქტურა აადვილებს 2014-2020 წლების პროგრამის პერიოდისთვის სოფლის განვითარების პროგრამის ჰოლისტიკური (კოჰერენტული, თანმიმდევრული) მხარდაჭერის პაკეტების შემუშავებას (წინა RDP-ისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მხარდაჭერა იყო შესაძლებელი, Leader-ის გამოყენებასთან კომბინაციაში).

ამჟამად, ნატურა 2000 სოფლის მეურნეობის მრავალი სისტემას ესსპ სისტემასთან მცირე კავშირი აქვს, შეზღუდული წვდომით ფრაგმენტული მხარდაჭერის წყაროებზე და გადახდების დაბალი განაკვეთით. ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემები, სადაც ნატურა 2000-ის ჰაბიტატები მდებარეობს, ეკონომიკურად და სოციალურად სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს. ამისათვის მეურნეობა უნდა იღებდეს ესსპ-ის ადეკვატურ და საიმედო საბაზისო დონის მხარდაჭერას გადახდებითა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობით, აგრეთვე გარკვეული ჰაბიტატებისა და სახეობების სპეციფიკური მართვის საჭიროებებისთვის განუული გადახდებით. მხარდაჭერის პაკეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ მეურნეობების კომპლექსური საჭიროებები, რათა პაკეტი იყოს თანმიმდევრული და

მოიცავდეს ოთხი ტიპის მხარდაჭერას:

- ნატურა 2000-ის მიწებზე სოფლის მეურნეობის გაგრძელების უზრუნველყოფა
- ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების მხარდაჭერა, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად სახეობებთან და ჰაბიტატებთან
- შესაძლებლობების განვითარება და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შექმნა, ეკონომიკური მდგრადობის გასაუმჯობესებლად
- ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების სპეციფიკური მართვის მხარდაჭერა

კოორდინირებული მხარდაჭერის ამ იერარქიის ლოგიკურმა სტრუქტურამ, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო სისტემის მდგრადობა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და შემდეგ კი, სტიმული ჰაბიტატისა და სახეობების გულდასმით მართვისთვის. ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პოტენციური ინტერვენციების დიაპაზონი ნაჩვენებია ცხრილში 6.1 ქვემოთ, ხოლო მხარდაჭერის თითოეული ტიპი აღწერილია მე-5 თავში. ინტერვენციების არჩევანი საკმაოდ ფართოა და დამოკიდებული იქნება ნატურა 2000-ის სოფლის მეურნეობის სისტემების სტრატეგიულ მიზნებზე, მახასიათებლებზე, მათ წინაშე არსებულ საფრთხეებსა და სოფლის ეკონომიკაში არსებულ შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია ნატურა 2000-ის მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავებისას ინკლუზიური პარტნიორული მიდგომის გამოყენება. ასევე გარემოსდაცვითი მართვის ინტერვენციების შემუშავებისას უნდა მოხდეს ადგილობრივი ცოდნის გათვალისწინება, სამიზნე ფერმერების სრული ჩართვა და სოფლის მეურნეობისა და ჰაბიტატის მართვის შესახებ მათი ცოდნის გამოყენება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წევრი სახელმწიფოებისთვის ხელმისაწვდომი ვარიანტების განხილვა, რათა მცირე ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ გადახდების მიღების შესაძლებლობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესსპ) ორივე კომპონენტიდან. უფლებამოსილების საკითხი ზემოთ იყო განხილული, მაგრამ ზოგიერთი ფერმერი შესაძლოა სრულიად არ იცნობდეს ადმინისტრაციულ სისტემას. მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერა მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სანდო წყაროდან, ადვილად მისაწვდომი ფორმითა და მდებარეობით, როგორცაა კონსულტაცია ადგილობრივ ოფისში.

სოფლის განვითარების პროგრამის ახალი თემატური ქვეპროგრამები წევრი ქვეყნებისთვის ფოკუსირებულია მთის ფერმერულ მეურნეობებსა და მცირე მეურნეობებზე მხარდაჭერის ინტეგრირებული პროგრამებით და გადახდების გაზრდილი განაკვეთებით. ამ ქვეპროგრამების ფარგლებში არსებობს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების შესაძლებლობა ნატურა 2000-ის და სხვა მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) სასოფლო-სამეურნეო სისტემებისთვის, რაც შეიძლება გამოვლინდეს ევროკომისიასთან პარტნიორობის შეთანხმებაში და სრულად აისახოს სოფლის განვითარების პროგრამაში.

ცხრილი 6.1. ესსპ-ის მხარდაჭერის ღონისძიებები ნატურა 2000-ის სამეურნეო სისტემებისთვის და მათი მართვისთვის (**გამუქებული შრიფტით წარმოდგენილი ღონისძიებები სავალდებულოა ნეკრი ქვეყნებისთვის**)

მიზანი	1-ლი კომპონენტი	მე-2 კომპონენტი
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაგვიძელების უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>- <b>საბაზისო გადახდების სქემა, ერთიანი გადახდების სქემა</b></li> <li>- „მწვანე“ გადახდები გადახდები ბუნებრივი ბარიერების შემცველი ფართობებისთვის (ANC)</li> <li>- ნებაყოფლობითი „დაკავშირებული“ გადახდები</li> <li>- ან სქემა მცირე ფერმერებისთვის, როგორც 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული ყველა ტიპის პირდაპირი გადახდების ალტერნატივა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკომპენსაციო გადახდები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> </ul>
ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების მხარდაჭერა	<ul style="list-style-type: none"> <li>- გადახდები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> <li>- „დაკავშირებული“ გადახდები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკომპენსაციო გადახდები ბუნებრივი ბარიერების მქონე ტერიტორიებისთვის (ANC)</li> <li>- ორგანული მეურნეობა</li> </ul>

<p>შესაძლებლობების განვითარება და დამატებითი ღირებულების შექმნა</p>	<p>– <b>სქემა ახალგაზრდა ფერმერებისთვის</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>– საკონსულტაციო მომსახურება</li> <li>– ცოდნის გადაცემა და ინფორმაციული უზრუნველყოფა</li> <li>– ინვესტიციები ფიზიკურ აქტივებში</li> <li>– მეურნეობის და ბიზნესის განვითარება</li> <li>– მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა</li> <li>– ხარისხის სქემები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის</li> <li>– ძირითადი სერვისები (ნატურა 2000/HNV მართვის გეგმების შემუშავება)</li> </ul>
<p>სპეციფიკური მახოვა ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაციის მიმართებით</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>– გადახდები აგრო-ეკოლოგიური და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის</li> <li>– არასაწარმოო ინვესტიციები</li> <li>– ნატურა 2000-ის გადახდების</li> <li>– გადახდები ცხოველთა კეთილდღეობისთვის</li> <li>– ტყეების ტყის ხანძრებისგან დაზიანების პრევენცია და აგროწარმოების პოტენციალის აღდგენა</li> </ul>

## **გადახდების მოცულობის გაანგაზიშება ANC და აგრო-გაჩემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის**

გადახდების განაკვეთების დაწესება გადამწყვეტია სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიწის გარემოსდაცვითი მართვისთვის განეული გადახდების თანხების წარმატებით ასათვისებლად, რადგან ფერმერები არ გამოიყენებენ ამ სქემებს, თუ ანაზღაურების განაკვეთები ძალიან მცირე იქნება. გადახდების სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ფერმერებთან, გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან ნდობის გასამყარებლად.

გადახდის გამოთვლის ფორმულა (დაკარგული შემოსავალი + განეული ხარჯები + ბენეფიციარის ტრანზაქციის ხარჯები<sup>84</sup>) და გამოყენებული მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს არსებული ჩვეულებრივი მეურნეობის პრაქტიკისა და კონსერვაციის სამუშაოების ღირებულებას იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს სქემა ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ გადახდები ერთი და იმავე ტიპის ღონისძიებისთვის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ადგილას, გარემოებიდან გამომდინარე. ძალზე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ გადახდის განაკვეთები ANC, ნატურა 2000-ის და აგროგარემოსდაცვითი თუ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის, ასახავდეს მართვის სრულ ღირებულებას, განსაკუთრებით იქ, სადაც დასაკარგი შემოსავალი მცირეა ან საერთოდ არ არის. ამ გამოთვლებს უნდა დაემატოს ტრანზაქციის ხარჯები, რადგან ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მოთხოვნა ფერმერების მხრიდან უაღრესად ტარგეტირებულ ისეთ სქემებში, როგორცაა სქემები ნატურა 2000-ის ტერიტორიებზე და ფერმერებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ადმინისტრაციული მხარდაჭერა. ნევრმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან რეგლამენტით დადგენილი გადახდის მაქსიმალური განაკვეთები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ შეუძლიათ უფრო მაღალი განაკვეთების გამართლება, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნატურა 2000-ის ზოგიერთ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ არსებობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიტოვების რისკი.

### **გაჩემოების და მასშტაბი**

დაფინანსების რაციონალური გამოყენებისთვის საჭიროა, რომ მხარდაჭერა მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული და ზუსტად მორგებული მეურნეობისა და ჰაბიტატის მოთხოვნებზე, შესაბამის სივრცულ დონეზე.

ჰორიზონტალური ზომები შეიძლება იყოს გამოსადეგი ზოგიერთ სიტუაციაში გარკვეული ჰაბიტატის ტიპებისთვის ან სახეობებისთვის, სადაც რამდენიმე მარტივი მოთხოვნა შეიძლება იყოს გამოყენებული რეგიონის ან ქვეყნის მთლიან სამეურნეო ფართობზე. მაგალითად, ბალახოვანი ეკოსისტემების კონსერვაციის შემთხვევაში სლოვაკეთში ან ბალტიისპირეთის მდელოებზე ესტონეთში (იხ. ჩანართი 6.5 და დანართი E).

84 ეს არის დამატებითი თანხა 20 ან 30 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია სქემაზე

**ჩანახტი 6.5 კონკრეტული ჰაბიტატების ფაქტორულ-სტრატეგიული კონსერვაციისკენ მიმართული სტრატეგიული მიდგომები**

**თანამშრომლობა გახეშოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის ესტონეთის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატებისთვის**

2001 წელს ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტრომ წამოიწყო ბალტიისპირეთის სანაპირო მდელოების აღდგენისა და მართვის ეროვნული სქემა. პირველი ნაბიჯი იყო ამ მდელოების აღდგენა იმ დონეზე, რომ იქ კიდევ ყოფილიყო შესაძლებელი რეგულარული ძოვება და თიბვა. აღდგენითი სამუშაოები ძირითადად ადგილობრივმა მიწის მესაკუთრეებმა და ფერმერებმა განახორციელეს, რომლებმაც მართვის ხელშეკრულებები გააფორმეს გარემოს დაცვის სამინისტროსთან. შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების სპეციალური აგროგარემოს სქემა ესტონეთის RDP პროგრამის ფარგლებში (2007-2013). მრავალი ფერმერი, რომელმაც მუშაობა დაიწყო გარემოს დაცვის სამინისტროს სქემით, შემდგომში შეუერთდა RDP სქემას. აგროგარემოსდაცვითი სქემა მიმართულ იყო ბევრად უფრო დიდ ტერიტორიაზე და ასევე მოიცავდა სხვა სახის ნახევრად ბუნებრივ ჰაბიტატებს, როგორცაა ტენიანი მდელოები, ტყიანი მდელოები, ტყიანი საძოვრები, ალვარული ჰაბიტატები, დატბორილი მდელოები და ტორფიანი მდელოები, ღვიის ბარდები, დაბალი ბუჩქნარი და ბალახოვანი ეკოსისტემები მინერალურ ნიადაგზე, რომელთაგან ყველა არის მაღალი ბუნებრივი ღირებულების ჰაბიტატი და დაცულია ჰაბიტატების დირექტივით.

სქემას მართავს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბუნების კონსერვაციის სახელმწიფო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელიც კომენტარებს უკეთებს და ამტკიცებს თითოეულ აგროგარემოსდაცვით განაცხადს. ორი სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობა წარმატების მთავარი ელემენტია. ესტონეთის ყველა სანაპირო მდელოს დაახლოებით ნახევარი აგროგარემოს სქემაში შედის.

წყარო: Estonia case studys in Annex E

ზოგიერთ ტერიტორიაზე შეიძლება საჭირო იყოს უფრო კონკრეტული ადგილობრივი მიდგომები, მათ შორის ზუსტად მორგებული და მიზანმიმართული ღონისძიებები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამებიან კონკრეტული სახეობის ან ჰაბიტატის მართვის კონკრეტულ საჭიროებებს კონკრეტულ ადგილას. ტარგეტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატურა 2000-ის მრავალი ჰაბიტატისა და სახეობისთვის, რადგან ფართომასშტაბიანი (მაგ., ეროვნული) აგროეკოლოგიური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ჰაბიტატის შენარჩუნებაზე, ზოგადად, ყოველთვის არ შეიძლება იყოს ეფექტური. მაგალითად, სლოვაკეთის ნახევრად ბუნებრივი ბალახოვანი ჰაბიტატების სქემებმა აჩვენა, რომ ჰორიზონტალური ზომები არ იყო ძალიან ეფექტური, რადგან სხვადასხვა სახეობასა და ჰაბიტატს ხშირად აქვს სხვადასხვა კონსერვაციის საჭიროება, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს მდებარეობის მიხედვით. ამიტომ, მიზანს წარმოადგენს სქემის ეფექტურობის

გაუმჯობესება უფრო სპეციფიკური ინტერვენციებით, რომლებიც ფოკუსირებულია პრიორიტეტულ ტერიტორიებზე (მაგ., ნატურა 2000-ის უბნებზე) შეთანხმებული მართვის (და მონიტორინგით) სისტემით სავსე დონეზე, საჭიროების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ღონისძიებების შემუშავება ფერმერებთან ადგილობრივი დიალოგის გათვალისწინებით (ჩანართი 6.6).

აგროეკოლოგიური ღონისძიებების ტარგეტირება აშკარად მოითხოვს საიმედო, განახლებულ და ვრცელ გარემოსდაცვით მონაცემებს (მაგ., ინვენტარი, ჰაბიტატის რუკები და სახეობების ატლასები). შესაბამისად, მოითხოვს კვლევებსა და ჩანაწერების და რუკების შედგენას. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს ძვირი და შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი ინვესტიცია კონსერვაციული ორგანიზაციების შესაძლებლობების გასაზრდელად. თუმცა, ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს ეკონომიური, თუ შემცირდება ტერიტორია, სადაც უნდა იყოს მიღებული ზომები კონსერვაციის სასურველი შედეგის მისაღწევად.

### **ჩანართი 6.6 ფაქტობრივად შეცვლილი თუ ადგილობრივი?**

ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობისა და ჰაბიტატების მართვის განსხვავებული მოთხოვნების დაბალანსება შეიძლება ძალიან რთული იყოს, მაგრამ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სახეობებისა და ჰაბიტატების გადასარჩენად, მართვის გადაწყვეტილებები კარგად უნდა იყოს ადაპტირებული ადგილობრივ საჭიროებებზე. მაგალითად, სლოვაკეთში, ჭალის ბალახოვან ეკოსისტემებში ბინადრობს პეპლების რამდენიმე სახეობა, რომლებიც დაცულია ჰაბიტატების დირექტივით, როგორცაა *Maculinea teleius*, *M. nausithous* და *Lycaena dispar*. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ტრადიციულად გამოყენებულ ალუვიურ მდელოებთან. ეს სახეობები ადაპტირებული არიან ტრადიციულ მოზაიკურ სათიბებთან, რადგან მთლიანი ტერიტორია არასოდეს იყო სათიბი. მოზაიკური მართვა ასევე მნიშვნელოვანია როჭოსთვის (*Crex crex*), განსაკუთრებით ხანმოკლე წყალდიდობის დროს. ამის საპირისპიროდ, ევროპული მნიშვნელობის ფრინველთა სხვა სახეობებს, როგორცაა ლაჟო (*Lanius collurio*) ან შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), შეუძლიათ ისარგებლონ ფართო სათიბებით, რადგან ახალმოთიბული ბალახოვანი ეკოსისტემები ძალიან მიმზიდველი საკვები წყაროა.

წყარო: RSPB and BirdLife International, 2011).

### **ჯგუფური და თანამშრომლობითი მიდგომები**

მინის მართვის მრავალი სქემა, იმისათვის რომ იყოს ეფექტური, მოითხოვს უფრო ფართო მასშტაბით დანერგვას და სხვადასხვა ტიპის მინათმომწყობთა ერთობლივ მოქმედებას (ფერმერები, ტყის მფლობელები, საჯარო ხელისუფლება, საჯარო მინათმფლობელები). ამიტომ მმართველმა ორგანოებმა, სოფლის განვითარების პროგრამების შემუშავებისას, უნდა ითანამშრომლონ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან, მათ შორის ფერმერულ და სატყეო თემებთან და მაქსიმალურად გამოიყენონ მარეგულირებელი შესაძლებლობები ლანდშაფტის დონეზე დანერგვის

ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის. ცალკეულ ფერმერებთან ხელშეკრულებების გაფორმების ნაცვლად, ზოგჯერ შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ფერმერების ნახალისება და ხელშეწყობა, შექმნან კოოპერატივები ან ასოციაციები აგრო-ეკოლოგიური ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

RDP- ღონისძიებების განხორციელების ჯგუფური და კოოპერატიული მიდგომები შეიძლება მომგებიანი იყოს ნატურა 2000-თვის, განსაკუთრებით თუ მასში ჩართულია ბევრი მცირე მეურნეობა. მაგალითად, რუმინეთში, Fundația ADEPT მუშაობს მცირე ფერმერებთან, ნატურა 2000-ის Târnava Mare-ს ტერიტორიაზე, რათა ჩართოს ისინი მხარდაჭერის სქემებში და გააუმჯობესოს სქემის დიზაინი და ხელმისაწვდომი გახადოს მცირე ფერმერებისთვის (იხ. ჩანართი 6.4 და მაგალითი რუმინეთიდან დანართში E). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფასილიტატორების ან კოორდინატორი ორგანიზაციების როლი ჯგუფურ შეთანხმებებში. მათი მხარდაჭერა შესაძლებელია სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

არაფერმერული ჯგუფების ჩართვა და ადგილობრივი მიზნობრივი სქემების „ქვემოდან ზემოთ“ მიწოდების მიდგომა შეიძლება იყოს მხარდაჭერილი Leader-ის მეშვეობით. ამის კარგი მაგალითებია ჰოლანდიური გარემოსდაცვითი კოოპერატივები (Franks and Mc Gloin, 2007), ასევე მინებისთვის ზრუნვის გერმანული ასოციაციები (იხ. ჩანართი 6.6). ეს ასოციაციები აკავშირებენ კონსერვაციის ჯგუფებს ადგილობრივ ფერმერებთან და ადგილობრივ თემებთან და ხშირად შეუძლიათ გააერთიანონ საპირისპირო ინტერესები, რათა ერთობლივად იზრუნონ ნატურა 2000-ის ტერიტორიებისთვის. წარმატებული პროექტების საფუძველია ფერმერებთან, ადგილობრივ თემებთან, კონსერვაციის ჯგუფებთან და ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

**ჩანართი 6.6 კოოპერატიული პაჩგნიოზობა ფეხმეხებთან და ადგილობრივ თემებთან**

გერმანიაში მინისთვის ზრუნვის ასოციაციები მუშაობენ ნატურა 2000-ში შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად, ფერმერებთან და ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით. ეს რეგიონული არასამთავრობო ასოციაციები კონსერვაციის ჯგუფებს აკავშირებენ ადგილობრივ ფერმერებთან და ადგილობრივ თემებთან. 155 ასეთი ასოციაცია (მინიმუმ ერთი ყოველ ფედერალურ შტატში) მუშაობს რაიონულ დონეზე 20000 ფერმერთან, 3000-ზე მეტ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და 1000 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. ეს ხშირად დაპირისპირებული ინტერესების მქონე ჯგუფები ერთად მუშაობენ მინის ინტეგრირებული დამდგრადი მართვის პრაქტიკის განსახორციელებლად ნატურა 2000-ის ბევრ ტერიტორიაზე. მაგალითად, ნატურა 2000-ის Altmühltal მშრალბალახოვანი ეკოსისტემების რეგიონში ბავარიაში, (გერმანია), ეს ასოციაციები თამაშობენ ძირითად როლს მეცხვარე ფერმერების მხარდაჭერაში, რომლებიც კოორდინაციას უწევენ დაახლოებით 25000 ცხვრის ექსტენსიურ ძოვებას და სერტიფიცირებული ხორცის წარმოებას (Altmühl-valley lamb). ფერმერებს შორის

კოორდინაცია ასევე აუცილებელია იმისათვის, რომ მართვის ღონისძიებები განხორციელდეს სინქრონულად ყველა ტერიტორიაზე, როგორცაა სათიბი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჰაბიტატის საკმარისი ჰეტეროგენულობა ყველა

სახეობისთვის.

მინისტრის ზრუნვის ადგილობრივი კოორდინატორები შეიმუშავენ პროექტებს ლანდშაფტის კონკრეტული ტიპებისთვის, სამეცნიერო ღონისძიებების, ფინანსური გამოთვლების და შესაფერისი აგროეკოლოგიური სქემების ჩათვლით. ისინი მოითხოვენ ხელმისაწვდომ ფინანსებს და აკვირდებიან აქტივობების განხორციელებას, ძირითადად ადგილობრივი ფერმერების მიერ განხორციელებულს და პროექტის შედეგებს. წარმატებული პროექტების საფუძველია ფერმერებთან, ადგილობრივ თემებთან, კონსერვაციის ჯგუფებსა და სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ნატურა 2000-ის მართვა ეფუძნება დაფინანსების სამი ძირითადი ელემენტის კომბინაციას: 1) პირდაპირი გადასახადები, 2) აგროგარემოსდაცვითი პროგრამები, 3) მინისტრის მართვის პროგრამები, რომლებიც დაფინანსებულია EAFRD-ის ბუნებრივი მემკვიდრეობის ღონისძიებების მეშვეობით.

წყარო: [www.altmuehltaler-lamm.de](http://www.altmuehltaler-lamm.de) და [www.lpv.de](http://www.lpv.de)

## 6.5 დასაწერად საჭირო ფინანსური, ტექნიკური, საკონსულტაციო და ადმინისტრაციული რესურსების უზრუნველყოფა

### რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით საკმარისი ფინანსური და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობა გრძელვადიანი მხარდაჭერისთვის, მათ შორის, მომზადებული პერსონალი საკონსულტაციოდ, რომელთაც გააჩნიათ ნატურა 2000-ის მიწების მართვისთვის საჭირო ტექნიკური ექსპერტიზა.
- მიაწოდეთ ფერმერებს რჩევები და ინფორმაცია სანდრო წყაროებიდან

### გძველვადიანი მხარდაჭერისთვის საკმახისი ფინანსური და სხვა ხელშეწყობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

დაფინანსება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს შეძლებისდაგვარად გრძელვადიანი, რადგან დაფინანსების შეფერხებები ძირს უთხრის ფერმერებსა და მინისტრის მესაკუთრეებს შორის ნდობას და ხელს უშლის მათ გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებაში (როგორცაა ჰაბიტატის აღდგენა). თუ გრძელვადიანი დაფინანსება არ არის ხელმისაწვდომი, ფერმერები მიდრეკილნი იქნებიან ფოკუსირდნენ ისეთი ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლებიც შეიძლება ადვილად შეიცვალოს, რაც გამოიწვევს იმ სარგებლის მუდმივ დაკარგვას, რაც შეიძლებოდა მიღწეულიყო სქემით. ეს კი შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებით მისაღებ გრძელვადიან სარგებელს.

აუცილებელია დაფინანსების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ფერმერებისთვის გასაცემი თანხების, არამედ მხარდაჭერის ყველა ხარჯის გასაწევად. ამ ხარჯებიდან ზოგიერთი თანადაფინანსებულია EAFRD-ის მიერ, როგორცაა საკონსულტაციო მომსახურება, ტრენინგები და უნარ-ჩვევების გამომუშავება, ნატურა 2000-ის

და მაღალი ბუნებრივი ღირებულების (HNV) ტერიტორიების მართვის გეგმების მომზადებისთვის და ჯგუფური მუშაობის ფასილიტაციისთვის. ხშირ შემთხვევაში, ამ მომსახურებას ახორციელებენ სახელმწიფო კონტრაქტორები, მათ შორის არასამთავრობო და ფერმერული ორგანიზაციები (დანვრილებით იხილეთ თავი 5).

ნატურა 2000-ის მხარდასაჭერი რესურსების გამოყოფისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ტრანზაქციის ხარჯების პროპორციულად დიდი ტვირთი, როდესაც ჩართულია მცირე ფერმერების დიდი რაოდენობა და როდესაც ფერმერები და მომსახურე პერსონალი პირველად აკეთებენ ამ საქმეს. პერსონალი, განსაკუთრებით კი საგადახდო სააგენტოს პერსონალი, საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს ნატურა 2000-ის მართვისა და სოფლის მეურნეობის სისტემების საკითხებზე. ეს პერსონალი გადაწყვეტს, ასრულებენ თუ არა ფერმერები ურთიერთშესაბამისობის მოთხოვნებს და მათ აგროეკოლოგიურ კონტრაქტებს და შესაძლებელია თუ არა მათთვის გადახდების განხორციელება.

დაფინანსებისას შესაძლებელი უნდა იყოს ფერმის დონეზე საქმიანობის გავლენის მონიტორინგი.

### **ინგეგმიური (კომპლექსური) ჩრევისა და ინფორმაციის მიწოდება**

რჩევისა და ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ფერმერებისთვის სანდო წყაროებიდან (სხვა შემთხვევაში, სავარაუდოდ ფერმერები ამ რჩევებს არ მიიღებენ) ამ რჩევებს ყოველთვის უნდა იყოს ერთვოდეს კონსერვაციის შესახებ რჩევებიც, თუ როგორ შეიძლება მათი ინტეგრირება ფერმერულ სისტემაში (იხ. ჩანართი 6.7). კონსულტანტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც მეკავშირეები მკვლევრებსა და ფერმერებს შორის, ფერმერთა საჭიროებების იდენტიფიცირების, პრაქტიკული გამოცდილების შეგროვებისა და კვლევებიდან ცოდნის ადგილობრივ პირობებში გამოყენებისათვის. აუცილებელია, რომ მრჩევლებს ჰქონდეთ საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები და გამოცდილება, განსაკუთრებით ნატურა 2000-ის მიწების შესახებ. საკონსულტაციო სერვისების მიწოდება ასევე შეუძლიათ ადგილობრივ ორგანიზაციებს, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და ფერმერთა ასოციაციები. ესსპ-ის მხარდასაჭერის ვარიანტები საკონსულტაციო და საინფორმაციო სერვისებისთვის აღწერილია 5.6 ნაწილში. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული სწავლებისა და უნარების დაფინანსების შესაძლებლობების გამოყენება, სემინარები და ტრენინგები, საჩვენებელი ღონისძიებები, მეურნეობაში ვიზიტები და მოკლევადიანი გაცვლები. მეურნეობაში ვიზიტები და ფერმერებს შორის გაცვლები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფერმერების მოტივაციაში, მონაწილეობა მიიღონ აგროგარემოსდაცვით სქემებში, გაზრდის მათ მოტივაციას და ნაახალისებს კრეატიულობას და ინოვაციას კონსერვაციულ მართვაში (იხ. მაგალითები ირლანდიიდან, გერმანიიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, ავსტრიიდან და ნიდერლანდებიდან დანართ E-ში, სადაც შექმნილია ეფექტური სამრჩევლო სისტემები და რეგულარული კომუნიკაცია ხდება ფერმერებთან).

## **ჩანაჩი 6.7 ინგეგჩიებული აგჩაჩული და კონსეჩვაციული საკონსულტაციო მომსახეება ფეჩმეჩებისთვის**

The “Partnerbetrieb Naturschutz” პროგრამა, რაინლანდ-პფალცი, გერმანია

ინიციაცივა “Partnerbetrieb Naturschutz” ფერმერებს სთავაზობს ინტეგრირებულ რჩევებს მეურნეობის და კონსერვაციის საკითხებსა და დიალოგზე დაფუძნებულ დაგეგმვას. საკონსულტაციო ჯგუფებში შედიან როგორც ეკოლოგები, ასევე აგრონომები. ფერმერი და საკონსულტაციო ჯგუფი აწარმოებენ დიალოგს და აანალიზებენ სიტუაციას მეურნეობასა და მიმდებარე ლანდშაფტში. შემუშავებულია მთლიანი მეურნეობის კონსერვაციის გეგმა, რომელიც მოიცავს მეურნეობის კონსერვაციული პოტენციალისა და კონსერვაციის სპეციფიკური მიზნების ანალიზს, რუკების, აეროფოტოებისა და მიწების აღნიშვნების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნატურა 2000-ის ჰაბიტატებისა და სახეობების და წყლის დირექტივის კონსერვაციის მიზნებს. შემდეგ ფერმერი და საკონსულტაციო ჯგუფი შეიმუშავებენ და შეთანხმდებიან მეურნეობის სპეციფიკური კონსერვაციის გეგმაზე. ჯგუფი გთავაზობთ მუდმივ ინდივიდუალურ კონსულტაციას, შეფასებას და უკუკავშირს. შედეგებს ყოველწლიურად ერთობლივად ზომავენ და აფასებენ ფერმერი და ჯგუფი. ფერმერები ეძებენ პასუხებს, რომლებიც სპეციფიკურია მათი მეურნეობისთვის, მაგალითად, რა გავლენას მოახდენს საძოვრების ექსტენსიური მართვა მეურნეობაში რძის პროდუქტების წარმოებაზე? რა აზრი აქვს მართვის გარკვეულ ღონისძიებას? რა შედეგები მოჰყვება რაიმეს არგაკეთებას? რომელი ეკოლოგიური რესურსები, ჰაბიტატები ან სახეობები შეუძლია შეინარჩუნოს საკუთარ მეურნეობაში? დამაჯერებელი პასუხების გაცემა მთავარი ფაქტორია შემოთავაზებული დაცვის ზომების მიმართ ნდობის გასაძლიერებლად.

წყარო: Germany case study in Annex E

## **6.6 მონიტორინგი, შეფასება და განხილვა**

### **რეკომენდაციები:**

- უზრუნველყავით ნატურა 2000-ის თითოეული შესაბამისი ჰაბიტატისა და სახეობისთვის განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბის მონიტორინგი, შეამოწმეთ მიზნების შესრულება სამიზნეების მიხედვით.
- დარწმუნდით, რომ მონაცემთა შეგროვების სისტემები თავიდანვე ინტეგრირებულია სქემის განხორციელების პროცესებში.
- უზრუნველყავით საკმარისი რესურსები შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.
- ჩამოაყალიბეთ სასურველი შედეგები ან „ქვაკუთხედები“ და განსაზღვრეთ მონიტორინგის ადეკვატური პროცედურები და ინდიკატორები, რომლებიც ადვილად გამოსაყენებელი და გასაგები იქნება ფერმერებისთვის.
- ჩართეთ ფერმერები მონიტორინგის პროცესში და აცნობეთ მათ შესაბამისი შეფასების შედეგები და ძირითადი დასკვნები.

## ეფექტური მონიტორინგი და შეფასება

ეფექტური მონიტორინგი და შეფასება გადამწყვეტი ინტერვენციების ეფექტურობისა და შედეგიანობის შესაფასებლად და დროთა განმავლობაში სქემებისა და მართვის პრაქტიკის ადაპტაციისა და გაუმჯობესებისათვის.

მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე. რეგულარული მონიტორინგი უნდა იყოს ნატურა 2000-ის ყოველი მხარდაჭერის პროგრამის განუყოფელი ნაწილი. მონიტორინგმა უნდა შეაფასოს განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბი, შესაძლო სირთულეები და შეზღუდვები, ასევე მათი გავლენა კონსერვაციის მიზნებთან მიმართებაში. ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო მონიტორინგისა და კვლევის შედეგების ინტეგრირება მართვის რეკომენდაციებში (იხ. ჩანართი 6.9 და განყოფილება 4.3).

მნიშვნელოვანია მონიტორინგის ისეთი სქემების შემუშავება, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს მეურნეობის დონეზე შესაბამისი და ადვილად შესამოწმებელი ინდიკატორების გამოყენებით. ფერმერების ჩართვა მიღწეული შედეგების რეგულარულ მონიტორინგში აღმოჩნდა, რომ ძალიან ეფექტური გზაა მათი მონაწილეობის გასაზრდელად. ფართო საჯაროობა ასევე მნიშვნელოვანია სამიზნე სახეობებისა და ჰაბიტატების პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და მათ დასაცავად მომუშავე ადამიანების აღიარებისთვის.

წევრმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ნატურა 2000-ის რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების შედეგების ინტეგრირება დაფინანსების მექანიზმებში და შესაბამისად გადაამისამართონ არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების სამიზნეები. ეს მოითხოვს ნატურა 2000-ის მონიტორინგის შედეგების სპეციფიკურ ინტეგრაციას სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს ნატურა 2000-ის ძირითად აგრარულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე. იმისათვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს კომბინირებული ღონისძიებები, აუცილებელია ერთიანი საინფორმაციო სისტემის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს სოფლის მეურნეობის, ბოტანიკის, ზოოლოგიის და მინათმოსარგებლეთა მონაცემებს.

სოფლის განვითარების პროგრამის მონიტორინგი განხორციელდება იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების ახალ საერთო სისტემაში (2014 წლის შემდგომ განხორციელების დოკუმენტებში). ეს ინდიკატორები უნდა იყოს გამოყენებული ყველა წევრ სახელმწიფოში და მოიცავდეს ზოგად კონტექსტუალურ ინდიკატორებს ნატურა 2000-ის ტერიტორიებისთვის, სასოფლო-სამეურნეო ჰაბიტატების დაცვის სტატუსს და HNV მეურნეობას. წევრებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ დამატებითი ინდიკატორები, რომლებიც შეესაბამება მათ ეროვნულ/რეგიონულ სიტუაციას. ამ ფორმალური შეფასების მოთხოვნების გარდა, სქემის პირველი ორი წლის განმავლობაში მმართველი ორგანოების მიერ დადგენილი „სწრაფი“ შიდა განხილვის პროცესები შეიძლება იყოს მეტად ეფექტური გზა საკითხების იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტისათვის, სანამ ისინი გავლენას მოახდენენ განხორციელებაზე, ეკოლოგიურ ეფექტურობაზე ან ფერმერის დამოკიდებულებაზე.

ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია უკუკავშირი მიაწოდოს სქემის ხელმძღვანელებს და პოლიტიკის შემქმნელებს, თუ რამდენად კარგად მუშაობს ნატურა 2000-ის სქემა და აღწევს თუ არა ის თავის მიზნებს. ეს არის ფაქტობრივად „აქტიური სასწავლო პროცესის“ ნაწილი, რომელიც საშუალებას აძლევს მმართველ ორგანოს გადახედოს და შეცვალოს არსებული სქემები და ზომები, და გააუმჯობესოს მომავალი სქემებისა და ზომების დიზაინი. როდესაც ნატურა 2000-ის მართვის სქემები პირველად დაინერგება, მცირე მასშტაბის საპილოტე ტესტირებამ და შეფასებამ შეიძლება გააუმჯობესოს სქემების ეფექტურობა და დანერგვა.

**ჩანახტი 6.8 ფეხმეხების და მკვლევრების თანამშრომლობა სახეობების კონსერვაციის ოპტიმიზაციის მიზნით**

ზაზუნას მიმართ მეგობრული კონსერვაცია დაინერგა ნიდერლანდებში, ფერმერებსა და მკვლევრებს შორის ეფექტური თანამშრომლობით. კვლევის შედეგები და მართვის მოქნილი რეგულაციები, მართვის ადაპტაციის საშუალებას იძლეოდა. მართვა მნიშვნელოვნად შეიცვალა პროექტის მსვლელობისას ჩატარებული ზაზუნების მონიტორინგის შედეგების კვლევების შემდეგ (Alterra, Wageningen & Radboud University Nijmegen). შესაძლებელი იყო მოქნილი მართვა, რადგან პროექტი ოფიციალურად განიხილებოდა ექსპერიმენტად ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც მონაწილე მხარეებს რეგულაციებისა და მართვის მანდატების შეცვლის საშუალებას აძლევდა. მაგალითად, ყოველწლიურ კონტრაქტებში იყო შეთანხმებული 20 მ გადარჩენის ზოლი, ასე რომ ყოველწლიურად მკვლევრებს შეეძლოთ მიემართათ ფერმერებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ოპტიმალური მდებარეობა ზაზუნებთან.

პირდაპირი და უწყვეტი კონსულტაციები და ფერმერების ინდივიდუალური მხარდაჭერა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პროექტის წარმატებისთვის. პროექტის მიმდინარეობისას მკვლევრები აწვდიდნენ ინფორმაციას და ეხმარებოდნენ ფერმერებს ნათესების მართვასა და ზაზუნასთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებში, პასუხობდნენ კითხვებს, როგორცაა „შეიძლება თუ არა მოსავლის აღება?“ ან „მე ვიპოვე ხვრელი, რა უნდა გავაკეთო?“ ზაზუნების კოორდინატორი აკონტროლებს და განიხილავს განაცხადებს მართვის ახალი ხელშეკრულებებისთვის და ამონებს ნათესების მართვის ღონისძიებებთან შესაბამისობას.

წყარო: Netherlands case study in Annex E.